ლიტერატურული, სამეცნიერო-პოპულარული
და საზოგადოებრივი ჟურნალი

ალავი

ჟურნალი გამოდის
2016 წლის იანვრიდან,
გამოსცემს სამცხე-
ჯავახეთის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

№1 (18) - 2018

რედაქტორი – **მერაბ ბერიძე**

მოადგილე – **მაკა ბერიძე**

სარედაქციო საბჭო:
ლია ზაზაშვილი
ვახტანგ ინაური
ციური ლაფაჩი
მალხაზ ლომსაძე
ლერი ნოზაძე
ნატო ყრუაშვილი
ირინა ჯიშკარიანი

ირაკლი ვაშაყმაძე, *თბილისი*
რეზო შეროზია, *ზუგდიდი*
ზაირა კელოშვილი, *ათენი*
ნუგეშა გაგნიძე, *ქუთაისი*

უცხოეთთან თანამშრომლობის
ბიურო: **ლალი ბერიძე**
მაია ქუქჩიშვილი

მხატვარი: **ლელა ფერაძე**

მდივანი – **ზაირა გელაძე**
მენეჯერი - **ნონა საანიშვილი**

საგამომცემლო ჯგუფი: **ლია ზედგინიძე**
ლარისა გურგენიძე

რედაქციის მისამართი: ახალციხე, რუსთაველის ქ. №106
© სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2018
ISSN 2346-836X

განახლებული „არავი“

აღდგა „არავის“ გამოცემა. ერთი წელია რაც ჩვენი ჟურნალი აღარ გამოდიოდა, ზუსტად ერთი წელი... 2016 წლის იანვრიდან მისი 17 ნომერი გამოვიდა. ახალ დაწყებულ საქმეს ყოველთვის ახლავს პრობლემები. ჩვენი ჟურნალი სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემაა, ამიტომ ბუნებრივია, რომ მისი ავი და კარგი სწორედ უნივერსიტეტის ავსა და კარგზეა დამოკიდებული. წელიწადზე მეტი სერიოზული გამოწვევების წინაშე იდგა უნივერსიტეტი. აღმოჩნდა ძალები, როგორც სამცხე-ჯავახეთში, ისე დედაქალაქში, რომელთაც უნივერსიტეტისა და საერთოდ სამცხე-ჯავახეთის მომავალი ნაკლებად აინტერესებდათ, კერძო ინტერესებზე დაყრდნობილი მათი ბრძოლა ვნებდა ყველაფერს და მათ შორის „არავს“. იყვნენ ადამიანები, რომლებიც ეჭქვეშ აყენებდნენ და თავიანთი ვიწრო თვალსაწიერიდან უყურებდნენ ჟურნალის გამოცემას. სამცხე-ჯავახეთის მთელი ისტორიის მანძილზე „არავი“ ერთადერთი გამოცემაა, რომელიც რეგულარულად გამოდიოდა თუნდაც 17 თვის განმავლობაში. მასში გაჟღერდა ბევრი ახალი სახელი, დავდექით საკუთარი სახის შექმნისა და შენარჩუნების გზაზე. ჩვენთვის სულაც არ იყო სულერთი ჩვენი ქვეყნის დღევანდელობა და მომავალი, ამიტომ მთავარ ორიენტირად სამშობლო, მამული, ტრადიციის სიკეთე, ადამიანის ადამიანობა და სიყვარული დავისახეთ. ეს კი არ აღმოჩნდა მარტივი საქმე. უცნაურია, ქართველს ყველგან და პირველ რიგში, საკუთარ ქვეყანაში სჭირდება დაცვა. ყველაზე დაუცველი ხალხი რომ ვართ, ახალი ამბავი არ არის, თუმცა ისეა ყველაფერი შეფუთულ-შეხვეული, რომ ძნელი გასარკვევია მტერი და მოყვარე. მტერი მტერია, მუდამ გვყავდა და დედამიწის დღევანდელი კაციჭამიების ეპოქაში რა გამოლევს. „არავი“ ცდილობს დაუბრუნოს ადამიანებს რწმენა, რომ განვსაზღროთ მტერი, ვისწავლოთ დიპლომატია და ნუ იქნება ქართველი ყველაზე დიდი მტერი ქართველისა. ნუ ამოვწყვეტთ ერთმანეთს. განვლილ პერიოდში ბევრი უცხო ავტორი დავბეჭდეთ, ძველი და ახალი. ვცდილობდით მკითხველისთვის გაგვეცნო შორეული და ახლობელი მეზობელი, გვეჩვენებინა, რომ პატარაა დედამიწა თანამედროვე ტექნოლოგიების პირობებში, ბევრია საერთო ჭირი და სიხარული, ადამიანი ყველგან ადამიანია, მთავარია, შეამჩნიო, დაინახო და შეიცნო იგი.

„არავს“ სტკივა ქართველთაგან დაცლილი საქართველო. ენანება ლუკმა პურზე გამოდევნებული, დაბნეული თანამემამულის ყოფა.

ერთიანი ეროვნული მიზნის უქონლობა ძირსა სცემს ჩვენს ქვეყანას. ყოველი ბზარიდან ისმის სასოწარკვეთილი კვნესა ადამიანისა. უჭირს ქვეყანას იქ, სადაც შეიძლება ყველაზე მეტად ..... მიწა აქვს და აღარ პატრონობს, პურის ქვეყანაა და სხვის ხელშია შემხედვარე. ჭკუა გონების პატრონი ქართველი ეფლობა გაუნათლებლობის, არაპროფესიონალიზმის ჭაობში, რაც საკუთარ ზურგზე გამოსცადა „არავმა“, როდესაც ზოგიერთმა ვაიპროფესორმა დასვა კითხვა: „რა საჭიროა „არავი“, რად გვინდა ჟურნალი, რა უნივერსიტეტის საქმეა ასეთი გამოცემა?!“

უნივერსიტეტის საქმეა სამცხე-ჯავახეთში, რაც განათლებას, კულტურას, ისტორიას და ჩვენს ყოფას ეხება. საქართველოს დღეს დაფიქრებული ადამიანი სჭირდება. ჟურნალი ცდილობს დააფიქროს ახალგაზრდობა დღევანდელობაზე, მის მომავალზე. განახლებული „არავი“ დაწყებულ საქმეს გააგრძელებს.

მერაბ ბერიძე

კობა იაკობ-აბა არაბული

მთაზე მზრუნველი კაცის ფიქრები

ქალბატონო მაკა!

მადლობა ამ შეკითხვებისთვის და იმისთვისაც, რასაც თქვენ და თქვენი ჟურნალი აკეთებთ.

თქვენი შეკითხვები თავისთავად მთელი სამყაროს მომცველია, იქ ჩანს მწერლის შინაგანი პორტრეტი და პოეზიის ანალიზი, ე.ი. ამ კითხვებიდან მე ბევრი რამ გავიგე ჩემზე და ჩემს პოეზიაზე.

თუ კითხვის დასმა არ შეგიძია ვერც პასუხს მიიღებ... ამდენად მეც შევეცდები, რომ შეძლებისდაგვარად ვუპასუხო თქვენს ინტერესს. მე შევეცდები, ჩემი პასუხები გრძელიც იყოს და მოკლეც, ჩაეტიოს „დიდში - მცირე და მცირეში - დიდი“, როგორც „ჩიტო-გვრიტოს“ მითშია და ზოგი რამ უპასუხოდაც დავტოვო...

კიდევ ერთეხლ მადლობას გეუბნებით ამ საინტერესო კითხვებისთვის და „მათში დაფარული“ პასუხებისთვისაც.

„როგორც ფუტკარი მოფრინავს თავისი სკიდან, ისე მოემართება ყოველი ჩვენგანი თავისი ოჯახიდან და მხრებზე ამ ოჯახის ტრადიციათა „ფერფლი“ აყრია, როგორც ვაჟა-ფშაველას ობოლ კვირიას“, -ეს თქვენი სიტყვებია. გვიამბეთ თქვენი ოჯახის შესახებ. რა ფერფლი გაყრიათ დღემდე თქვენი ოჯახისა. აქვე საინტერესოა, საერთოდ, როგორ გაიხსენებთ ბაშვობას, ბავშვობისდროინდელი ემოციები ხშირად განმსაზღვრელი ხდება ცნობიერების ჩამოყალიბებისთვის. რას ვერ ივიწყებთ თქვენი ბავშვობის წლებიდან?

-ადამიანი სამჯერ უბრუნდება ბავშვობას სიცოცხლეში:

- ერთხელ, როდესაც იბადება

- ერთხელ სიზმარ-ცხადში - (ხილვაში)

- და ერთხელ სიბერეში ჩამოდგება ბავშად ყოფნის სიხარული და ნუგეში, ანუ სიბერის ბავშვობა.....

* * *

აქ ისიც უნდა ვთქვა, რომ დაბადების ადგილი სულ სხვაა, სადაც არ უნდა წახვიდე, ის სულ შენთან არის... ჩვილს მოჰყვება დაბადებამდელი მოვლენების ხსოვნა და მეხსიერება, მას მოჰყვება თვისი სახელი, რომელიც უნდა დაერქვას...

დაბადების ადგილი გვეძახის და უკან გვაბრუნებს, მაგრამ ხშირად მას ვერ ვცნობთ ჩვენ, ან დიდი გვეჩვენება, ან - მცირე, როგორც სიზმარში... დროს ვერ ვეწევით, ვერც ვასწრებთ... დროს ასწრებს ის, ვინც ადრე კვდება...

მითი რომ დაგიდგება გვერდზე, ვერ ამჩნევ, ისე ჩაუვლი! და თუ შეამჩნევ, ისიც შეგამჩნევს და უეცრად დაინახავ დროთა და მოვლენათა გახსნილ კარებს... - „რა მექნას ციხის“ ღია კარს...

* * *

თემის საკრალური სივრცე - თუნდაც აყრილი და დაცლილი - საიდუმლო ინფორმაციის შემცველი გარემო ინახავს აყრილი რასის ანაბეჭდს და ხსოვნას...

ასევე ჩემი თემი და სოფელი, ჩემი ბავშობის „ნამოსახლარი“ ჩემში დარჩა როგორც „აპოკალიფსური ბეჭდის“ ტვიფარი, რომელიც არ იშლება!... კარგად მახსოვს გაზაფხულების ადიდებული მდინარეები, გაზაფხულზე ფრინველის მოსვლა და ფრთაჭრელი არწივების ბოინი... ფრთათეთრი, ყელმაღალი სავათების სიმღერა.

წეროებს თუ ყინვები მოუსწრებდა, ფრთები ეყინებოდათ და ტყეებზე ცვიოდნენ, მათი დაჭერა ბავშვებსაც შეეძლოთ... მონადირეები „კრეფდნენ“ ფრთადატეხილ წეროებს...

მახსოვს ისეთი ყინვებიც, არაგვს რომ ბოლი ასდიოდა...

ჩვენი სახლის ჭერხოებზე მერცხლებს ბუდეები ჰქონდათ, ყოველთვის მოდიოდნენ...

მერე მათ მოსვლა თანდათან შეწყვიტეს... და ერთხელაც აღარ მოვიდნენ, ხევსურებს ეს ცუდად ენიშნათ...

ზამთარში ხე აყვავდა! მოვიდა სველი, ნესტიანი თოვლი და „უანდრეზო“ ღვარცოფად წამოვიდა!... ხევსურებს ქანდარებზე დაკიდული ტალავარი დაუსველდათ და მდინარის ქვებს მომწვანო ხავსი მოეკიდა...

ქადაგმა ჟამთა ცვლაზე და „ჩვენს დროში სხვა დროთა ჩამოდგომაზე“ იქადაგა.

და კიდევაც ჩამოდგნენ „ეს დრონი“, რამაც მთლიანად შეცვალა საზოგადოების ფსიქიკა და მოვლენები.

ხალხი ფაქტობრივად განიდევნა საკუთარი ისტორიული სივრციდან, ისე დაიძრა, რომ ვეღარ ჩერდება... როგორც გახეთქილი წყალსაცავიდან გამდინარე წყალი...

* * *

ჩემი სოფელი თოვლის ლავამ დამარხა.

გაღმა ხეობიდან ხედავდნენ ფშაველები, როგორ ვულკანივით ფეთქდებოდნენ მთები და თოვლის ლავა სოფლებს ეცემოდა... ეს ჩემი სიზმრების გაცხადება იყო! თუმცა დიდხანს ვერ ვიჯერებდი, რაც მოხდა და თავი სიზმარში მეგონა, დილით რომ ვიღვიძებდი, სოფელში ჩემი ბავშვობის სახლში წასასვლელად ვემზადებოდი, მაგრამ უეცრად მახსენდება, რომ იქ აღარ იყო ჩემი სოფელი... რაღაც ნივთების ძებნას დავიწყებდი, ცოლი მეტყოდა, რას ეძებ კაცო, ეგ ხომ იქ ზვავმა წაიღოო...

მე დიდხანს ვერ ვიჯერებდი, რომ ის სამყარო რეალურად აღარ იყო, თუმცა, როგორც ჩანს, სადღაც მაინც დარჩა?!... ამ თემას შემდგომ კიდევ დავუბრუნდები.

* * *

ერთი ასეთი ანდრეზული ლექსი - შედევრი არსებობს:

„კარგნი ხართ ქურაზიშვილნო,
სამი მზე გიდგასთ ცაზედა:
ერთი მზე - პურადობისა,
სტუმარი გიზის ჯარზედა ...
მეორე - გულადობისა, მტერ ვერ შეგივა კარზედა...
მესამე - ნადირობისა -
ჯიხვნ ვერ წაგივლენ მთაზედა“...

შეიძლება ვთქვა, რომ ასეთი იყვნენ ჩემი მშობლები. სახლი სოფლის დასაწყისში გვედგა, ჭალის პირა ფერდზე... სოფელი მერე იშლებოდა გაღმა-გამოღმა-შეღმაუბნებად. საკმაოდ დაშორებული იყო ერთმანეთისგან. სტუმრები იტყოდნენ: რამდენი სახლიც არის დათვისში, იმდენი სოფელიაო!

ყველა სტუმარი პირველად ჩვენთან მოდიოდა და ტიკს მოხსნიდა... საერთოდ სტუმრად მიმავალი ხევსური არ გასცდებოდა მგზავრს, მით უფრო გზაში მდგომ სახლს, რომ არაყი არ ჩამოესხა და არ ეთქვა იმ სახლის სადღეგრძელო, საიდანაც მოდიოდნენ და სადაც მიდიოდნენ...

მახსოვს, სტუმარი რომ მოვიდოდა, მამაჩემი ბექის თავზე დადგებოდა, მაღალი ხმით გასძახებდა მზის პირში, გორის ფხაზე მცხოვრებ აკიას: „ჰეი, აკია, აკიაოოო! ჩამოდი, სტუმრები მოგვივიდნენო!“ - „მოგვივიდნენო“ და არა „მომივიდნენ“ ან „მოგივიდნენო“.

აკია ლამაზი პერანგით, ხმალყაწიმიანი ქოთქოთით ჩამოვიდოდა და აქ იწყებოდა სამდღიანი ნადიმი (სტუმრობა)... ხშირად „საკუთარი“ და „სხვის სტუმრებიც“ აქ რჩებოდნენ, ველარ გადიოდნენ ზემო და შელმა სოფლებში. სულ ხუთი უბანი იყო: გრილწყალი, სახილეთავი, საიფქლეგორი, შელმა სოფელი, ნარიან ველი. აქ 63 კომლს უცხოვრია, მე 15-ს მოვესწარი, მამაჩემი - 35-ს, ეხლა ერთია!?

* * *

მამაჩემი განთქმული მენადირე და მესტუმრე კაცი იყო... მაღალი, ლამაზი გარეგნობის... 100-ზე მეტი დათვი ჰყავდა მოკულული (მაშინ ჯილდო იყო დათვის მოკვლაზე)... თოფების კოლექცია ჰქონდა: ბერდანა, კარაბინი, ორლულიანი, გეკო... ნაგანი სულ ჯიბეში ედო... სხვა აბჯარ-აღჭურვილობაც და ცხვარ-ძროხაც ბევრი იყო ჩვენს სახლში... შემდეგ სოფელი და ჩვენი სახლიც უანდრეზო ზვავების სტიქიამ დამარხა და ყველაფერი გააქრო...

დედა მეანდრეზე და ამბის მთხრობელი იყო ბერდიშვილთა ძველი თემიდან. ბავშვობიდან ყველაფერი ახსოვდა, ვინ როდის რა თქვა, ვის როგორი ტალავარი და აბჯარი ემოსა... რომელი ქალის ნაქარგი იყო ესა თუ ის პერანგი და ქათიბი (ფაფანაგი).

აქ კაცი და ქალი ჩაცმულობით ფასობდა. დღემდე ამოუცნობია, საიდან მოდის ხევსურთა სამოსელის ეს უნიკალური მოდელები, უძველესი ორნამენტის და ფერთა შერწყმის ხელოვნება, რომელსაც ბადალი არ დაეძებნება დედამიწის ზურგზე და რომელიც გვიხატავს კულტურათა და რელიგიათა შერწყმის სინთეზურ სურათს, ქრისტემდელ და ქრისტეს შემდეგ ცივილიზაციათა ანაბეჭდს!

ჩემს ბავშვობაში (მოსწავლეობის პერიოდში) 60-70-იან წლებამდე ყველას ეცვა ეს სამოსელი, ულამაზესი იყო ამ ტალავრით შემოსილი თემი, იგი საყოველთაო იყო, ხევსურს არ ჰქონდა რაიმე სხვა საშინაო ტალავარი...

ხოლო შემდეგ ჩვენმა თაობამ ის აღარ ჩაიცვა და სამწუხაროდ დასრულდა ამ კულტურული ფენომენის ისტორია. იგი მხოლოდ ხელოვნების ნიმუშად, სამუზეუმოდ, სადღეობოდ და საკარნავალოდ დარჩა...

ჩვენ ახლა ვცდილობთ ამ სამოსელის გადარჩენას, ფერის, ორნამენტის და ზუსტი მოდელების (ანალოგიების) აღდგენას. გვინდა, რომ

ის შევიდეს იუნესკოს მსოფლიო სულიერი კულტურის საგანძურის ნუსხაში...

* * *

მახსოვს ჩემს ბავშვობაში ჩემს მშობლებთან ქალაქელი სწავლული კაცები მოდიოდნენ და რაღაცას იწერდნენ...

მერე გავიგე, რომ ისინი დიდი მეცნიერები და მოღვაწეები იყვნენ: ვერა ბარდავალიძე, გიორგი ჩიტაია, გრიგოლ კიკნაძე, სოლომონ ხუციშვილი... იურა ჯაფარიძე, მზია მაკალათია, გურამ რჩეულიშვილი, გიგი ხორნაული, ალ. ჭინჭარაული და სხვანი და სხვანი... ამდენად თქვენ ხშირად შეხვდებით ეთნოგრაფიულ ჩანაწერებში მთხრობელი მზექალა წიკლაურის და მინდია არაბულის სახელებს.

* * *

მანამდე კი პაპაჩემის - დიდი აბას დროს და მამაჩემის ბავშვობაში ჩვენთან სტუმრობდნენ: ბაჩანა დ ბაჩანას ძმები... დათვისში აბასთან ნამყოფია ვაჟა-ფშაველა... და პაპიდას თქმით მისთვის რაღაც იარაღი აქვს ნაჩუქარი დიდ აბას, რომელიც იმ დროს თემის მამასახლისი ყოფილა.

ბაჩანა ნათლია იყო მამაჩემის ძმის, რომელიც 1905 წელს იყო დაბადებული. ბაჩანა იმ დროს ჯერ ხმალას და მერე ბარისახოს სკოლას დირექტორობდა... ხევსურეთის სკოლის დამაარსებელი ვაჟა და ბაჩანა იყვნენ... აქ მოღვაწეობდნენ ბალიაურები და გალაშვილები (შემდგომ უცხოეთში გადახვეწილი). ჩემს მშობლებს კარგად ახსოვდათ ქაქუცა ჩოლოყაშვილი და სხვა პატრიოტები...

მე მახსოვს ჩემი პაპიდას მონათხრობი: 2000-იან წლებში თუ როგორ ჩადიოდა აბა „ხმალაში“ ბაჩანას მოსაკითხად და მისთვის ერთხელ „ხარის ბეჭი“ ჩაუტანია... ეს იმ დროისთვის კარგი მოსაკითხი იქნებოდა!

ამ წლებში ბარისახოში ბაჩანასთან ნამყოფია დიდი მხატვარი გიგო გაბაშვილი. როგორც ამბობენ, ერთ-ერთი ხევსურის პორტრეტთაგანი პაპაჩემის - დიდი აბასი უნდა იყოს, რომელიც ამ დროს თემის მამასახლისი, მეტად წარმოსადეგი და სახელგანთქმული კაცი ყოფილა.

მკვლევარები იმასაც ამბობენ, რომ აქ ამოუყვანიათ ტყვიით დაჭრილი გიორგი გურჯიევი, რომელიც განიალურ დოსტაქარს მგელიკა ლიქოკელს გადაურჩენია.

ეს საინტერესო ამბები არავის შეუსწავლია, რამდენადმე უცნობია საზოგადოებისთვის. მხოლოდ ფრაგმენტულად 1966 წელს ცაიშვილის გამოცემულ კრებულში გაჟღერდა...

* * *

სინანულით მინდა ვთქვა, რომ ჩვენ ნაკლებს ვისმენთ მშობლებისგან, გვგონია რომ სულ იქნებიან და როცა მიდიან, უეცრად გრძნობ, რომ დაუცველი და „მარტო“ რჩები!... მე მოდებული ვიყავი მთა-ბარს, ვისგან რას არ ვიწერდი... და ვისმენდი... ჩემდა სამწუხაროდ, ყველაზე ნაკლები ჩემი მშობლებისგან მაქვს ჩაწერილი და მოსმენილი... თუმცა ჩვენ სახლიდან გასული თაობა ვიყავით და მშობლებთან ყოფნის ბევრი დროც არ გვქონდა.

სამაგიეროდ ჩემს ხსოვნაში დარჩა ხევისბერთა და თემის კითხულ კაცთა ის „ხომლი”, რომელიც ამ დროს ანათებდა ხევსურეთის სივრცეს და ჯერ კიდევ არ იყვნენ გასული „ანდრეზული დროიდან”. მათ წარუშლელი ანაბეჭდი დატოვეს ჩემს სულზე და ყველა მათგანი ცალკე ესსეის, თუ ლექსის თემაა...

* * *

ჩემს მეხსიერებას შემორჩა ხევსურეთის აყრის და გადასახლების დრამატული სურათი, მახსოვს აწიოკებული ხალხი: ქალები, ბავშვები და მანქანების კოლონები, რომელთაც სადღაც შორს მივყავდით... ალაგ-ალაგ ჩერდებოდნენ და ბავშვებს წყალს გვასმევდნენ. მახსოვს, კახეთის რომელიღაც სოფლეში, გულაბი მსხლები და ყურძენი შემოგვაწოდეს!

იმ ყურძნისა და მსხლის გემო არ მავიწყდება!..

თუმცა, შემდეგ ასეთი რამ თქვეს ბარში გადასახლებულმა ხევსურებმა: „ყურძენმა ყალივნის გემო დაგვიკარგაო!!“

* * *

როდესაც ჩავედით და მანქანებიდან ჩამოგვსხეს, დიდ ტრამალზე აღმოვჩნდით: არც წყალი იყო, არც - ტყე!... მახსოვს, წყალი ცისტერნით მოგვიტანეს.

ხალხი ფუტკრის სკებივით ჩამწკრივებულ სახლებში შედიოდა. იატაკი ახლად დაგებული იყო, სუფრას და ხინკლებს პირდაპირ იატაკზე ყრიდნენ...

მთიდან ჩაყვანილი ცოცხალი არაფერი გადაურჩა: ძროხა, თხა, ცხვარი ყველაფერი დაიხოცა - „ნაბარევით“...

მინდორში, შორს ჰორიზონტისკენ ერთი ხე ჩანდა, ვიღაცამ თქვა: „ერთი ხე თუ ხარობს, სხვა რატომ არ უნდა იყოსო?!“

ბავშები ხის სანახავად წავედით, ძალიან დიდი ხე იყო, ზედ რაღაც ფრინველის ჩონჩხი ეკიდა, მერე გვითხრეს, - მაგ ხეზეს მეხი ეცემაო...

მზე ძალიან ახლოს წითლად ჩადიოდა მოხნული მინდვრის ბოლოს... ბავშვები თითქოს დიდ ვარცლში აღმოვჩნდით... არაფერი

ჩანდა ამ ერთი ხის მეტი: „ადგილმა გვიუცხოვა“, სახლისკენ გზა დავკარგეთ... მზისკენ წავედით, მზე უფრო შორს მიდიოდა, მინდორზე აქა-იქ „კოფრჩხილა“ იდგა, ბარის რომელიღაც მხალი...

კაცი დაგვეწია ცხენით, ეტყბა მეველე იყო: „უკუღმა მიდიხართო“, უკან მოგვაბრუნა და სახლებში მიგვიყვანა. მშობლები აღშფოთებული დაგვხვდნენ: „ამ უცხო ქვეყანაში, გველები დაგგესლავენ, ან თათრები წაგიყვანენ, მანდ ახლოს სათათრეთიაო“.

მართლაც, გველხოკერას ჩვენი სახლის ეზოში ჰქონდა ბუდე, გაგვაფრთხილეს: „გველხოკერა გველების მტერია, არ მოკლათო“.

ჩვენი სოფლის მეორე მხარეს თუ წახვიდოდით, იქედან გამოჩნდებოდა ალაზნის ველი და ალაზნის გაღმა „საინგილოს“ სოფლები...

* * *

ჩვენ სოფელს „არხილოს კალო“ ერქვა. ამბობდნენ აქ ბავშვების და ქალების კალო გაულეწია თემურ ლენგს და „არხილოს კალოც“ იმიტომ ჰქვიაო.

* * *

მაშინ მე 6 წლისა ვიყავი. პირველ კლასში აქ მიმიყვანეს. ბავშობის სიზმარივით მახსოვს ფიცრული, გვერდზე გადახრილი სკოლის შენობა... ხის მერხები: ჩემს გვერდზე მჯდომი ცისფერპალტოიანი გოგონა, რომელსაც მაშინ „პაემანი” დავუნიშნე და სტუდენტობის მერე შევხვდი და ქართულის მასწავლებელი ოლია ჯაბანაშვილი...

ზამთარში ქარიშხალი იცოდა: ბავშვები სკოლაში „უკუღმა“ დავდიოდით, უკან ორღობიდან გამოცვივნული ძაღლები მოგვდევდნენ.

* * *

ზაფხულში საშინელი ხვატი ჩადგა, რაღაც დიზინტერია გაჩნდა.

ყველა ხანშიშესული ხევსური დაიღუპა. მახსოვს: ყვითელ მიწაში როგორ მარხავდნენ მათ (მიწა ჯერ შავი იყო მერე ყვითელი). „ხმით მოტირალი“ ქალები ასე დასტიროდნენ: „ეჰუჰ, ეჰუჰ! მთის არწივებო, სად იმარხებით ამ „მდაბალ მიწაშიო...“: „მდაბალ მიწას“ ეძახდნენ მთიდან ჩამოსულები შირაქს.

* * *

ადამიანი შიგნიდან იცვლება, მერე სახეზე და სხეულზე, მოძრაობასა და დინამიკაზეც ეტყობა სულის გრადაცია, ტრაგედიის ანაბეჭდი ჟონავს მთელს მის არსებაში.

აქ ჩამოყრილმა ხევსურებმა უცებ დაკარგეს პროპორცია და „სულიერი მისია“, მათ დაკარგეს ტრადიციული ეთნო-კულტურული, საკრალური გარემო! მთელი თავისი ატრიბუტიკით: ნივთებით, პირუტყვით, ბუნებრივი აურით... და გახურებულ ქვაბში აღმოჩნდნენ.

* * *

იქ, ხევსრეთში, მათ სახლებს დიდხანს სდარაჯობდნენ იქ დარჩენილი ნაგაზები, ვიდრე მგლებმა არ შეჭამეს...

დიდხანს ეკიდა მათს ჭერხოებში უძველესი, უნიკალური ტალავარი: ქალის ქათიბები და ჯვრიანი პერანგები, ვიდრე მოხეტიალე მგზავრებმა არ გაზიდეს. ბევრი ნანგრევებში ჩარჩა...

დიდხანს იდგა მზის ბორჯღალიანი ტახტები და კიდობნები მიტოვებულ სოფლებში, ვიდრე მწყემსებმა „შეშად“ არ დაწვეს და უდაბურმა ზამთრებმა არ დამარხეს:

ხოლო ხევსურთა აბჯარ-იარაღი მილიციამ მოკრიბა და რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში „გადაადნეს?!“...

ეს იყო თემის (ისტორიული კუთხის) ეთნო-კულტურული, ეთნო ფსიქოლოგიური გენოციდი! ვანდალიზმი. დანაშაული ერის და კაცობრიული კულტურის წინაშე და ეს მოხდა ჩვენს თვალწინ 50-იან 60-იან წლებში...

გვიან გავაცნობიერე თუ რა კატასტროფა იყო ეს „ნოეს კიდობნის“ ჩაძირვასავით..., რომელიც ხევსურთა ანდრეზებით „შუბანის გველმა გადაარჩინა!!!“

* * *

შირაქში ორი კლასი დავამთავრე... იქაურმა ჩემმა კლასელმა 9 აპრილის მიტინგზე მიცნო, თითქმის 40 წლის მერე! ეს იყო საოცარი განცდა! „ხმაზე გიცანიო“ - მითხრა, „ტაქსში ჩამისვა“, მთელი ქალაქი მოვიარეთ... მაშინდელი ყველაფერი გუშინდელივით გაგვახსენდა! ამირან ბექაური, ეს არაჩვეულებრივი ჩემი კლასელი, საკუთარი ტაქსით, სრულიად უანგაროდ გვემსახურებოდა „სახალხო ფრონტელებს“ 9 აპრილის უმძიმეს დღეებში და შემდგომ, მარნეულელი თათრების აჯანყების დროსაც, იმის შემდეგ სამწუხაროდ აღარ მინახავს.

* * *

შირაქიდან მალე წამოვედით! მაშინ მეორე კლასს ვამთავრებდი. მამამ კატეგორიულად თქვა - „უნდა დავბრუნდეთო!“ მაშინ უკან დაბრუნება აკრძალული იყო, გზაზე მილიცია აჩერებდა...

მამამ ნისლიანი ღამე შეარჩია, მახსოვს, მივდიოდით რძისფერ ნისლში, ორი-სამი მეტრის იქით არაფერი ჩანდა...

ჟინვალთან შემოთენდა! -„უკვე სამშვიდობოს ვართო!–“ - თქვა მამამ. ვბრუნდებოდით: მე, ჩემი უმცროსი ძმა (ახლა ხევსურეთის მკვიდრი და უნიკალური მკურნალი), მშობლები და პაპიდა! სოფელში ბებია (ბერდედა ბუბა) გველოდებოდა, ის ცოცხალი თავით ვერ დაძრეს ძველი კერიიდან!

შარახევის წყალი საგაზაფხულოდ ადიდებული იყო. მანქანა ჩაგვივარდა, ფშაველები მოგვეხმარნენ. ძალიან გაუხარდათ ჩვენი დაბრუნება. მამაჩემს კარგად იცნობდნენ, კოცნიდნენ, ეხვეოდნენ, დაბრუნებას ულოცავდნენ! ჟიპიტაური მოჰქონდათ! იქეიფეს... მახსოვს, მძღოლს „თავჭირიმე“ ერქვა, იმან გაგვიყვანა ადიდებულ მდინარეში.

* * *

ასეთი იყო დაბრუნება.

სოფელში რამდენიმე კომლი დაგვხვდა, მონატრებულები: გაღმა- აკია, შეღმა-ბაჭკაია, სულ მაღლა-გამახელა და ბუზალა... ჩვენმა დაბრუნებამ კიდევ მოიყვანა რამდენიმე ოჯახი...

ჩვენს თემში კიდევ ორი სოფელი იყო - გველეთი და მოწმაო. აქაც თანდათან შეემატა ბარიდან „გამოპარული“ ხალხი: იყო „მეორმოსვლისნაირი“ რაღაც უცნაური ეიფორია, სიხარული, გაცოცხლებული რიტუალები...

მთელს ხევსურეთში თითო-ოროლა მოხუცილა იყო დარჩენილი, ზოგი ხევისბერი, ზოგი ქადაგი, რომელიც ვერ აყარეს სოფლები და მთლიანი ხევსურეთი დაბრუნებულებმა ნაწილობრივ შეავსეს...

დღევანდელი ხევსურეთი: „უკან მოქცეულთა“ მიერ აღდგინებული თემია... უმრავლესობა ვერ დაბრუნდა, ახლაც იქ ცხოვრობენ. შეძლებისდაგვარად ხეც გაახარეს, ყურძენიც მოიყვანეს, მაგრამ ხვატს და „გლობალურ დათბობას“ ვერაფერი უშველეს... ვეღარც „ყალივნის გემო“ დაიბრუნეს!..

* * *

4 კლასი დათვისში დავამთავრე, აქ იყო დაწყებითი სკოლა, 7-8 ბავში ყოველთვის იყო, მოწმაოდან და გველეთიდანაც აქ მოდიოდნენ. ზამთარში მუხლამდე თოვლს ვკვალავდით, ზვავების გუგუნში დავდიოდით, მიკვირს, როგორ ვრჩებოდით ცოცხლები. ჩაივლიდა ზვავი, ამოავსებდა ხეობას, მერე მივდიოდით: უფროსებმა იცოდნენ, რომ „ჩამობერტყილი მთებიდან“ მეორე ზვავი მალე აღარ მოვიდოდა.

გთხოვთ, გვესაუბროთ გზაზე, რომელიც დაიწყეთ ბარისახოს სკოლა ინტერნატიდან და დაასრულეთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ანუ გვიამბეთ განათლების გზაზე, ვინ შეგხვდათ, ვის რჩევებს იზიარებდით, ვინ გიბიძგებდათ?...

* * *

V კლასიდან ბარისახოს სკოლა-ინტერნატის „აკადემიაში“ მიმიყვანეს. ასე უძახოდნენ ამ სკოლას მაშინ. პირველად მეხამუშა: ამდენი ბავშის ჟრიამული (360 ბავშვი სწავლობდა მაშინ იქ!) ბევრი პედაგოგი, აღმზრდელი მასწავლებელი. დიდი სკოლა-ინტერნატის კორპუსები, სასწავლო, სასადილო და საძინებელი ბინებით...

მერე თანდათან შევეჩვიე და შემიყვარდა...

შაბათ-კვირა მამას სახლში ცხენით დავყავდი. უკან მეძებარი სანადირო ძაღლი დაგვდევდა. იმდენად შევეჩვიე სკოლა-ინტერნატს, რომ შაბათ-კვირასაც აღარ მინდოდა სახლში წასვლა.

გვქონდა შესანიშნავი კალათბურთის დარბაზი, ფრენბურთის მოედანი, ცალ მხარეზე გადახრილი საფეხბურთო მინდორი (ბურთს რომ ვერ ვეწეოდი), საჭადრაკო სექციები... გვქონდა შესანიშნავი ბიბლიოთეკა.

* * *

აქ ჩემი სწავლის პირველი ფაზა, ჩემი „ცრემლიანი წლები“ იყო: ყველაფერზე „გული მიჩუყდებოდა“, თუ ვინმე რამეს მისაყვედურებდა, ან მასწავლებელი შენიშვნას მომცემდა, ხმას ვერ ვიღებდი, მარტო ცრემლები ჩამომდიოდა. „ამ ბავშვს ფრთხილად მოექეცით, გული ყელში აქვსო“ - უთქვამს სამასწავლებლოში ჩვენი უცხო ენის მასწავლებელს.

VII კლასიდან მკვეთრად შევიცვალე, უცბად გავიზარდე, ცრემლი გამიქრა, უფრო თავისუფალი და გაბედული გავხდი: მიდრეკილი სპორტისკენ და პოეზიისკენ!..

ცხენზე შევჯექი და დოღშიც წავედი... ზვავში დაკარგულის საძებრადაც წავყევი, მიყვარდა თიბვა და მთიბლები, „გვრინებს“ რომ მღეროდნენ... ჩვენ ვბაძავდით ერთმანეთს და დიდებს და ვუსმენდით მთლად უფროსებს, რომლებიც ყოფა-ქცევას გვასწავლიდნენ... ჯვარზე და სალოცავებში მოქცევის წესებს...

VII კლასში წავიკითხე “მარტინ იდენი“. X კლასისთვის თითქმის ყველა წიგნი წაკითული მქონდა, რაც კი აქ არსებობდა. დაწყებული ფლობერით და დამთავრებული „დორიან გრეის პორტრეტით“ (ოსკარ უალდით), მაშინ ჯოისი და სარტრი მოსული არ იყვნენ ჩვენამდე... ჯერ არც რობაქიძე იყო რეაბილიტირებული.... სიცხიანმა, ლოგინში

წავიკითხე დოსტოევსკის „დანაშაული და სასჯელი“ და უფრო ცუდად გავხდი... მაშინ მოდაში იყო კონსტანტინე გამსახურდია, განსაკუთრებით „დავით აღმაშენებელი“, ყველა კითხულობდა ამ წიგნს.

* * *

ბავშვებს 10 საათიდან უნდა დაგვეძინა. მე არ ვიძინებდი, საკლასო ოთახში ვრჩებოდი, ვკითხულობდი, ან ვწერდი! აღმზრდელებთან სულ „გაწა-მაწია“ მქონდა, ძალად მივყავდი დასაძინებლად.

მასწავლებელთა ბრწყინვალე პლეადა გვყავდა. უაღრესად განათლებული, პატრიოტი, ზოგი მათგანი რეპრესიებიდან დაბრუნებული (ან გამორიდებული) და აქ შემოხიზნული მეცნიერი და პროფესორი იყო. დღემდე არავის ავიწყდება სკოლის დირქტორი შალვა თვალავაძე, მოსწავლეებს და მასწავლებლებს ერთანაირად რომ სთხოვდა რუსთაველის, ვაჟა-ფშაველას და შექსპირის ზეპირად ცოდნას... არ დამავიწყდება გიორგი ლიქოკელი და თევდორე ალუდაური – ბრწყინვალე ფოლკლორისტ-მწიგნობარნი. რუსულის პედაგოგი არჩილ ტერეპოვი, ქიმიკოსი ვალია ბოჭორიშვილი, გერმანისტი ლამარა ბალიაური, სპორტის ქომაგი პედაგოგი დავით ქართველიშვილი, კლასის დამრიგებელი დარეჯან სიხარულიძე, აღმზრდელი გაგა არაბული, სკოლა-ინტერნატის დიდებული დირექტორი ბაირამ ოდიშელიძე...

ჩვენი მასწავლებლები მიხეილ ჯავახიშვილზე, ტიციანზე, პაოლოზე და სხვა რეპრესირებულ მწერლებზე ჯერ კიდევ ფრთხილად გვესაუბრებოდნენ... ახსოვდათ მათი დევნის და დასჯის ყველა წვრილმანი, ბევრ საიდუმლო ინფორმაციას ფლობდნენ ილიას მკვლელობის და მაჩაბლის გაქრობის შესახებ. ბავშვებმა ყველაფერი ვიცოდით: ერთნაირად ვსწავლობდით ყველა საგანს. ჩემთვის დაუვიწყარია ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებელი ლევან ჯანაშია, ის საკმაოდ მკაცრი, მაგრამ იუმორით აღჭურვილი ინტელექტუალი იყო! მისმა სწავლებამ „აინ-შტაინის“ ცხოვრების წიგნიც კი ამაღებინა ხელში და მათემატიკურ „ინტეგრალებში“ პოეზია დამანახა. შემდგომ იგი კომაროვის სკოლის წამყვანი პედაგოგი-პროფესორი გახდა.

ჩემთვის დაუვიწყარია ისტორიის მასწავლებელი, ფილოსოფოსი ხვთისო ალუდაური, რომელიც პირველი სტუდენტი იყო ხევსურეთიდან და ხშირად ფეხით ჩადიოდა თბილისამდე.

მან ზეპირად იცოდა ყველაფერი უძველესი ბერძნული ფილოსოფიიდან მარქსამდე... და ზეპირად მიგვითითებდა, რომელ გვერდზე რა უნდა წაგვეკითხა, სად რა ეწერა.

დღემდე არ მავიწყდება მისი იუმორი, როდესაც სანადიროდ წასული უკან უიარაღოდ დაბრუნდა და მას ჰკითხეს: მონადირე კაცმა თოფი როგორ დაკარგეო?! - „თქვენ რა იცით ბრიყვებო, თოფი კი არა, ის ხე დავკარგე, თოფი რაზედაც დავკიდეო!“...

საგანგებოდ მინდა გავიხსენო პოეზიის საღამოები-რომელიც ყოველ შაბათს ტარდებოდა და პირდაპირ ლექსის დღესასწაული იყო!. ბრწყინვალე პედაგოგები ბერდია და გიორგი არაბულები და გიორგი ლიქოკელი გვასწავლიდნენ ქართულ ენასა და ლიტერატურას, გვაყვარებდნენ პოეზიას. აქ პოეტების მთელი პლეადა იყო გაზრდილი, დაწყებული გაბრიელ ჯაბუშანურით და დამთავრებული ალუდა არაბულით.

ბრწყინვალე კედლის გაზეთი გვქონდა, ამოტენილი ლექსებით, ნოველებით, წერილებით. გაფორმებული ნიჭიერი მხატვრების მიერ, რომლებიც აქ სწავლობდნენ და შემდეგ აკადემიები დაამთავრეს...

* * *

არ ვიცი, პირველი ლექსის მაგვარი რამ როდის დავწერე, მაგრამ მახსოვს სკოლაში სულ ვწერდი, უფროსი კლასელები მომიჯდებოდნენ გვერდზე და ჩემი საერთო რვეულიდან მაკითხებდნენ ახალ ლექსებს, ძალიან მოსწონდათ ჩემი ყმაწვილური „ნაფიქრი”... საოცრად პოეტური და პოეზიის ქომაგი თაობა იყო, როგორც მოსწავლეები ასევე მასწავლებლები.

ჩემს ლექსებს ბარისახოს ანსამბლი რესპუბლიკურ ოლიმპიადებზე მღეროდა. მაშინ ეს არაფრად მიმაჩნდა, მაგრამ ახლა მაშინდელი ლექსი რომ მომიტანეს, ისევ „გული ამიჩუყდა“ და ტირილი მომინდა...

გოგონები დღიურებს მომიტანდნენ და მთხოვდნენ, რომ ლექსები ჩამეწერა, მეც ვუწერდი... ბევრს ჩემს თანასკოლელს დარჩა ჩემი ჩანაწერი... მაგრამ, სამწუხაროდ, მე არ დამრჩა...

* * *

... და ბოლოს, ერთ ყველაზე მნიშწნელოან ეპიზოდსაც გავიხსენებ ჩემი სკოლიდან: მახსოვს, მარტის თოვლ-ჭროლიანი დღე იყო, ბავშვები დასვენებაზე რომ გამოვედით სკოლის ეზოში, მასწავლებლები და მაღალი კლასის მოსწავლე დიდი ბიჭები (კაცები) ერთად იდგნენ და ტიროდნენ... როცა ვიკითხეთ, თუ რა ხდებოდა, მასწავლებელმა გვითხრა: „გალაკტიონ ტაბიძე გარდაიცვალაო...“ სამგლოვიარო ეიფორია სუფევდა მთელ სკოლაში, ყველა გარეთ იყო გამოსული. მაღალ ცაცხვის ხეზე ჩამოკიდული ერთადერთი რადიო გადმოსცემდა ინფორმაციას...

ჩვენ მაშინ V-VI კლასებში ვსწავლობდით და ბევრი რამ არ ვიცოდით... ახლა მიკვირს იმდროინდელი ასეთი ემოცია და პოეტის სიკვდილით გამოწვეული განცდა შორეულ თემში!

* * *

ჩვენს დროში ასეთი რამ აღარ ხდება, ვერ გაიგებ, ვინ როდის კვდება, ვის სად მარხავენ. ორ კაცს არ გაუგია რეზო ინანიშვილის, შოთა ნიშნიანიძის, ვახუშტი კოტეტიშვილის, ირაკლი ოჩიაურის და კიდევ რამდენი მამულიშვილის და ხელოვანის სიკვდილი და დაკრძალვა.

ფსიქოლოგიური სტრესით დაიღუპა ჩარეცხილად გამოცხადებული ხელოვანთა და მეცნიერთა ბრწყინვალე თაობა!

ახლა პარტიები კლავენ და მიასვენებენ ადამიანებს, თუ ვინ ვისი მომხრეა, იმის მიხედვით?! ნათესავები და ერი კი არა! ასე გრძელდება ილიადან მოყოლებული დღემდე! სულ ვიღაცას კლავენ და მიასვენებენ...

ჩვენ მარჯვენა მოვჭერით სვეტიცხოვლის ამშენებელს, ხოლო XXI საუკუნის „სამების“ გენიალური ტაძრის შემქმნელს ლამის ცოცხლად ვჭამთ და ვმარხავთ!!!

* * *

აქ ერთხელ კიდევ მინდა დავუბრუნდე იმ ბედისწერულ მოვლენას, რომელმაც მეორედ აყარა ჩემი უძველეს რიტუალთა სოფელი, სადაც თემის სივრცეს ავსებდა გამორჩეული სიტყვის, ლექსის და ანდრეზთა ენერგეტიკა. ეს გენიალური (საკრალური) თემი აყრამდე და დაშლამდე ფლობდა ამ ენერგეტიკას...

ჩემს სოფელს იცავდა 7 სალოცავთა მისტიური აურა: ნაბაკურის ანგელოზი, თელა-მუშის ანგელოზი, ხვთიშობლის სალოცავი, წმიდა გიორგის ნიში, საელიაოს მაღალი ნიში, ციკნებს რომ სწირავდნენ, საჩალის წვერის რჯულიან-ურჯულოს სალოცავი (ფხიტუს გადასასვლელზე), მარჯვნიდან და მარცხნიდან დაჰყურებდნენ გველეთის პირქუში და მაწმაოს მთავარანგელოზი! მზის ამოსახედიდან კარატეს მაღალ მთაზე მდგარი, კოპალას სალოცავი გვიყურებდა...

შესძახებდა ხევისბერი ყველა სალოცავს და შეუთქვამდა საღვთოსაწირს, „კოდ-ბადაგს“ და კურატს საყმოს დასახსნელად! ხიფათის ასარიდებლად, მაგრამ ერთხელაც ვეღარ აირიდეს ხიფათი: „ქადაგმა იქადაგა: თემს იღბალი შეუსუსტაო“...

* * *

მახსოვს სარიტუალო დღეები: „სულთაკრეფა“ წელწადი, ათენგენა: საჯილდაო „ვაცები“, ბავშვებს რომ დაგვიდგამდნენ და ჩვენთვის

ცაში აყრილი ჭრელი ხმიადები და ტობლები, ახლაც ვარსკვლავიან ცასავით რომ ჟრიალებენ ჩემს ხსოვნაში და „სულის ცხენის“ მოკაზმვა-შემკობა და დოღი...

ბავშვობიდან მე შემომყვა იმ დღესასწაულთა ნათება, თემის სივრცეს ავსებდა გამორჩეული სიტყვის და ლექსის და საიდუმლო ანდრეზული ცოდნისა ნერგია და ქადაგის ნაქადაგარი...

* * *

და აი, იმ ნაკიანი წლის ზამთარს ქადაგმა სახიფათო ჟამის დადგომა იქადაგა! დავითს შეუთვალა (ახალგაზრდა, თავისუფალი, მონადირე კაცი იყო) ხატში ხუცესად შემდგარიყო! დავითმა უარი უთხრა... კიდევ შეუთვალა, დავითმა ისევ იუარა! ქადაგმა ხიფათი უწინასწარმეტყველა...

* * *

მე, რაღაც უცნაურ სიზმრებს ვხედავდი ცხადივით: ჩემ სოფელს რაღაც საშინელი ენერგია ანგრევდა... მიმეორდებოდა ეს სიზმარი...

ბოლოს მესიზმრა: სოფელი აღარ იყო ... არც ჩემი სახლი, მივდიოდი ნასოფლარზე, მაღლა-მაღლა ავდიოდი, წინ ორმო სამარხი შემხვდა, ჩავიხედე: შიგ ორი ვერცხლის ბარძიმი იდო... ამოვიღე, შვება ვიგრძენი...

სიზმარი ჩემი სოფლის ხუცესს ხორიელელს ვუამბე, ჩაფიქრდა: არ არის კარგი სიზმარიო, მითხრა: „რაღაც ცუდი ამბავი მოხდებაო, თუმცა შენთვის კარგად ახდებაო?!“

* * *

ჩემი სოფელი მართლაც წალეკა თოვლის ზვავებმა იმ ზამთარს!.. მთებზე გაუგონარი 10 მეტრიანი თოვლი დაათოვა!!! ყველას საშინელი მოლოდინის განცდა ჰქონდა: დავითი ხევისბერთან მისულა და სალოცავში „ხელოსნად“ შედგომაზე თანხმობა უთქვამს ... ვეღარ მოასწრო...

სოფელს თოვლის წარღვნა დაეცა, ყველაფერი დაანგრია, მხოლოდ ხევისბრის სახლი გადარჩა, დავითი დედასთან ერთად დაიღუპა, დავითს მთელი ერთი კვირა ვერ პოულობდნენ, თოვლის „მეწყერში“ ჩაიკარგა.

მერე მოხდა ასეთი მისტიური მოვლენა: ქადაგმა ალდიამ „სოფელს“ კაცი მიუგზავნა: „წუხელ სიზმარში დავითი მოვიდა ჩემთან და მითხრა: აქა და აქა ვარ, სხვაგან ნუ მეძებენო!“

მართლაც, მივიდნენ და ნახეს სწორედ იმ ადგილზე, სადაც ქადაგმა ნიშანი მისცა!! ქადაგის ამ ნათელხილვით ყველა გაოგნებული იყო და მათ შორის მამაჩემიც...

როდესაც სოფელში ავედით (მე და ჩემი ახლობლები), მშობლები ცოცხლები დამხვდნენ, ორი დღის დამარხულები ამოეყვანათ „თოვლის სარკოფაგიდან“. ხუცესი გაღიმებული მომიახლოვდა და მითხრა: „აი, ესეც შენი სიზმარი და შენი ორი ვერცხლის ბარძიმიო!“ სხვა არაფერი იყო გადარჩენილი ჩვენი სახლიდან, მაგრამ ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა...

ეს ბედისწერული მოვლენა რატომღაც განგებამ დაუყენა ჩემს სოფელს...ზოგნი ამბობდნენ, რომ ეს დავითის ბედისწერა იყოო, ზოგნი სხვა რამეს...

ჩემი „ღვარალა თუთა“ და „ჯოყოლას სიკვდილი“ ამ მოვლენის წინასწარი და შემდგომი განცდა იყო.

გვსურს განსაკუთრებული ყურადღება დავუთმოთ უნივერსიტეტში სტუდენტისა და პროფესორის ურთიერთობას.... რა ხიბლი ახლდა უნივერსიტეტში სწავლას, რატომ გადაწყვიტეთ ფილოლოგის სპეციალობასთან ერთად სწავლა ხელოვნების მიმართულებით გაგეგრძელებინათ, ვის მოწაფედ მიიჩნევთ თავს?

ბარისახოს სკოლა-ინტერნატის დამთავრებისთანავე პირდაპირ უნივერსიტეტში აღმოვჩნდი. 24 სკოლა დამთავრებულიდან 2 წლის განმავლობაში თითქმის ყველა ჩავირიცხეთ უმაღლეს სასწავლებლებში. ბრწყინვალე პედაგოგების გაწვრთნილი, სრულიად გამორჩეული თაობა ვიყავით...

რაკი ვწერდი, რაკი ვხატავდი, მიყვარდა ლიტყერატურა და ხელოვნება, ბუნებრივად ამოვირჩიე უნივერსიტეტი და ფილოლოგიის ფაკულტეტი. მეორე კურსიდან კი ხელოვნების ფაკულტეტზე ჩავირიცხე. აქაც ძალიან მკაცრი სპეციფიკური გამოცდები იყო!... და რაღაცით გამორჩეული ნიჭის სტუდენტებს არჩევდნენ, ეს საღამოს ფაკულტეტი იყო და მხოლოდ სტუდენტებს შეეძლოთ გამოცდების ჩაბარება.

* * *

მე რაღაც ესეის მაგვარი დავწერე და ჩავირიცხე! - იყო სხვა გამოცდებიც. თეატრსა და კინომცოდნეობაში, კულტურასა და ხელოვნების სფეროში - მაგრამ მთავრი მაინც ის იყო თუ რისი წერა შეგეძლო, როგორ ხედავდი სიუჟეტებს დოკუმენტური თუ მხატვრული კინოსთვის.

* * *

ფილოლოგიის ფაკულტეტზე უნივერსიტეტის დამაარსებელი ბრწყინვალე თაობა შეგვხვდა. ჩვენ გვერგო პატივი, რომ მოგვესმინა მათთვის. ლექციებს გვიკითხავდნენ: აკაკი შანიძე, ანგია ბოჭორიშვილი, სიმონ ყაუხჩიშვილი, ივანე გიგინეიშვილი, პანტელეიმონ ბერაძე, აკაკი თოფურია, გრიგოლ კიკნაძე, ქსენია სიხარულიძე, სოლომონ ხუციშვილი, შოთა რევიშვილი(საზღვარგარეთის ლიტერატურას), აკაკი ურუშაძე, შალვა ნუცუბიძე... შედარებით ახალი თაობა: ზურაბ კიკნაძე, აკაკი ჯორჯანელი, რეზო სირაძე, გრივერ ფარულავა, ნათელა მიქაძე, ნათელა ქუთელია და ბევრი სხვა ღირსეული ქართველი. ჩვენ ყოველთვის და ყველგან ფეხზე ვედექით უფროს თაობას.

არ დამავიწყდება პირველივე ლექციაზე ივანე გიგინეიშვილის ნათქვამი: „იცოდეთ: სამკელი არს ფრიად და მომკელნი მცირედ!“... როცა ჩემი ვინაობა გაიგო, ასეთი რამ ბრძანა: „აი, როგორც ხევსურეთს გამოუჩნდა მკვლევარი ალექსი ჭინჭარაულის სახით, ასეთი კაცი უნდა ჰყავდეს ყოველ კუთხესო“ მაშინ გამოსული იყო ალ. ჭინჭარაულის „ხევსურული თავისებურებანი“, მართლაც უნიკალური წიგნი, რომელიც დიდ ინტერესს იწვევდა.

არ დამავიწყდება პანტელეიმონ ბერაძის ლექციები, მისი ემოციები, წინაბერძნულ-პელაზგურ ჰიმნებსა და ხევსურული ხმით ნატირალების, „გვრინების“ და „მთიბლურების“ პარალელებსა და ანალოგიებზე, მისი მსჯელობა დაქტილურ ჰეგზამეტრზე - „უქმი იძახა დათვიამაო, მარიანობა შამოვიდაო...“ „მთიბელო ჯვარის სასვეესაო, თოფმა ბუჩამა „ჩამოგხვივლაო”...

ახლა კარგად მესმის მაშინდელი მისი ემოცია და აღტაცება ქართული ცივილიზაციის სიძველით, მისი ინტუიტური ჭვრეტა დროში! მაშინ ჩვენ ეს არ გვესმოდა...

* * *

არ დამავიწყდება უნივერსიტეტში პირველივე პოეტური ეიფორიები... როდესაც ფოიეში გამოკრული კედლის გაზეთი დავინახე, არ მომეწონა, მომეჩვენა რომ ვერ ჰგავდა ჩემი სკოლის გაზეთს, ვერც მისი გაფორმება და ვერც იქ დაბეჭდილი ლექსები! გვერდზე ახალგაზრდა, სიმპათიური ყმაწვილი მედგა, ისიც შეჰყურებდა ამ გაზეთს, შემომხედა და ღიმილით მითხრა: „თუ ძმა ხარ, ვინ არიან ესენიო?!“ ეტყობოდა გაკვირვებული იყო იმ უნიჭობით, რაც იქ იყო გამოფენილი... ეს ყმაწვილი ირაკლი ვაშაყმაძე აღმოჩნდა, იმ დღიდან ჩემი განუყრელი მეგობარი და თანამოაზრე... „მართლაც ვინ არიან

ესენი?“ - გავიმეორე მე და, მართლაც არ ვიცოდი მაშინ, თუ ვინ იყვნენ „ესენი!?”

ეხლა ვპასუხობ ირაკლი ვაშაყმაძეს, ამ საუკუნიდან მაშინდელ კითხვაზე: ჩემო ძმაო ერეკლე, „ესენი” არიან „ისინი”, ვინც ყველგან იყვნენ მაშინაც და მერეც... ჰომეროსის დროში და ახლაც... ყველა ლიტერატურულ წრეში, ყველა გაზეთში, ყველა რედაქციაში, ყველა „ოპერაში”... სადაც შეხვალ, წინ რომ დაგხვდებიან „სოლომონის მკვდარივით!”

„ესენი” აღმოჩნდნენ ის მედროვენი, ყველას რომ ასწრებენ ყველგან მისვლას და „სხვისი წილი“ ჰაერის შესუნთქვას... ამიტომაც არის, რომ ირაკლი ვაშაყმაძის მაშინ დაწერილი ლექსები, ახლა იბეჭდება,- ნახევარი საუკუნის მერე!? ასეთია ბედის ირონია და ნიჭიერი თაობის ბედისწერა ყველა დროში.

ჩვენ დიდ პრესაში არ გვიბეჭდავდნენ, ყველას თავისი „ჯილა“ ჰყავდა ამორჩეული, სახელმწიფო ცენზურის გარდა, რაღაცა პირადი... ცენზურაც ჰქონდათ...

ერთხელ ასეთი რამ მითხრეს: „ჯოყოლას სიკვდილზე“: ძალიან გრძელია, შეამოკლე, აქედან სამი ლექსი მაინც გამოგივაო! - როგორი კარგია...

არც ის არის მოგონილი, რომ ვახტანგ ჭელიძე გურამ რჩეულიშვილს არ ბეჭდავდა!!!

* * *

დავუბრუნდები მთავარ თემას და ვიტყვი, რომ ამ ორმა ბრწყინვალე ფაკულტეტმა-ფილოლოგიის და ხელოვნების, მათმა სინთეზმა შეავსო ჩემი ცოდნა და გამიჩინა ხელოვნების და ცივილიზაციათა ცოდნის მძაფრი ინტერესი, სულ ბიბლიოთეკებში ვიჯექი და ყველა ბიბლიოთეკაში მეძებდა! დიდებულ პიროვნებებს, ერის კაცებს, ხელობნებისა და კულტურის კორიფეებს შემახვედრა განგებამ:

იცით ვინ შემოდიოდა ჩვენთან ხელოვნების ფაკულტეტზე ლექციების წასაკითხად? საოცარი მიხეილ ჭიაურელი, რონდელი, თენგიზ აბულაძე, შოთა ქარუხნიშვილი, არლი თაყაიშვილი, ამირან ჭიჭინაძე, რეზო კვესელავა, ნიკო ლეონიძე, აკაკი ბაქრაძე, რომელმაც შეცვალა ჩვენი თაობის ცნობიერება და გააცოცხლა ეროვნული ენერგია. ის იყო უცნაური ორატორი და ბრწყინვალე ინტელექტი. მის ლექციებზე ხალხი კიბეებზე იდგა... შემდგომ „ფსევდო პატრიოტებმა“ რატომღაც ქვებით სახლის ფანჯრები ჩაუმტვრიეს ლესელიძეზე, ვიღაცებმა მწერალთა სახლს მაჩაბლის 3-ში ტყვია ესროლეს... აქედან დაიწყო ერის სულიერი ტრაგედია.

* * *

ჩვენ ქუდმოხდილი შევდიოდით უნივერსიტეტში, ფეხზე ვუდგებოდით ჩვენს პედაგოგებს, რა თქმა უნდა, მათთან პაპიროსს არავინ მოწევდა: - ჩვენ გვახსოვდა აკაკი შანიძის ასეთი ფრაზა: „პაპიროზაის წევითა, ვერ გადაივლი მთასაო!“ - ეს იყო შეგონებაც და მორალიც.

ჩვენ არ გვქონდა ისეთი „თავისუფლების“ განცდა, რომ უკადრო შეგვეკადრა და სიტყვა შეგვებრუნებინა ჩვენი პროფესორ-მასწავლებლებისთვის. წინაპართა ტრადიციებიდან შემოსული ვიყავით და ვიცოდით უფროს-უმცროსობის წესი...

* * *

ხელოვნების ფაკულტეტს და განსაკუთრებით კინო-სასცენარო განყოფილებას თვალ-ყურს ადევნებდნენ რეზო ჩხეიძე და თენგიზ აბულაძე, ეს ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო. რეზო ჩხეიძე მაშინ უკვე წარმართავდა ერთიანი ეროვნული კინოს პოლიტიკას და კინოსტუდია „ქართული ფილმი“ მაშინ გადადიოდა დიღმის ახალ ბაზაზე, შესანიშნავ გარემოში...

რეზო ჩხეიძეს დასრულებული ჰქონდა „ჯარისკაცის მამა“, თენგიზ აბულაძე „ვედრებას“ ამთავრებდა... ეს ორივე ფილმი საეტაპო იყო!...

* * *

1971 წელს დავამთავრე ხელოვნების ფაკულტეტი...

მქონდა ორი სადიპლომო „ლიბრეტო“: ფრაგმენტები „300 არაგველისთვის“ და დოკუმენტური ფილმისთვის „მზეო, დადეგ და დაღვინდიო“, სულ 12 გვერდიანი ესკიზები. თენგიზ აბულაძემ მოისურვა ერთ-ერთი მათგანის გადაღება.

არ იყო ეს სიუჟეტები ტრივიალური, ეს იყო საკრალური ისტორიული მოვლენების და ფოლკლორულ-მითოსური სივრცის ახლებური ხედვის მცდელობა, ერთგვარი რელიგიური მისტერია (ხევისიბერთა რიტუალი) და თემის გასვლა ეთნოკულტურული სივრციდან...

ასეთ თემებს მაშინდელი ტელევიზიის ათეისტური ცენზურა სასტიკად უპირისპირდებოდა (ტელესტუდიის დირექტორი მაშნ ილია რურუა იყო)...

მოითხოვეს სცენარის კორექტირება და ზოგი რამის შეცვლა! თენგიზ აბულაძემ კატეგორიულად უარი თქვა ამ შენიშვნების გათვალსიწინებაზე და მართალიც იყო! ფილმი ვერ დაიდგა...

სამწუხაროდ ის სცენარიც დაიკარგა, თენგიზ აბულაძის მეტად საინტერესო მინაწერებით და სენტენციებით, რომელიც ჩემთვის ძალიან ძვირფასი იყო.

ამ სიუჟეტებმა ინტერესი გამოიწვია და გზა სტუდიისკენ გამიხსნა. პირდაპირ მწერალთა სასცენარო სტუდიაში აღმოვჩნდი, რეზო თაბუკაშვილის სახელოსნოში, ეს იყო თენგიზ აბულაძის და რეზო კვესელავას დამსახურება და მათი პირდაპირ დაუფასებელი ამაგი ჩემს მიმართ!

* * *

შეიძლება ითქვას, რომ კინოსტუდია „ქართული ფილმი“ მაშინ პირდაპირ შემოქმედების, კულტურის და ხელოვნების ცოცხალი პარნასი იყო. ყველა ნიჭიერი მწერალი, მხატვარი, კომპოზიტორი, მსახიობი და რეჟისორი აქ იყო თავმოყრილი.

ეს ცალკე თემაა, თუ რა გავლენა მოახდინეს მათ ჩემს ცხოვრებასა და ფსიქიკაზე, ზოგადად, ჩვენი თაობის სულიერ მეტამორფოზაზე.

* * *

კინო სულ სხვა ფენომენია: არაფრიდან, ბანალური სიუჟეტიდან, შეიძლება ბრწყინვალე ფილმი გამოვიდეს.

გენიალური ლიტერატურიდან - არაფერი...

ზოგადად, რაც უფრო გენიალურია ნაწარმოები, მით უფრო შეუძლებელია მისი გადაღება...

მთავარი მაინც რეჟისორია, ფილმი რეჟისორის ხედვაა, თუ ის თვითონ არის ნიჭიერი მწერალიც, ეს საუკეთესო შემთხვევაა...

მაინც კინო სინთეზური ხელოვნებაა: ლიტერატურის, მუსიკის, მხატვრობის ნაზავი... მას სჭირდება ეს ატრიბუტები, მაგრამ ვფიქრობ, უფრო გენიალური „მუნჯი“ ფილმებია... და კიდევ - „დოკუმენტური ფილმი“, რომელიც პირდაპირ ჭრილობიდან მომდინარე სისხლია... ის ახლოს დგას პოეზიასთან.

ბატონო კობა, საინტერესოა რას ფიქრობთ თქვენი თაობის მისიაზე, რა დააკისრა დრომ თქვენს თაობას, რამდენად შეასრულა თაობამ ეს მისია როგორც წინაპართა, ისე მომავლის წინაშე. აქვე ჩაგეკითხებით, რას ვერ პატიებს შთამომავლობა წინაპარს?

ვფიქრობ, ერთ მომენტში 90-იანი წლებისთვის (ვგულისხმობ 9 აპრილის მოვლენებს) ჩვენმა თაობამ შეასრულა გადამწყვეტი მისია: ჩვენ შევძელით ქვეყნის გაყვანა „წითელი რკალიდან“... პირდაპირ ჩემი თაობის, 70-იანელების უკომპრომისო ბრძოლამ, ინტელექტმა და სიმამაცემ შეცვალა ერის ბედისწერა...

შემდგომ პარტიებმა, მათმა ქიშპმა და მტრობამ ერთმანეთის და სხვების მიმართ... დაშალა ქვეყანა. ისინი დაუპირისპირდნენ ინტელიგენციას, ინტელექტს.... მათ ილიადან მოყოლებული დღემდე ყველა მოკლეს (!!!). ეს პროცესი დღესაც გრძელდება... ჩვენ ვერ შევძელით ამ პარტიების შეჩერება, ეს არის ჩვენი დანაშაული და ჩვენი შეცდომა! „ესენი დაღუპავენო ქვეყანასო!“ - ბრძანა დიდმა ილიამ. ეს იყო მწარე წინასწარმეტყველება და მართლაც დაღუპეს!... შეიძლება ეს ჩემი სუბიექტური მკვეთრი მოსაზრებაა - მაგრამ ეს მართლაც ასეა...

შთამომავლობა წინაპარს ვერ აპატიებს სამშობლოს მიწა-წყლის გაყიდვას - ერი ცხოვრობს მიწის გარკვეულ მონაკვეთზე, ეს მისი საკუთრებაა, სამშობლო მამულის (მიწის) გარეშე არ არსებობს. ეს სივრცე და მიწა-წყალი სამი ფენომენის კუთვნილებაა: აქ მყოფთა, წარსულთა და მომსვლელთა! ამდენად მისი გასხვისება ამ მიწაზე მცხოვრები მკვიდრი რასის აყრას და განდევნას გულისხმობს....

როცა „წინაპრების მიწას“ ვყიდით და საფლავებს ვთხრით, ამაზე ღმერთი გვიწყრება და გვსჯის კიდევაც...

მთა თავისი მკაცრი პირობებით და მიუვალობით კიდევაც იცავდა ადამიანს მტრისა თუ ცხოველისაგან, მაგრამ ამასთან ერთად იყო საშიშიც. ვაჟა-ფაველასი არ იყოს: „ბუნება მბრძანებელია“... თუ გიგრძვნიათ ბუნების მკაცრი ხელი, „ბრძანება“?

მიგვრძნია, დამსიზმრებია და გამომიცდია კიდევაც საკუთარ თავზე: თუ მთაზე „ნისლი დაგეცა“, გზას ვერანაირად გაიგნებ, თუ არ გაჩერდი გადაიჩეხები. ხევსურები იმასაც ამბობენ: რომ ნისლში მოსული მტრის ლაშქარი „აბუდელაურის“ ტბაში ჩამხვრჩალა...

ერთ ეპიზოდს გეტყვით და ყველაფერს ნათლად წარმოიდგენთ:

კისტანში მონადირე ქისტი ჩარჩენილა, გზა არევია და მოულოდნელ ზამთარს ჩაუკეტია. ხევსურები იგონებენ: „ქისტი ერთ ადგილზე ვერ ჩერდებოდა, შედიოდა და გადიოდა, შეჰყურებდა აყუდებულ ფრიალოებს და თოვლიან მთებსო, ბოლოს იკითხაო: „თქვენ, ხევსურებო, ზამთარ-ზაფხულ სულ აქ ხართო?“, როცა უპასუხეს, რომ სულ აქ ვართო - გაკვირვებულმა „გაიტოშიკავა“ და გვითხრა: „ჩიტი რომ ჩიტია ფრჩხილისოდენა თავი აქვს, მაგრამ ამ თავში იმდენი ტვინი აქვს, რომ იმანაც კი იცის ზამთარ-ზაფხულობა, თქვენ რა გჭირთო?! როგორ ვერ იგებთ რომ ზამთარში აქ ყოფნა არ შეიძლებაო!“

მართლაც ასეთი იყო ხევსურეთი: მტრისთვის შეუვალი და საცხოვრებლად ურთულესი, თუმცა ხევსური ადაპტირებული იყო ამ ბუნებასთან და არსად არ მიდიოდა როგორც ჩრდილოეთის საზღვრის უცვლელი სარანგი... სწორედ ამ შეუვალმა კუთხემ გადაარჩინა ბევრი რამ და შეუნახა ისტორიას.

მთა, ფხოვი, საერთოდ და კერძოდ, ფშავ-ხევსურეთი იყო ჩვენი ჩრდილოეთის მენაპირე, მესაზღვრე ქვეყნები. მათ ჰქონდათ არა მხოლოდ ქვეყნის დაცვის ფუნქცია ხმლით, არამედ ევალებოდათ მშვიდობიანი კონტაქტები და ურთიერთობა მეზობლებთან. როგორ ფიქრობთ, რამდენად იყო ეს კონტაქტები სულიერი, ეთნო-კულტურული. როგორი იყო ენობრივი კონტაქტები? ვაჟა-შაველას გმირებს შორის მოხსნილია ენობრივი ბარიერი. ქისტებიც და ხვსურებიც ქართულად მეტყველებენ. რა იყო ეს - ლიტერატურული ხერხი თუ რეალობა?

ხახმატის ჯვარს „რჯულიან-ურჯულოთა“ სალოცავად მოიხსენიებენ ხევისბერები და ქადაგი, ასეთივე იყო ანატორის, საჩალის წვერის თუ ცროლის და კოპალა-იახსარის სალოცავები - აქ იგრძნობა კავკასიის ხალხთა კულტურულ-რელიგიური ერთობის კვალი... ფშავ-ხევსურეთზე გადადიოდა უძველესი საქარავნე გზები ჩრდილო და ჩრდილო-დასავლეთი კავკასიისკენ. აქ არის უამრავი საერთო ტოპონიმი და ეთნონიმი, წესჩვეულებანი, რჯულის კანონები, ქისტები ხშირად იწვევდნენ რთული საქმეების „გასარჯულად“ ხევსურებს და პირიქითაც ხდებოდა... რა თქმა უნდა, ენის პრობლემა არ ჰქონდათ: უძველესი ქართულ-იბერიული ენა და დამწერლობა საერთო იყო. კავკასიური ტომები (ასე ვთქვათ ქართველთა ნათესავნი ჩეჩენ-ინგუში ვაინახები, დვალები და სხვა) ქართულად მეტყველებდნენ და ეს იყო რეალობა! აქ უფრო ძველი პეტროგლიფური, თუ იდეოგრამული ნიშნების არსებობაც დასტურდება „მზის თუ მთვარის“ ზიკურატებიდან ჩამოცვენილ ქვებზე, რომლებიც შემდგომ, ადრე შუა საუკუნის სალოცავებსა და კოშკებში ჩაუშენებიათ...

ხევსურეთი იყო ამანათთა და ლტოლვლთა უშიშარი თავშესაფარი, ხევსური შეხიზნულს მტერს არ უბრუნებდა. ამიტომაც არის აქ არაერთი „ნახიზნარი“ და „საამანათო“ ადგილი და ტოპონიმი, ამავე დროს არა ერთი სამეფო და საერისთავო ადგილი (ნამოსახლარი) და ციხე კოშკი (ძაგანიძეთა, აბულეთისძეთა, ორბელთა და სხვ.). ერთი

სიტყვით, ქართველი ერი აქ არის გადარჩენილი (თუ გნებავთ თემურ-ლენგის დროს) და უფრო ადრე სემიტურ-ასურული, დორიული, თუ სხვა ინდოევროპული ტომების ექსპანსიის დროს...

მითის მიხედვით, სწორედ აქედან - კავკასიის საკრალური მწვერ-ვალებიდან და სალოცავებიდან: ხადუდან, კარატედან, ფხიტუდან, სანედან, ხადადან... ჩადიან გახუას ტიპის უხორცო მეომრები კო-პალა-იახსარი, ამირანი და ძმანი მისნი „ჩაბალ-ხეთებზე“ და სხვა ინ-დოევროპულ რასებზე იერიშისთვის! ჩვენმა რასამ კავკასიონზე გა-დაირჩინა თავი, აქ „მიეჯაჭვა ამირანი“ - ანუ გადარჩა!.. ასეთია ის-ტორიის და მითის სიმართლე, რაც დიდი თემაა და აქ ვერ ჩაეტევა.

ფშავ-ხევსურნი და მთიულები (ქისტი, ღირღველი, ლეკი) დაპი-რისპირებული რელიგიის წარმომადგენლები იყვნენ. მათი ბრძოლის მიზეზიც, გარდა ცხოვრებისა, შეიძლება ითქვას, სწორედ ეს იყო. თუ ეს ასეა, რა იყო თანაცხოვრების, კეთილმეზობლობის საფუძველი. ხომ არ იყო ეს წარმართობა? ფიქრობთ თუ არა, რომ წარმართობა საერთო კავკასიური მოვლენაა ქრისტიანობამდელ და მუსლიმანობამდელ ეპოქაში.

რა თქმა უნდა კავკასიელი ტომები (ეთნოსები) ქრისტეს წინარე ცივილიზაციის და რელიგიის მატარებელია. რელიგიათა და კულ-ტურათა სინთეზი მკაფიოდ არის გამოკვეთილი ქრისტეს შემდგომ დროთა მისტერიებში. „ათენგენა“ ქრისტიანობის და ქრისტემდელი

რწმენა-წარმოდგენების სინთეზია („დიდება მზესა მზის მყოლთა ანგელოზთა, დიდება დიდ კვირაესა ხვთის კარზე მოკარვესა“ -სახუცოსაკრალური ტექსტია)...

კოპალას სალოცავში - კარატის ჯვარში წმიდა გიორგის და მთვარის კულტის სინთეზური რიტუალი აღესრულება.

ასე რომ, კავკასია ერთიან ენათა, კულტურათა და რელიგიათა სინკრეტული ქვეყანაა, თავიდან ერთიანი ქრისტიანული რჯულის მატარებელი, რომელიც შემდგომ მონღოლოიდურმა და სპარსულმა ძალადობამ დაანგრია... „ხელის მოჭრაც“, როგორც ჩანს, გვიანდელი „მორალის“ დამკვიდრებულია.

ერთი ხევსურული „ანდრეზული ლექსი“ გვაწვდის უმნიშვნელოვანეს ინფორმაციას:

„ხევსურებ მოიკითხავენ, ნასკვაურის ძე სად არსა?

ომში არს ნასკვაურის ძე, იმის ამოსვლა გრძლად არსა,

მტერს მაჰკლავს, ხელსა არ მასჭრის - ხევსურის წესი არ არსა!“.

ეს ინფორმაცია უძველესი ქართველი რასის მაღალი მორალის მაუწყებელია! მე ვერიდები ტერმინ „წარმართულის“ ხმარებას და ვამბობ „ქრისტემდელ და ქრისტეს შემდგომ ცივილიზაციას“, ჩვენ ვართ, უფრო, ქრისტემდელი ქრისტიანენი, ვიდრე - წარმართნი.

ვაჟამ და „ალუდა ქეთელაურმაც“ იციან, რომ ხელის მოჭრის ვანდალური წესი არ არის კავკასიურ ტომთა ეთიკისათვის მისაღები. ეტყობა, იგი „წარმოიშვა“ ისლამური ძალადობის საპირისპიროდ და ხევსურ „კაი ყმას“ უჭირს ამ „ვენდეტის“ შესრულება.

რეზიუმეს სახით ვიტყვი, რომ მთიელთა კეთილმეზობლობის, სტუმარ-მასპინძობის და თანაცხოვრების მიზეზი, თუ მოტივაცია იყო გენეტიკური კოდი, ანუ ძველი ნათესაობა - სისხლით კავშირი, რაც ბოლო დროს „დნმ-ის“ ანალიტიკურმა კვლევამაც დაადასტურა.

მტკიცდება, რომ თუშ-ხევსურთა და ვეინახურ ტომთა გენეტიკური კოდი ძალიან ახლოს დგას ერთმანეთთან.

რუსეთამდე (ვიდრე რუსეთი დაიპყრობდა კავკასიას), ფხოვი და ჩრდილო კავკასიელი მეზობლები კავკასიონზე გადაკიდებული ხურჯინის ორი თვალივით იყვნენ. აშკარად იგრძნობოდა, რომ საქართველოს ნაწილი ხურჯინისა ყოველთვის უფრო აქტიური ჩანს შუა საუკუნეებში და პირიქით - გააქტიურებულია მეორე თვალი გვიან შუასაუკუნეებში. დაღესტანში დღესაც მიუთითებენ ხოლმე ქართულ ეკლესიებსა

და წარწერებზე. ჩრდილო-კავკასიურია ჩვენი მხარის ტოპონიმიკის ნაწილიც. რა ქმნიდა ფშავ-ხევსურეთის (საქართველოს საერთოდ) სიძლიერეს?

ჩვენი „ხურჯინის თვალი“ გახვრიტა განსაკუთრებით თემურ-ლენგის, შაჰ-აბასის და რუსეთის ბარბაროსული რასების ძალადობამ. იდგა ჩვენი ყოფნა-არყოფნის, ჩვენი გადარჩენის ალბათობის მომენტი. ჩვენმა კულტურულ-ეკონომიკურმა, რელიგიურმა, დემოგრაფიულმა დაცემამ ბუნებრივად გააააქტიურა „ხურჯინის მეორე თვალი“.

ამ დროს ფხოვი „გამაგრდა” ბუნებრივი სიმაგრეებით დაცულ კავკასიონის „სოლარულ სარტყელზე”. აქ შეიქმნა „საფარველდადებულ უხორცო მეომართა“ ძლიერი კასტა და სრულიად შეუვალი დაცვის სიტემა, იქ ვერ შეაღწიეს თემურლენგმა და მონღოლებმაც კი!

თემმა შექმნა თანასწორთა ეგალიტარული საზოგადოება, ყოველგვარი ფეოდალური და ბატონყმური ძალადობის (და სისტემების) გარეშე. მტკიცედ დაცული რწმენით და სალოცავთა ენერგეტიკით, რამაც აამაღლა საომარი მოტივაცია და სამშობლოს დაცვის ფსიქოლოგიური მზაობა.

რაც შეეხება ჩვენი მხარის ტოპონიმებს ჩრდილოკავკასიურ ნაწილს, ის გვიანდელია. იგი ჩრდილოეთიდან მოწოლით ჩვენს ტერიტორიაზე შემოდენილი ვეინახი, ჩეჩენ-ინგუში, თუ ოსურ-ლეკური ლტოლვილების და დიასპორების შემოტანილია.

ხევსურეთში, როცა გათხარეს ჩრდილოკავკასიური ტიპის „სიმპერტინი“ კოშკი, ის ეკლესიის საძირკველზე აღმოჩნდა დაშენებული. ეს არის რეალობა! ზოგი ამტკიცებს, რომ „ფხოვმა“ განდევნა ისინი საკუთარი ადგილებიდან, ეს არ არის სიმართლე - ფხოვი ყოველთვის აქ იყო უხსოვარი დროიდან...

შუა საუკუნეებში და, უფრო ადრე, ხევსურეთში (და კავკასიის მიღმაც) არსებობდა ქართული სამეფო „ციხე ქალაქები“ (მუცო, არდოტი, ორბელთა სოფლები - არხოტში, კისტანი-აბულეთის ძეთა ციხე-სიმაგრეები) რელიგიური ცენტრები, მაგალითად ”ტხობაიერდი”. წელანაც ვთქვი, ჩვენი კოლხურ-იბერიული რასა მთიანეთში „დედამიწის შუა სამანზე“ გადარჩა!... და ზოგადად, საქართველოს სიძლიერეც ისტორიულ თემთა და კუთხეთა შეუვალობაში იკვეთება...

საბჭოთა ეპოქა რუსეთის იმპერიის პოლიტიკას აგრძელებდა, მაშინ უფრო მოხერხებულად და უსისხლოდ. იყო თუ არა ამ პოლიტიკის ნაწილი ხევსურთა ჩამოსახლება ბარად? ასეთი რამ მოხდა ჩვენთან - სამცხე-ჯავახეთში, როდესაც 1828 წლიდან გასახლებული მაჰმადიანი ქართველების ნაცვლად რუსეთმა შემოასახლა სომხები, ბერძნები, დუხობორები და სხვ. შემოსახლებულები იმპერიის დასაყრდენად იქცნენ. ვერ იქცნენ იმპერიის დასაყრდენად ჩრდილო კავკასიელები. ისინი დღესაც იბრძვიან რუსეთის წინააღმდეგ. რას იტყვთ, რა ქმნის ამ განსხვავების საფუძველს?

ჩრდილო-კავკასიური ეთნოსი რუსეთის დასაყრდენი ვერ გახდა თავისი წარმომავლობის და გენეტიკური კოდის კარნახით! მთელს ამ გარემომცველ სამყაროში არ არსებობს ჩვენი მონათესავე მხარდამჭერი ტომი ჩეჩენ-ინგუშური (ვეინახური) რასის გარდა... ხევსურეთიც რუსებმა ისევე აჰყარეს, როგორც ჩეჩენ-ინგუშეთი. ეს იყო ხევსურთა დეპორტაცია, მათი დაუმორჩილებლობის და ქაქუცას მხარდაჭერისთვის და კიდევ სხვა მიზეზთა გამო...

ჩვენ ხშირად ბედის ანაბარა ვრჩებით იმპერიებისა და რელიგიების პირისპირ, მხოლოდ უფლის ნება განსაზღვრავს ჩვენს ყოფნა-არყოფნას...

ვინ ვართ ჩვენ, ქართველები, აზიელები, ევროპელები თუ კავკასიელები. ან არც ერთი მათგანი. ვერ გაამართლა ზვიად გამსახურდიას საერთო კავკასიურმა იდეამ. დღეს იმქვეყნად განისვენებენ ზვიადიც და ჯოხარ დუდაევიც. მთლიანად შეცვალა კურსი ჩეჩნეთმა, რომ თავი გადაერჩინა. ლინგვისტურად არის თითქოს ამ ერთიანობის საფუძველი. სხვა რა მიგაჩნიათ კავკასიური იდეის საფუძვლად? აქვე ჩაგეკითხებით თუ ჩვენ კავკასიელები ვართ, გვინდა კი დღეს დახვეწილი, ინტელიგენტი ევროპელის ნაცვლად კავკასიელთან ნათესაობა?

წეღანაც ვთქვი და ვიმეორებ, რომ კავკასიური იდეის საფუძველი ჩვენი სისხლის ფორმულაა, რომელიც კავკასიური (და შემდგომ ევროპული) რასის უძველს „დნმ-ს“ შეიცავს... რა თქმა უნდა შეეწირნენ ზვიად გამსახურდია და ჯოჰარ დუდაევი - ეს იმას ნიშნავს, რომ ამირანი ჯერ კიდევ მიჯაჭვულია... ვფიქრობ, რომ ეს ვითარება კიდევ რამდენიმე ხანს გასტანს, სიტუაცია კოსმიურმა (ლოგოსურმა და საკრალურმა) მოვლენებმა უნდა შეცვალონ...

დღეს პრაქტიკულად დაცლილია ფშავ-ხევსურეთი მოსახლეობისგან (ღმერთს მადლი უნდა შევწიროთ, რომ ჩვენი ადგილი უკვე სხვამ არ დაიკავა). რა ეშველება მთას, მთას დაუბრუნდება მთიელი, გაქალაქელებული ხევსურის უკან დაბრუნება რამდენად რეალურია?

ისტორიული თემი საკუთარ სივრცეში სრულიად ახალმა კონცეფციამ უნდა დააბრუნოს. სახელმწიფოს სჭირდება ეროვნული ხსნის განახლებული, სრულიად არაორდინალური ეთნო-ფსიქოლოგიური დაცვის მოდელი, აღმოცენებული თემის საკრალური ცოდნის ნიადაგზე.

ერთი ეპოქა დასრულდა, სხვა ტიპის „ინფორმირებული“ ქართველი რასა დაბრუნდება ისტორიულ თემებში, ეს არ იქნება „მთას დაუბრუნდა მთიელის“ ბანალური ვერსია და ეს მოხდება სრულიად სხვა დროში!? ერთი მწიგნობრის თქმით უკან დაბრუნდებიან „თანამედროვე მოხუცები“ და „ძველი ახალგაზრდები“...

„ლიფოდა...
ხადუ...
ხალდე...
ახადი...
მე არ მეგონა თუ აქ გნახავდით —
შუმერის ჯვრებო, ქვებზე ნახატო!..
თუ მეყოფოდა პური მცხეთამდე,
ძველი ღმერთიდან ახალ ღმერთამდე,
ერთი ნაბიჯი მრჩება ლეთამდე –

ახალი დროის საგიჟეთამდე!.. - წერთ თქვენ ლექსში „მე არ მეგონა“. როდესაც მთაზე ვსაუბრობთ, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ იმ რწმენა-წარმოდგენებს, რომელიც დღევანდლამდე მოვიდა მთაში. არ ვიცი, მეჩვენება თუ არა, რომ თვით ვაჟას მიხედვითაც კი ფშავ-ხევსურეთი ნაკლებ ქრისტიანულია ვიდრე წარმართული. ხევისბერის ინსტიტუტი წარმართობაა ქრისტიანული გულით. რამდენად კავკასიური მოვლენაა ხევისბერობა. ამ საკითხზე ნაკლებად მიმუშავია, მაგრამ ჩვენს მკითხველს დააინტერესებს, არის თუ არა კავკასიური უხუცესთა საბჭო ახსაკალის დანიშნულება და საფიხვნოსა და ხევისბერის ფუნქცია ერთი და იგივე? თქვენი დამოკიდებულება ხევისბერობისადმი.

სხვაგანაც ვთქვი: ხევსურთა რიტუალებში კარგად ჩანს ქრისტემდელ (წარღვნამდელი და წარღვნის შემდგომი) და ქრისტეს შემდგომ

დროთა სინთეზი. ეს ჩანს ანდრეზულ ცოდნაში (მაგალითად თორღვა ძაგანის მითში) და ხევსურულ სამოსელშიც, სადაც შერწყმულია უძველესი დროის პეტროგლიფური ნიშნები: მზის ბორჯღალი, სვასტიკა და ქრისტეს ჯვარი. თვით ვაჟა ქრისტემდელი და ქრისტეს შემდგომ დროთა მედიუმია, იგი გველისმჭამელის პროტოტიპია (დროში) და ხოგაის მინდიას სულიერი კათარზისის (და რყევის) გზას გადის...

რა თქმა უნდა ფშავ-ხევსურეთი არ არის წარმართული და არც არასდროს ყოფილა, მათ სამყაროს, ცას და მიწას ყოვლის გამრიგე ღმერთი განაგებს -„დიდება ღმერთსა, მადლი ღმერთსა, დიდება დღესა დღესინდელსა!“, ხოლო მზე უფლის თვალია (როგორც ბიბლიაშია), კვირაე კი - ანუ ქრისტე - „ღვთის კარზე მოკარვეა“! ფხოველი არ არის კერპთაყვანისმცემელი, იგი ღმერთის და მზის მისტერიას აღასრულებს.!

„ჯვარს ჯარნი აჯვარებენ, ჯარს კაცნი აჯარებენ!“ - „ცოცხალ კაც ხედავს მზეს, ცოცხალ ტირის, ცოცხალ იცინის - მკვდარნიც ცოცხალთ სიცოცხლით არიან!!“– ეს ხევსურთა საკრალური სენტენციაა! - ხევსური „სამებას“ ერთად ვერ აღიქვამს, ცალ-ცალკე ყოფს და ადიდებს არსთა გამრიგე ღმერთის, სული წმიდის და ქრისტეს არსებას...

ხევისბერი ბიბლიამდელი ქალდეველი ქურუმია... ის უფლისა და მზის მედიუმია, წმინდა რიტუალთა და რჯულის კანონთა აღმასრულებელი, იგი ბიბლიის წინარე კავკასიურ-იბერიული მოვლენაა, გამომხატველი ღვთაებრივი სიბრძნის და სინერგიის, ყოველი ნივთის და ადგილის, სულის და ხორცის ყველაზე წმიდა მატერიის - სისხლის ცხებით გამაწმინდებელი...

* * *

ქადაგი წინასწარმეტყველი მთვარის მედიუმია, მთვარის საიდუმლო მისტერიათა აღმასრულებელი მთვარის ტაძარში და შემდგომ ჯვარის „კვრივებში“...

სულის ხუცესი მიცვალებულთა გამაწმინდებელი და სულეთში შესვლის ლოცვების „მეღაბუშეა!“ ეს სულ სხვა რამ არის, ვიდრე წარმართობა, თუ კერპთაყვანისმცემლობა.

ფხოვში რელიგიათა და კულტურათა შერწყმის (და პაგანიზაციის) საოცარი სამყაროა.

მთის არქიტექტურა (ფიქლით ნაგები კოშკები, ჯვარ-სალოცავები, ტერასული განლაგების კომპაქტური დასახლებანი), რომელიც ჩვენამდე მოღწეულია, დაცლილი მოსახლეობის მიუხედავად საერთოა ჩრდილოეთ

კავკასიასთან. რამ შექმნა იგი, ბუნებრივმა პირობებმა თუ საერთო ეთნოკულტურულმა ტრადიციამ, თუნდაც საერთო განათლებამ.

ციხე-კოშკების არქიტექტურა გაგრძელება და მომდევნო ფაზაა მეგალითური „ციხეგორების“, „საკერპოების“, „დევთა ნამოსახლარების“, მთვარის და მზის ზიკურატების (სანე, საჩალის წვერი, ხადუ, ა–ხადი, ირემთ კალო, კარატეს წვერი „დედამიწის შუა სამანად“ წოდებული ხადუს მთა და სხვა) იბერიულ–მოსხური–მესხურ–ხალდეური, უძველესი, ცივილიზაციის ნაწილი ...

როგორც გარემომ, ასევე თავის გადარჩენის და დაცვის აუცილებლობამ და ინსტიქტმა ფხოვს შეაქმნევინა ეს სიმაგრეები. როდესაც ქრისტეს წინარე ძველი ათასწლეულის დამდეგისათვის ქართველურ ტომებს შემოუტიეს ასურეთის მეფეებბმა, სემიტურმა, ინდოევროპელმა, აქაველთა თუ კიმერიელთა „მოხეტიალე ურდოებმა“ – ჩვენ შემოვიწიეთ უკან, მთის ზოლზე.

რა თქმა უნდა, მთის არქიტექტურაში ბევრი რამ განსაზღვრა ურთულესმა კლიმატურმა მოვლენებმაც, რომელიც სრულიად განსხვავებულად იკვეთება მითებში. ანუ ანდრეზებში და კავკასიის 53–მდე ტომის და რასის ეთნოკულტურამ, ფსიქიკამ და რელიგიამ.

* * *

ამ მუხლის და ზოგიერთი წინა კითხვის რეზიუმესავით ვიტყვი შემდეგს:

აქ ფხოვის არეალში ნათლად იკვეთება დროთა და მოვლენათა სხვადასხვა ფაზები და შრეები. ჩანს ოთხი დრო: წარღვნამდელი და წარღვნისშემდგომი, ქრისტემდელი და ქრისტეს შემდგომი. ეს ჩანს მითის მრავალშრიან პლასტებში, დგას მითში – მითი, რამდენიმე სხვადასხვა ეპოქის მოვლენა. ეს „ანაბეჭდები“ გარემოსაც ემჩნევა...

„ციხე გორები“ უძველესი მეგალითური ცივილიზაციაა.

კოპალა–იახსარის ომები ნოეს ცივილიზაციის მოვლენაა... წარღვნის შემდგომი „ახალი, ჰომო საპიენსი“

ებრძვის „წინა ჟამის“ ადამიანს და ეტყობა ამარცხებს მას...

სანეს მთა და ზიკუსტი, კარატეს წვერი: უეჭველად მთვარის კულტის ლიტურგიული კერებია (ამაზე სტრაბონი და ივანე ჯავახიშვილი პირდაპირ მიანიშნებენ...).

ქადაგ-მკითხავთა ინსტიტუტი, რომელიც ძალიან ძლიერი იყო ფხოვში, მთვარის კულტის გადმონაშთია... და წმინდა გიორგის რიტუალს ერწყმის.

ქრისტეს რჯულის შემოსვლას და მის შერწყმას ფხოველთა რწმენა წარმოდგენებთან, კარგად ასახავს თორღვა ძაგანის მითი (მას ბეჭზე მზის და მთვარის, ხოლო ხერხემალზე ჯვრის ქარიზმული ნიშნები უზის).

ხადუს მთა, ცროლი მზის სოლარული მწვერვალია! იქ პირდაპირ დგება უფლის კარავი და ხევისბერი (ხუცესი) მამა ღმერთის და მზის რიტუალს აღასრულებს (დიდება ღმერთსა, მადლი ღმერთსა, დიდება დღესა დღესინდელსა...) ანუ: „მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა იყავნ სახელი შენი“... და ა.შ.

აქ ქრისტეს რჯულის შემოსვლის პროცესი სხვანაირად იკითხება და მე მასზე ცალკე ესეის დავწერ... („შენ ხარ პირველი კოლხი, რომელმან გისაღირსლა მირონი, გუდანის ჯვარო“... “აქ ქრისტეს რჯული ჩამომდგარა ხვთის ნებით და არა მახვილის ძალით!“ – ხევისბრის ეს სახუცო ტექსტები სხვა პროცესებზე მეტყველებენ).

ასევე „გახუას ქაჯებთან ომის მითში“ დროთა და მოვლენათა რამდენიმე შრეა დალექილი! ჩანს ილიონის - ტროას ცხენის ელემენ-ტები, ხევსურთა დოღი მიცვალებულზე, აქილევსის დოღის ანალოგია პატროკლეს ცხედარზე... ოქროს ფანდურების, ქურთმულის, ცალრქა ხარის („სულეთს ხარი ხნავს ცალრქა“) ლუდის კულტის და სხვა ახ-ალი ცივილიზაციის გაჩენის ელემენტები შუმერი მსაჯული ქალების ფენომენი და სწორფრობის ინსტიტუტი... გახუას გვამიდან გასვლის მისტერია და კვლავ უკან დაბრუნების მტკივნეული პროცესი, სრუ-ლიად გაუხსნელი თემებია.

ეს მოვლენები საზოგადოების, მეცნიერების ინტერესთა სფეროში უნდა დადგეს და არ დარჩეს მხოლოდ ინტუიტიურ - ეზუთერული ხედვის არეალში.

ჩვენი კულტურის უმნიშვნელოვანესი ნაწილია ხალხური სიმღერა. ფშაველთა, ხევსურთა ნამღერებში აშკარად იგრძნობა კავკასიურის გავლენა, თუნდაც ქართლ-კახურთან თუ შევადარებთ. ეს მხოლოდ გავლენაა. თუ ასეა, როდინდელია? მაშინ რა არის კავკასიური მრავალხმიანობა სიმღერაში?

მთიელთა სიმღერები: „ბეღლისკრული“, „ფერხისული“, ფანდური, „გვრინები“, „მთიბლურები“, „სადიდებლები“ – რიტუალური მისტერ-იების ნაწილია, და ძველი წარმომავლობისაა (მაგალითად „ბეღლის-კრული“ ფერხისულით-წრებუნვით - „ცისკრობა დღის“ ცის კმალაზე შედიოდნენ). პროფესორი პანტელეიმონ ბერაძე აშკარად ხედავდა

მათს მჭიდრო კავშირს პელაზგურ ჰიმნებთან... პროტო ბერძნულ იბერიულ ცივილიზაციასთან...

თუ ფხოვი ავრცელებდა საკუთარ გავლენას სხვა მთასიქითა ტომებზე, ფხოვსაც ჰქონდა კავკასიური გავლენა... რამდენად „დიფუზიური“ იყო მათი კულტურა, ეს ცალკე ესეის თემაა.

ჩემთვის, როგორც ენათმეცნიერისთვის, საინტერესოა მრავალსახელიანობის მნიშვნელობა. რატომ არქმევენ სამ-ოთხ და მეტ სახელსაც. იგულისხმება, რომ ნათლობის სახელი, ალბათ, აღარავის ახსოვდა. რა იყო ეს, ავი სულებისაგან თავის დაცვა, ტაბუირება, ტოტემი თუ კიდევ რაღაც სხვა. ხომ არ არის ეს ჩადებული თქვენს ლიტერატურულ ფსევდონიმში - კობა იაკობ-აბა არაბული. არ მინდა ვიფიქრო, რომ მასში რაიმე არაბული ფესვების ძიებაა, ვინაიდან ეს გამართლებული არ იქნება, რადგან არ გვაქვს ქართულ გვარებში ეთნონიმზე დართული -ურ სუფიქსი. არ შეიძლება არსებობდეს გვარი: ვთქვათ, სომხ-ურ-ი, რუსული-ი, თურქ-ულ-ი, სპარს-ულ-ი, არაბ-ულ-ი და ა. შ.

არის ეს ქარიზმატულობა ჩადებული ჩემს „ლიტერატურულ ფსევდონიმში“, მაგრამ არ არის ეს ლიტერატურული ფსევდონიმი, ის ჩემი ნამდვილი სახელია -კობა-იაკობ - ნათლიის მირქმეული (მერქვა კიდევ სხვა სახელიც – ხვთისავარი)...

აბა-პაპიდას მირქმეული...

ხევსურები არქმევდნენ სულის სახელს მამულთა მხრიდან, სულის სახელს დედულთა მხრიდან, არქმევდნენ თიკუნს და თავისთავად ნათლობის სახელსაც, ეს არის სახელთა ქარიზმა, რომელიც იცავდა მტრისაგან, ავადმყოფობისაგან და ავი თვალისაგან, არიდებდა ბედისწერულ ხიფათს.

ქადაგის სიტყვით: სახელი ხვთით (ასტრალიდან) მოდის;

ჯერ არ შობილი ბავშის სახელი წინასწარ არის განსაზღვრული, რომელიმე სულის მოთხოვნით. ხოლო ზოგჯერ ახალშობილს სახელს ვერ არქმევენ, რადგანაც ქადაგისავე სიტყვით, მისი სახელი ჯერ „არ არის მოსული?!“ მაგრამ აი, კლავს ვიღაცა-ვიღაცას (ან თავისით კვდება) და მისი „სახელი მოდის“, ამ „სახელის მოსვლას“ ქადაგი წინასწარ მეტყველებს...

დევს ჩემს სახელში ეს ტაბუირებული „ტოტემური“ ქარიზმა ტრადიციიდან გადმოსული, თუ რამდენად მიცავდა ან მიცავს მე, ან ჩემს შვილებს და ჩემს საქმეებს, ეს სხვა თემაა.

ქლბატონო მაკა! თქვენ „ეჭვობდით“ ჩემი გვარის ეტიმოლოგიაზე? მერე რა, როსტევანიც ხომ არაბეთს იჯდა და შეიძლება სულაც არაბული იყო: „იჯდა არაბეთს როსტევან მეფე ღვთისაგან სვიანი!“ - ვინ იცის, იქნებ მეც „არაბი როსტევანის“ ნათესავთაგანი ვარ?! (ეს ნახევარ იუმორით).

ერთხელ, ერთ წერილში მწერლებს ვკითხე, ცოტა ირონიით: „სადა-ურ-ელნი ხართ თქვენ,-აქა-ურ-ელნი, იქა-ურ-ელნი, ზემო-ურ-ელნი, თუ ქვემო-ურ-ელნი, თუ საერთოდ არსაიდან არა ხართ მეთქი?..”

მე მეჩვენება, რომ ჩუენ ყველანი უძველესი „ურიდან“ ვართ მოსული!? ისიც მგონია, რომ საერთოდ ორი „ური“ იყო: ზემო და ქვემო ური: (ერთი არტანუჯთან, რომელიც მროველის ინფორმაციით: „ქაჯთა ქალაქად“ იწოდება და უწინ „ური“ იყოო) და მეორე „ური“, სადაც აბრაამი შევიდა მესოპოტამიიდან გასვლის შემდეგ! არ არის საინტერსო? მე „ჩვენებური“ -ურ სუფიქსი იქაური მგონია გვარებშიც და სახელებშიც... ურ და ულ სუფიქსიანი გვარბი მხოლოდ ფხოვური წარმომავლობისაა და ძალიან ძველია! მე ჩვენი „აქაველი“-ც იქაველი აქაველი მგონია და ხევს-ურ-იც იქა-ურ-ელი...(ესეც ნახევრად იუმორით).

ფხოვი (და არა ოდენ ფხოვი) დახუნძლულია ტოპონიმური, თუ ლინგვისტური მასალით, გვართა და სახელა საიდუმლო ქარიზმით, რაც ენათმეცნიერთა(და არქეოლოგთა) ინტენსიური კვლევის თემად უნდ იქცეს: „ყოველი საიდუმლო“ ენაში, ტოპონიმებში, მითებში და არქეოლოგიურ არქეტიპებშია „დამარხული!“ ანდაც, გვყავს კი ჩვენ ასირიული–აღმოსავლური ენების და დამწერლობის ექსპერტები? რომელი ქართველი კითხულობს, ახლა, უძველეს-ბაბილონურ-შუმე-რულ-სემიტური დამწერლობის საიდუმლო ტექსტებს?! სომეხის და სემიტის (გინდა ბერძენის და რუსის) ამოკითხული ჩვენთვის სა-ნუგეშო არ იქნება!

ცოტა არ იყოს, მეუხერხულება ამ კითხვის დასმა, მაგრამ მაინც უნდა გკითხოთ - მთა და განათლება. როგორ ფიქრობთ, თანამედროვე განათლებამ ხომ არ შეუწყო ხელი მთის დაცლას (შეიძლება არა მარტო მთისას). იქნებ სჯობდა სანათას, ლელას, ლუხუმის, ალუდას, თუნდაც წიწოლას მთა, ვიდრე ბარად ჩამოსულ პროფესორთა და ადმინისტრა-ტორთა ანაბარად მირჩენილი, დაცარიელებული ჩვენი ჩრდილოეთის კარიბჭე? ხომ არ სჯობდა ზოგი ტრადიციის, ვთქვათ, ხევსურული საქონლის, ცხენის, მეხალიჩეობის, მელექსეობის გაპრიორიტეტება, თანამედროვე ტრენინგ-პილოტირებებს.

რა თქმა უნდა, სჯობდა ის მთა, თუნდაც „წიწოლას“ მთაც სჯობდა იმას, რაც ახლა არის... პირადად მე იმ ხევისბრების და იმ კითხული კაცების მთა მენატრება, ერთერთმა მათგანმა, წინდახედულმა ხუცესმა აკაკი შანიძეს რომ უთხრა იქ ფოლკლორულ ექსპედიციაში ყოფნის დროს: „კი, სწავლობს ჩემი შვილი, დადის ქალაქში, ცოდნა კი აქვს, მაგრამ ჭკუა არა აქვსო! ცოდნა ერთია, ჭკუა მეორეო!“ ამას აკაკი შანიძე წერს მის შედგენილ გენიალურ წიგნში...

არა მგონია განათლება იყოს აყრის და გადასახლების მთავარი მიზეზი. ეს ცივილიზაციათა და კოსმიურ მოვლენათა ცვლის პროცესია, რომელსაც ანდრეზი „სხვა დროთა ჩამოდგომას“ უწოდებს და ვერავინ ცვლის ამ პროცესს...

იცვლება დრო და იცვლება მოვლენები: „ჟამი მივია-მოვია მუცუს თორღვაის კარზედა!“ თემი გადის საკუთარი სივრციდან, გადის მითოსური სამოსელიდან, ინგრევა ეთნო-მითოსური გარემო და ემზადება „სხვა ფლუიდის“ მოსაღებად... დრო ვერც შუმერებმა გააჩერეს და ვერც ასურელებმა, ისინი უდაბნოს ბასხანების ქვეშ აღმოჩნდნენ! ხოლო ეგვიპტეში მხოლოდ 1%-ია ეგვიპტელი?!

ასეთია კაცობრიობის ბედისწერა, ჩვენ ვერაფერს შევცლით, შეიძლება სულ ოდნავ, სულ ოდნავ ავაჩქაროთ ან შევანელოთ პროცესები...

რა თქმა უნდა, სჯობდა და სჯობია თემის ეთნოკულტურული სივრცის გაჯანსაღება, ტრადიციული სამეურნეო სისტემების და გენოფონდების აღდგენა, თემის მეხსიერების განახლება!.. მაგრამ სამწუხაროდ სახელმწიფო ამას არ აკეთებს, ვერ აცნობიერებს დემოგრაფიული კოლაფსის და სხვა გააქტიურებული მოვლენების დამღუპველ არსს და ხიფათს.

ეპოქა, რომელიც ახალგაზრდობიდან დღემდე გამოიარეთ, ძალიან მრავალფეროვანია, მეოცე საუკუნის შუა წლებს მოჰყვა 90-იანები, თავისი სიდიადითა და ტრაგიზმით, მერე ათასწლეულთა მიჯნის ქარტეხილები, არცთუ სახარბილო უახლოესი წლები და ა.შ. თქვენ გახდით გარდამტეხი ცვლილებების მოწმე, თქვენ თვალწინ იცვლებოდა დამოკიდებულებები, იდეალები, ღირებულებები, იცვლებოდნენ ადამიანებიც. საინტერესოა, შეიცვალა თუ არა თქვენი მეგობრების წრე. ლექსში „წერილი მეგობარს“ ამბობთ:

„შენი დუმილი ზარია ჩემთვის.
სხვების ხოტბას მირჩევნია შენი სიჩუმე...
მადლობა ჩემზე სიჩუმისათვის...

"შენ ყოველი და ყოველი შენში"...
ვიცი როდესაც გეღიმება,
ისიც ვიცი, პირი როცა შეგეკვრება დარდის ტომარას...
...ღიმილისათვის,
...დარდისათვის,
...ნაცრიანი ტომრებისთვის!..“ გვესაუბრეთ იმ ხალხზე, ვინც მეგობრებად შემოგრჩნენ, რა ასაზრდოებს კობა არაბულის სამეგობროს?

მე კარგად მახსოვს 9 აპრილის ეიფორია: თავისუფლების პირველი განცდა!.. შემდეგ დაცემა!

„ბახტრიონში“ რომ აქვს ვაჟ-ფშაველას კვირიასა და ლელას დაბრუნების გენიალური პასაჟი: ესენი ცოცხალი გმირები კი არა, „გამარჯვებული მკვდრები“ ბრუნდებიან! რომელთაც ამოჰყავთ „თავისუფლების მთვარე“... ასეთი იყო 9 აპრილის განცდაც, პირველ ეტაპზე იყო განცდა ერთიანობის და თავისუფლების, შეწირვის და გამარჯვების კოლიზია...

მაგრამ შემდგომ ყველაფერი დაინგრა: დადგა ტრაგიკული დრო, აფხაზეთის ომის და სამოქალაქო ტრაგედიის... 40 000 შეწირული, უაზროდ მოკვდინებული თაობა! არ მავიწყდება ომის შემდგომი დროის ქალაქი, ცარიელი ქუჩები „ნაცნობი-უცნობებით“, დაჭრილი - დასახიჩრებული ახლობლებით, მთლიანად შეცვლილი სახეები, თითქოს შორეული ჯოჯოხეთის გვირაბიდან გამოსული, დაობებული პორტრეტები...

ჩვენ ხომ ყველა ერთმანეთს ვიცნობდით, აფხაზეთში ჩვენ მივაცილებდით „კინო სტუდიის შტაბიდან“ მოხალისეთა „ბატალიონებს“: მე, ბაბლუანი და გოდერძი ჩოხელი (მერე „ტაუში გადადიოდნენ“, იარაღის დაშლა და აწყობა რომ ესწავლათ?!).

ანთებული, გაბრწყინებული პატრიოტები მიდიოდნენ „სამშობლოს დასაბრუნებლად“ - სტუდენტები თეატრალური და სხვა ინსტიტუტებიდან.

ახლა გამომიჩნდა ის სიები: ახალგორის, კასპის, მთიულეთის, ხევსურეთის... ბატალიონების 30-40-100 კაციანი, ეს „სიები“ ახლა ძალიან დრამატულია, იქიდან ბევრი არავინ დაბრუნებულა, თავიდანვე ტამიშზე და ეშერაზე აღმოჩნდნენ...

ჟიული შარტავა, ბოლოს, ჩვენ გამოგვემშვიდობა, მაშინ მივხვდი, თუ რა სხვანაირად ღირსეული პიროვნება იყო იგი!

თითქმის არავინ დაბრუნებულა იმ „სიებიდან“... ვინც დაბრუნდა როგორც ლანდი, როგორც გახუას ჩრჩილნაჭამი სხეული, ისე მოძრაობდა ქუჩებში... ერთმანეთს ვეღარ ვცნობდით!

* * *

მკვეთრად იგრძნობოდა დამარცხებული, „შავი ხვრელიდან“ გამოსული, ნაღალატარი, ლტოლვილი ერის „დინამიკა“, მოძრაობა - დეპრესიული, იმედი - დანგრეული...

მერე, თანდათან, უფრო ქალები გამოცოცხლდენენ, სადღაც მიისწრაფოდნენ ბარებისკენ, რესტორნებისკენ, სასტუმროებისკენ, ბორდელებისკენ... უცხოეთისკენ... მიდიოდნენ, სადღაც, საკუთარი თავის და ოჯახის გადარჩენისთვის!!!

კაცები მიდიოდნენ არსაითკენ (!), რომ იტყვიან, „სახტად დარჩენილი“, სახეზე ეტყობოდათ შინაგანი დეპრესია, ფუნქციის დაკარგვა...

მერე ეს ვითარება თანდათან შეცვალა „პოლიტიკურმა ანარქიამ“, მერე საშინელი ანტიქრისტეს მოვლინებამ და რუსეთთან ომმა საბოლოოდ დაშალა ქვეყანა, დაგვეკარგა მიწა-წყალი კიდევ 1/3-ს...

...და ბოლოს, მაინც მოულოდნელად და, თითქოს არსაიდან, უფალმა მხსნელად მოგვივლინა კაცი, რომელმაც რამდენადმე შეცვალა და შეარბილა ჩვენი ერის ბედისწერული ვითარება, ვნახოთ რა იქნება მომავალში.

ასეთია, თქვენი ამ შეკითხვის პასუხი და სურათი, რომელსაც ვხედავ!

რა თქმა უნდა, მეგობრების წრეც იცვლება, დროს შემოჰყავს ახალი თაობა, მაგრამ ძველს ვერა ცვლის... ჩემი თაობა პირდაპირ მოჰყვა ამ აპოკალიფსურ წარღვნაში, მაგრამ ვინც გადავრჩით, ჩვენი ფსიქიკა და მორალი ვერავინ შეგვიცვალა!

თქვენი თაობა ბედნიერი იყო იმით, რომ კინოხელოვანთა კორიფეების გვერდით ცხოვრობდა. ამით ხომ არ არის განპირობებული ბევრი ლიტერატორის (მწერალი, პოეტი) სერიოზული დაინტერესება კინოხელოვნებით? მე-20 საუკუნის 60-იან წლებში ჯერ კიდევ სადაო იყო, კინოც ისეთივე ხელოვნება არის თუ არა, როგორიც თეატრი. ვიცით, რომ ხართ რამდენიმე სცენარის ავტორი. იქნებ უფრო მეტი გვიამბოთ თქვენს დამოკიდებულებაზე ხელოვნებისადმი.

ეს შეკითხვა ფაქტობრივად წინას გაგრძელებაა და ვიტყვი: ჩვენ ხელოვნებაში და ხელოვნებით ვცხოვრობდით, ეს იყო ჩვენი სარკმელი გასასვლელი ყრუ კედელში... ჩემი თაობა იყო განათლებული, წიგნიერი,

ხელოვნების და კულტურის თაობა... და თავისუფლების „ბედისწერით აცრილი!..” კინო ჩემთვის ერთგვარი „ჰობი” იყო (როგორც პოეზიის პარალელური სამყარო) იმ ახალი კულტურული ნაკადის განცდით, რომელიც შემოჰქონდა მიშა კობახიძის,ბუბა ხოტივარის, რეზო ესაძის, თემურ ბაბლუანის, ნანა ჯანელიძის, ნოდარ მანაგაძის,გოდერძი ჩოხელის, ლევან ზაქარეიშვილის(ყველას ვერ ჩამოვთვლი) ახალ თაობას; აქ არფერს ვამბობ იოსელიანსა და თენგიზ აბულაძეზე, შენგელაიებზე, ლანა ღოღობერიძესა და ნანა მჭედლიძეზე...

* * *

ჩვენი თაობა არ იყო გახლეჩილი სექტებად და პარტიებად, მართლაც სამშობლო იყო ჩვენი პარტია და უფალი!... 9 აპრილს ერთად ვედექით სამშობლოს ფეხზე!

ადამიანები გადიან დროის სახლიდან: ზოგი ადრე, ზოგი გვიან, არავინ იცის ვინ „ასწრებს“ დროს, ის, ვინც ადრე მიდის, თუ ვინც დიდხანს რჩება...

სამწუხაროა, რომ ჩამოივლი რუსთაველზე და იშვიათად შემოგხვდება შენი თაობის კაცი, მევრი მათგან აღარ არის... „ხშირად მიფიქრია, რისთვის ვწერ მე ამას, რასაც ვწერ, თუ კი ის აღარ არის ამ ქვეყანაზე, ვისაც ეს უნდა წაეკითხა, ვინც შენ გიყვარდა და გიხაროდა?–“ ჩვენ ხომ ერთმანეთისთვის და ვინმესთვის ვაკეთებთ ყველაფერს, არაფრისთვის - არაფერი იქმნება!...

სამწუხაროა, რომ რუსთაველზე აღარ შემოგხვდება ბაჩანა ბრეგვაძე, თამაზ ჩხენკელი, ერლომ ახვლედიანი, ჯანსულ ღვინჯილია, ბადრი ჭოხონელიძე, ჯემალ ქარჩხაძე, ავთო ჩხაიძე, ალეკო გაბელაია, ჰამლეტ გონაშვილი, ალუდა არაბული, ამირან ჭიჭინაძე, ბადრი გუგუშვილი, ძმები ვართაგავები, ლეილა ბეროშვილი, რეზო ინანიშვილი, ჯემალ აჯიაშვილი, ზურა ჭავჭავაძე, შოთა ჩანტლაძე და კიდევ რამდენი, ჩემთვის ახლობელი...

* * *

ჩემთვის სამწუხაროა, რომ ჩვენ ვეღარასოდეს შევხვდებით რეზო ჩხეიძეს, რომელმაც პრაქტიკულად გაზარდა და ჩამოაყალიბა ჩვენი ახალგაზრდა მწერალთა, რეჟისორთა, მსახიობთა, კომპოზიტორთა, მხატვართა თაობა, რომლებიც კინოსტუდიასთან იყვნენ დაკავშირებული. მან შექმნა ქართული კინოს რენესანსი!! და პირადად დიდი გავლენა მოახდინა ჩემზე... გამორჩეული იყო მისი ყურადღება ჩემი პოეზიისადმი და წერილების მიმართ...

ერთხელ, ერთ დიდ წვეულებაზე რომ დამინახა რეზო ჩხეიძემ (თამადა იყო), სუფრის გასაგონად თქვა: აი, აქ არის ნიჭიერი ახალგაზრდა პოეტი „ჯოყოლას სიკვდლის“ ავტორი კობა არაბულიო, მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა მერქვა, - და მწერლობის და პოეზიის სადღეგრძელო შესვა...

ასეთი იყო ბატონი რეზო ჩხეიძე!!! ასე იცოდა ჩვენი წაქეზება... ნაცნობებმა და უცნობებმა ჩემკენ მოიხედეს.... მერე, მოდიოდნენ და მილოცავდნენ, მაშინ რეზო ჩხეიძის სიტყვას დიდი ფასი ჰქონდა და ეს მომენტი ჩემთვის წარმოუდგენელი განცდა იყო...

* * *

სამწუხაროდ, ჩემი და მომავალი, თაობა ვეღარასოდეს ვნახავთ ბრწყინვალე რეჟისორს - თენგიზ აბულაძეს ...

პოეტ რეზო თაბუკაშვილს - დახვეწილ ინტელიგენტს და მამულიშვილს...

დიდებულ გიგა ლორთქიფანიძეს,..

აკაკი ბაქრაძეს - ამ ბრწყინვალე ინტელექტს..

ვერ შევხვდებით მეღვინეთუხუცესს - რაინდსა და უბადლო დათა თუთაშხიას! ზურა ქაფიანიძეს... ბერიკაშვილს... ფირცხალავას...ამ უნიჭიერეს პიროვნებებს და პატრიოტებს... მათ თითქოს მოულოდნელად, სწრაფად და ერთად დატოვეს ხელოვნების პარნასი და გავიდნენ წუთისოფლის სახლიდან.

* * *

ასე გავიდა, XIX საუკუნიდან შემოსული გენიალური თაობაც XX საუკუნის დასაწყისში ასპარეზიდან და ქვეყანა, ერთ მომენტში, ცარიელი და უპატრონო დრჩა!!!

ასე მოხდა ახლაც, ჩემს თვალწინ, თაობათა გარდასვლის დრამატული მოვლენას შევესწარი, თანდათან დაიცალა ჩვენი ეროვნული სივრცე და სრულიად უსახელო და უსახური დრო ჩამოდგა...

ვინ და როდის შეცვლის მათ ხელოვნებაში, თუნდაც საერო ურთიერთობებში, თუნდაც პოლიტიკაში, ვინ ამოავსებს სულიერ ვაკუუმს??? -ვერავინ იტყვის.

თქვენი ვერლიბრები დიდოსტატურია, სახეებით და მეტაფორებით დატვირთული. სიტყვას უფრთხილდებით:

„რამდენ სიტყვასაც ვიჭერ კბილით –
იმდენ ტკივილს ვიგუბებ გულში...
სიტყვა ძნელი შესანახია...
სიტყვის წასვლისას

რაღაც ისევ ირხევა სულში,
როგორც ტოტი ხილის ვარდნისას –
ცარიელი ბუდის სევდა გრჩება სხეულში...“. თქვენი სიტყვა მოდის უსასრულობიდან, მითოსური სამყაროდან, მოდის დღემდე და იჭვრიტება მომავლისაკენ, კვლავ უსასრულობისკენ. რა არის თქვენთვის პოეზია?

ნოსტრადამუსის პოეზია წინასწარმეტყველება იყო... იოანეს წიგნიც პოეზიაა, I საუკუნიდან დანახული XXI საუკუნე!..

ხოგაის მინდის მითი მთლიანად პოეზიაა, რომელიც თანდათან ცხადდება დროში... ლექსი სხვაა, პოეზია სხვა, ლექსს ბევრი წერს, პოეზიას - ცოტა. ლექსი მზის და სისხლის ენერგიაა მემკვიდრეობით გადმოსული გვარში და პიროვნებაში...

ვერც ვაჟა-ფშაველა, ვერც რუსთაველი ვერ იქცეოდნენ პოეტად, რომ მათი რომელიმე წინაპარი არ ყოფილიყო ამ ნიშნით აღბეჭდილი...

ყოველი ლექსი ჩემთვის ახალი დღის გათენებაა, ახალი დროის ჩამოდგომა და სხვა სივრცეში გადასვლა, პოეტისთვის დრო - „გამრუდებული სიბრტყეა“, საიდანაც სამყაროს მუსიკას ისმენს... სხვაგანაც ვთქვი: - ლექსს „ვწერდი“ გზაში და „გადავწერდი“ პარალელურ დროში... „წერა“ და „გადაწერა“ პირობითი მცნებებია, ეს ემოციები ინფორმაციის მიღების და დაფიქსირების წამია.

მთვარის სხვადასხვა ფაზაში, დროის სხვადასხვა მონაკვეთში გადაწერილი ერთი და იგივე ლექსი სულ სხვადასხვაა! მას ცვლის თუნდაც ერთი სიტყვა, ერთი ძახილის ნიშანი, ან მრავალწერტილი, თუნდაც სათაური... მე ვერ ვბეჭდავდი დიდხანს რომელიღაც ლექსს, ვიდრე სათაური არ დავაწერე, "სახელის დარქმევის" მერე იქცა რაღაცად!..

ლექსი შიგნიდან განათებული უნდა იყოს მისი იდუმალი ქვეტექსტით და მითის მისტიური ემოციით... ლექსი (ვგულისხმობ პოეზიას) შეუცნობი სიტყვის „კარმაა“ და მკურნალი გველის ტყავივით მოსავს ადამიანთა სხეულებს და სულებს, თუმცა „პოეზიის ფორმულა“ ჯერ არ დაწერილა და ვერც ვერავინ დაწერს, იგი ამოუცნობია როგორც სისხლი...

* * *

არის ასეთი, ერთგვარად ბანალური სენტენცია: „ჯერ წერ მარტივად და ცუდად, მერე- რთულად და ცუდად, ბოლოს- მარტივად და კარგად!" ეს სამი ფაზა მართლაც არსებობს შემოქმედებითი პროცესისათვის, ეს არის ნიჭის განვითარების გზა... ხოლო უნიჭოს, „პოეზიის ნაკრძალი“ საერთოდ არ უშვებს საკუთარ ტაბუირებულ

სივრცეში და ის ბოლოს „კვრივის“ გარეთ რჩება! („კვრივი“ საკრალური ადგილია, სადაც ქადაგი კოსმიურ სინერგიას იძენს და „მედიტაციას“ აღწევს).

პოეტიც ჩაკეტილი სივრცის მედიუმია და თითქოს ვაკუუმიდან, ანუ „არაფრიდან“ იღებს ემოციას... პოეტური განცდის „ფლუიდები“ მითოსური სივრციდანაც შემოდის, რომელსაც მძაფრი დრამატიზმი ახლავს... რა თქმა უნდა, მაინც, მთავარი ნიჭია, ნიჭის განვითარების პროცესი კი უწყვეტია...

პოეზია იშვება ხვთის სულიდან, იდეიდან, უფლის სიტყვიდან (პირველ იყო სიტყვა!), როგორც დედამიწა, ან რომელიმე პლანეტა თავისი გარსით და ოკეანეებით, „მკვდარი ტბებით“ და კოსმიური სამყაროს „ორკესტრებით“, რომლებიც მოძრაობს...

პოეზია დროის ფენომენია! ამდენად დღვანდელი პოეზია სულ სხვაა!

მიფიქრია: რუსთაველი ახლა რომ იყოს, დაწერდა „ვეფხისტყაოსანს?!“ -თუ დაწერდა რაღაც სხვას, ან - არაფერს... ახლა სრულიად შეუსაბამო დრო და ვითარებაა რუსთაველისთვის...

ვაჟა-ფშაველაზე ვერ იტყვი ამას: ვაჟა შესაძლოა იმავეს დაწერდა, რასაც წერდა! ვინაიდან იგი მითში მდგარი მედიუმია, ხოლო მითი უცვლელი ფენომენია, რომელიც ქრება მხოლოდ მაშინ, როცა მისი შემქმნელი რასა გადის საკრალური სივრციდან, ვაჟასთვის კი იგივე ეთნო - ფსიქიკური სივრცე რჩება დღესაც.

თქვენს პოეზიაზე საუბარი შეიძლება დაუსრულებლად. კობა არაბულის ლექსებში ვნახავთ ხევსურეთის ისტორიულ-გეოგრაფიულ, მითოლოგიურ-ეთნოგრაფიულ, იქაურ მკვიდრთა ფსიქოლოგიურ სახეებს, ქართულს, ფესვების მაძიებელს და ფესვებთან მიახლოებულს.

„17-18-20-26 წლისა დავიწვები ლექსით;

26-31-მდე „ვტკბები“ ამაოებათა ჭვრეტით;

31-დან 36-მდე დავწერ ჩემს წიგნს,

და 40—წლამდე ორჯერ გადავწერ!“ — ძალიან საინტერესოდ და ორიგინალურად ეხებით შემოქმედის სულიერი ზრდის პროცესს. როგორ ფიქრობთ, სულიერი განვითარების რა აუცილებელი ეტაპები უნდა გაიაროს კალამს შეჭიდებულმა ადამიანმა, საერთოდ რამდენად შეიძლება ვისაუბროთ ნიჭის განვითარებაზე...

ამ თემას წინა და მომდევნო პასუხებშიც ვეხები, გამოვთქვამ ზოგიერთ მოსაზრებას პოეზიის და პოეტის შესახებ, აქ გავიმეორებ

გალაკტიონის ფრაზას: „ნიჭი, ძამიკო, ნიჭი!“ - დიახ, მთავარია ნიჭი. თუ ნიჭი არსებობს, ის ვითარდება ყველა სიტუაციაში: თავისუფლებაში და საკანშიც. სულიერი ზრდა და შემოქმედებითი კულტურა დროში ვითარდება, მას თავისი ფაზები აქვს, ვერავინ დაწერს კალმის აღებისთანავე „ვეფხისტყაოსანს“, ვერც „გველისმჭამელს“.

მეტად სახიფათოა უნიჭობა და „უნიჭობის განვითარება“, რომლითაც გაჟღენთილია ჩვენი დღევანდელი სივრცე, მედროვეს მიაქვს და იკავებს ნიჭისთვის კუთვნილ სამყაროს და ადვილად არ გადადის იქიდან, თუმცა ბოლოს ნიჭი მაინც იბრუნებს საკუთარ ადგილს, შესაძლოა ძალიან გვიან, მაგრამ მაინც...

თქვენს პოეტურ სამყაროში მკითხველს თქვენ ერთგვარად შემეცნების ზღვარზე ამყოფებთ. ლირიკით ტკბობის გვერდით, ვერ გამოგყვებათ მკითხველი, თუ ფიქრს და აზროვნებას არ დაიწყებს. მართლაც თქვენი შექმნილი პოეტური სამყარო თან არის და თან არც არის; ერთმანეთს მხატვრული დახვეწილობით ერწყმის ზღაპრული, მითიური, ნამდვილი. შესაბამისად სახეებიც მრავაფეროვნად ნაძერწი და ჩამოქნილია. რამდენად შეგიძლიათ ჩვენთვის გასაგებად აღგვიწეროთ ლექსის შექმნის პროცესი და აქვე ჩაგეკითხებით, როგორი ცოდნით აღჭურვილი მკითხველია საჭირო თქვენი პოეზიის ღრმად ჩასაწვდომად, ტექსტს მიღმა არსებული ჩანაფიქრის ამოსაცნობად?

აუცილებლად დიდი ცოდნით აღჭურვილი მკითხველი სჭირდება ჭეშმარიტი პოეზიის განცდას და ჩაწვდომას, ისევე, როგორც პოეზიის შექმნას... მე ყოველთვის ვეუბნები ახალბედა მწერლებს: „იკითხეთ ბევრი და წერეთ ცოტა!“ როცა არაფერს კითხულობ, არ იცი ფოლკლორი, „ისტორიანი“ და ბიბლია, კულტურათა და ცივილიზაციათა, რასათა შობის და კვდომის პროცესები რა უნდა დაწერო?! ზოგიერთს ჰგონია, რომ ვაჟა-ფშაველამ „არაფერი იცოდა“ და ისე წერდა...

ვაჟა-ფშაველა იყო ნათელმხილველი მედიუმი, შემოსული სხვა დროიდან სხვა დროში და ყველაფერს ხედავდა როგორც ეკრანზე... გენიოსი როდის და რას სწავლობს, ვერავინ გაიგებს, მისი შემეცნება იდუმალია!

ამდენად დიდი ცოდნაა საჭირო იმისთვის, რომ რაიმე შექმნა! მხოლოდ საკუთარი ლექსების წერა და კითხვა ნამდვილად არ არის საკმარისი... თუმცა გასათვალისწინებელია იუნგის მოსაზრებაც, რომ ბევრის და ყველაფრის ცოდნა სახიფათოა, სადღაც შედიხარ და უკან ველარ ბრუნდები, ანუ: „ცოდნაში არ უნდა დაიკარგო!..“

* * *

ლექსის შექმნის პროცესის აღწერა თითქმის შეუძლებელია, თუ მართლაც პოეტურ მედიტაციაზეა საუბარი, ის რთული და იდუმალი მოვლენაა... შეიძლებმა ერთმა სიტყვამ შვას მოულოდნელი ემოცია და ლექსი! ყოველი სიტყვა შეუცნობი ენერგიის და საიდუმლოს შემცველია, იგი შეიძლება უეცრად კვაზარივით აგიფეთქდეს!..

თუ რომელ დღეს, რომელ მთვარეზე „ჩაისახება ლექსი", ისეთი იქნება: მთვარის ბერში ჩასახული „ურწივით" ან სრული მთვარეობისას ნაშობი ვაჟივით!..

გეტყვით იმასაც, რომ ჩვენი თაობის შემოქმედებითი გზა არ იყო მარტივი:

ჩემი პოეზიის გარკვეული ნაწილი, ჩვენს დროში მდგარი ნეგატიური სურათების ანაბეჭდი იყო:

„კარატეს თავზე შეეჯახნენ ნისლებს ნისლები, რადიაციულ აკლდამებში ჩაცხრნენ ფილტვები! „არც" რადიაციული აკლდამები" მოსწონდა წითელ ცენზურას და არც „რადიაციული ღრუბლებიდან ჩამოცვენილი ჩიტები"...

იყო კერძო პიროვნული ცენზურაც: ვინმესთვი, პოეტის ინტელექტის, ან ხედვის და პოეტურ სენტენციათა შეუთავსებლობა, ჩემს ერთ-ერთ ლექსში იყო სტრიქონი: „ქრისტეს პერანგზე ვწევარ ქართველი, მე მარიამის ძე წარმართული...", შემომითვალეს: „თუ ქრისტეს პერანგზე წევხარ, წარმართული როგორღა ხარო?!"

კიდევ, მაგალითად, ასეთი სტროფი:

„მდინარის გაღმა დგას "ქრისტეს ქოშით"
ამოუცნობი დრო ზარათუსტრის...
ხიდზე გადმოდის უცნობი შიში,
დრო კენტავროსის და კამა სუტრის!" - „ეს როგორ გავიგოთო?!" - მიაწერეს ფურცელს...ქრისტეს ქოში-სამკურნალო მცენარეც არის და ნამდვილი ქოშიც, ლექსისთვის ორივე მჭირდებოდა...

ჩვენს დროში, ჩვენს რეალობაშიც განა არ „გვიხატავენ" კედლებზე „კამასუტრას ორგიებს?" არ ძალადობენ ჩვენზე, გნებავთ, "კენტავრი ნუდისტები" და ლესბოსელები... ჩახეული ჯინსებიდან ამოჩრილი მუხლებით?!?!

„მინდი ხელებს ითბობდა თოვლიდან ამოღვენთილი
ყვავილების შუქზე,
მათ მოცისფრო-მომწვანო ალზე"...

ვიღაციცთვის მიუღებელი აღმოჩნდა ეს ნათელი მეტაფორაც კი: „ყვავილების შუქზე ხელების გთბობა არ გამიგიაო..."

მაგრამ:

იყო ნუგეშიც, პოეზია ისეთი ფენომენია, რომ ყოველთვის ჰყავს მას „მიმღები” -მედიუმი, ვინც ახარებს პოეზიის ხეს ქვეყანაზე:

* * *

როდესაც ჩემი „ქაჯებთან ომის მითი“ და რამდენიმე „ანდრეზული ვერლიბრი” დაიბეჭდა „ლიტერატურულ საქართველოში“, მაჩაბელზე ბაჩანა ბრეგვაძე შემომხვდა (არ მეგონა თუ მიცნობდა), გამაჩერა და მითხრა: „წავიკითხე შენი ანდრეზული ლექსები, ეს მეტად საინტერესოა... რასაც შენ წერ, მაგის დამწერი სხვა არავინ არის... მაგრამ არ გეგონოს, რომ მაგის წამკითხავი და გამგებიც ბევრი იყოს!!! წერე, წერე, არ გაჩერდეო!!!“ მართლაც გენიალური ლიტერატორის და მთარგმნელის ამ სიტყვებმა გახარებული დამაბრუნა საწერ მაგიდასთან... ის სიხარული დღემდე მომყვება და ბევრი რამ დამაწერინა ამ განცდამ!

რა უნდა თქვა ასეთ ადამიანებზე? რითი უნდა გადაუხადო და დაუფასო, ალბათ ისევ რომელიმე სიტყვით და რომელიმე საქმით, ისევ სიტყვის იმაგინალური, საკრალური ენერგიით.

ერთ მომენტსაც გავიხსენებ:

ერთხელ, ერთი არაჩვეულებრივი, ახალ სკოლადამთავრებული გოგონა მესტუმრა დუშეთიდან, უბიდან სრულიად გაცრეცილი ჩემი „გველისმჭამელის წელიწადი“ გამოიღო და მითხრა: ეს წიგნი მამას ბიბლიოთეკაში შემთხვევით აღმოვაჩინე და მთლიანად ზეპირად ვიციო.

მას დაუწერია „სადიპლომო თემა“ ამ წიგნზე და ფრიადი მიუღია, მასწავლებლების დიდი აღტაცება გამოუწვევია...

მე გამაოგნა და ცრემლი მადინა ამ გოგონას ემოციამ და ჩემი გრძელი და რთული ვერლიბრების ზეპირად ცნობამ!

ეს განცდა სულ თან მდევს და შეუცნობ სიხარულს მანიჭებს, რაც საკმარისია ჩემთვის და ჩემი პოეზიისთვის...

* * *

იმ ხანებში გამოჩნდა ჩემი „ჯოყოლას სიკვდილი“, „კვრივების ელეგია“ და სხვა ვერლიბრები, ზოგი პოემებს არქმევდა, ზოგი რომანებს.

ჩემი ვერლიბრები დანარჩენი პოეზიის პარალელური სამყარო აღმოჩნდა: თითქოს ფოლკლორიც იყო, და არც იყო... ის იყო მითში „შეფუთული“ პოეზია..., მაგრამ ბევრი ვინმე ააღელვა და აატირა კიდევაც ამ პოემებმა.

„ეს რა დარდი და ტკივილი გქონია, ჩემო შვილოო, როგორ უძლებს შენი გული ამასო...“ შემომითვალა განთქმულმა „ხმით მატირალმა“ ხნიერმა ხევსურმა ქალმა, ალექსი ჭინჭარაულის დეიდამ და

გიორგი წიკლაურის დედამ, რომელიც შვილებს და შვილიშვილებს რამდენიმეჯერ აკითხებდა „ჯოყოლას სიკვდილს". ეს სულ სხვა ემოცია იყო ჩემთვის და ახალ სინერგიათა შემკრები!

ასე რომ, ბევრი ვინმე სიხარულით შეხვდა ჩემს გამოჩენას, ხოლო ზოგი ვინმე „შემკრთალი დუმილით" (ყალბი სიმშვიდით) გაილურსა...

ეს არ იყო ჩემი „უცნობი ბარათის" დუმილი, მაგრამ მაინც: „მადლობა ჩემზე დუმილისათვის... სხვების ხოტბას მირჩევნია შენი სიჩუმე... მე ვიცი შენი ყვითელი თვალი და შენი ყური, შორიდან იჭერს ჩემს კაფიებს - თეთრფრთიან ყორნებს და ჩუმადა ხარ, თავზე ფიქრის გვირგვინი გადგას..."

* * *

პოეზიას ნიჭი ქმნის და ნიჭი ხედავს. სამწუხაროდ ლექსის ჭეშმარიტი წამკითხველიც ისევე მცირეა, როგორც მისი შემოქმედი: მკითხველის მენტალობაა შესაცვლელი! ახლა „საიდუმლო სიროობას" უფრო კითხულობენ და აპიარებენ, ვიდრე (ვთქვათ) შუმერი პოეტის ლუდინგირას ელეგიებს, ან თუშ-ფშავ-ხევსურთა „მთიბლურებს" და „ხმით ნატირლებს".

ქალბატონო მაკა, არ მიყვარდა ჩემს თავზე საუბარი, მხოლოდ ახლა ვამბობ რაკი თქვენ მეკითხებით და „მკარნახობთ!..."

„ჩვენს შვილებს მეხსიერებიდან თანდათან ეკარგებათ წარსულის ხსოვნა. ამ ვითარებაში საგანგებოდ დასაცავი და გადასარჩენია ერის ისტორიული ცოდნა, ეთნოკულტურა და ტრადიციები. უსათუოდ აღსადგენ-დასაცავია სამეურნეო სისტემანი, გენოფონდები, უნიკალური მცენარეული და ცხოველთა ჯიშები, რომელთა დასაბამი წარღვნამდელ ეპოქაშია საძიებელი. მეტად ფასეულია ხალხური, საერო და საკულტო რიტუალები, სათემო-საადათო სამართალი, ხალხური მორალი, უფროს-უმცროსობის, მტერ-მოყვრის შეცნობის წესი, „კაი ყმის" ინსტიტუტი, მამულის მცველი სარანგის - „მემეტეს" ფენომენი და ამ ფენომენის გააზრების შესაძლებლობა ახალ დროში, ქალთან ურთიერთობის უნიკალური კულტურა - მანდილის კულტი, ხელსაქმის უძველეს ფორმათა, ფერთა და ორნამენტთა აღდგენა, ხალხური მკურნალობა, ბუნების ცოდნისა და მოსმენის მინდიასეული სიბრძნის ახსნა. აუცილებელია ერის სულიერ ფასეულობათა დამცავი მოდელის შექმნა. ტრადიციათა ცოდნის ინსტიტუტის დაარსება დედაქალაქში", - თქვენი სიტყვებიდან ცხადია, რომ პრობლემა სერიოზულია, ერის იდენტობა, ქართველი ადამიანის თვითაღქმა და ქართული ცნობიერება გსურთ შეინარჩუნოთ, როგორ აპირებთ ამ ურთულესი მისიის შესრულებას,

თუნდაც არსებულ ფინანსურ და საკანონმდებლო ფონზე, როგორ არის ეს შესაძლებელი?

ჩვენმა მთიანეთის კომისიამ და პირადად მე მოვამზადეთ არა ერთი ბრწყინვალე პროექტი: თემის კულტურულ-ეკონომიკური, დემოგრაფიული ეთნო-ფსიქოლოგიური, ტრადიციული სამეურნეო სისტემების გაცოცხლების თავლსაზრისით, ტრადიციათა ცოდნის სახლების და ტურისტული ბლოკების თანხლებით.

ამ მოდელის მარტივი სქემა ასეთია: მივცეთ თემს (შევასყიდოთ ფონდის სახსრებიდან) 70-100 სული ხევსურული ძროხა, 100 მეგრულ-ზანური თხა, 100 ძირი ფუტკარი, მოვაწყობინოთ ორი-სამი საკალმახე ტბორი (ან „ბუნკერი“), აღვუდგინოთ ტრადიციული სახლი ხალხური რეწვის სახელოსნოებისათვის, მოვაწყოთ თუნდაც კარვების (ან ფაცხების) „ქალაქი“ ტურისტებისათვის... გავუკეთოთ ტრადიციული ხევსურული ლუდის სახდელი, დავეხმაროთ უძველესი მცენარეული და ცხოველური ჯიშების აღდგენაში, მოვაწყოთ ტურისტული ბილიკები საკულტო კერების და საკრალური ადგილებისკენ, დავეხმაროთ თემ-სოფელში მობრუნების მსურველს...

ეს მარტივი კომპლექსური სქემა ასაქმებს და ამაგრებს სოფლის ყველა მკვიდრს, აჩენს სხვადასხვა ტიპის შესაძლებლობას და ინტერესს.

ამას არ სჭირდება დიდი სახსრები, ყოველ ისტორიულ კუთხეში 1 მილიონად შეიძლება სამი ამ ტიპი პროგრამის განხორციელება, თუ ჩავთვლით, რომ ჩვენ გვაქვს 12-ამდე ისტორიული კუთხე (მთიანეთის ზოლზე) მთის ფონდის ნახევარიც კი ეყოფოდა ამ მოდელის დაწყებას მთის რეგიონში და ვითარების რადიკალურ შეცვლას...

მე ვერ შევძელი ეროვნული, ეთნო-კულტურული და ეთნო-ფსიქოლოგიური დაცვის „პირამიდის“ ჩადგმა რომელიმე კუთხის სივრცეში!..

ეს ვერც ზურა ქაფიანიძემ შეძლო. მახსოვს როგორ ეხვეწებოდა ხელისუფლებას, მიეცათ ერთი სოფელი აღდგენისათვის და გარკვეული სესხი, არ მისცეს!

სახელმწიფო არ არის მზად „ეროვნული დაცვის პირამიდის“ ასაგებად... ამ საქმეს სჭირდება „ქარიზმული პიროვნება“, რომელიც მიიღებს სწრაფ და რადიკალურ გადაწყვეტილებებს და მკვეთრად შეცვლის ყველაფერს... მან იმდენად გაბედულად და მოულოდნელად უნდა იმოქმედოს, რომ მისი აღქმა „გარედან მოთვალთვალე სფინქსმა“ ვერ მოასწროს, თორემ მყისიერად ჩამოაგდებენ! თუმცა ასეთი ლიდერის მოახლოვება ჯერ არ იგრძნობა.

ეტყობა კიდევ უნდა მოვიცადოთ, რომ სივრცითა და დროით შეკუმშულ ჩვენს სამშობლოში ასეთი რამ მოხდეს და „მცირე დიდად“ იქცეს!..

არ შეიძლება არ შევეხოთ თქვენს აქტიურ პუბლიცისტურ საქმიანობას. არ დარჩენილა საჭირბოროტო, მტკივნეული საკითხი, რომელსაც არ შეხებიხართ. მჭრელია თქვენი სიტყვა და ადვილი წარმოსადგენია, მოკეთესთან ერთად მტერსაც გაგიმრავლებდათ. თქვენი პუბლიცისტიკიდან ჩანს, რომ აქტიური მოქალაქეობრივი აზროვნება თქვენი პოზიცია კი არ არის, თქვენი ცხოვრების შემადგენელი ნაწილია. რა არის ყველაზე ძნელი დღეს საქართველოში ეროვნულად მოაზროვნე პუბლიცისტისთვის?

საქართველოში სიტყვა იქცა „ღაღადად უდაბნოსა შინა!“ არის ნუგეში, რომ კედლისთვის შეყრილი ცერცვის ერთი მარცვალი მაინც შერჩეს კედელს...

ხელისუფლება არ ისმენს სიტყვას, ან ისმენს და უშვებს...

ჩვენს ხელისუფლებას არ უნდა მწიგნობარი და მწიგნობართუხუცესი რომ ეჯდეს მრჩევლად: მათ თავად იციან ყველაფერი (და არაფერი). ზოგს ჰგონია, რომ რაღაც ცოდნა „დედის მუცლიდანაც აქვს დაყოლილი“.

არა და: ყველაფერს ეტყობა მწიგნობრული და ინტელექტუალური სიმწირის კვალი, ამდენად „სამკელი ფრიად არს და მომკელნი მცირედ“... ან, საქმე ბევრია და საქმის მკეთებელი-ცოტა, საქმოსანიურიცხვი!

„გველის მჭამელში,“ როდესაც თემის ბელადი (მოძღვარი) სიბრძნეს კარგავს, იღუპება, მასთან ერთად კვდება სიბრძნე დაკარგული თემიც ...

„არა წინდის მქოსველი“, არა “ქსლისა მბეჭველი“, არამედ სიბრძნის მჭედელი უნდა ჰყავდეს ქვეყანას ლიდერად.

ჩვენი გზა ჩახერგილია „გადაბრუნებული ურმების“ ბედისწერით, ჩვენ ვერ ვხედავთ გზას და ვხედავთ ურმებს...და ჭკუას მაინც ვერ ვსწავლობთ!

ულიდერო მასა ფარაა, ხოლო მასის ჭკუა „ვირის ჭკუაზე ნაკლებია”, თუ ერთი კაცის თავში არ შეგროვდა! მაგრამ არც ასეთი თავი ვინმეს სჭირდება! ყველა თავისი თავით თავისთვის ჭრის და კერავს ანუ კახელების აღმა ხნულსა ქართლელები ჩაღმა ფარცხავენ... გარდა ამისა, ახლა აღმა-ჩაღმა ფარცხვა დაიწყო ყველა ორმოცივე

პარტიამ და ყველა ორასივე არსამთავრობომ!?? ...ასეთია სიბრძნედაკარგული ერის ბედისწერა.

დიახ, ჩემი წერილები მტერსაც მიმრავლებს და მოყვარესაც, ვნახოთ რომელი გადაწონის...

„ჩვენი ისტორია ქაჯებთან ბრძოლის ისტორიაა,
ჩვენ თითქოს ყოველთვის ვიღებთ ამ ციხეს,
მაგრამ მაინც მუდამ არის ქაჯეთი ჩვენთვის!" – რაში მდგომარეობს ქაჯეთის სიმბოლიკა? ვის ეხმიანებით, რუსთველს თუ სალომე ზურაბიშვილს?

„ქაჯები" სალომე ზურაბიშვილამდეც იყვნენ და რუსთაველამდეც ჩვენი ისტორია განუწყვეტელი ბრძოლის პროცესია „ქაჯებთან" და ეს ყოველთვის უნდა გვახსოვდეს! როდესაც გვგონია (და გვეჩვენება), რომ გავიმარჯვეთ და ომი დამთავრდა, მაშინ იწყება ჩვენი დამარცხება! ზოგადად ჩემს ტექსტებში, მე - ქაჯებთან - გახუასა და ღვთიშვილთა ომებს ვგულისხმობ...

ქაჯეთი ჩვენი მარადიული მტერია, ჩვენ თითქოს ყოველთვის ვიღებთ "ქაჯეთის ციხეს" („ვეფხისტყაოსანში", ანდრეზულ ცოდნაში, ანუ მითშიც და ვაჟა-ფშაველაშიც...), მაგრამ ქაჯეთი ყოველთვის არის ჩვენთვის...

„თითქოს ესეც და სხვაც ბევრი რამ მოჰბეზრებოდა,
დროც გასულიყო..
მაგრამ იცოდა სიყვარული იყო მიზეზი,
რომ სული ედგა
და დილაზე გაღვიძებული ისევ იტყოდა:
„აბა, ავდექი!" - რა უნდა თქვა მეტი სიყვარულზე! არსებობის, სოცოცხლის გაგრძელების მიზეზია ის თქვენთვის. და მაინც... გვიამბეთ თქვენი სიყვარულის ისტორია. გვიამბეთ თქვენს დიდებულ ოჯახზე, რომელიც, როგორც ვიცი, უძველესი ტრადიციიდან - აკვანში დანიშვნიდან დაიწყო...

დიახ, ჩემთვის და ჩემში ყველაფრის მიზეზი სიყვარულია: ცოლშვილის, ახლობლების, ნათესავების, მეგობრების... სახლის და ნივთების, რომლებიც ამ სახლშია, განსაკუთრებით ძველი ნივთების და სამოსელის (ტალავრის)...

სიყვარული მშობლიური სივრცის, ყოველი სოფლის და ნასოფლარის, ბილიკის - ფხიტუს მთაზე რომ აგიყვანს, მოსახვევი უეცრად „დაფარულ“ შატილს რომ გამოგიჩენს...

მყავს სამი შვილი და ოთხი შვილიშვილი...

ბუბა - მხატვარი...

თეა - ექიმი...

გიორგი - პროფესიით გეოლოგი და მუზეუმის თანამშრომელი...

მეუღლე - ხელოვანი, ტრადიციული, ხევსურული სამოსელის გაცოცხლების და უძველესი ფერის და ორნამენტის აღდგენის ოსტატი, საპატრიარქოს თანამშრომელი...

4 წლის იაკობი, ჩემი შვილიშვილი, ჩემი იმედი და სიხარული, უეცრად გამოცხადებული, სიზმარში ნანახი ჩემი ბავშვობა... ცოცხალი წიგნი, სრულიად ახალი „ვეფხისტყაოსანი“ ჩემთვის...

რა უნდა შექმნა და შეიყვარო ამაზე დიადი კაცმა, რა უნდა დაწერო?!

ძმა და ძმიშვილები...

და, რომელიც დამელუპა;

და მშობლები!... რომლებიც მუდამ არიან ჩვენთან და ჩვენთვის და არსად არ წასულან!

ჩვენი პაპები და პაპის პაპები და წინაპრები, მათი კოშკები და ნასახლარები! სალოცავი ნიშნები, რომლებიც „ქსოვენ“ ჩვენი სულის სიმშვიდეს...

* * *

ჩემი პაპის ბიძა, ბერი ბაბუა, ქადაგი-მისტიკოსი, წინასწარმეტყველი ყოფილა; მისი მოტანილი და ნაკურთხი ზარები ეკიდა მაღალი საჩალის წვერის სალოცავში, ზეისდეჩოს სათემო ჯვარში და დათვისის ხვთისმშობლის კვრივში (ხატის ნაკრძალში)...

მას ამოუბრძანებია: „სანეს“ კოშკის „დახურული სარკოფაგიდან“ „მფრინავი ხატი“, გაუთავისუფლებია და გაუშვია!.. იგი ფხვენივით ასულა მაღალი ციხის კედელზე და, ასევე ჩამოსულა... არავინ იცის, რა იყო ეს "მფრინავი ხატი", რომელიც „დამწყვდეული იყო“ ვიღაცის მიერ, რომელიღაც დროში...

ამ ქადაგმა იწინასწარმეტყველა „ყვითელ დავითნი“ საშიში \წყეული\ მტრის გამოჩენა... მართლაც მალევე მოჰყვა „ალექსანდრე ბატონიშვილს“ ეს „წყეული მტერი“ ხევსურეთში...

მე მეჩვენება და ვგრძნობ, რომ ამ ნათელმხილველი პაპის-პაპის ბიძის აურა და „გენეტიკური ტალღა" პირდაპირ გადმოდის ჩემს სახლზე... და ჩემზე...

* * *

სიყვარულს გავყავარ სახლიდან და სიყვარული მაბრუნებს უკან. როცა ჩემი სოფელი აიყარა და იქ აღარავინ იყო, სიყვარულის ნოსტალგიამ დამაბრუნა სოფელში პაპის-პაპის ნასახლარ კედელთან მივედი და ცეცხლი დავანთე, ირგვლივ არავინ ჭაჭანებდა... თივაზე მივწექი და დავიძინე.

დილით გაღმა თემიდან ნათესავი კაცი-სუმბატათ გიორგი მოვიდა, რომ თავისთან წავეყვანე.

„აქ როგორ იძინებ, დათვები შეგჭამენო!“ -მართლაც, იქვე დათვების ამობრუნებული ქვები ეყარა.

არ წავყევი: „აქ სახლის აშენებას ვაპირებ, ადგილს უნდა შევეჩვიოო...“ - მივუგე, მას ცოტა ურწმუნოდ გაეღიმა.

* * *

საღამოზე ჩემთან ქადაგი ალდია ჩამოვიდა - ეს მართლაც საოცარი წინასწარმეტყველი და მისტიკოსი, ჩემი განზრახულობა მოეწონა და მითხრა: „ამაღამ მეც აქ დავრჩები და დილით ყველაფერს გეტყვიო!“

ალდიაც ცეცხლის პირას ჩალაზე მიწვა და მიიძნა.

დილით მითხრა: კარგი ადგილია, დარჩი აქ და ააშენე, ამ ადგილს ძლიერი მფარველი ანგელოზი ჰყავსო! ნასახლარს შემოუარა, ქვებზე ნახშირით ჯვრები გამოსახა, ჯვარი გადამწერა და წავიდა. ალდია სულ მაღლა, სოფლის თავში ცხოვრობდა, ჩვენთან - ჩემთან და ელისოსთან მეგობრობდა, რაღაცნაირი სიყვარული და ნდობა ჰქონდა, ამ „ურწმუნოთა ქვეყანაში“ მორწმუნედ გვთვლიდა...

* * *

ალდიას კურთხევით და უფლის ნებით ის კედლის ნანგრევი, შემდეგ პატარა ქვის კოტეჯად იქცა. ამ სახლის აურამ აქ კიდევ ორი ოჯახი დააბრუნა და „ათენგენის“ რიტუალებიც განახლდა.

ეს სახლი ჩემს შვილებს და შვილიშვილებს სიხარულად და საზაფხულო ოაზისად ექცა და სამშობლოს სიყვარული გაუღვიძა...

ელისოს აქ ხშირად სამრევლო სკოლის მოსწავლეებიც მოჰყავს და მცენარეებისგან ბუნებრივ ფერთა მიღების ხელოვნებას ასწავლის.

მე ძალიან მინდა რომ ხშირად ვიყო აქ და „შევიმოსო“ ამ ნასახლართა იდუმალი მისტერიებით და პოეზიის სამოსელით:

ეს მხარე...
ეს ადგილები ჩემი წინაპრების სამოსახლოა,
და რაკი აქ სხვა აღარავინ დარჩა აქაველი,
და მკვდართა შორის ცოცხალი,

მე შევდგი ფეხი ამ კვრივში...
ოთხივე კუთხეს ძაღლივით ნათრევი, დასჯილი და დამცრობილი
მოვედი აქ და ვეხვეწები:
შემიხიზნავს კვრივი როგორც ხორციელს და ცოდვილს,
თუ ქვეყნიერი რიოშის მორევში დამტოვებს?!
. . . .
თუ ძველი ნასოფლარის ქვებზე ჩამოჯდები...
თუ კედლებზე გადავლილ ბალახს მოთიბავ,
მოძებნი კერიას და ცეცხლს დაანთებ -
ნასახალარი მაშინვე სახლად იქცევა,
ნასოფლარი - სოფლად!...
ცეცხლი უკან აბრუნებს და ირგვლივ იკრებს გარდასულ სულებს
და გარემო იხსენებს დავიწყებულ სიხარულს.

* * *

როცა „კვრივების ელეგიას“, „ღვარალა თუთას“, „პასტორალს“, „ჯოყოლას სიკვდილს“ ვწერდი, ჩემს სულში და ჩემს ირგვლივ რაღაც ხდებოდა. შევდიოდი გარდასულ დროში და შემოდიოდა ჩემში სრულიად უცნობი სხვა დრო... რომელიც მკარნახობდა ლექსის უცნობ მოდელებს და ფორმებს: როგორც სივრციდან გამოჟონილ „ჰოლოგრამებს“.

ერთხელ ჩემმა მოძღვარმა, რომელსაც ჩემი წიგნი „გველისმჭამელის წელიწადი“ „ჩავარდნოდა“ ხელში და უცხოეთში მგზავრობისას თან წარეტანა, ასეთი რამ მითხრა: „...ეს ბედისწერაა, რაც მოხდა, შენი ის სამყარო და ისტორია რომ დაანგრია, მაგრამ სანაცვლოდ შენი ეს წიგნი დატოვა მადლობა ამისთვის უფალს, ის მოვლენები რომ არა, ეს წიგნი არ იქნებოდა, რამდენიმეჯერ ვკითხულობდი, შორიდან სულ სხვა სამყარო დავინახეო“...

უცნაური განცდაა, რისი კომპენსაცია შეიძლება იყოს პოეზია?! - რაღაც ისეთის, რომელიც იყო და აღარასოდეს იქნება?? შესაძლოა პოეზია გარდასული სიყვარულის ნოსტალგიაა და დიდხანს ინახავს მას - კაცობრიობის არსებობამდე, როგორც „ილიადა“ დამარხული ტროას ისტორიას...

* * *

ახლა კვლავ პირველსავე სიტყვას მოვიდეთ და ვთქვათ თუ რა იყო აკვანში დანიშვნა.

მეტად საინტერესოა, როდესაც სკოლის მოსწავლემ იცი, რომ საცოლე გყავს. ამ გრძნობას ეჩვევი და თანდათან გიყვარდება ის გოგო, რომელსაც ჯერ არ იცნობ...

მახსოვს დანიშნულის სახლში ჩემი მშობლები მიდიოდნენ, დედ-მამა ორივე, ან მარტო მამა შეკაზმავდა ცხენს და წაიყოლებდა ვინმე ახლობელს სოფლიდან, უხაროდათ იქ წასვლა, უყვარდათ ერთმანეთი ელისოს და ჩემს მშობლებს. გადაივლიდნენ საჩალის წვერს, ფხიტუს, საკერპოს და ჩავიდოდნენ ბაკურხევში: მთელი სოფელი ეიფორიით ეგებებოდა და სამი დღე ქეიფობდნენ!

ხევსურეთში სტუმარი დიდად ფასობდა. ის აქ მთლიანად დაცული იყო (თემ-სოფლისაგან), თემი საზღვრამდე თვალყურს მიადევნებდა, რომ მშვიდობით გასულიყო...

ელისო, რა თქმა უნდა, „ემალებოდა“ ჩვენებს ჭერხოში, საჩადლებში, ან მეზობლებთან, მაგრამ მაინც მოიმწყვდევდნენ, ეფერებოდნენ და კოცნიდნენ. მე ჩემი „აკვნის სიყვარული“ სულ მომყვებოდა დროში, მოსწავლეობის დროს და სტუდენტობისასაც. საშუალო სკოლის დამთავრებამდე მხოლოდ სურათებით ვიცნობდით ერთმანეთს.

* * *

სტუდენტობისას შევხვდით. უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე ვიქორწინეთ. ისეთი განცდა მქონდა, თითქოს ედემის ბაღიდან მოვიდა ვიღაც უცნობი სიკეთით და სისუფთვით, ხელოვნების ნიშნით, მზის და ჯვარის ორნამენტებით... მის მიერ აღდგენილი ხევსურული ფარდაგი, სამოსელი და ორნამენტი სანიმუშოდ იქცა, იმდენად მიახლოებულია ძველთან, რომ ვერ არჩევენ ... უწმინდესმა „ფაქტობრივად „მისთვის გახსნა ხალხური რეწვის განყოფილება საპატრიარქოში და ეს საერო საქმე საკუთარი მფარველობის ქვეშ მოაქცია...

მეუღლე - ელისო და ოჯახი განგების ამორჩეული საჩუქარი იყო ჩემთვის. ალბათ მე გამიჭირდებოდა სხვასთან ურთიერთობა, ჩემი პოეზიისთვის და „მე“-სთვის შეუთავსებელია ბევრი რამ.

როდესაც წავუკითხავ, ის გრძნობს ჩემს ლექსს, როგორც ხავსი, ან ქვიშა მდინარეს, რაღაც იფილტრება... მერე მე ამ „ჭრილიდან“ ვხედავ ჩემს პოეზიას...

მეუბნება: „ყველაფერს თავი დაანებე, დაჯექი და წერე ლექსი და ესეc ეს არის შენი საქმე!“

მე ვერ ვახერხებ ამას!

ვთვლი, რომ პოეზიაც, ოჯახი, შვილები და ყველაფერი სხვა სამშობლოს ნაწილია, ამიტომ „დაკარგულ დროს“ არ ვნანობ... პოეზიას და მითებს ღამეებს ვუთმობ, დღეს - საქმეებს...

* * *

ერთხელ ჩემმა ცოლმა სიზმარი ნახა და ცრემლიანმა გამოიღვიძა: „მამამთილი მესიზმრა... ჩემი ბავშობის სოფელში ვიყავი, მამამთილი

ისევ იმ გზაზე და ისე ჩამოდიოდა ცხენით, როგორც ჩემს ბავშვობაში: ჩემთან მოვიდა, გამიღიმა და მითხრა: ამ გზიდან აღარასოდეს მოვალო ამის შემდეგ...ძალიან გული დამწყდა...

ეს სიზმარი ჩემი ბავშვობის სიყვარულის და ჩავლილი დროის ნოსტალგია იყო, რომელიც არასოდეს განმეოდება!“ – ალბათ ეს მართლაც ასეა...

ასეთივეა მშობლებთან განშორების ტკივილიც: დიდხანს ვერ ვიჯერებდი დედის სიკვდილს, სულ მეგონა, წავიდოდი სოფელში და ვნახავდი...

ერთხელაც მესიზმრა უცნაური ხმა, რომელიც შორიდან მოვიდა და მკაფიოდ ჩამესმა: „დედას ნუ ელოდები, აღარ დაბრუნდება, ის ავტობუსი რომელშიც დედა იჯდა, გადავარდაო“...

შეძრწუნებულს გამეღვიძა, სიზმარმა დამიდასტურა და დამაჯერა, რასაც ვერ ვიჯერებდი...

ეს მგონი დავწერე, მაგრამ კიდევ გავიმეორებ:

სიჭაბუკეში სამ სიზმარს ხედავ: სიზმარს დაბადებისას, სიზმარს სიბერისას, ანუ შენი სიყვარულის ჭკნობისას და შეშფოთებულს გეღვიძება და ხედავ სიზმარს, რომელსაც ბავშვობაში მიჰყავხარ... და გეღვიძება „სიბერის ბავშობაში“...

ეს ყველაფერი სიყვარულის ნოსტალგიაა და ამ კარის რეზიუმეც.

ინტერვიუერი მაკა ბერიძე

ჯუმა ჯ'უმითელი

მოგზაურობა გაუცხოებულ მიწაზე

ყველა ახალ და უცნობ გზას ულოდნელი განცდა ახლავს. ჩვენი სამოგზაურო ბილიკი გამოღმა სარფიდან იწყებოდა. გაღმას უკვე თურქეთი ჰქვია. თუმცა ჩვენთვის ლაზეთია ჯერ-კიდევ.

გამშვები პუნქტის ოთახში მოკალათებულ ახალგაზრდა თურქს პასპორტი მივაწოდე. იმან შემოწმება დაამთავრა და სიმკაცრეგარეული ძალის მოზღვავებით შემომხედა, თითქოს გასაყიდად გაყვანილი ტყვე ვიყავი. მერე მბრძანებელი სულთნის მოძრაობით ქუდისკენ მიმითითა. ცხადი იყო, ჩემი სვანური ქუდი უნდა მოშორებოდა ჩემს თავს. თუ არა–გაღმა სარფს ვერ ვნახავდი. ქუდი ცილინდრის მზგავსად ზევით ავწიე, გამარჯობა ვუთხარი მოხელეს და ისევ დავიხურე. თურქული არ ვიცი და ამიტომ ვერ ვუთხარი მბრძანებელს,–სვანურ ქუდს მხოლოდ მიცვალებულის წინაშე იხდიან!

ზღვის სანაპიროს მივუყვებოდით უძველეს ქართველურ მიწაზე. ტალღები ნებივრად ეთამაშებოდნენ ერთმანეთს. ჰორიზონტზე აღარსად ჩანდა არც ლაზების ორჩხომელები და ვერც არგონავტების წაწვეტებულცხვირიან გემების ნაკვალევს ვამჩნევდი. ზღვა კი „არას მეტყოდა“ საქართველოს ამ მრავალგზის ტანჯული მხარის შესახებ.

ზღვის გასწრივ ნახევარმთვარესავით გაწოლილი **ვიწე** გავიარეთ. ახლა მას **ფინდიკლი** ჰქვია და ძველი სახელი ძნელად თუ ახსოვთ. რიზეში ღამესთან ერთად შევედით. ეს ქალაქიც რკალივით აკრავს ზღვას, სიბნელეში ისე ჩანს, თითქოს გრძელი კოცონი უტევდეს წყლის უკიდეგანო სივრცეს. ავტობუსის გამცილებელმა გოგონამ ოცწუთიანი თავისუფლება მოგვანიჭა და მეც ფილტვების შებოლვას შევუდექი. ჩემი თანამგზავრი ამ ადგილებში ნამყოფი იყო, აქაური ჩაიც გასინჯული ჰქონდა. სასადილოში შევედით. ბარის კაცს ორი ჩაი ვთხოვე, იმედი მქონდა, ლაზურადვე მიპასუხებდა. ერთი კი შემომხედა უნდილად, თითქოს რაიმე ვალი მქონდა მისი. მერე ჩაი დაასხა ქალის ტანს მიმსგავსებულ პატარა ჭიქებში და უხმოდ გამოაცურა ჩემკენ. მე ისევ ლაზურად ვკითხე ფასი. იმან ისევე უხმოდ ორი თითი მაჩვენა. ორი ლირა დავუგდე და ქუდის მოუხდელად თავი დავუქნიე.

ერთლირიანი ჩაი მწარე გამოდგა, მისი გემო ტრაპიზონამდე ვერ მოვიცილე. ვერც აქაურმა ორლირიანმა ჩაიმ მიშველა, არანაკლებ მწარე ფიქრების გროვა სულსაც მიწამლავდა. მახსოვრობის ლაბირინთებიდან ერთბაშად გამოცვივდენენ პასუხგაუცემელი კითხვები და შუაღამის უძინარ გონებას დაერივნენ იანიჩრებივით. ყველა მათაგანს ცალ ხელში ჯვრით და მეორე ხელში ხმლით წინ მოუძღოდა მემატიანის „ცოდვათა ჩვენთა გამო...!"

მიწა ხალხის გარეშე არ არსებობს და ხალხი–უმიწოდ. რვა საუკუნის წინ გასხვისებულ-გაუცხოებულ ქართველურ მიწაზე მიგვაცილებდენენ ზღვის ტალღები. მთელი გზა არ მასვენებდა კითხვა, – რა მიზეზ-ვითარებამ აიძულა თამარი ქვეყნისთვის დამღუპველ-აუხსნელი ნაბიჯი გადაედგა?! ტრაპიზონის სამეფოს შექმნას რა მიზანი ჰქონდა?! ვეძებდი პასუხს მემატიანეთა მონათხრობში, მაგრამ – ამაოდ....!

ისტორიამ ან ვერაფერი გვასწავლა, ან არ ვიცით წარსული. ვის და რატომ აქვს უფლება, ქართველი ხალხის კუთვნილება გაყიდოს?! ეკონომიკის გაუმჯობესება? განა შეიძლება, შიმშილის გამო მშობელი გავწირო, სახე დავკარგო და წინაპრების მიერ საუკუნეების მანძილზე მოვლილ-ნაშენებზე უარი ვთქვა?! მახსენდება ლაზეთის ისტორია:

1461 წელს ტრაპიზონის დაცემის შემდეგ დაიწყო ბრძოლები ლაზთა წინააღმდეგ. განსაკუთრებით მძიმე იყო ვითარება სულთან სელიმის ტახტზე ასვლის მერე (1512). გაწყდნენ ლაზი მებრძოლები. აღარც საკვები ჰქონდათ. იძულებული გახდნენ სულთანს დაზავებოდნენ. მალე ეკლესიები გაუქმდა. მათ ნაცვლად მეჩეთები გაიხსნა და მოსახლეობა იძულებული იყო, შვილები სასწავლებლად მოლებისთვის მიებარებინა. გადმოცემის მიხედვით, ლაზების თავკაცმა, პეტრო ხეციამ ხალხი შეკრიბა და ასე მიმართა:

„ჩვენ თუ არ გავყიდით, ჩვენს მიწაზე, ჩვენს ადგილებზე თურქი არ მოვა და ჩვენც მიწას ნუ გავყიდით! თურქის ქალს ცოლად ნუ მოიყვანთ, უცხო კაცს ადგილს ნუ მისცემთ, აქ სახლს ნუღარ აიგებს! თუ უცხო თესლს სახლის დასადგმელ ადგილს მისცემთ, იმათ ქალიშვილს შეირთავთ, ჩვენი ენა, ჩვენი გვარი დაიკარგება".

მიწის ფასი კარგად ესმოდათ ჩვენს წინაპრებს. ასეა ეს ყველა ქვეყანაში. დღეს კი საქართველოში ზოგიერთებს საკამათო საგნად უქცევიათ, სახელმწიფოს, ერის მთავარი ღირებულება გაიყიდოს თუ არა! მეტი სირცხვილი და თავის მოჭრა რაღა უნდა დაემართოს ქართველ ხალხს?!

ავტობუსში დაძინების იმედი თურქულმა ნიავმა წაიღო და გათენებულზე **დუზჩეს** მივადექით. მასპინძლებმა ქალაქის ახლოს, ქართველებით დასახლებულ სოფელში წაგვიყვანეს. მწვანეში ჩაფლული, ერთსართულიანი მოგრძო სასტუმროს პატრონი ასევე ქართველი გამოდგა. ის ქართულად ვერ ლაპარაკობდა, თარჯიმნობას მასთან მომუშავე აჭარელი ირაკლი გვიწევდა.

საუკუნის წინ აქ გადმოსახლებული აჭარლები და ლაზები ძნელად თუ საუბრობენ ქართულად. დუზჩეს გარშემო, როგორც გვითხრეს, 22 ქართველური სოფელია. მოსახელობის სააზროვნო-სალაპარაკო ენა კი თურქულია. ერთ ოთხმოცს გადაცილებულ ქალს შევხვდით. ის აქ დაიბადა. თითქმის საუკუნე მიაცილა უცხო გარემოში, მაგრამ მშობლიური ენა ახსოვდა. გაგვაოცა მოხუცის ნათქვამმა შელოცვებმა, რამდენიმე მათგანი სულმოუთქმელად, დაყოვნების გარეშე ჩააბულბულა. მერე, გამოცილებისას, ქართველურად დაგვლოცა და ღიმილიანი მოკითხვა დაგვაბარა უნახავი საქართველოსთვის.

დუზჩეს უნივერსიტეტი მხოლოდ 11 წლისაა, მრავალრიცხოვანი კორპუსებითა და სახელმწიფო დაფინანსებით. ჰყავს ახალგაზრდა, ენერგიული და მუდამ ღიმილიანი რექტორი-ქალი. მისი მხარდაჭერით ქართველოლოგიის მიმართულების პედაგოგებმა რუსთაველის იუბილესადმი მიძღვნილი მშვენიერი კონფერენცია მოამზადეს.

თბილისელ, ქუთაისელ, ზუგდიდელ და ბათუმელ სტუმრებს მასპინძლებმა პირველივე დღეს სასიამოვნო და ულოდნელი გამოფენა დაგვახვედრეს – ფერეიდნელი, ამჟამად-კი ისპაჰანში მცხოვრები ჰელენ იოსელიანის გრაფიკული ნაშრომები, შექმნილი „ვეფხისტყაოსნის" მიხედვით. ავტორი და მისი ქმნილებები ერთმანეთს ჰგვანან სილამაზე-სიფაქიზით. სამწუხაროდ, ჰელენს ქართველურად საუბარი უჭირს, თარჯიმნობას მისი ბავშვობის მეგობარი, საქართველოს საპატრიარქოს უნივერსიტეტის დოქტორანტი საიდ მულიანი გვიწევს. ნანახით გახარებული ვეუბნები მხატვარ ქალს, – აქამდე არსებულ მინიატურებსა და ილუსტრაცია-ქანდაკებებს მშვენიერი ნამუშევრები შეემატა. ისინი აუცილებლად უნდა ჩამოიტანოთ საქართველოში! ჰელენი იღიმება და მეთანხმება.

კონფერენცია უნივერსიტეტის რექტორმა გახსნა. საზეიმო ცერემონიალს დაესწრო საქართველოს კონსულიც თურქეთში. მით უფრო მოულოდნელი იყო თურქეთის ჰიმნის შესრულების მერე საქართველოს ჰიმნის გამოტოვება, ამაოდ იდგა ფეხზე ჩვენი დელეგაციის 15 წევრი. გაოცებული დარჩებოდა „ვეფხისტყაოსნის" ავტორიც, მას მაინც ეკუთვნოდა სამშობლოს ჰიმნის მოსმენა!

სექციურ სხდომებზე მომხსენებლები ძირითადად ჩვენი დელეგაცის წევრები იყვნენ. მათი მოხსენებები თურქულად იყო თარგმნილი და სინქრონულად ეკრანზე მიდიოდა. თურქი ავტორების ან სექციათა წამყვანებისა ჩვენ არაფერი გვესმოდა, ისინი არ ითარგმნებოდა. ამ ხარვეზების მიუხედავად კონფერენცია სასარგებლო-საინტერესო გამოდგა, ყოველი დღის ბოლოს მასპინძელები ქართველური სიმღერისა და ცეკვის ადგილობრივი ანსაბლების კონცერტებს გვთავაზობდნენ.

საგანგებოდ უნდა ითქვას საქართველოდან დუზჩეს უნივერსიტეტში წარგზავნილი პედაგოგების შესახებ, ისინი ყველაფერს აკეთებენ იქ მცხოვრები ქართველებისთვის, საბაკალავრო სწავლების გარდა სტუდენტებს ქართველურ კულტურაზეც მიეწოდებათ სათანადო ინფორმაციები. შედეგიც სასიკეთოა, იგრძნობა ინტერესი საქართველოს წარსულითაც და აწმყოთიც. დასტური ამისა თვით კონფერენცია იყო. იგი სულაც არ გახლდათ ფორმალური, – ღონისძიება ღონისძიებისთვის.

მესამე დღეს კონფერენციის საზეიმო დახურვის, სამახსოვრო სურათების გადაღებისა და მერე ესკურსიის შემდეგ მასპინძლებს გულთბილად დავემშვიდობეთ მომავალი შეხვედრებისა და საქმიანი ურთიერთობების გაგრძელების იმედ-სურვილებით. ოცსაათიანი მგზავრობა მრავალტანჯულ მიწაზე საკმაოდ დამღლელი და მძიმე იყო, გაუცხოვებული ზღვა მდუმარედ მიგვაცილებდა სანაპიროზე. თურქეთ-საქართველოს საზღვარი შუაზე გახლეჩილ სარფში ამჯერად სვანური ქუდის მოუხდელად გამოვიარე. გონიო-ბათუმის წვიმიანი გზა აფორიაქებული სულის დამამშვიდებელი იყო, საქართველო მალე დადგება ფეხზე, „არწივი“ ჭრილობებს მოიშუშებს და არავის მისცემს უფლებას, ავი თვალით შემოხედოს ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას! არც სოფლის ბრუნვაა საშიში, რადგან „ღმერთი არ გასწირავს კაცსა მისგან განაწირსა!“

ზურაბ თორია

მწერალი ზურაბ თორია დაიბადა აფხაზეთში. 1977 წლიდან ეწევა ლიტერატურულ საქმიანობას. არის ავტორი მოთხრობათა კრებულებისა: „ადგილი ცის ქვეშ“ 1986 წ., „კედელი“ 1988 წ., „ამსოფლის მგზავრი“ 2006 წ., „მახარებელი“ 2014 წ., რომანისა „ვიდრე უხმობდე სხვას“ 2016 წ., რუსული ენიდან თარგმნა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II-ის „ივერიის კულტურული როლი რუსეთის ისტორიაში“, რომელიც შესულია „ქართული მწერლობის 23-ე ტომში. იგივე წიგნი გამომცემლობა „ციცინათელამ“ „მწიგნობრობა ქართულის“ რუბრიკით გამოსცა 2011 წელს, ხოლო საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსი ხელაიას წიგნის მისივე თარგმანი რუსულიდან „ქრისტიანობის ბრძოლა ისლამთან საქართველოში“, იმავე გამომცემლობამ გამოსცა 2013 წელს.

სხვადასხვა წლებში მუშაობდა ლიტერატურულ ჟურნალებსა და გამომცემლობებში. 1988 წლიდან დღევანდლამდე საქართველოს საპატრიარქოს ჟურნალ „ჯვარი ვაზისას“ პასუხისმგებელი მდივანია.

ყვავილებით ვინ ხვდება ემიგრანტებს?

ამასწინათ მეგობართან ერთად რუსთაველის გამზირზე ვსეირნობდი. მოსწავლეთა სასახლეს რომ მივუახლოვდით, საიდანღაც ნაცნობ, ელეგანტურად შემოსილ, არცთუ ახალგაზრდა ქალს ვკიდე თვალი. ჩემდა გასაოცრად, ისე ჩქარა ჩაგვიარა, ზურგისა და მის გვერდით მავალ მაღალ, მხრებში მოხრილი კაცის კეფაზე ქალურად შეკრული ჭაღარა კულულისთვის თვალის შევლება ძლივს მოვასწარი.

– მოიცა, ეგ თორნიკე არ იყო?. შემომხედა, მაგრამ თვალი ამარიდა! – გაიოცა ჩემმა თანმხლებმა, შევდექით და ქალის გვერდით კუნკულით მიმავალ კაცს გავხედეთ.

– არა, ალბათ, შეგეშალა, – ვუპასუხე საკუთარ სიმართლეში ღრმად დარწმუნებულმა, მივტრიალდით და გზა გავაგრძელეთ.

საღამოს, სამსახურიდან ახალდაბრუნებულმა მეუღლემ, ავტობუსიდან გადმოსულს, ვიღაცამ ორჯერ მიხმო, თორნიკე აღმოჩნდა, მორიგი ცოლი ახლდა, შენთან განსაკუთრებული მოკითხვა დამაბარა,

თან დამპირდა, ამ დღეებში აუცილებლად გამოგივლითო, რაზეც კინაღამ წამომცდა, ეს რა ბედნიერება გვწვევია-მეთქი...

„აჰა, ესე იგი, ის კულულიანი კაცი მართლაც თორნიკე არ ყოფილა, ნეტა ასე უბრად რატომ ჩაგვიარა?!“ – გამიელვა და მეუღლის ირონიული ფრაზის განხილვა არც მიცდია.

თორნიკე ჩემი დიდი ხნის მეგობარია, თუმცა, მე მგონია ასე, თორემ შესაძლოა, ის სხვანაირად ფიქრობს. ალბათ, მეგობრად იმის გამო მივიჩნევ, მიუხედავად იმისა, რომ ოც წელზე მეტია, რაც საფრანგეთში ცხოვრობს, ორ ან სამ წელიწადში ერთხელ სამ-შობლოში ორიოდე კვირით როგორც კი გამოჩნდება, მოუცლელობის მიუხედავად, არაფრით არ შეიძლება არ მნახოს. ეს, დამნაშავეს დანაშაულის ადგილი რომ იზიდავს, სწორედ იმგვარადაა, იმ გან-სხვავებით, რომ მას ჩემთვის არავითარი ვნება არ მოუყენებია, საკუთარ თავს თვითონ დაუშავა და ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, ყოველი ვიზიტით თავის გამართლებას ჯიუტად ცდილობს.

ხუთი წლის წინ ქერათმიან, ლურჯთვალება და ტანმაღალ, მომხიბვლელი აღნაგობის ახალგაზრდა ქალთან ერთად გამომეცხადა, რომლის სახელი – ფრანსუაზა მის ფრანგულ ნარმომავლობას განსაკუთრებულად უსვამდა ხაზს. შარშანწინ რუსთაველზე ნანახ ქალბატონთან ერთად მეწვია, რომელსაც გარეგნობასთან შედარებით შეუფერებელი სახელი – ბიბი ერქვა. ქალი ასაკის მიუხედავად, გრაციოზულის შთაბეჭდილებას ტოვებდა, სახელი ბიბი კი ჩემში რატომღაც უარყოფით ასოციაციას იწვევდა და მის მიმართ მაინცდამაინც კეთილად ვერ განმაწყობდა. თორნიკემ შარშანწინ ეს ქალი რომ მომაყენა და გამაცნო, ალბათ, ჩემი ნაირ-ნაირი ცოლების გაცნობით დაიღალეო, ვითომ იხუმრა. შენ იკითხე, თორემ, მათთან შეხვედრა შესაძლოა, მეორეჯერ არც მომიწიოს-მეთქი, გავკენწლე. რა ენაგესლიანი გამხდარხარ, ადრე ასეთი არ იყავიო, მომიგო შემცბარმა. რას იზამ, ქვეყანაში რა რეალობაცაა, იმგვარად ჩამოვ-ყალიბდი-მეთქი, არ დავუყოვნე პასუხი.

ბიბიმ მისაღებ ოთახში პირველად რომ შემოაბიჯა და წიგნებითა და ხატებით გადავსებულ კედლებს თვალი მოავლო, სახეზე ღრმა პატივისცემა და მოწიწება დაეტყო. იგი წიგნებისა და ხატების უნახავი არ ჩანდა, მაგრამ, როგორც თორნიკემ მისი ნაჟღურტულევი მითარგმნა, ჩემს სახლს სიმყუდროვითა და სისადავით მოუხიბლავს და, მივხვდი, რომ მათ საზღვარს იქით, ალბათ, ეს სიმყუდროე აკლდათ. დარწმუნებული ვარ, თორნიკე მასთან ერთად ოჯახურ იდილიას ვერ შექმნიდა, რადგან კაცს ამისთვის ჯერ სურვილი უნდა

ამოძრავებდეს, შესაბამისად ერთგულებაც და რახან ეს აქამდე არ ჰქონია, აწი რაღას გააწყობდა.

თორნიკე ბიბის გვერდით იმდენად შეუფერებლად გამოიყურებოდა, ხმამაღლა წამომცდა. მას გაეცინა. მაინც რას მიწუნებო, მკითხა გაღიზიანეულმა. როგორ გეკადრება, ჩემი დასაწუნი რა გჭირს, უბრალოდ, სრულიად განსხვავებული ფსიქოტიპები ხართ და ძალიან მიკვირს, რა გაკავშირებთ-მეთქი. ჩემი მსგავსი რომ იყოს, როგორ ავიტანდი, თუ ძალიან გაახურა, პრობლემა არ არის, სხვით ჩავანაცვლებო, ვითომ იხუმრა. ბიბი მგონი მის სიტყვებს ჩასწვდა და განმარტება მოითხოვა, მაგრამ თორნიკემ უპასუხოდ დატოვა.

ძალიან გამიკვირდა ორი წლის შემდეგ კვლავ ბიბისთან ერთად რომ დავინახე. ქალი საკმაოდ მოტეხილი მეჩვენა, თორნიკეც. წლებს მისთვის დარბაისლური იერი შეემატებინა, მეტად გამხდარს სახის ნაკვთები იმდენად დახვეწოდა, ლამის ასკეტს დამსგავსებოდა.

ოცდაორი წლის ძლივს იქნებოდა, არაგვისპირიდან ჩამოსული მაღალი, სიცოცხლით სავსე, მოხდენილი შავგვრემანი ბიჭი ჟურნალის რედაქციის ვესტიბიულში მოწრიალე რომ შევნიშნე. გამოვეცნაურე. ძლივს გამოტყდა, რომ ლექსები ჰქონოდა მოტანილი და რედაქციაში შესვლის ერიდებოდა. გავამხნევე, შიგნით შესვლაზე დავიყოლიე. ქურთუკის გულისჯიბიდან საკლასო რვეულის დაჭმუჭნილ ფურცლებზე ოკრო-ბოკროდ ნაწერი ლექსები ამოიღო, ხელისგულით გულდასმით გაასწორა, თანამშრომლებს გულში ჩამწვდომი, ბოხი ხმით წაუკითხა, ნედლია, მაგრამ ნიჭის ნაპერწკალი ეტყობაო, ერთობლივად დაასკვნეს, გაამხნევეს და გზა დაულოცეს.

მის პირველ ლექსებს მკითხველთა კეთილგანწყობა არ დაჰკლებია. სულ მალე ერთი გახმაურებული ლიტერატურული ჯგუფის წევრი გახდა და აქედან დაიწყო მისი ბობოქარი ცხოვრება.

ხელმოკლე ოჯახიდან იყო. მამამისი დედამისს ადრევე გასცილებია, სხვა ქალი შეურთავს, მშობლიური ფუძიდან მოშორებით სახლი გაუმართავს და იმ ქალთანაც შვილები გაუჩენია. ასე რომ, მისთვის დედას ქალაქში გამოსტუმრებისას დედობრივი ალერსისა და სიყვარულის გარდა, სხვა რა განძი უნდა გამოეტანებინა, ცხოვრების მიერ გაკერკეტებულ მამას კი ამის სურვილიც რომ ჰქონოდა, დიდს ვერაფერს შეჰმატებდა.

თორნიკე თავიდან რომელიღაც ქარხანაში დამხმარე მუშად მოეწყო. ბინის ქირას ძლივს აუდიოდა, თუმცა, საღამოობით ახლადგაცნობილ მეგობრებთან ერთად კაფე-ბარებისა და იაფფასიანი

სასადილოების ხშირი სტუმარი გახდა. მის თანამეინახეთა უმრავ-ლესობას ბოჰემური ცხოვრება მოწყენილობის დასაძლევად იზიდავდა და მათი აყოლა თორნიკეს ცხადი იყო, სასიკეთოს ვერაფერს მოუტანდა, მაგრამ ეს წრე თანდათან მთელი ძალით ითრევდა.

ამას ისიც დაერთო, ერთ-ერთ საღამოზე საკმაოდ თვალადი, მაგრამ უაღრესად ამბიციური სტუდენტი გოგონა გაიცნო, რამდენიმე ხანში ლოგინში შეიტყუა და სოფლიდან გამოყოლილი ჩვევიდან გამომდინარე, დაიტოვა.

ასე მგონია, თვითონაც ვერ დაასახელებს, მას ეს ქალი ანუ ლელიკო, როდის უყვარდა, და თუ უყვარდა, ამდენ ვაი-უშველებელს თავზე რატომ ატეხდა. თვით ქალი, მიუხედავად ყველაფრისა, მაინც თორნიკეზე მგონია მიჯაჭვული, თუმცა ეს დამცირებული ქალის მიერ კაცზე შურისძიების დაუძლეველ სურვილს უფრო მაგონებს, ვიდრე ნამდვილ გრძნობას.

ლელიკო ხელსაყრელ მოვლენათა წყალობით ახალგამომცხვარი კომერსანტის შვილი გახლდათ და მიუხედავად იმისა, რომ ხელოვ-ნებით გატაცებას იჩემებდა, მუდმივად მატერიალური კეთილდღეო-ბის გაუმჯობესების სურვილით იწვოდა და ქმარს სიმამრის კვალზე სიარულისკენ უბიძგებდა, მაგრამ ვერაფრით ითანხმებდა. ამ ნია-დაგზე კინკლაობდნენ, ხმამაღალი აყალ-მაყალიც არ აკლდათ. თორ-ნიკე სახლიდან გარბოდა, ხან ვის და ხან ვის აფარებდა თავს. ჩგარკვეული დროის შემდეგ ბრუნდებოდა და ერთხანს სიმშვიდეს ინარჩუნებდნენ.

თორნიკეს ლიტერატურული განათლება ზერელე წარმოდგენებს არ გასცილებია. ჩვენში მის მსგავსად ლექსებს ბევრი წერდა და წერს დღესაც, თუმცა, ყველას პოეტს ვერ უწოდებ, უფრო ლექსთმწერები ეთქმით და რაღაც ასაკის შემდეგ თავიანთ შესაძლებლობებს როგორც კი ამოხაპავენ, ლექსების თხზვას თავს ანებებენ, ხშირად კრიტიკოსები ხდებიან და წარმატებულ თანამოკალმეთ სიცოცხლეს უმწარებენ, ან ხელმოცარულობის მძაფრი განცდით იტანჯებიან. ეს საშიშროება თორნიკეს ადრიდანვე შეატყო ლიტერატურულ წრეებში გავლენამოპოვებულმა, ასაკით მასზე საკმაოდ უფროსმა ქალბა-ტონმა და რადგან თორნიკეს სკოლაში ფრანგულს აქა იქ, მაგრამ მაინც ასწავლიდნენ, მისი უცხო ენათა ინსტიტუტში ფრანგული ენის განხრით მოწყობა გადაწყვიტა. ერთ-ერთი საგნის ჩაწყობაში ირიბუ-ლად მეც მიმაღებინეს მონაწილეობა. ირიბულობა კი იმაში გამოიხატა, რომ ისტორიის კომისიის თავმჯდომარის სიძის მამიდაშვილთან მიმაგზავნეს და დახმარება მათხოვნინეს.

თორნიკეს დაჩემებული ჰქონდა, ჩემი ზერელე ცოდნის პატრონი რანაირად შეიძლება ინსტიტუტში ჩაირიცხოს, ეს ხომ იმათი უფლებების დარღვევა იქნება, ვინც სკოლა წარმატებით დაასრულა და წლობით დამოუკიდებლად ან რეპეტიტორებთან მეცადინეობსო, მაგრამ მისი დახმარების სურვილით ანთებულ ქალბატონს საწინააღმდეგო აზრის მოსმენა არ უნდოდა, ამოჩემებული ჰქონდა, არა უშავს, გამონაკლისის დაშვება ყოველთვის შეიძლება, იქ მრავალი ისეთი ხვდება, რომელთაც გააზრებული არცა აქვთ, რისთვის ამთავრებენ ამ სასწავლებელს, აი, შენ კი უცხო ენის დაუფლება მაცოცხლებელ წყაროსავით გჭირდება და დარწმუნებული ვარ, შემოქმედებით ზრდაში გამოგადგებაო...

თორნიკე ინსტიტუტში კოლექტიური ძალებით ჩაირიცხა, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ ჩემი ნაცნობის პროტექციით ჩაბარებულ საგანში რა მიიღეო რომ ვკითხე, მიმღები კომისიის თავმჯდომარე ჩემი ცოდნით იმდენად აღტაცებული დარჩა, უმაღლესი შეფასება დავიმსახურეო, მიპასუხა.

ეს ბიჭი ბროლივით სუფთა მეგონა, მაგრამ ჩემდა სამწუხაროდ მივხვდი, რომ სისპეტაკით ვერ დაიკვეხნიდა. როგორც შემდეგში ცნობილი გახდა, მისი შემაგულიანებელი ქალბატონის მცდელობებიც არ ყოფილა უანგარო და თანადგომა ოსტატურად შეუნიღბავს.

თორნიკეს ცოლს იმ ხანებში თავი მოუწამლავს. პირველი, ვინც საავადმყოფოში მასთან მიჭრილა, სწორედ თორნიკეს ინსტიტუტში მოწყობაზე თავგამოდებული ქალბატონი ყოფილა. სახეზე ყალბთანაგრძნობააფარებული იძიებდა თურმე, მოწამვლის მიზეზებს. თორნიკეს ცოლმა გულუბრყვილოდ უამბო, როგორ უპოვა ქმარს უცნობი ქალის სასიყვარულო ბარათები და, როცა ის ქალბატონი დარწმუნდა, რომ თორნიკეს ცოლს მასზე ეჭვი არ აღძვრია, იმ საძაგელმა ეს როგორ იკადრა ან ამისთანა რამ როგორ გაგიბედაო, ვითომ აღშფოთებულა და თორნიკეს ცოლი იმდენად შეუგულიანებია, ეს უკანასკნელი დამუქრებულა კიდეც, იმ ბინძური დედაკაცის ვინაობას უეჭველად დავადგენ და ნახეთ, თვალები თუ არ დავთხაროო.

არ ვიცი, იმ ქალბატონს თორნიკეს ცოლის მუქარის შეეშინდა, თუ რა იყო, მაგრამ ფაქტია, თორნიკეს მალევე ჩამოსცილდა, თუმცა, უმადურისა და უილაჯოს ეპითეტებით მისი შემკობა კარგა ხანს ვერა და ვერ მოიშალა. ბევრი ვერ იგებდა რაში გამოიხატებოდა ეს უმადურობა ან უაილაჯობა, მაგრამ მისი უახლოესი გარემოცვისთვის იმთავითვე ყველაფერი ნათელი იყო...

ამ დავიდარაბაში თორნიკეს და მის ცოლს ორი თვალებბუდუშურა, ერთიმეორეზე საყვარელი გოგონა ეყოლათ.

თორნიკე ცდილობდა პოეზიაში საკუთარი სიტყვა ეთქვა, ერთი ხანობა თავდაუზოგავად შრომობდა, მაგრამ მისი ცოლი ქმრის მისწრაფებებს არაფრად აგდებდა. კი ბატონო, ლექსები როცა უნდა მაშინ წეროს, არ დავეძებ რა გზით და როგორ, კაცია და, პირველ რიგში ოჯახი უნდა არჩინოსო, ჰქონდა აჩემებული.

ცოლის ზეწოლებმა თავისებური შედეგი გამოიღო. იმხანად შემოქმედებითი დაწესებულებები ბინებს ანაწილებდნენ და თორნიკეს კეთილმოსურნე თანამოკალმეთა თავგამოდებით, ქალაქის განაპირა უბანში სამოთახიანი ბინა მიაკუთვნეს, რომელიც ლელიკოს მამამ კეთილმოაწყო, ავეჯითაც დაამშვენა და წესით, ცოლ-ქმარს სიამტკბილობაში უნდა ეცხოვრა, რადგან ეღირსათ საკუთარი ჭერი, ეზრდებოდათ ულამაზესი და გონიერი შვილები, თითქოს უყვარდათ კიდეც ერთმანეთი, მაგრამ მათი უთანხმოებები სწორედ ამ დროიდან უფრო გაღრმავდა.

ყოველივეს ქვეყანაში არსებული არასტაბილური სოციალური თუ პოლიტიკური ატმოსფეროც უწყობდა ხელს. დამოუკიდებლობის გარადამავალ პერიოდში მიყოლებით იხურებოდა მთელი რიგი საწარმოები, დღითი-დღე იზრდებოდა უმუშევართა რიცხვი, დახლებიდან ქრებოდა პირველადი მოხმარების საგნები, მათი უმეტესობა შავ ბაზარზე, გადამყიდველების ხელში ხვდებოდა. ამ საყოველთაო კრიზისის ჟამს თორნიკემ მაინც მოახერხა სამსახურის შოვნა, მაგრამ, როცა შეატყო, რომ მისი მონაგარი ოჯახის მცირე ხარჯებსაც არ ყოფნიდა, ჯთანდათან გულგრილი გახდა ცოლის საყვედურების მიმართ, ერთხელ კი ცოლის გამოხდომებს ვერ გაუძლო და შინიდან ფეხი ამოიკვეთა.

ხან ვისთან იყო შეხიზნული და ხან ვისთან. აფხაზეთის ომშიც კი წავიდა მოხალისედ, მაგრამ იქაურ ქაოსს ვერაფერი გაუგო, ოთხი თვის შემდეგ მხარში დაჭრილი და ჯანგატეხილი დაბრუნდა და ხელმოცარულობის განცდით ძლეული, ამაოდ აწყდებოდა ყოველი მხრიდან აღმართულ ყრუ კედელს.

ბოლოს, მოვლენები ისე წარიმართა, ერთი ნიჭიერი, მაგრამ ავანტიურისტი ლიტერატორის მიერ შეცდენილ და უარყოფილ ახალგაზრდა ლამაზმანთან გააბა ურთიერთობა, გაეყარა ლელიკოს, იმ ქალთან ვიწრო წრეში იქორწინა, რაღაც მანქანებით ერთოთახიანი ბინა იშოვა და შეუდგა გაორებულ ცხოვრებას. და მაშინ, როცა პირველი ცოლ-შვილის რჩენას ძლივს ახერხებდა, რაც მათი ოჯახის

დანგრევის მთავარი მიზეზი აღმოჩნდა, ახლა ყოველივეს მეორე ცოლის და მასთან შეძენილი ვაჟიშვილის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ჭაპანწყვეტაც დაემატა.

სიდუხჭირემ აიძულა ქუჩაში დამდგარიყო და წიგნებით ევაჭრა. რამდენჯერ მინახავს რუსთაველის გამზირზე წიგნების სტენდთან ატუზული წვერმოშვებული, აჩაჩულ-დაჩაჩული და სახეზე უიმედობა-აღბეჭდილი. წიგნის ვაჭრობით რა ქონება დააგროვა ვერავინ გეტყვით, რადგან როგორც ქართველთა უმრავლესობა, ისიც იმპულსური და კომერციაში გამოუცდელი იყო. რაც ყველაზე არსებითია, მას არ ჰქონდა ის ძირითადი მახასიათებლები, რაც ვაჭრისთვის, ალბათ, სხვა აუცილებელ თვისებებთან ერთად არის მთავარი, და ეს მთავარი, ალბათ, ბაზრის მოთხოვნათა გათვალისწინების უტყუარი ალღო, გინდა მუღამი, სარფას მუდმივად გაზრდის დაუძლეველი სურვილია და ვინც ამ თითქოსდა მარტივ თამაშს უგულებელყოფს, ბაზარი ამარცხებს. ამ გაუგებრობაში თორნიკე მარტო არ ყოფილა. როგორც კი დამოუკიდებლობის სიომ დაჰბერა და ქვეყნის საზღვრები გაიხსნა, ჩვენმა მოქალაქეებმა იხუვლეს, მიაშურეს ძირითადად თურქეთს, საბერძნეთსა და პოსტსაბჭოთა ქვეყნებს და მათმა უმრავლესობამ ისეთი მდარე ხარისხის ჭრელაჭრულა საქონელი შემოყარა, ბუნებრივია, ხელი მოეცარათ და ვალების გასასტუმრებლად, ერთადერთი უძრავი ქონების, ბინების ჩალის ფასად გაყიდვა და ქუჩაში წანწალი მოუწიათ.

მათგან განსხვავებით, თორნიკე საქონლის ჩამოსაზიდად არსად წასულა, ნაცნობს თუ უცნობს მასთან მიჰქონდა ძველი გამოცემები, რომელთაც მცირე ფასდანამატით ყიდდა და როგორც ჩანდა, მონაგარს ორ ოჯახს შორის ანაწილებდა ან ხშირად მთელი დღეები სტენდთან ამაოდ იტკეპნებოდა, რადგან იმ დროს წიგნის შეძენის შესაძლებლობა ბევრს არ ჰქონდა, ვისაც ჰქონდა, იმათ წიგნი დასანახად არ უნდოდათ და ნაღდი მყიდველის გამოჩენა დღესასწაულის ტოლფასი იყო.

ქუჩა, როგორც ცნობილია, თანდათან ითრევს ადამიანებს. მის ნაბიჯ-ნაბიჯ ჩამთრევ და გამანადგურებელ ძალას ერთეულები უძლებენ, რადგან მას თავისი დაუწერელი კანონები აქვს და თუ მავანმა ნებისყოფას არ მოუხმო, თავმოყვარეობასა და სიმტკიცეს თვალსა და ხელს შუა კარგავს.

ეს საშიშროება თორნიკესაც დაემუქრა. კეთილისმყოფელებმა რამდენჯერ ურჩიეს, წიგნებით ვაჭრობას შეშვებოდა და ლიტერატურული საქმიანობა გაეგრძელებინა ან არაგვისპირში დაბრუნებულიყო,

მაგრამ მას ვერც ერთს ვერ უხსენებდი. ეტყობა, ქუჩის ურთიერთობებმა იმდენად გაცვითა, ლექსი არ ეწერებოდა, თავის სამოთხისმაგვარ, ბუნების მშვენიერებით გამორჩეულ კუთხეში დაბრუნება უკვე აღარ სურდა, რადგან იმ შეუდარებელსა და პირველყოფილ სამყაროში დაფუძნება მომავალ წარმატებებზე უარის თქმას უდრიდა, რაზეც მას საბოლოოდ ხელი არ ჰქონია ჩაქნეული.

და აი, მან გადამწყვეტი ნაბიჯი გადადგა და ეს ერთხელ, თავის სტენდიან-წიგნებიანად მიწისქვეშა გადასასავლელს თავშეფარებულმა გამანდო.

საცხოვრებლად საფრანგეთში წასვლა გადაუწყვეტია.

აქ ვერაფერს ეწიე და საფრანგეთში ყვავილებით ვინ დაგხვდებამეთქი, გავიოცე. წასასვლელი თანხა თქვი, თორემ ვიცი, იქ უეჭველად ბედს ვეწევიო, – მომიგო თავდაჯერებით და მივხვდი, მისი გადარწმუნება არცთუ იოლი იქნებოდა.

მალე შევიტყვე, მეორე ცოლთანაც გაყრილა, სამგზავრო თანხის ფასად ლელიკოს მამისთვის ბინა გადაუფორმებია. დიდხანს მის შესახებ არაფერი ვიცოდი. ლელიკო თორნიკეს ნაცნობ-მეგობრებთან ურთიერთობას მიზეზთა გამო გაურბოდა, მაგრამ მასთან დაკავშირებით რაღაც-რაღაცებს მაინც ვიგებდი. ერ-ერთი ის იყო, როგორც კი თორნიკემ ქვეყანა დატოვა, სასწავლო კურსები გაუვლია და მაღალანაზღაურებად სამსახურში მოწყობილა. მანამდე არსად უმუშავია და ბევრს სალაპარაკო მიეცა, ეს სამსახური ადრე რომ ეშოვა, იქნებ ქმარი შეენარჩუნებინაო.

მოგვიანებით შევიტყვე, თორნიკე საფრანგეთის ერთ-ერთ დიდ ქალაქში დაფუძნებულა, სამუშაოც უშოვია, გარკვეულ თანხებს უგზავნიდა შვილებს, მოგვიანებით კი ბავშვები ფრანგულის რეპეტიტორს მიაბარე, რამდენიმე ხანში მათ წაყვანას ვაპირებო, შემოუთვლია ცოლყოფილისთვის.

გასაოცარი ის იყო, ქალს მისთვის წინააღმდეგობა არ გაუწევია. ფრანგული ენის პედაგოგთან დაატარებდა გოგონებს, ორიოდ წელიწადში კი მეხუთე და მეშვიდე კლასის მოსწავლეები, დედამ საფრანგეთის გზას გაუყენა.

თორნიკე მათ ჩასვლამდე, რომელიღაც კოლეჯის ადმინისტრატორს, მოკრძალებული შეძლების აფთიაქარების ქალიშვილ ფრანსუაზას შეჰკედლებია, რომელიც წლების განმავლობაში განსაკუთრებულ სითბოსა და ზრუნვას იჩენდა თორნიკეს გოგონების მიმართ, მაგრამ მას მისი უახლოესი მეგობრის ბიბის გამო დასცილებია, რომლის პიროვნებით არც დავიტერესებულვარ, რადგან

მეგონა, რომ ის თორნიკეს დროებითი გატაცება იყო და ადვილად შესაძლებელად მიმაჩნდა, მომავალში კიდევ სხვა ვინმესთან ერთად გამომცხადებოდა.

აი, სულ ესაა, რაც ვიცოდი საქართველოდან გადახვეწილ თორნიკეზე.

როცა ჩამოდიოდა, არასოდეს არ მეძლეოდა იმისი შესაძლებლობა, შემეტყო, რას საქმიანობდა, როგორ ეცხოვრებოდა უცხოობაში, რადგან მოულოდნელად, აურზაურით მოგვადგებოდა. ტაქსის მძღოლი გამბით გვისიგნალებდა ეზოდან, მთელი კორპუსი აივნებზე გამოეფინებოდა და ცნობისმოყვარედ უსმენდა გამომტყვრალი თორნიკეს უგზოუკვლო განმარტებებს, რესტორნიდან ან საიდანღაც მოვდივართ, ფული შემომაკლდა და ტაქსის გასასტუმრებელი თანხა ჩამომიტანე, ამ დღეებში უსათუოდ დაგიბრუნებო, რომ გაჰყვიროდა. ჩამქონდა ფული, ამომყავდა შინ (არ ამოიყვანდი და, მოგადგებოდა, კარზე ბრახუნსა და ერთ ვაიუშველებელს ატეხდა და მოსეირეთა ყურადღებას უფრო მეტად მიიპყრობდა) და ზედაპირული კითხვა-მოკითხვების შემდეგ, მთელი ოჯახით ვიწყებდი სირბილს წინ და უკან, არიქა, ემანდ უცხოელ სტუმართან სირცხვილი არ ვჭამოთო. თორნიკე ერთთავად ოხუნჯობდა. არც დაუსრულებელ წრიალს გვიშლიდა და არც რამე. პირიქით, ჩვენი მონდომების გამო კმაყოფილიც კი ჩანდა. მისი ქალები ძალისძალათი იციცქნებოდენ, თორნიკეს სმას უკრძალავდნენ, ემუქრებოდნენ, წვეთიც რომ დაამატო, ხვალვე გავფრინდებით და აქ დაგტოვებთო, და დაუსრულებლად გვიმტკიცებდნენ, საფრანგეთში საოცრად თავშეკავებულია, ერთი გაგვაგებინა, აქ რა მოსდის, ამ ღვინოში რატომ იხრჩობს თავსო... და, როცა მათ ვაცილებდი, გასავათებულს, რამის კითხვის სურვილი არც მრჩებოდა...

რუსთაველზე შეხვედრიდან ორიოდ დღეში თორნიკე და ბიბი მესტუმრნენ. თორნიკე ამ შემთხვევაში ფხიზელი ჩანდა. სიმართლე რომ ვთქვა, შევწუხდი, რადგან შინ მარტო გახლდით და სტუმრებს შესაფერისად ვერ ვუმასპინძლებდი, მაგრამ მეორე მხრივ გამეხარდა, მარტო რომ ვიქნებით, ერთი გემოზე დავილაპარაკებთ-მეთქი, სიტყვის მასალისთვის კი განვაცხადე, კარგი იქნებოდა წინასწარ დაგერეკათ, თადარიგს დავიჭერდი-თქო, რასაც თორნიკეს მხრიდან მთელი რიგი პროტესტები მოჰყვა და თითო ბოკალ შავ ღვინოს, მინერალურ წყალს, ხილსა და ყავას დავჯერდით.

არ მომჩვენებია, აშკარად მოტეხილები ჩანდნენ.ჯქალი თორნიკეზე გაცილებით უფროსი იყო და ეს ბუნებრივადაც მიმაჩნდა, მაგრამ

თორნიკემ ორმოცდაათს ის ის იყო, მიუკაკუნა და მისი სახის ნაკვთებისთვის წლებს აშკარა იერიში რომ მიეტანა, ეს დამშვიდების საბაბს არ იძლეოდა.

– რაო, ბიჭო, ხომ არ დავბერდი? – მკითხა, როცა მაგიდასთან მოხერხეულად მოეწყო და გამჭოლი მზერა მომაპყრო.

მისი კითხვა იმდენად მოულოდნელი და ზუსტი აღმოჩნდა, გავოცდი.

– ნუ გიკვირს, სამსახური მაქვს ასეთი... სახის გამომეტყველებით ვხვდები, ვინ რას ფიქრობს ჩემზე, – სანამ რამეს ვეტყოდი, თვითონ გამცა პასუხი.

ბიბი ცნობისმოყვარედ მოგვჩერებოდა.

თორნიკემ ნათქვამი უთარგმნა. ქალმა გაულიმა, ჭიქას დასწვდა, მინერალური წყალი მოსვა და სასოებით მოგვაჩერდა. იგი ამ დროს დამჯერე ბავშვს ჰგავდა, რომელსაც შეჰპირდნენ ოღონდ არ იხმაურო და ტკბილეულით ყელს ჩაგაკოკლოზინებთო.

– რა სამსახურია ასეთი, რომ...

– შენ ჯერ იმ კითხვაზე მიპასუხე! – მის ხმაში კატეგორიულობა გაჟღერდა.

– სიბერის რა მოგახსენო, მაგრამ მართალი გითხრა, მეტად შეცვლილხარ.

– უარესობისკენ, ხომ?

მისი სახის სწორ ნაკვთებს დავაკვირდი. ერთ დროს ფართო, სხივოსან შავ თვალებში უიმედობა ჩაჰბუდებოდა, ხოლო ღაწვებსა და შუაში ჩაკეცილ ლოყებზე თითქოს ყველა მისი ცოდვა-მადლი უწვრილეს ნაკეცებად ასხმულიყო.

– ნაოჭები მოგძალებია, უფრო მოხრილხარ, თმა და წვერი მთლიანად გაგჭაღარავებია, ეგაა და ეგ...

მზერას არ მაცილებდა. ჯიბიდან „ქემელის“ კოლოფი ამოიღო, მითავაზა, მაგრამ როგორც კი უარის ნიშნად თავი გავაქნიე, ერთი ღერი ამოიღო, აკანკალებული ხელით ტუჩთან მიიტანა, მოუკიდა, დიდი ხნის მწყურვალივით ზედიზედ ღრმა ნაფაზი დაარტყა, ბოლი ბოლქვა-ბოლქვა ამოუშვა და მაგიდას დახედა.

მივხვდი, საფერფლე მოისაკლისა. წამოვდექი, ფანჯრის რაფიდან ავიღე, მივაწოდე და ადგილს დავუბრუნდი.

– რაღა დარჩა?.. დასრულებული ბეხრეკის ავტოპორტრეტი დამიხატე და ეგაა... ამას სარკეში ყოველ დღე უშენოდაც ვუყურებ, შენგან განსხვავებულ შეფასებას ველოდი... მეგობარიც ასეთი უნდა! – უკმაყოფილოდ გააქნია თავი.

– სიმართლის გაგება არ გსურდა?! – ვკითხე გაწბილებულმა.

– ამგვარი ულმობელის არა! – გულდაწყვეტით მიპასუხა.

– შენი ვერაფერი გავიგე. რამდენჯერ მისაყვედურე, რეალობის აღქმის უნარი დაგიკარგავს, ისევ ძველ დროში ხარ ჩარჩენილიო და...

– ამ სიტყვებს ჩემ გარეგნობასთან რა კავშირი აქვს?..

– გულზე მოგეფონებოდა, აუ, როგორ გაახალგაზრდავებულხარ და ფერ-ხორცით ავსილხარ, ეტყობა, მეორე სიჭაბუკე გიბრუნ-დებაო?..

გაეღიმა, ჩემკენ გადმოიხარა, მხარზე ხელი მომხვია და მიმიკრა.

ბიბი თვალს არ გვაცილებდა. ჭორჯერ რაღაც ჰკითხა თორნიკეს. მან გულმოდგინედ აუხსნა ჩვენი დიალოგის შინაარსი. ქალმა მო-ღიმარი სახით შემომხედა და ორად ორი სიტყვა წარმოსთქვა.

– ის შენში ნამდვილ მეგობარს ხედავს, – მითარგმნა თორნიკემ.

– შენში? – ვკითხე ჯიქურად.

– აი ეს, მგონი მას დიდი ხანია აინტერესებს და დარწმუნებული ვარ, შენც...

– ისევ მაგრად მოარტყი! – გავამხნევე, რომ ბოლოს და ბოლოს გამეგო მისი აზრი ჩემთან დაკავშირებით

– სხვისი აზრების ამოცნობის უნარს შემთხვევითობას ნუ მიაწერ, – თითქოს საგანგებოდ წამიყრუა, – თვრამეტი წელიწადია, ფსიქია-ტრული კლინიკის მედპერსონალთან, პოსტსაბჭოთა სივრციდან ჩასულ პაციენტებთან და ციხის ემიგრანტ პატიმრებთან თარჯიმნობას ვეწევი. ამ განხრით ცენზი არა მაქვს, თორემ ისეთი ცოდნა და გამოცდილება დამიგროვდა, დიაგნოზსაც თავისუფლად დავსვამ და მკურნალობის კურსსაც დავნიშნავ...

– პოეზია?

– მისმა უდიდებულესობა მუზამ ვერც გავიგე საბოლოოდ როდის მიგანა.

– მახსოვს, კარგ მომავალს გიწინასწარმეტყველებდნენ.

– ეს იმდენად არასაიმედო ავანსი აღმოჩნა, გვიან, მაგრამ მაინც მივხვდი, რომ ვერასოდეს გავანაღდებდი.

– სამწუხაროა...

– ძაან კი ნუ იდარდებ.

– ახლა აღარაფერს წერ?

– გითხარი, მაცოცხლებელი წყარო დაიშრიტა... ზოგჯერ მხატვრულ ლიტერატურას ვთარგმნი, უფრო ხშირად კი ფსიქიატრთა ნაშრომებსა და სტატიებს, და მადლობა უფალს, რომ ეს მაინც შემიძლია.

– შენი ოცნებები?

– მოუხელთებელი ქიმერების დევნას თავი ძლივს დავაღწიე... კარგად მახსოვს, საფრანგეთში ყვავილებით არავინ დაგხვდებაო რომ გამაფრთხილე, სწორი აღმოჩნდი. თავი რომ გამეტანა, ქარხნის უზარმაზარ ტერიტორიას ზამთრის ცივ ღამეებში ირგვლივ ვუვლიდი, შემოდგომობით პროვინციებში ყურძნის საკრეფად დავდიოდი, ზაფხულის ხვატში ქალაქის პარკებსა და გაზონებს ვრწყავდი, ფერმერების ცხენებს ვუვლიდი და ცხვრებსაც ვმწყემსავდი. ვინ იცის, რამდენი ხელობა მოვსინჯე. შრომა არასოდეს მეზარებოდა, მაგრამ ღირდა კი იმდენი გაჭირვებისა და წანწალის ფასად იმ ნაბიჯის გადადგმა?.. ამათი გაკეთება ხომ არანაკლები წარმატებით აქაც შემეძლო...

საქმე ისაა, რომ მე არც აქ ვითვლები ცოცხლებში და არც იქ. ყველგან ზედმეტი აღმოვჩნდი... საბოლოოდ კი შემდეგი რამეს მივხვდი: ჯობია, შენს ქვეყანაში უჩინარი ვინმე იყო, ვიდრე იქ წარმატებული ან თუნდაც საქვეყნოდ სახელგათქმული, რადგან მთელი შენი გრძნობა და გონება ერთთავად სამშობლოსკენაა მიპყრობილი და ამას ვერაფერი შეგიცვლის, ვერც იქაური ხედები, დიდებული სასახლეები, ვერც საოცრად მოწესრიგებული, მსუყე ცხოვრება, რადგან იმ ქვეყნისთვის უცხო ხარ და მუდამ უცხოდ დარჩები, და მიუხედავად იმისა, რომ აქ ისევ სიდუხჭირე და ქაოსია, გული მაინც აქეთკენ მოგიწევს...

– მერე და, რა გიშლის ხელს, დარჩი.

– აი, სწორედ ესაა ჩემი უბედურება... ვერ დავრჩები.

– მიზეზი?

მზერა მომარიდა.

– აქედან გამგზავრების წინ ჩემი ბინა ლელიკოს მამას გადავუფორმე. მან ეს ბინა გარდაცვალების წინ ანდერძით გადასცა ლელიკოს. მეორე ბინა თავიდანვე ისედაც მეორე ცოლის სახელზე იყო. თუმცა, რა ბინაა, კატა კუდსაც ვერ მოიქნევს. რაც შეეხება სოფლის სახლს, თაკომ ამასწინათ იცი რა მითხრა?.. ვერ წარმოიდგენ ნათიას და მე არაგვისპირი როგორ გვიყვარს, ბაბომ შემომითვალა, ეტყობა, მამაშენი არც აპირებს დაბრუნებას, ადგილ-მამული მინდა შენ დაგიტოვო და მამაშენისგან თანხმობა აიღეო...

– მერე რა ქენი?

– დედაჩემთან უკვე ვიყავი და თანხმობის ხელწერილიც ჩავუტანე... ასე რომ, მე ახლა ჩემს სამშობლოში ფეხის დასადგმელიც არ მომეპოვება. ყველაფრის თავიდან დასაწყებად კი უკვე არც ძალა და არც სურვილი მეყოფა... გაგეცინება, მაგრამ ჩემი სახლის გასაღები

შვილებმა ორი კვირით მათხოვეს. გამგზავრების წინ მეზობლებს უნდა დავუტოვო. კვირის ბოლოს ლელიკო და მისი ქმარი ჩამოდიან ოცი დღით და მათ არ უნდა დავხვდე...

– როგორ, ლელიკო გათხოვდა? – გავიოცე, რადგან იტალიაში რომ ცხოვრობდა ვიცოდი, მაგრამ მისი გათხოვების ამბისთვის ყური არ მომიკრავს.

– ახლა კი მართლა დამაბნიე! – წამოიძახა, ყურადღებით დამაკვირდა და, როცა მიხვდა, რომ არ ვთვალთმაქცობდი, გააგრძელა, – შვილებთან ახლოს ყოფნა უნდოდა. ჩვენი წასვლიდან რამდენიმე წელიწადში იტალიაში არალეგალურად ჩასვლა და დარჩენა მოახერხა. საფრანგეთში ხშირად ჩადიოდა, შვილებს ხვდებოდა. როცა გოგოები გათხოვდნენ, ბუნებრივია, მთელ რიგ მოვალეობებს შეძლებისდაგვარად ვინაწილებდით და ძალაუნებურად მიხდებოდა მასთან ურთიერთობა. ჩემი მხრიდან რა თქმა უნდა, ფორმალური, თუმცა მისი მხრიდან არცთუ ორაზროვანი, მაგრამ, როცა სრულ გულგრილობას წააწყდა, ეტყობა, გათხოვება ამის შემდეგ გადაწყვიტა...

ისე, ჩვენში რომ დარჩეს, მას არც ამჯერად გაუმართლა. შეძლებული კაცის მაგივრად, ერთ ფუქსავატ ვინმეს გადაყრია. ცოლის ხარჯზე ცხოვრობს. ლელიკო კიდევ იძულებულია დღე და ღამე გაასწოროს, ხან ვიღაცის ბავშვებს უვლის, ხან ვიღაც დავრდომილებს; დამატებით საზოგადოებრივ დაწესებულებს ალაგებს, მუდმივად ჯარასავით ტრიალებს, მაგრამ უხალისობას არ უჩივის. იტალიასა და საფრანგეთს შორისაა გამუდმებით გაბმული. შვილიშვილები რომ შეგვეძინა, რამდენიმე კვირით რჩებოდა და უნდა გენახა, რა სასოებით უვლიდა მათ. ეს იყო, ქმრის საყვედურებს ვერ აუდიოდა, რადგან მისი ხელის შემყურეა და როგორც კი რამე მოაკლდებოდა, ატეხავდა განგაშს. ლელიკოც კისრისტეხით გარბოდა და უაზრო ახირებებს უსრულებდა.

ერთხელაც ვკითხე, უკანასკნელი გროშიც კი შინ მიმქონდა, მაინც უკმაყოფილო იყავი, სცენებს მიმართავდი, ახლა კი ასეთ უსაქმურ და უჟმურ კაცს როგორ ეგუები-მეთქი. ჩვენ შორის უთანხმოების მთავარი მიზეზი როგორც შენ გეგონა, არა იმდენად ხელმოკლეობა, რამდენადაც ეჭვიანობა იყოო, მიპასუხა. ეტყობა, მახსოვრობა გღალატობს, დღედაღამ ფულზე ლაპარაკობდი და ჩემი შინიდან წასვლის მთავარი მიზეზი ეს იყო-მეთქი. როგორ გეკადრებაო, და სათითაოდ ჩამომითვალა, ვისთან რა ურთიერთობა მქონია. გამაოცა, ასე ზუსტად საიდან იცოდა ან ვინ უკაკლავდა იმ ამბებს. ნათელი იყო, მასთან კამათს აზრი არ ჰქონდა და ვკითხე, ის არ გღალატობს-თქო? არაო.

დარწმუნებული ხარ-მეთქი? შენ როგორ გგონიაო, მკითხა და ისეთი გამჭოლი მზერა მომაპყრო, მივხვდი, რომ ამ საკითხში მოწოდების სიმაღლეზე დგას, ანუ კონტროლს ზედმიწევნით ზუსტად ახორციელებს. ალბათ, გიყვარს და ამის გამო-მეთქი. მკვდრისფერი დაედო, ტუჩებმოკუმული იდგა და გასცქეროდა სივრცეს. შენ წარმოიდგინე, მის მიმართ იოტისხელა გრძნობაც არ მამოძრავებსო, – მიპასუხა მოგვიანებით და ზურგი შემაქცია. მაშინ, ამ გადაწყვეტილების მიღება რამ გაიძულა-მეთქი? – გავიოცე. დიდხანს დუმდა. ქვეყანაში არალეგალურად ყოფნამ და მალვამ იმდენად დამტანჯა, მოქალაქეობის მისაღებადო, – ძლივს ამოთქვა.

– ვაახ, ჩემი-მეთქი! – დამცეცხლა.

– ესე იგი, მის მიმართ გულგრილი მაინც არ ყოფილხარ.

– არა... მიუხედავად ყველაფრისა, შემეცოდა.

ბიბი თვალყურადქცეული მოგვჩერებოდა. აშკარად ეტყობოდა, გუმანით ხვდებოდა რაზედაც ვსაუბრობდით, მაგრამ ჩარევა არ უცდია.

– და რა გამოდის? – ვიკითხე უხერხულობის გასაფანტად.

– სიდუხჭირეს გავექეცი. ასე რომ, მე უბრალოდ ემიგრანტი კი არა, დევნილი ვარ. აქ რომ დავრჩენილიყავი, დარწმუნებული იყავი, ოცი წლის მკვდარი ვიქნებოდი. ჩემ ქვეყანას ჩემთვის არ სცალოდა და როგორც ჩანს, ვერც ახლა მოიცლის. ბედნიერების საძებრად წასულს, არაფერი შემრჩა: არც სამშოლო, რომლის დასაცავად იარაღიც კი ავიღე და ომში წავედი. იმ დღეებთან დაკავშირებით ჩანაწერებიც კი გამოვაქვეყნე. ზუსტად არ მახსოვს, მაგრამ, ერთ ასეთ ეპიზოდს გავიხსენებ: „...სანგრებიდან კანტიკუნტად, გეგონებოდა, მოვალეობის მოსახდელად ისროდნენ. ცოტა ხანში სროლა საერთოდ შეწყდა. ყველაფერი გაირინდა. მოწმენდილი, უკიდეგანო ცის ცქერით კარგა ხანს ვტკბებოდი. გავიფიქრე, ამ მზით განათებული ცის ქვეშ როგორ შეიძლება ადამიანები ერთმანეთს სასიკვდილოდ იმეტებდნენ-მეთქი და ამბრაზურიდან მზერა მოწინააღმდეგის სანგრისკენ გამექცა. ჩემგან ორმოციოდე მეტრში, ქერათმიან, ოციოდე წლის ბიჭს თავი აეღერა და რაღაცას იყო მიჩერებული. ღმერთო, რა სამიზნესავით დარჭობილა, ნეტა, დაიხრებოდეს, ნეტა, ჩემი ტყვიის წერა არ გახდებოდეს-მეთქი, ვინატრე. ბიჭი ერთხანს უძრავად იდგა, მაგრამ თითქოს ჩემს ფიქრებს ჩასწვდა, უეცრად გაქრა და, ვერ წარმოიდგენთ, რა შვებით ამოვისუნთქე... ცხოვრებაში ნატვრა ასე არასოდეს არ ამხდომია და არ გამხარებია...“

ეს მონაკვეთი ვიღაც მაღალჩინოსან სამხედროს წაუკითხავს და მკაცრად გამაკრიტიკა, მისმა დანდობილმა მოწინააღმდეგემ ვინ იცის, რამდენ ჩვენ მებრძოლს მოუსწრაფა სიცოცხლეო. შესაძლოა, ის მეომრის პოზიციიდან სწორიც იყო, მაგრამ ჩემიდან?.. იქნებ ბედის ირონიით, მოწინააღმდეგეთა მხარეს მყოფი ჩემივე სისხლით ნათესავის მკვლელი გავმხდარიყავი... იმ სამხედრომ ეს გულჩვილობა ღალატად ჩამითვალა, მაგრამ დაე, ორივენი ღმერთმა განგვსაჯოს...

ჩემი თანამებრძოლები ომის დამთავრების შემდეგ ზედმეტ ადამიანებად იქცნენ. იმის მაგივრად, რომ ემკურნალათ და დაეცვათ, ბინძურ ჭორებს უვრცელებდნენ, მათზე ნადირობდნენ, უამრავს ნარკომანობაში, მათხოვრობასა და უპოვრობაში აღმოხდა სული, ზოგიერთი დღემდე უსასოო არსებობას განაგრძობს...

მე ვითომ ვიპოვე გამოსავალი, შვილებიანად თავი ევროპას შევაფარე, მაგრამ ასე მგონია, ბედნიერების კარი ჩვენთვის სამუდამოდ დახშული აღმოჩნდა. ჩემი ნათია თანასკოლელ რუს ემიგრანტს გაჰყვა, თაკო უკრაინელს. იმ სკოლაში უმეტესად სხვადასხვა ქვეყნებიდან ემიგრირებულთა შვილები სწავლობდნენ. მათთან ურთიერთობას ადგილობრივი თანატოლები ისე გაურბოდნენ, მოგობრობასა და სიყვარულზე საუბარი ხომ ზედმეტია... რუსი სიძე ნამდვილი „დერჟიმორდაა“. ჩემი ნათია საბოლოოდ, ალბათ, არ გაჩერდება მასთან. ჲსიძე და მე ყოველ შეხვედრაზე ხმის ჩახლეჩამდე ვკამათობთ, თავი მუდამ ცამდე მართალი ჰგონია. ჩემი ერი მსოფლიოს მშვიდობის გარანტიაო, აუჩემებია. ისემც!.. – ბრაზით დააყოლა, სიგარეტი საფერფლეზე დააჭყლიტა და გააგრძელა, – უკრაინელ სიძეს არ ვემდური, ნორმალური პიროვნება ჩანს, ოღონდ ესაა, არტისტია და ცოლ-შვილს მუდმივად ქალაქიდან ქალაქში დააწოწიალებს... მეორე ცოლიდან ვაჟიშვილი თბილისის სამხატვრო აკადემიაში სწავლობდა, გინდა თუ არა, შენს გვერდით უნდა ვიყოო, აიჩემა. შვილია და, ხომ არ დავუშლიდი. ჩამოვიდა ჩემთან, მაგრამ სამხატვრო აკადემიაში აქაური საბუთებით არ მიიღეს. ადგა და კონსერვატორიაში გაიარა გასაუბრება. კარგი ბარიტონი აღმოაჩნდა, ჩარიცხეს და ორი კურსი წარმატებით დაასრულა, მაგრამ მერე ატყდა, შინ მინდა დაბრუნებაო. ვერც ეს დავუშალე. ბიჭისთვის სიყვარული და ყურადღება არ დამიკლია, თუმცა დედამისმა, როგორც კი თბილისში ჩამოფრენილა, დამირეკა და საყვედურებით ამიკლო, განგებ ხომ არ აშიმშილებდი, თვითონ რომ არ შემხმიანებოდა, ისეთი გამხდარი და სახეწაშლილი იყო, ცნობა გამიჭირდებოდაო... და შვილთან მიკარებას მიკრძალავს... კიდევ კარგი, მან დაიჩემა და დაბრუნდა. ჩემი თავისთვის ვერ

მიპატიებია, ჩემი გოგოები მშობლიურ გარემოს რომ მოვწყვიტე. იმის მაგივრად, რომ ისინი ქართველებს ამრავლებდნენ, უცხო ჯიშის ჩამომავლებს ზრდიან. ამგვარად, სამშობლომ დაკარგა ორი პოტენციური დედა და ვინ იცის, დღესდღეობით კიდევ რამდენი იკარგება...

იგი გაჩუმდა. მერე თითქოს ზმანებიდან რეალობას დაბრუნებოდა, ოთახში მიმოიხედა.

–შენ განსაკუთრებული ვინმე ხარ, ცხოვრების ყაიდას არ იცვლი. შენი ერთგულება და ცხოვრების შენეული რეჟიმი ხშირად მაღიზიანებდა, მაგრამ რომ ვუკვირდები, ალბათ, ასე სჯობს. დარწმუნებული ვარ, ეს უდიდესი მოთმინების ფასად გიჯდება.

– სულაც არა. ერთგულება მხოლოდ იძულების შემთხვევაშია ტვირთი.

– ამ თვისებამ, რაც მე საერთოდ მაკლია, ალბათ, შეგინარჩუნა ოჯახი და რომ იცოდე, ამის გამო ძალიან გაფასებ. დასანანია, რომ შენი მეუღლე არ არის... გახსოვს, პირველად რომ ჩამოვედი, რა დღე მაყარა, ევროპის შუაგულიდან კი არა, გამოქვაბულიდან გამოვარდნილ ველურს გავხარო, თითი მიქნია. – გაგვეცინა. ბიბის გაოცებული სახე ჰქონდა, მაგრამ ძალაუნებურად აგვყვა. – ერთბაშად გამოვფხიზლდი. მივხვდი, რომ მისი სიტყვები სიმართლეს შეეფერებოდა. კი ვეცადე, რაღაც რაღაცები გადამეფასებინა, მაგრამ რას მივაღწიე, ზუსტად ვერ გეტყვი... ჩემი დიდი მოკითხვა და უღრმესი პატივისცემა მას... ახლა კი მოდი, დაგემშვიდობებით, სხვა დროს გეწვევით. დღეს იმდენი ვიწოწიალეთ, ძალიან დავიქანცეთ.

მალე წავიდნენ. მთელი კვირა მათ გამოჩენას ველოდი, მაგრამ შემთხვევით გავიგე, ჩემთან ყოფნიდან სამ დღეში გამგზავრებულან. არ ვიცი, მოუცლელობის გამო ვერ მოახერხეს შემოვლა, თუ თორნიკემ საგანგებოდ ამარიდა თავი, რადგან მისი ბოლო სტუმრობისდროინდელი საუბარი მატარებელში შემთხვევითი მგზავრის აღსარებას უფრო მაგონებდა.

ამგვარად უმთავრესად ისეთი მგზავრები იქცევიან, რომლებსაც იმედი აქვთ, რომ დამგზავრებულს ცხოვრებაში მეორეჯერ არ შეხვდებიან, მაგრამ, როგორც წარმოუდგენიათ, არც ისე დიდია დედამიწა, ხოლო ჭეშმარიტი მონანიენი, უფლის გზაზე შემდგარ მსხემებს ემსგავსებიან.

გიორგი ნატროშვილი

გიორგი ნატროშვილი დაიბადა 1969 წლის 8 აგვისტოს, წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო-მაჩხაანში. აქვე 1986 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა; 1993 წელს დაამთავრა ქუთაისის ნ. ი. მუსხელიშვილის სახელობის ტექნიკური უნი-ვერსიტეტი; 1999 წლიდან ეწევა საგამომცემლო საქმიანობას, იყო კულტურულ-საგანმანათლებ-ლო და სალიტერატურო გაზეთ „ხორნაბუჯის“ და საინფორმაციო გაზეთ „ინფოსპექტრის“ რედაქ-ტორ-გამომცემელი. ამჟამად არის ლიტერატუ-რულ ალმანახ „ხორნაბუჯის“ რედაქტორ-გამომ-ცემელი. არის დედოფლისწყაროს მწერალთა ასო-ციაციის, თელავის მწერალთა ასოციაციისა და საქართველოს მწერალთა აკადემიის წევრი. ჰყავს მეუღლე და ოთხი შვილი.

კალამი ვასანთელო

გრძნობამ თუ არ ამავსო,
დარდმა თუ არ გამთელა,
ხიბლი არ აქვს კალამსო,
კალამს ვერ ვქმნი სანთელად.
დავდივარ და არ ვიცი
სად შევხვდები განთიადს,
წლებმა სიბრძნე რომ მომცეს
გზაში დამიფანტია.
დავდივარ და ვერ ვხვდები
მთელი ვარ თუ ხურდა ვარ,
დამშრიალებს ვერხვები,
მთვარემ მიერთგულა და
სადღაც ყივის მამალი,
აქვე წყარო ლიკლიკებს,
ფარავს ღამე – წამალი,
ჩემს აწეწილ ბილიკებს.

სადღაც ჭრაქი ენთება,
სადღაც ძროხა აზმუვლდა,
ალბათ უკვე თენდება,
ჩვენი მზეც ხანდაზმულა,
მაგრამ მის ამობადვრას
მაინც არაფერი სჯობს.
ოცნებათა ეს ფარდა
ღმერთო, არ ჩამეგლიჯოს.
გრძნობამ ისევ ამავსოს,
დარდმა კვლავაც გამთელოს,
ხიბლი მივცე კალამს და
კალამი ვასანთელო!

ვაზთან დაჩოქილ პაპაჩემის ხატებას

სადაც წავალ და წამოვალ,
მუდამ დამყვება შენი ხმა:
უნდა გზარდოს და გაცოცხლოს,
გადაგარჩინოს ვენახმა!
უვლიდი ვენახს მუხლისკვრით,
ვაზების ფერებ-ფერებით,
სარეველისგან წმენდავდი
სულ სათითაო ღერებით.
ამყნობდი, სხლავდი, ფურჩქნიდი,
ლამის მის ძირში გეძინა,
არ დაგრჩენია ადგილი,
ვაზი არ გადაგეწვინა.
რწყავდი და ღმერთს ავედრებდი
რთველს და ბარაქის ხილვასა,
შვილიშვილების სიკარგეს,
მათი ჭაღარით თრთვილვასა.
გიყვარდა ღვინო, მოლხენა,
შრომისგან ნაჯაფ-დაღლილსა;
„ზამთაროო“ და „ორველა“,
თქმა მაღლისა და დაბლისა.
რაც ვიცი, შენგან ვისწავლე
ავ-კარგი ამა სოფლისა,

თუმც მერეც ბევრი ვიწვალე,
ფასი გამეგო ოფლისა.
ბოლოს ბოდიშის სახდელად
მოვადექ მე შენს საფლავსა,
რომ ვერ შევძელით ახდენა,
შენს სურვილებს რაც ახლავდა,
რომ გაგიყიდეთ ვენახი,
რომ ვერ გვარჩინა ვენახმა,
გრცხვენოდეთ! მიწა მეძახის,
მიწა არის თუ შენი ხმა?!

.

ქართული მიწა

ქართველ ემიგრანტებს

ბედუკულმართობით უცხოეთში გადახვეწილ ქართველს თან მიჰქონდა ერთი მუჭა ხელსახოცში გამოხვეული გულთან აკიდებული ქართული მიწა.

რა ძვირფასია ქართული მიწა,
ქართული მიწა ის ერთი მუჭა,
უცხოეთში რომ თან მიაქვს ქართველს,
ქართული მიწა!
მასშია დედის ოხვრა და ლოცვა,
მასშია მამის სისხლი და ოფლი,
მასშია შენი ამ ქვეყნად მოსვლა,
პირველი სიტყვა... პირველი თოვლი...
მასშია შენი სამშობლო სრულად
მომცველი ყოვლის.
რა ძვირფასია ქართული მიწა,
ქართული მიწა ის ერთი მუჭა,
უცხოეთში რომ თან მიაქვს ქართველს,
ქართული მიწა!
გვერდით გყავს, როგორც ადამიანი,
მას უმხელ ძვირფას შენს გულისნადებს,

ის იზიარებს შენს ჭირს და ვარამს,
საფლავშიც თან გდევს.
რა ძვირფასია ქართული მიწა,
ქართული მიწა ის ერთი მუჭა,
უცხოეთში რომ თან მიაქვს ქართველს,
ქართული მიწა!
არ გიღალატებს ის არასოდეს,
ის არასოდეს არ მიგატოვებს,
ის ამოგივსებს გულის იარებს
და თვალუწვდენელ შენს სიმარტოვეს.
რა ძვირფასია ქართული მიწა,
ქართული მიწა ის ერთი მუჭა,
უცხოეთში რომ თან მიაქვს ქართველს
ქართული მიწა!
ის მოგაგონებს ლამაზ ბავშვობას,
ლამაზს, უდარდელს და სანეტაროს,
მიწა, რომელმაც გულზე გატარა,
რომელიც გულით უნდა ატარო!
რა ძვირფასია ქართული მიწა,
ქართული მიწა ის ერთი მუჭა,
უცხოეთში რომ თან მიაქვს ქართველს
ქართული მიწა!

მარინა თექთუმანიძე

დაიბადა თბილისში. 112-ე სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა პედაგოგიურ ინსტიტუტში. 1982 წლიდან მუშაობდა საყმაწვილო პრესაში, 1991 წლიდან დაინიშნა მოსწავლეთა გაზეთ „ნერგის“ რედაქტორად. ამჟამად არის საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის თანათავმჯდომარე. არის სამი პოეტური კრებულის ავტორი. მალე მისი მეოთხე კრებულიც გამოვა. არის ამერიკის ტეხასის შტატის დედაქალაქ ოსტინის საერთაშორისო პოეტური ფესტივალის მონაწილე.

პიანინო

ძველი პიანინო უდგას ჩემს მეგობარს შინ,
ძალიან ძველი შავი ყუთი
ფერადი მოგონებებით,
მე-19 საუკუნის პეტერბურგის ულამაზესი ქალებით,
დარდიმანდი არისტოკრატებითა და
ბრწყინვალე წვეულებებით ...
ვინ იცის რამდენ საიდუმლოს, რამდენ
გვარ-სახელს ინახავს...
დღეს უცნაურია მისი ყოფა-
ყელმოღერებული ლარნაკებით,
ჯადოსნის ხელით
გაქვავებული ფაიფურის გოგო-ბიჭებით,
იდუმალებით შემოსილი შანდლებით,
რომელთა სანთლების შუქი
სხვა შანდლებს აციმციმებდა...
ვაგლახ, „მაზურკაზე“ აცეკვებულებო,
ვაგლახ, ვალსით მონარნარენო,

ვაგლახ, ნოტებზე ამღერებულნო,
სად დასამარდა თქვენი დიდებულება...
ახლა საწყალობლად
ჟღრიალებს
მიტოვებული პიანინო...
და მე ჩემი ინსტრუმენტი
მახსენდება მასთან დატოვებული ბავშვობით
და ბეთჰოვენის „ზაზუნათი,“
და შოპენის ეტიუდებით
ყოველი დაკვრისას,
ამ უმშვენიერესი მელოდიების ნაცვლად სპილოების განწირული
ყვირილი რომ მესმოდა,
იმ სპილოების,
რომელთა გულუბრყვილო სიცოცხლის ძვლებით დამზადებულ
კლავიშებზე
იქმნებოდა დიდებული მელოდიები...
იმ დღესაც,
ჩემს მეგობართან
კვლავ სიცოცხლესმოჭიდებული ხმით ბღაოდნენ ძვირფასძვლიანი
სპილოები
და მეტირებოდა ჩემს ბავშვობაზე...
და ბავშვობის
პიანინოში მიტოვებულ,
სხვისთვის უხილავად გადამალულ,
ჩემ მიერ გულში გადარჩენილ,
თანატოლ
ძვირფას სპლიყვებზე...

* * *

მე დავაშავებ,
და თავს არ ჩავთვლი
დამნაშავედ!
უფალო, ძალად მაცხონე!
სამაგიეროდ სახლს
მოვრთავ ხატებით,
ხანდახან ვილოცებ,
ხანდახან ვიმარხულებ,
შენს სახელს ვატარებ
ანდამატივით...
უფალო, ძალად მაცხონე!
ხან გულს გავუხეთქავ ახლობელს!
უფალო, ძალად მაცხონე!
სიმართლის სახელით
ჭორებად დავშვრები!
უფალო, ძალად მაცხონე!
ვიქირქილებ და გავბოროტდები,
მერე რაა, თუ
შენგან ვოტდები?!
უფალო, ძალად მაცხონე!
ათას ბოროტებას ჩემში
ჩავიბუდებ,
სადაც გავამრავლებ,
სადაც ვუერთგულებ...
უფალო, ძალად მაცხონე!
სხვისი უიღბლობით ავმღერდები,
ამეშლება „თანაგრძნობის“
საღერღელი.
უფალო, ძალად მაცხონე!
ხანდახან ჩაგრულს ვეტყვი
„მიდი, ნახე ტოლი!“
ხანდახან თავსაც გაგიტოლებ.
უფალო, ძალად მაცხონე!
აივსო ქვეყანა ძალად მაცხონებლებით,
ჰოდა, უფალო,
ყველა ერთად
ძალად გვაცხონე!!!

* * *

შუაღამისას
შრიალით გადაუქროლა
ქარმა გვირილის მინდორს
და ცალ მხარეს გადაწვენილ
მართალ ყვავილებს
გვირგვინის ის ზედმეტი
ფურცელი წააცალა,
მეორე დღეს მინდვრად
გასულ
თვალცრემლიან გოგონასთვის
რომ არ ეთქვათ,
არ უყვარხარო...

ჩამქრალი დადიხარო

თვალებში სხივი აღარ გიდგასო,
სულს მოკლებიაო ელვარება,
მერცხლები ცის გზას თუ მასწავლიან,
სხივები სულაც არ მენაღვლება.
ვდარდობ, რომ ასფალტს ადგილზე ჩაუკლავს
ყაყაჩოს შეფაკლული კრძალვა,
ბეტონისგულა, მკაცრი ქალაქი იებს არ ეპატიჟება- სალვე.
სიზმარში რომ დავეძებ ოდესღაც
ნანახ სიზმარს, რომ ვერა ვპოულობ
და ვტირი: - ლეთა გადაცურე, იქ
სიძე გელის, - მოთქვამს იმ სიზმრის სტვირი.
ახლა კი ის მადარდებს, ოდესღაც, ბალღობაში
სულში რომ იები
ვთესე,
რომელ მგზავრს მივანდე, რომელ
ქარში ვფანტე, რად გავიმეტე ესე?!

სოფელ ნოსირთან აკვიატებული ფიქრები

ყველა თავის თავს უკვდება!

ამ სოფლის იქით
ჩემი სოფელია,
იმ სოფელში კი
აღარ მომელიან.
მწუხარედ აწვიმს
აუტანელ დუმილს–სოფლის სასაფლაოს.
ოდებში შეკეტილან
მეგრელ-ლაზები
ასეთი თბილები,
და ლამაზები...
სასაფლაოს კი აწვიმს და აწვიმს...
ვფიქრობ,
რომ წვიმის ფერი აქვს სევდას
და ვხედავ, თვალნათლივ ვხედავ,
თეთრად ლაპლაპებენ წინაპრების ძვლები
და ვგრძნობ, ბებიები
ჩემს სხეულში როგორ ნივთდებიან,
როგორ ცახცახებენ, როგორ ფითრდებიან...
ვიცი, მანქანა სოფლის გზას არ გაუყვება...
თავს ვუსვამ რიტორიკულ კითხვას:
ნუთუ ყველა თავის თავს უკვდება?

გარეთ კი ბნელა.
წვიმს... წვიმს...
მანქანის ფარები ამტვრევენ სიბნელეს,
მსურს მგზავრებს ვუთხრა, რომ
ამ სოფლის იქით არის ჩემი სოფელი,
სადაც არც ცოცხალს
და აღარც მკვდარს
არავინ მომელის!..
თუმცა ვერა ვბედავ ხმის ამოღებას,
რადგანაც ფარსია, ვიცი,
მიტოვებული საფლავების სიყვარულის
ფიცი და მტკიცი...

იქნება მართლა ყველა თავს უკვდება?!
მანქანა გზას აგრძელებს...
სალონში იცინიან!
ამ სოფლის გადაღმა კი ჩემი სოფელია,
ჩემი ბასკეთიც და ჩემი სიცილიაც!
ყველა საუბრობს და
მკვდარი დუმილია...
სასაფლაოს წვიმის მწუხარება ძალიან უხდება,
და ვფიქრობ, რომ
ყველა,
მართლა,
თავის თავს უკვდება!

ფუფალა ვარ...

მე ფუფალა ვარ...
და თუ კარგად ნახავთ გარდერობს,
აქ უამრავი კარგი კაბა,
ვეერი, ბინოკლი და ქოლგა ირევა...
გაგინაწილებთ, ვისაც გნებავთ,
დაგასაჩუქრებთ,
დიდი ხანია ვერსადა ვტევ,
თან მეტისმეტად შემანუხეს...
ოღონდ წინასწარ გაგაფრთხილებთ,
ფრთხიალა კაბებს ჩემი
თითო ტკივილი,
უძილო ღამეები,
წვიმიანი გაზაფხულები,
ქარიშხლიანი ამინდები
თან გამოჰყვება...
გნებავთ ასეთი შესამოსელი?
სიამოვნებით გისახსოვრებთ,
ოღონდ იცოდეთ,
თითო კაბის
თითო ნაკეცში ჩემი ლექსის

თითო ცრემლია...
მაინცა გნებავთ?
აჰა, გელიან...
მეც ხომ ოდესღაც
ასე ვიჩუქე სხვა ფუფალასგან,
რომელმაც თავის სამოსს იგივე გამოაყოლა,
რაც თქვენთვის უნდა გამოვიმეტო...
და მაინც გნებავთ?
მოდით, წაიღეთ!
ოღონდაც ნატვრა დამიტოვეთ
ჭუჭრუტანიდან შემომძვრალი
(არ ყოფილა ფორიაქი ასე იოლი...),
იქნება ისე წავიდე, რომ
არ წამომცდეს:
-არ ყოფილა თურმე შიოლაც!..

პასუხი ბელას

ბელა ჩეკურიშვილის წერილიდან

„შენზე ვფიქრობდი ეს დღეები მარინა, და, იცი, რას მივხვდი? რომ მეც მასეთი, შენნაირი ვარ, რომ ჩვენ ასაკი არ გვაქვს და რომ ათი წლის მერეც ასეთი ვიქნები და შენც ათი წლის მერე ეგეთი იქნები. და, რომ ოცი წლის წინათაც ეგეთები ვიყავით.

ჩვენ არ ვართ ის ქალები, ქმრებით და შვილებით, და მულ-მაზლებით გარშემორტყმულები რომ ცხოვრობენ და სავალდებულო ნათლობა-დღეობებზე დადიან. ჩვენ ფუფალები ვართ. რაღაცნაირად ეგრე დავიბადეთ... და ეს ფუფალობა პოეტური სახე სულაც არ არის. ეს წყევლაც არის და გამორჩეულობაც. მაგრამ ეს პირველ რიგში მდგომარეობაა. არც ცუდია და არც კარგი. უბრალოდ, ეგეთია. ჩვენ ვოცნებობთ ბევრ შვილზე, მაგრამ არ და ვერ ვაჩენთ. ვოცნებობთ ქმრებზე, მაგრამ გავრბივართ იმ ქმრებიდან, ვითომ შემგუებლები ვართ რაღაცეების, ჩვენ არასდროს ვჩხუბობთ და ვყვირით, მაგრამ საბოლოოდ ვეგუებით მაინც და თავისთავად გამოდის ასე...“
ჩვენ დავიბადეთ ფუფალებად!
ასეთი იყო უფლის ნება.

შენ შენი თქვი და
მე ჩემსას გეტყვი...

ახლა ვიხსენებ სიყმაწვილეს
და მაღალ სიცხეს,
მიზეზი რომ ვერ გაარკვიეს
და ვერ გაიგო სახლში ვერავინ,
რომ ზამთრის იმ დღეს,
შილიფად ჩაცმულ მოხუცის და
ყრმის დანახვაზე
ისე ძლიერ ვინერვიულე,
რომ შედეგმაც არ დააყოვნა...
თუმც სულ პირველი თანაგრძნობის მადლიც
ხომ ვიცხე?!.

წამოვიზარდე...
როცა ბავშვობის მეგობრები მიამბობდნენ
თავიანთ ზღაპრებს,ანდა სიზმრებს,
იმ სიზმრებიდან,
ზღაპრებიდან გამორჩეულს,
ფერად მძივებად აკინძულებს
ჩემს ძილიან ღამეებში
კვლავ ვპოულობდი,
და არ იცოდა ქვეყნად არავინ,
რომ ჩემს მეგობრებს სიზმრებს ვპარავდი...

რომ გავდიდდი და გავხდი დედა
და ვაჟიშვილი მარგუნა ბედმა,
ვერ შევეგუე ქმრის ღალატებს,
რადგან ვიცოდი,
მეყვარებოდა მხოლოდ ის კაცი,
მარტო მე რომ ვეყვარებოდი,
და ამიტომაც ერთ,
სავსე მთვარით ავსებულ ღამეს,
მისთვის უხილავ სინანულის
და სინდისის ქენჯნის გარეშე,
სხვა ქალისაკენ მიმოვისტუმრე...

შენ მართალი ხარ!
მართლაც ბევრ შვილზე ვოცნებობდი,
მაშინ, როდესაც
იმ ერთ შვილსაც ვერ ვუპატრონე.
რადგან იმ ერთსაც ხშირად ვტოვებდი
და მივდიოდი მთაში,
ტყეში სახეტიალოდ,
დედამიწაზე მოსვლის მიზეზი
რომ მეგრძნო ყიალში.
იქნება, სწორედ
იმ ბევრი შვილის ნდომის სურვილმა
შვილობილები
მაჩუქა ბოლოს,
რომლებიც ისე შევიყვარე,
როგორც რომ ჩემი
და მათაც ისე,
როგორც რომ ჩემსას
სიყვარული და ერთგულება ვაჩუქე მხოლოდ!
მახსოვს, როგორ გულმოდგინედ
ვპარავდი შვილს
ძვირფას კანფეტებს,
რომ სხვა ბავშვებსაც გაეგოთ გემო,
როს უკანფეტოდ დარჩენილი შვილი ტირილს იწყებდა,
ვანუგეშებდი, რომ კოცნა ჩემი
ყველაზე ტკბილი კანფეტი იყო,
რაც კი ეგემა...
იქნებ ეს არის ფუფალობის
ნიშან-თვისება?..

„პოეზიით სულის და ხორცის დარწყულება“-
ამ გაცვეთილი ფრაზის მიღმა
მუდმივად თან მდევს
სინდისის, თუ რაღაც უთქმელის ქენჯნა,
რადგანაც ხშირად მავიწყდებოდა,
შინ დაბრუნებულ შვილს
ლექსი რომ არ დააპურებდა
და განწბილებულს სადილის ნაცვლად
გაზქურაზე შემოდგმული

ცარიელი ქვაბი ხვდებოდა,
რომ დედამისი ფუფალა იყო
და სხვანაირად ვერ იცხოვრებდა,
ვერა ხვდებოდა...

მიყვარდებოდა, ო, რა ძლიერ მიყვარდებოდა,
თუმცა ყოველი სიყვარული
მხოლოდ ზეციდან ჩამომყავდა
და ვცდილობდი
ზეცისა და მიწის სინთეზად
გადამექცია.
მერე გავრბოდი,
უფრო ხშირად თვითონ გარბოდნენ,
რადგანაც ყოფის კაცებს
არ შეეძლოთ ამ უცნაურ
ქალთან გაძლება!
მე კი ვტიროდი,
გამოგონებულს დავტიროდი,
თავს ვიწყევლიდი,
რომ ასეთი ვარ,
რომ ფუფალა ვარ!
რომ ვერ ვირწმუნე,
რომ ზეცაში
ყოფის კაცები არა სახლობენ!
დიახ. ასეთი ვიყავ ოცი,
და მეტი, უფრო მეტი
წელიწადის წინ
და ასეთი ვარ!
და მინდა გითხრა,
გულწრფელად გითხრა,
რომ არ მადარდებს
ჩემს სულში რომ ის გოგო სახლობს,
ოდესღაც უცხო სამყაროში
საცხოვრებლად რომ გაემგზავრა,
დღესაც იქ არის,
და მხოლოდ ხანდახანა კვეთს
ის სამყარო ამ დედამიწას...
ხანდაზმულ გოგოს დღესაც სჯერა , რომ ოდესმე შეიყვარებენ.

რა ქნას?!
ის ხომ ასეთად
ანუ ფუფალად დაიბადა...
„ეს ფუფალობა პოეტური
სახე სულაც არ გახლავთ,
ის არც ცუდია და არც კარგი,
უბრალოდ, ასეთია“...
ფუფალა ვარ...

მე ფუფალა ვარ,
დიახ, ფუფალა.
თან დამაქვს სარკე,
სავარცხელი,
ვაითუ სადმე ოცნების შიოლას გადავეყარო...
მზად უნდა მქონდეს
პომადა, ფერუმარილი,
იქნება ასე მოვეწონო,
თორემ ვის რა ჯანდაბად უნდა
შენი მარინა
სულის მზის სხივით,
თანაგრძნობით,
ანდა ცრემლით სავსე სკივრებით?

ᲐᲮᲐᲚᲬᲚᲘᲡ ᲛᲬᲔᲠᲚᲘ

ᲑᲔᲟᲐᲜ ᲓᲐᲗᲣᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ

დაიბადა 1938 წელს. ბორჯომში, ლიკანში. ცხოვრობს სოფელ ვაშლოვანში.

ლექსებს ბაუშობიდან წერს. მე უფრო პოეზიის მოყვარული ვარო-ამბობს ბატონი ბეჟანი. ბეჭდავს ლექსებს ძირითადად გაზეთ „ბორჯომში“.

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲡ

თითქოს შობილხარ მაღლა ზეცაში,
ქვეყნად ღმერთივით სახელი გრჩება,
რადგან რვაასწლის განმავლობაში
არ დაიბადა შენი მსგავსება.

დაბადებულან კიდევ რამდენი
სახელოვანნი ღმერთების სწორი,
მაინც მაღლა დგას შენი სახელი
ყველა უმაღლეს სახელებს შორის.

თუმცა დრო მიდის სიცილ-ტირილით
რვა საუკუნის ჟამთა სრბოლისა,
მაინც მაღლა დგას შენი სიკვდილი,
ვიდრე სიმაღლე ჩვენ სიცოცხლისა.

თითქოს, ქვეყნიდან აფრინდი ცაში
და იქ მოკრიფე ლექსის რითმები,
მარგალიტებად მოჰფინე ხალხში
„ვეხვისტყაოსნის“ აფორიზმები.

შენს აფორიზმებს დრო ვერ ამოშლის,
ღმერთიც გაოცდა შენი სიტყვებით
და შინაარსი „ვეფხვისტყაოსნის“
არის მსოფლიოს შარავანდედი.

თუმცა რვაას წლის წყვდიადი გფარავს,
მაინც სინათლე გადაგფენია,
არ შეუძლია პოეტის კალამს,
ლექსით დახატოს შენი გენია.

ოჰ, რუსთაველი, ის მართლა იყო
მაღალი ზეცის მეორე ღმერთი,
ქვეყნად შეცდომით მოხვდა თითქოს
ზღვა კაცთა შორის ის ერთადერთი.

მესხეთის მთებო, გემახსოვრებათ,
ის ბაუშობიდან ხომ თქვენთან იყო,
მისი სიცოცხლე, მზის ამოსვლა და
მისი სიკვდილი მზის ჩასვლა იყო.

თქვენთან ატარა თავის ბავშობა
და სიჭაბუკე უმძიმეს ტვირთით,
ქალმა კი არა, თვით ღმერთმა შობა
არავინ იყო რუსთველის ღირსი.

ასეთი კაცის სიკვდილი ხალხში
ღმერთისგან უნდა აკრძალულიყო,
რა მოხდებოდა, ამ მკვდრების ზღვაში
ერთით ნაკლები რომ ყოფილიყო.

თუმცა ეს ღმერთის კანონი იყო,
რომ სიკვდილს არვის გამოაკლებდა,
მაგრამ რუსთველი ღმერთ კაცი იყო,
ნეტავი ღმერთმა რათ გაიმეტა?

ღმერთი რომ ვიყო, ფილოსოფოსებს
დანტეს და რუდაქს არ დავეძებდი,
გავიმეტებდი ყველა პოეტებს,
რუსთველს კი ვერ გავიმეტებდი.

რუსუდან ბერიძე

დაიბადა ქალაქ თბილისში. სწავლობდა პირველ ექსპერიმენტულ სკოლაში, რომლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენების და ლიტერატურის ფაკულტეტზე, ინგლისური ფილოლოგიის სპეციალობით.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ დაიცვა დისერტაცია თემაზე - „სტივენ კრეინის ნოველები და მათი ქართული თარგმანები.“ არის ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი. კითხულობს ლექციებს სხვადასხვა უნივერსიტეტში, ზოგადი ინგლისურის ენის მიმართულებით. 2009 წლიდან მოყოლებული დღემდე საქართველოს უნივერსიტეტიში კითხულობს ლექციებს. არის საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს წევრი და რამდენიმე მონოგრაფიის ავტორი.

უილიამ საროიანი

უილიამ საროიანი დაიბადა 1908 წლის 31 აგვისტოს ქალაქ ფრესნოში, კალიფორნიის შტატიში — ღარიბი ემიგრანტის ოჯახში. უილიამი ოჯახში მეოთხე შვილი იყო, მაგრამ ამერიკაში დაბადებული პირველი. ეს სწორედ ის ნანატრი ამერიკა იყო, სადაც საროიანების მსგავსად ბევრი თანამემამულე ბედნიერი და უკეთესი მომავლის საძებნელად წავიდა, მაგრამ მათ ამერიკამ დიდი იმედგაცრუება მოუტანა. სწორედ ეს უიმედობა და გულგატეხილობა ასახა უილიამმა თავის ავტობიოგრაფიულ წიგნებში და მითხრობებში. ის გვიყვება იმ მძიმე სოციალურ პირობებზე, რომელშიც საროიანების ოჯახს ცხოვრება მოუხდათ. მამის გარდაცვალების შემდეგ დედის შრომა გაორმაგადა, ბავშვებისთვის სათანადო ცხოვრების პირობები, რომ შეექმნა. ამ პერიოდში ბავშვები ბავშვთა თავშესაფარში ცხოვრობდნენ. იქ გატარებულმა წლებმა მთელი ცხოვრების ისტორია და აღქმის უნარი მისცა.

საროიანი იხსენებს რა ბავშვობას, წერს: „მთელი ჩემი ცხოვრება სიკვდილზე ვფიქრობდი, ალბათ იმიტომ, რომ მამაჩემი გარდაიცვალა მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ სამის ვიყავი. ეს არც მაშინ მომეწონა და წლებთან ერთად სულ უფრო და უფრო მაღიზიანებდა...”

ბუნებრივია, იბადება შეკითხვა - რა შეგრძნებები და ემოციები გამოიწვია მწერალში იმ უღიმღამო, უსიცოცხლო და უხალისო თავშე-

საფარში გატარებულმა წლებმა? უპირველეს ყოვლისა, ეს თვით-გამორკვევის და შემეცნების პროცესის დასაწყისი და ადრეული ასაკიდან დამოუკიდებლობასთან და ცხოვრებასთან ჭიდილიში ჩაბმა იყო, რადგან თავშესაფარში მყოფი ბავშვები სხვადასხვა ყოფითმა პირობებმა გააერთიანა. ზოგიერთ მათგანს მშობლები ჰყავთ, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ ბავშვების კეთილდღეობას, რადგან არანაირი შესაძლებლობა და პირობა არ გააჩნიათ. გაჭირვებაში მყოფი მშობლები უსახსრობის გამო უარს ამბობდნენ საკუთარ შვილებზე. ასეთ შემთხვევაში მშობლები ბავშვებისთვის თავშესაფარს საკუთარ ოჯახურ კერასთან აიგივებენ, სადაც ზამთრის სიცივე და უამინდობა ვერ შეაწუხებთ. სამწუხაროდ ობოლთათვის რეალობა სულ სხვა იყო. მათთის თავშესაფარში გატარებული ყოველი დღე ნამდვილი სატანჯველია, რადგან ოჯახურ სითბოს მოკლებულნი და მარტონი არიან.

უილიამს შვიდი წლიდან თავისი შრომით და ოფლით ნაშოვნი ფული მიაქვს ოჯახში. „გაზეთების გაყიდვა შვიდი წლის ასაკიდან დავიწყე და სწორედ მაშინ შევიძინე ქუჩის არაჩვეულებრივი აღზრდა. როდესაც ველოსიპედით ტროტუარზე გადავედი მაღაზიის ვიტრინაში შევიხედე და დავინახე ფოსტალიონის ფორმაში ჩაცმული საკუთარი თავი, უკვე ცამეტი წლის... მესამე კლასიდან სკოლაში ყველაზე აბეზარის, ყალთაბანდის, არამზადას სახელი მოვიპოვე, რის გამოც სკოლიდან გამაგდეს...“ შემდეგ იყო მეორე სკოლა, ისიც ვერ დაამთავრა. იგი ცოცხალი და სხარტი გონებით, მაგრამ დაუდგრომელი ხასიათით გამოირჩეოდა.

უილიამმა სრულფასოვანი განათლების მიღება ვერ შეძლო სკოლის კედლებში, მაგრამ ბევრი რამ წიგნებიდან და ყოველდღიური ცხოვრებიდან შეიძინა. მომავალი მწერალი სამყაროს და ადამიანებს ცოცხლად ეხებოდა, რამაც უდიდესი ცხოვრებისეული გამოცდილება შესძინა. მას ყოველდღიური შეხება ჰქონდა ბოროტებასთან და სიკეთესთან, რაც შემდგომ თავის ნაწარმოებებში გადაჰქონდა, მისთვის დამახასიათებელი სითბოთი ავსებდა და ჩვენამდე მოქონდა. დღედაღამ სიმართლის ძიებაში მყოფი ხშირად უსამართლობას აწყდებოდა, რაც მას სულს უფორიაქებდა და მოსვენებას უკარგავდა. „ყოველი გზა მოკლედ მეჩვენებოდა, ყოველი ქმედება კი მცირედ. მოძრაობა მსურდა, სვლა რაღაც შორეულისკენ. გზაში, მოძრაობისას შევიცანი და შევიგრძენი ის, რის გარეშეც ვერ გავხდებოდი ისეთი მწერალი, როგორიც ვარ. უკვე თექვსმეტი წლის ასაკში, ველოსიპედით მოგზაურობის წყალობით, ბევრი რამ გამეგებოდა დახვეწილობის, სინატიფის, სტილის, მიზნის, სიჩქარის, აზრის შესახებ და,

რაც ყველაზე მთავარია, მესმოდა კავშირი დასაწყისსა და დასასრულს შორის.“

სროიანისთვის მუდამ მოძრაობაში მყოფი ადამიანისთვის, რომელსაც დაკვირვების დიდი უნარი, იუმორი და ცხოვრების უსაზღვრო სიყვარული გააჩნდა, უმნიშვნელოვანესი იყო მოძრაობა – გადასვლა ნაცნობი სიტუაციიდან უცნობ სიტუაციაში, რათა შეეგრძნო და ახლებურად გაეთავისებინა ადამიანთა ბედ-იღბალი, ხასიათები და შეეცნო ადამიანის არსებობის არსი. ეს მისთვის როგორც შინაგან ასევე გარეგან სამყაროს აღმოჩენის ხანაა. ყოველივე ერთად პიროვნების თვითგამორკვევის და თვითდამკვიდრების გზაა ცხოვრების დასაწყისში. სწორედ ამ პერიოდოდან ირჩევს სროიანი სამწერლობო გზას. მწერალი მიისწრაფის რეალურად და მარტივად გადმოსცეს ნანახი და განცდილი, გარშემო არსებული წამის შეჩერებით ცდილობს, წრფელი გულით აჩვენოს ადამიანი, გადმოსცეს კეთილშობილება, მოყვასისადმი სიყვარული, თანადგომა და ერთგულება.

„ჯერ კიდევ ბიჭობაში, ფრესნოში ვკითხულობდი ქაოტურად და გაუაზრებლად. ვკითხულობდი, რაც კი ხელში მხვდებოდა. ბიბლიოთეკაში აღმოვაჩინე ისეთი მწერლები, რომელთა მიმართ ღრმა პატივისცემით გავიმსჭვალე. ესენი იყვნენ: გიდე მოპასანი, ჯეკ ლონდონი და ჰენრი ლუის მენკენი. მაგრამ პირველი ადამიანი, რომლის მიმართ უდიდესი სითბო, სიახლოვე და საკუთარ თავთან მსგავსება შევიგრძენი, იყო ჯორჯ ბერნარდ შოუ. როგორც ადამიანი, როგორც პიროვნება, ბევრი მწერლის ზეგავლენის ქვეშ მოვექეცი. თორმეტი წლის ასაკში შოპენ ჰაუერის კითხვაც კი გავბედე.

განურჩევლად ყველაფერს ვკითხულობდი, ყურადღებას არ ვაქცევდი არც მხატვრული ნაწარმოების ღირებულებას და არც მწერლის აღიარებას (თუ რამდენად პოპულარული იყო მწერალი), ოღონდ მწერალი ყოფილიყო, ოღონდ წიგნი ან რაიმე ნაბეჭდი ტექსტი ყოფილიყო. ვკითხულობდი შერვუდ ანდერსონს, ერნესტ ჰემინგუეის, იბსენს, ოსკარ უაილდს. რუსი მწერლებიდან ვკითხულობდი ჩეხოვს, ანდრეევს, გორკის. ვკითხულობდი ჟურნალს „პოეზია“ და ყველა იმ პატარა ჟურნალს, რომელიც კი ხელში მივარდებოდა ან კიდევ ბუკინისტურ ჯიხურებში ან დახლებზე წავაწყდებოდი. ვკითხულობდი ყველაფერს — ამბროზ ბირს და ბრეტ ჰარტს. ვკითხულობდი წიგნებს ფრანგულ, ესპანურ და გერმანულ ენებზე. მათში ვერაფერს ვიგებდი იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ეს იყო წიგნები მხოლოდ იმისთვის, რომ მათში რაღაც იყო ნათქვამი, თუნდაც ჩემთვის გაუგებარ ან უცნობ ენაზე. ეს ყოველივე მიზიდავდა და მაჯადოვებდა. მადლიერი

ვიყავი გასაოცარი იდეის, აღსარების, მოთხრობის, მელნის, ნაბეჭდი ფურცლის და იმ წიგნის, რომელიც შეიძლება ხელში აიღო, ჩაიკრა გულში და განმარტოებულ კუთხეში ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე კითხვას შეუდგე“

კითხვით გამოწვეულმა ემოციებმა და მწერლების შემოქმედებითმა სამყარომ (ხალხის მიმართ დამოკიდებულებამ) დიდი გავლენა მოახდინა საროიანის პიროვნების ჩამოყალიბებაზე და გააღვიძა მასში მწერლობის სურვილი (მათი წერის სტილი და მანერა სერიოზულ ზეგავლენას ახდენს ახალგაზრდა უილიამზე და აძლიერებს მასში მწერლობის ჟინს). გადაწყვეტილება მიღებულია, უნდა წეროს და ასახოს ის სამყარო, რომელშიც ცხოვრობს და რომელსაც საკმაოდ კარგად იცნობს. ეს ის სამყაროა, რომელიც გააზრებული და შეცნობილი აქვს თავისი გამოწვევებით, სირთულით, მარცხით და წარმატებებით. „დიდხანს ვფიქრობდი, რომ მწერალი ღმერთია, მაგრამ როდესაც გიდე მოპასანი წავიკითხე, მივხვდი, რომ მწერალი ადამიანია. მომეწონა მისი მწერლური ხედვა, რომელმაც ჩემში წერის ჟინი გააღვიძა. ვიგრძენი, რომ მასავით წერას შევძლებდი ისე, როგორც მან ეს შეძლო... სკოლის ბიბლიოთეკაში წავაწყდი გიდე მოპასანის წიგნს. წარმოდგენა არ მქონდა ამის შესახებ. წიგნი გადავშალე და ინგლისურ ენაზე წავიკითხე მისი მოთხრობა „ზანზალაკი.“ ჩემს სიცოცხლეში ეს იყო პირველი მოთხრობა, რომელიც მე ნამდვილად წავიკითხე. რადგან კითხვა წერასაც გულისხმობს, კითხვასთან ერთად მას ვწერდი კიდეც და მომწონდა ის, რასაც ვწერდი. დღე, როდესაც გიდე მოპასანის მოთხრობა წავიკითხე და თან დავწერე კიდეც, ეს სწორედ ის დღე იყო, როდესაც ჩემი თავი ვიპოვე ანუ შევიცანი. გავხდი ის, რაც ვარ... ერთი სიტყვის თქმაც არ შემეძლო მთელი დღის განმავლობაში, თითქოსდა ჩემს სულში ადგილი სიმშვიდემ, თავმდაბლობამ და მორჩილებამ დაიკავა. დავდარდიანდი, მაგრამ ამ დარდში იყო უდიდესი სიხარულის სხივი. შეშინებული ვიყავი, შეიძლება მეშლება კიდეც, მაგრამ ვიცოდი, საბოლოოდ ყველაფერს ნათელი მოეფინებოდა.“

უილიამ საროიანის ნოველების კითხვისას ძალიან საინტერესო მოთხრობა აღმოვაჩინე, რომლის სათაურიც გახლავთ „კარლ სენტბერგი.” მოთხრობაში აღწერილია უილიამის უსაყვარლესი ადგილი სან-ფრანცისკოში - ლეონ გელბერის და თეოდორ ლილიენტალის წიგნის მაღაზია - სატერ სტრიტზე. ეს ის ადგილი იყო, სადაც საროიანივით ყველა ახალბედა, დამწყები მწერალი თავს იყრიდა, გარემოც შტამბეჭდავი და სითბოთი გაჯერებული ხვდებოდა, როგორც უილიამს ასევე სხვა მწერლებს. ამის მიზეზი კი თავად ლეონ გილბერი გახლდათ

- „სულგრძელი, თავმდაბალი, დაუზარელი, მუდამ შემართული, ენთუზიასტი, თავაზიანი და იშვიათი მსმენელი", რომლის ბადალი კაცი არ მოიძებნებოდა მთელს სან-ფრანცისკოში (კარლ სენტბერგი)

საროიანის განცდები და ემოციები დიდი იყო ამ წიგნის მაღაზიის მიმართ: „ერთი სული მქონდა, თვალი შემევლო საღდებოდა თუ არა ჩემი წიგნები, მენახა, რა გამოდიოდა ახალი და რას უფრო კითხულობდა ხალხი; მელაზღანდარა მაღაზიის მეპატრონესთან, გამყიდველებთან და ხანდახან ცნობილ ადამიანებსაც შევხვედროდი." ცნობილი ადამიანები არ წარმოადგენდა საროიანისთვის თვითმიზანს, თუმცაღა მოთხრობას „კარლ სენტბერგი", რომლის ფოტოსურათები, ბიოგრაფიული და შემოქმედებითი ცნობები მუდმივად ქვეყნდებოდა ამერიკულ პრესაში. მოთხრობის კითხვისას იგრძნობა უილიამის უდიდესი სითბო და განსაკუთრებული სიყვარული იმ პერიოდის მიმართ.

ამავე ნაწარმოებში უილიამი ყვება რომ ლექსების წერა თერთმეტი წლის ასაკში დაიწყო, მას შემდეგ რაც ფრესნოს ტელეგრაფში მეორე ცვლაში დაიწყო მუშაობა. ახლად გამომცხვარ ლექსებს თვითონ ტელეგრაფის საბეჭდ მანქანაზე ათეთრებდა და თან დასძენს: ფრესნოს ბიბლიოთეკაში პოეზიაზე არსებული ყველა წიგნი „სულ გადაბულბულებული მქონდა უოლტ უიტმენი, ვიჩელ ლინსეი, ედგარ ლი მასტერსი და კარლ სენდბერგი. ლექსის წერას რა უნდა-მეთქი, ვფიქრობდი, თავი ნამდვილი პოეტი მეგონა, თუმცა პირველი კრებული მაინც ნოველებისა გამოვეცი და არა ლექსების. ვწერდი უზომოდ ბევრს, მაგრამ წარმოიდგინეთ, არ ვაქვეყნებდი. სად იყო მაშინ ჩვენში იმდენი ჟურნალი, ჩემი ლექსებიც რომ ებეჭდათ, ანდა რომც გაეგებედათ, რა უნდა გადაეხადათ; რაღაც გროშები, ანდა სულაც არაფერი. როგორ უნდა ვირჩინო წერით თავი, ისე, რომ სხვა ხელობა აღარ დამჭირდეს მეთქი, ვფიქრობდი."

თოთხმეტი წლის ასაკში საბეჭდი მანქანის შეძენასთან ერთად იგი პირველად ცდილობს უბრალოდ აღწეროს მის გარშემო არსებული სინამდვილე. „არავის უთხოვია ჩემთვის წერა. უბრალოდ, ვცხოვრობდი ამ ქვეყანაზე და ჩემთვის მწერლობაზე უკეთესი ვერაფერი შევარჩიე. ბევრი ხელობა მოვსინჯე, დიდხანს ფიქრის შემდეგ გადავწყვიტე ჩემთვის, ყველაზე შესაფერისი – წერაა. ეს საქმე იმიტომ ავირჩიე, რომ როგორც წესი ყველაფერი მბეზრდებოდა. აქ კი წარმოვიდგინე, რამდენი რამ არსებობს, რის შესახებაც შეიძლება წერო. ეს არის სწორედ ის საქმე, რომელიც არც მომბეზრდება და არც მომწყინდება – გავიფიქრე ჩემთვის." რაშიც სრულებით არ შემცდარა. სან-ფრანცისკოში ცხოვრების პერიოდში უილიამმა მეტი

სერიოზულობით მოკიდა ხელი კითხვას და წერას. ის არამარტო აცნობიერებს ლიტერატურისკენ მიდრეკილებას, არამედ გამოკვეთილად განსაზღვრავს მწერლისათვის უმნიშვნელოვანეს ამოცანებს.

უილიამს მამა არ ახსოვს და მასზე სრული შთაბეჭდილება დედის, ნათესავების და ახლობლების მონაყოლით შეექმნა. შვილმა გაიაზრა და გააცნობიერა მამის გაჭირვებული, დუხჭირი ცხოვრება. მისი გამუდმებული გადაადგილება შტატიდან-შტატში, ქალაქიდან-ქალაქში სამუშაოს საძებნელად. შეიგრძნო მამის ძლიერი ნოსტალგია თავისი ნამდვილი სამშობლოს მიმართ, რომელიც ოჯახის კეთილდღეობის მიზნით დატოვა. მამის-არმენიკის მოწყენილი პორტრეტიდან უილიამს მისი მგრძნობიარე თვალები უმზერდა. მამის ნაწერებიდან განსაკუთრებული სიახლე აღმოაჩინა, რომ მამა პოეტი იყო და მშობლიურ ენაზე წერდა. მაგრამ სამწუხარო ის იყო, რომ მამის პოეტური შემოქმედების ერთადერთი „მკითხველი“ უილიამი აღმოჩნდა.

თვრამეტი წლის საროიანს ნამუშევარი ჰქონდა ფოსტალიონად, შავ მუშად სანხაოკინის ვენახებში და ფერმაში. იგი ტოვებს ფრესნოს და სან-ფრანცისკოში მიემგზავრება. პირველხანებში, როგორც ბევრი მასავით გამოუცდელი და პატარა, შეუმჩნეველი ადამიანი, საროიანიც თითქოს ჩაიკარგა და შთანთქა ამ უზარმაზარმა ქალაქმა. ულიამი ცხოვრებისადმი დაუოკებელი სურვილით შეპყრობილი არ ეპუება სიძნელეებს, არ ნებდება გაუსაძლის არსებულ მდგომარეობას და იბრძვის სიცოცხლის შესანარჩუნებლად. არაფერს თაკილობს და ნებისმიერ შემოთავაზებაზე თანხმდებოდა - ხან სატელეფონო ოფისში, კანტორაში მუშაობს, ხანაც გამყიდვლად სპორტულ მაღაზიასა და საწყობში. მაგრამ ნახევარ წელზე მეტს ვერსად ჩერდება, რადგან ყოველივე მის მისწრაფებას არ წარმოადგენს. ღარიბული და ნახევრადმშიერი ცხოვრება უარყოფით გავლენას არ ახდენს მის პიროვნებაზე და არ აბოროტებს. სიდუხჭირემ და მძიმე ბავშვობის წლებმა გამოწვრთნა, გამობრძმიდა, ძალა და უკეთესი მომავლის იმედი შემატა.

„ყოველი გზა მოკლედ მეჩვენებოდა, ყოველი ქმედება კი მცირედ მოძრაობა მსურდა, სულ რაღაც შორეულისკენ ვილტვოდი. სწორედაც რომ გზაში მოგზაურობისას გავიცნობიერე და შევიგრძენი ყოველივე ის, რის გარეშეც ასეთი მწერალი ვერ გავხდებოდი, როგორიც დღეს ვარ. უკვე თექვსმეტი წლისას, ველოსიპედით ხეტიალის წყალობით, დახვეწილობის, სინატიფის, სტილის, მიზნის, სიჩქარისა და აზრის შესახებ უამრავი რამ გამეგებოდა“ – წერდა უილიამ საროიანი, მწერალი, რომელიც სამყაროს თვითქმნილი სილამაზით აღიქვამდა და ცხოვრების უშუალობის მიმართ დაუფარავ აღტაცებას გამოხატავდა.

დედამიწაზე არსებულ ყველა საოცრებათა შორის განსაკუთრებულად ადამიანს მიიჩნევდა. ჭკვიანს თუ სულელს, ბედნიერს თუ უბედურს, ღარიბს თუ მდიდარს, ლამაზს თუ უშნოს, ახალგაზრდას თუ ბებერს - მის შემოქმედებაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია. მწერალი გამუდმებით, დაუღალავად გვახსენებს და მოგვიწოდებს ადამიანებს - ვიყოთ „კარგები“, რადგან ადამიანს ბუნებისგან მინიჭებული აქვს სიკეთე, სიყვარული და კეთილშობილება. საროიანს უყვარს თავისი გმირები, რომლებსაც განსაკუთრებული ბუნებრიობა ახასიათებთ. მისი აზრით, „ადამიანი ბუნებრიობის დაკარგვამდეა კარგი.”

უილიამის მიერ განვლილი შემოქმედებითი გზა ცხოვრებისეულ ჭეშმარიტებასა და ჰუმანიზმს ემყარება. ესაა ძიების გზა, რომლითაც მწერალი უჩვეულო სიტყვის ძალას აღწევს. საროიანი ხასიათების შექმნის ოსტატია, რომლებიც ცოცხალი, განუმეორებელი ადამიანური ინდივიდუალიზმით, პლასტიკურობითა და დამაჯერებლობით გამოირჩევიან.

ის ადამიანებისა და ცხოვრების მიმართ განუმეორებელი სიყვარულით გამსჭვალული ჰუმანისტი მწერალია, რომელიც კაცობრიობის ფსიქოლოგიისა და ქცევის ჩამოყალიბებას გამუდმებით ცდილობს. უილიამი ღრმად გაიაზრებს თითოეული ადამიანის მნიშვნელობას საზოგადოებასთან მიმართებაში მთლიანად და განცალკევებით იზოლირებულად.

საროიანი - მხატვარი თავის შემოქმედებას პოეტიზაციის გზით ავითარებს და სიყვარულით, თანაგრძნობით და შემპარავი იუმორით ქმნის არასაქმიან, არაპრაქტიკულ ადამიანთა სახეებს, რომლებიც სიდუხჭირეში ცხოვრობენ. თუმცა სიღარიბემ და გაუსაძლისმა ყოფამ მათი სულები არ გატეხა და უშუალობა, სიყვარული, გულისხმიერება და ერთმანეთის გატანა მაინც შეინარჩუნეს. მწერალი თავად ტკბება საკუთარი პერსონაჟებით.

ყურადღებას გავამახვილებთ მისი სამი ნოველის შესახებ და დარწმუნებული ვართ მკითხველის სერიოზულ ყურადღებას დაიმსახურებს ჩვენეული ანალიზი.

„ფორთოხლები“

ადამიანის მიერ ცხოვრება სხვადასვანაირად აღიქმება. ზოგისთვის ის ლაღი და ბედნიერების მომტანია, ზოგისთვის კი სატანჯველად გადაქცეულა. ნოველა „ფორთოხლების“ მთავარი გმირისთვის ცხოვრება მტკივნეული და სასოწარკვეთითაა სავსე. ობოლი და ეული ლუკისთვის ცხოვრება უაზრობად გადაქცეულა. „როდესაც უდედმამო ხარ და არ არსებობს შენდამი სიყვარულით გამსჭვალული

ადამიანი, გინდა იტირო, მაგრამ რა აზრი აქვს ტირილს, რომელიც ვერანაირ სიკეთეს ვერ მოგიტანს.“ ეს პატარა, სითბოსმოკლებული ობოლი ბიჭის ფიქრებია, იგი ბიძამ იშვილა და მის გაზრდას აპირებს.

ზოგჯერ ტირილი შვების მომგვრელია, მაგრამ ლუკის შემთხვევაში ყოველივე ამაოა, რადგან ვერავინ გაიგებს და ჩაწვდება მის გულის ძახილს, ტკივილს. რეალურად ბიჭის ტირილის მიზეზი ბიძია ჯეკის დაჟინებული სიცილის მოთხოვნაში მდგომარეობს, სიცილი ფორთოხლების გაყიდვას თან უნდა ახლდეს. „ადამიანებს უყვართ გამყიდველი პატარა ბიჭის მომღიმარი სახე. ეს მათ ახარებთ.“ ჯეკი ზრუნავს იმ ადამიანების ბედნიერებაზე, რომლებიც მანქანის სიჩქარესაც კი არ ანელებენ, იმ გუმაძღარ და გულქვა ადამიანებზე წუხს, რომლებიც ვერც კი ამჩნევენ ფორთოხლის გამყიდველ პატარა ბიჭებს და თუ ამჩნევენ ეჭყანებიან კიდეც.

რეალურად ღიმილი ბედნიერების, სიხარულის და აღმაფრენის სიმბოლოა. აქ კი უიმედობას და უიღბლობას უტოლდება. ბიძია ჯეკი გაკვირვებულია და გამუდმებით ერთიდაიმავე შეკითხვას უსვამს ლუკს: „განა შენ სიცილი არ შეგიძლია? ზოგჯერ ხომ მაინც შეგიძლია, გაიცინო?” ეს უცნაური საუბარი რამდენიმე ლოგიკურ შეკითხვას ბადებს. განა არის რაიმე არსებითი განსხვავება სიცილსა და ღიმილს შორის, მაშინ როდესაც ადამიანს სიცილი არ ძალუძს? განა ასე ძნელია გაიცინო, როდესაც სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი წყდება? დიახ ძნელია! რატომ? რადგან ბიჭის გარშემო ყველა ამას მოითხოვს. ბიცოლაც კი მუდმივად სიცილს აიძულებს და ახსენებს. „მთელი შენი ოჯახი უვარგისებით სავსე იყო და თუ შენც ისეთივე ლაჩარი აღმოჩნდები და ვერ მოახერხებ ფორთოხლების გაყიდვას, შენც იგივე დაგემართება. მიწაში მოხვდები და მოკვდები.“

ნოველას პესიმისტური დასასრული აქვს. ზოგჯერ სიცოცხლის შესანარჩუნებლად ჭიქა წყალიც კი საკმარისია, მაგრამ ნოველის გმირებისთვის ექვსი ყუთი ფორთოხალი გადარჩენის იმედს ვერ იძლევა. ისინი თითქოს განწირულები არიან. ლუკი მის ირგვლივ არსებულ სამყაროს განდეგილის თვალით აღიქვამს. ყველაფერი „დამპალა“ („დაძაბუნდა“) მის გარშემო. არ იცის, რა გააკეთოს და ამ არეული სიტუაციიდან საუკეთესო გამოსავალს სიკვდილში ხედავს.

ბავშვის შინაგანი სამყარო, ობლობა, შიმშილი, უფულობა და ოჯახის უკიდურესი გაჭირვება ქმნის გამოუვალ მდგომარეობას, ლუკის უიმედობა და სასოწარკვეთა იმდენად ძლიერია, რომ მას სიცოცხლის ყველანაირი სურვილი დაკარგვია და ხსნას გარდაუვალ სიკვდილში ხედავს. მწარე რეალობაა, რომ ლუკის პატარა გული და

გონება სავსეა უბედურებით, სიღარიბით და მრავალი მოუშუშებელი ტკივილით. მისთვის ცხოვრების არსი ბუნდოვანია, რადგან სულ უიღბლობა და წარუმატებლობა სდევს თან. ცხოვრებამ იოტისოდენა სიხარულიც კი ვერ გაიმეტა მისთვის. სამყარო ცივი და ულმობელია პატარა ლუკის მიმართ, ერთადერთი და საუკეთესო გზა სიტუაციიდან თავის დაღწევისა სიკვდილშია. მისი გონება სამყაროს აბსურდულობის პრობლემითაა დაკავებული. „ახლა მიხვდა, მხოლოდ იმისთვის დაიბადა, რომ დადგეს ქუჩის კუთხეში და იქამდე აქნიოს ღიმილით ფორთოხლები, ვიდრე ლოყებზე ცრემლის ნაკადი არ დაედინება."

მწერალი წუხს პატარების ბედ-იღბალზე, მათი ტკივილს იზიარებს, მათ ცხოვრებისეულ პრობლემებს განიცდის და ყოველთვის მზად არის შეუმსუბუქოს სატკივარი. ისეთი ცხადი და შთამბეჭდავია თითოეული პერსონაჟის სახე და ტრაგედია, რომ თითქოს მწერალს ყოველივე საკუთრივ განეცადოს.

ბავშვის ნაღვლიან და უიღბლო ცხოვრებას ასახავს მოთხრობა **„ცეცხლი"** მოთხრობა პათეტიკური და ნაღვლიანია, პატარა ბიჭის ემოციებს ემყარება და გამსჭვალულია იმ ფსიქოლოგიური შემეცნებით, დედის სიკვდილმა რომ გამოიწვია. ცეცხლის პირას მჯდომი აანალიზებს ცხოვრების მწარე რეალობას. ბავშვის გული ტკივილითაა სავსე. მის ბავშურ წარმოსახვაში მოსაწყენი სამყარო შავ სამოსელში გახვეულა. ცხოვრებამ მხოლოდ დარდი და ნაღველი არგუნა. ბიჭი ცდილობს გამხნევდეს და გამხიარულდეს, მაგრამ ამაოდ, რადგან ყველაფერმა აზრი დაკარგა. სათამაშოებიც კი დარდს ახსენებს და გრძნობებს უმძაფრებს. თუმცა კეთილშობილი დედინაცვალი ჰყავს, რომელიც სითბოს და სიყვარულს არ იშურებს, მიუხედავად ყოველივე ამისა, ბავშვს დედის ზრუნვა და ალერსი აკლია. თუმცა იცის, რომ დედა „არასოდეს გაცოცხლდება, არ დაბრუნდება, არ მოვა კართან და გასაღებით არ გააღებს, არ შემოვა და არ იცხოვრებს იქ, აღარ დაელაპარაკება და აღარ იქნება არასოდეს დედამისი." არავის შეუძლია მისი მოტყუება, რადგან პირველად შეიცნო სამყაროს რეალური სახე და ფილოსოფიურად გაიაზრებს არსებულ სიტუაციას. „უკვე დიდი ბიჭი იყო და იცოდა, რომ დედა მოკვდა.. იცოდა ქვეყნად არაფერი არ ხდებოდა, არაფერი, ის მკვდარი იყო, არაფერი, უკუნი სიბნელის გარდა! არაფერი, მხოლოდ ცეცხლი. არა სინათლე და არა სითბო, არაფერი და არა სიყვარული."

ეს აზრები სწრაფი თანმიმდევრობით მოსდიოდა თავში ცეცხლის პირას მჯდომ ბავშვს. „ცეცხლის ენები ყვავილის ფურცლებივით

მოფრინავდნენ ღუმელიდან იატაკზე და უჩინარდებოდნენ.“ შესაძლოა ეს ცეცხლის ყვავილები ადამიანის წუთიერ ცხოვრებასთან ასოცირდება, რადგან ადამიანის ცხოვრებაც ისეთივე წამიერი და შეუმჩნეველია, რომ ვერავინ ამჩნევს მის გაუჩინარებას.

საროაანი ცეცხლს ჯერ „სიცილს, სიმღერას, კოკრების ყვავილობას” ადარებს, შემდეგ კი „აღსასრულს“, მიუხედავად იმისა, რომ „ფურცელს გაუთავებლად ფურცელი მოსდევდა.“ ეს იმიტომ ხდება, რომ ნოველაში უიმედობის და სასოწარკვეთის განწყობა იგრძნობა. ადამიანებში კი ცეცხლი რეალურად ოჯახის სითბოსთან და სიყვარულთან ასოცირდება, რაც ნოველაში არც კი შეინიშნება.

ასეთი უცნაური აზრები, შედარებები ბავშვის მოუშუშებელი ტრაგედიით არის გამოწვეული, რასაც დედის სიკვდილი ჰქვია. ეს აზრები თანმდევია მისი პრობლემებით სავსე გონებისთვის. მისთვის სამყარო უძლური და უსარგებლოა, რადგან ქვეყნად არ არსებობდა ვინმე, რომელსაც ერთი ადამიანის გაცოცხლება მაინც რომ შეძლებოდა. მან პასუხი ზუსტად იცის. „არ შეუძლიათ.“ გაოცებული სვამს კითხვას: „მაშ, რაზე წვალობენ, რა უნდათ, რისი მაქნისნი არიან, თუ ამის ძალა არ შესწევთ. თუ ამის შეძლება არასოდეს ექნებათ, მაშ, ყველაფერი ხომ ამაოებაა და რაღა აზრი აქვს მილიონობით გაცემულ პასუხს, თუ ყველა კითხვა უაზროა!”

ბიჭის ემოცია იმდენად დიდია და დაცლილი, რომ მისთვის ყველაფერმა აზრი დაკარგა. იგი გაუაზრებლად უკიდებს სახლს ცეცხლს, რადგან „აღარასოდეს ექნებოდა სახლი, შინ დასაბრუნებელი. უნდოდა ერთი დიდი ქარიშხალი ამოვარდნილიყო, რომ ეს ფერები, სიცხე და თაკარა ალი მსოფლიოს ყველა სახლს მოსდებოდა. დაეწვა და დაენგრია ყველა სახლი, რათა ბოლოსდაბოლოს გაეგოთ, რომ არავის, არასოდეს არაფერი არ შეუძლია.“

ეს დაემართა ბიჭს, რომელმაც იცოდა, რომ მას ჰყავდა მშობლები და ჰქონდა ლაღი ცხოვრება. უცბათ აღმოაჩინა, რომ წარმოსახვით სამყაროში ცხოვრობს, რადგან მისი ტკბილი დედიკო აღარ არის ცოცხალი. მისთვის სამყარო დაცარიელდა. თავად კი ეული დარჩა.

„შობის მესამე დღე“

ოჯახის უმძიმესი მდგომარეობა სიღარიბე და ბავშვის მუდმივი ავადმყოფობაა ასახული ნოველაში „შობის მესამე დღე.“ სამი წლის ალისას ავადმყოფობით გაბეზრებული მამა ჰარი ეფო რძის და წამლის საყიდლად წავიდა, თან დონალდიც წაიყვანა. ჰარის ცოტა ხნით დონალდის თავიდან მოცილება უნდოდა და არა მარტო მის, არამედ ყველასი და ყველაფრის. მას მობეზრებოდა თავს მოხვეული

პრობლემები. სცადა მათგან თავის დაღწევა და საუკეთესო საშუალება სასმელში იპოვა, რომელიც წამალზე ძვირი ღირდა. ჰარი „გზას შეუყვა და უკან დაბრუნება სულ აღარ გახსენებია.“ მიტოვებული და უმისამართოდ დარჩენილი დონალდ ეფო მოთმინებით ელოდა მამის დაბრუნებას, რომელმაც ის ქუჩის კუთხეში დატოვა.

მძიმეა მცირეწლოვანი დონალდის ხვედრი. გათოშილი და უსასრულო ლოდინით იმედგაცრუებული ნუგეშის მომცემმა ფიქრებმა მოიცვა. ქუჩაში გაყინულს და ოჯახური სკანდალით გაბეზრებულს იმედის სხივი ჩაესახა, როდესაც ალისას ჯანმრთელობის გაუმჯობესება წარმოიდგინა მამის ნაყიდი წამლით. რასაც საბოლოოდ ოჯახური სიმშვიდე და იდილია მოჰყვებოდა. „დასრულდებოდა ომი და წივილ-კივილი დედასა და მამას შორის.“ ეს არ იყო ზრდასრული ადამიანის ფიქრები ბედნიერ მომავალზე, არამედ ეს იყო ექვსი წლის ბავშვის აუხდენელი ოცნება. მას მხოლოდ თავის შექმნილ სამყაროში - ფიქრებში შეეძლო ყოფილიყო ლაღი და უსაზღვროდ, უკიდეგანოდ ბედნიერი.

მწერალი თითქოს განგებ ლოთის პირით ამბობს, რომ ყოველი ადამიანი ვალდებულია შეინყალოს პატარა ბიჭი, რომელსაც დედა ელოდა. ეს ის ძონძებით შემოსილი მათხოვარია, რომელიც მაცხოვრის შობას იხსენებს, რომელიც სამი დღის წინ იშვა. ყოველივეს სიმბოლური დატვირთვა აქვს. სწორედ ხომ უპოვრების, უსახლკაროების, იმედ-დაკარგულების და ლოთების ნუგეში და სასოებაა უფლის შობაში, რომელსაც ყველა ასეთი დიდი სიხარულით ელის.

მცირეწლოვანი დონალდის გარეგნული სახეა საინტერესო: „გაცრეცილი კომბინიზონი და მამამისის ძველის-ძველი, ტარებისაგან უკვე გაურკვეველი ფერისა და თარგის პალტო ეცვა. გრძელი სახელოები თავის ზომაზე ჰქონდ მოჭრილი. ჯიბეები ისე ქვემოთ მოუდიოდა, შიგ ხელის ჩაყოფაზე ოცნებაც კი ზედმეტი იყო. ამიტომ დონალდი გამალებით ისრესდა გათოშილ ხელისგულებს და შემდეგ იღლიებში იჩრიდა.“

ეული დონალდი უსაზღვრო ლოდინის შემდეგ ბარმენის საპატრონო შეიქნა, რომელმაც შეიფარა და უმასპინძლა კიდეც. ერთი შეხედვით ბარმენი მძიმე და ბავშვის მიმართ აგრესიულად განწყობილ პიროვნებად გვევლინება. მაგრამ ეს ხომ მხოლოდ მოჩვენებითი მხარეა. მისი გული უდიდესი სითბოთი და სიბრალულით ივსება დონალდის მიმართ. უნუგეშოდ დარჩენილი ბიჭი ჩუმი ზლუქუნით მიჰყვებოდა ბარმენს, „რომელიც ცხოვრებაში არ უნახავს, ის არც უცხო იყო მისთვის და არც მტერი...“ „საზარელია სიმარტოვე და აუტანელი.

ოღონდ ნურავინ ნუ მიგატოვებს, გაბრაზებული მამაც კი.“ ასე ფიქრობდა ბარმენის სახლის დათოვლილ კიბეზე ამავალი დონალდი.

მამისგან მიტოვების და ოჯახიდან დაკარგვის მიუხედავად ნოველის უკანასკნელი აბზაცი იმედით სავსეა. „კიბეებზე რომ აიარეს, ბარმენმა მკრთალ სინათლეზე გახედა დონალდს. იგი აღარ ტიროდა. იქით იყურებოდა, სადღაც შორს, მთელი ცხოვრება ხომ კიდევ წინ ჰქონდა.”ეს ჩავწერე წინა ფურცელზე.

ამ სამი ნოველის მთავარი მაქმედი გმირები ბავშვები არიან ლუკი, დონალდი და უსახელო ბიჭი ნოველიდან „ცეცხლი.“ მათი პრობლემები ძალიან ჰგავს ერთმანეთს. მათ სატკივარი ცხოვრების მძიმე პირობებით - შიმშილით, სიღარიბით, დედის სიკვდილით და მამის მიერ ქუჩაში მიტოვებით არის გამოწვეული. მძიმეა ამ ბავშვების ბედი. ისინი ხომ ჯერ კიდევ არასრულწლოვანები არიან და მიუხედავად ამისა, შეიგრძნობენ და თავიანთ თავზე განიცდიან ცხოვრების ულმობელ კანონებს. თითოეულს თავისი წილი ტრაგედია არგუნა ბედმა.

საროიანის ამ ნოველებში თხრობა ორი ხაზით მიმდინარეობს, ერთი - გულუბრყვილო ბიჭების შეხედულებებით და გულისთქმით, რომელსაც აღრმავებს ზრდასრული მთხრობელის ხმა. ბავშვების გულუბრყვილო უშუალობა ცოცხალ და კონკრეტულ სურათს ქმნის, ხოლო მთხრობელი ტექსტს ემოციურობას მატებს. ტექსტის ემოციური აღქმა და გააზრება პოეტურად განაზოგადებს კონკრეტულ ცოცხალ სურათს. გმირების ბუნებრიობას მწერალი ცოცხალ მასალაზე დაყრდნობით ქმნის. იმას რასაც მისი გმირები განიცდიან, საროიანის მიერ განცდილი რეალობაა. რეალობა, რომელიც ბავშვობაში და სიჭაბუკეში მისი თანმდევი იყო. ბიჭების მხატრული სახეები ცხოვრებისეულ გამოცდილებას და სიბრძნეს ატარებენ. თხრობის ამ ორი ხაზიდან პირველი ძალიან ნატიფად და მოხდენილად გამოიყენება მწერლის მიერ, როგორც ტექსტის გამოხატვის საშუალება, ხოლო მეორე კი ისეთივე ბუნებრიობით გადმოგვცემს ღრმა ქვეტექსტს. ამ ორი შეხედულების ურთიერთქმედება გვაძლევს ერთ მთლიან სტილს, რომელიც საროიანთან ყველა დონეზეა შენარჩუნებული, დაწყებული ცალკეული კომპოზიციური ფრაზით და დამთავრებული ტექსტის კომპოზიციური მთლიანობით.

ეკა ოთარაშვილი

დავიბადე 1959 წელს, საქართველოს ულამაზეს კუთხეში – კახეთში, მდინარესავით მოკისკისე სოფელ კისისხევში. წელიწადის ულამაზეს დროს, შემოდგომის თვეს, სექტემბერს. დავამთავრე კისისხევის საშუალო სკოლა და სწავლა განვაგრძე სამედიცინო სასწავლებელში სამეანო განხრით. გავიარე ანესთეზიოლოგიის კურსი. ვმუშაობდი კლინიკაში 25 წელი. მყავს ლამაზი ოჯახი. ჩემი შემოქმედებითი გზა იწყება ბავშვობის ასაკიდან. ჩემი ლექსები იბეჭდებოდა რაიონის ჟურნალ-გაზეთებში. გაზეთ „საქართველოს ლიტერატურაში“. გამოიცა ჩემი ლექსების კრებული „იქნებ შეგივსოთ თუნდ პაწია სიცარიელე“. ამერიკაში გამოიცა ჟურნალი „ემიგრანტის ხმა“ და საბერძნეთში ჟურნალი „თაობა“, სადაც შევიდა ჩემი ლექსებიც. მონაწილეობა მივიღე „ემიგრანტის წერილი 2016“ და „ემიგრანტის წერილი 2017“. ორივე წელს, ფინალში გავიდა ჩემი მოთხრობები.

ნაბიჯი სიმძიმიდან

ძილში მაღვიძარა საათის ხმა ჩაესმა. არადა, როგორ არ უნდოდა მის გონებას რეალობასთან შეხვედრა. ერთი წუთით კიდევ მოხუჭა თვალი თვითდაჯერებისთვის ძალის მოსაკრებად და ახალ დღესთან შესახვედრად, რომელიც არ ემგვანებოდა წინა დღეებს თავისი დატვირთული ანამნეზით.

იცოდა, რომ ცხოვრება ვერ ითვალისწინებს ადამიანების წარმომავლობას და აღზრდას. ცდილობდა, არ დაეკარგა წუთი, რომელიც ჭეშმარიტებას ჩაუვლიდა ახლოს. მან უკვე ბევრი რამ იცოდა სინამდვილესთან შეხეთქებით, რასაც ემიგრანტის ცხოვრება დაერქვა.

ჯერ უთხრეს - ვიდრე ახალ სამსახურს იშოვი, აქ იქნები და ჩვეულებრივ იმუშავებ, კარგი პიროვნება ხარ და ასე ქუჩაში ვერ გაგიშვებთ, მერე თვითონ დაგეხმარებით შენი ნივთების წაღებაშიო.

ყველაფერი ისე სწრაფად და მოულოდნელად მოხდა, შეგუება უჭირდა. გაუსვლელად მუშაობაც არ შეეძლო, თანაც ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე (ასეთი შემთხვევები არ უკვირთ ემიგრანტებს), მაგრამ სწრაფად შეიცვალეს აზრი და ...ზეგ, კვირას უნდა წახვიდეო. აქ იჩინა თავი მეორე „მემ“ რომელიც ძალიან იშვიათად ჩნდებოდა

მასში. მის გამოჩენას ესაჭიროებოდა ტკენა, დამცირება, შეურაცხყოფა... გასწია გვერდით პირველი და მთელი დამაჯერებლობით წარსდგა მათ წინაშე თავისი სათქმელით. მეორე „მე“ ყოვეთვის ამართლებდა თავის არსებობას. ამ შემთხვევაშიც ასე მოხდა. მას თავისებური ფილოსოფია ჰქონდა.

- შენს ცხოვრებას ნუ დაკუწავ პატარა ჭრელ ნაჭრებად და მოკლე დროის ნაწილებად. სხვადასხვა ფერის პატარა ნაკუწებიდან შეკერილი კაბა ერთი მთლიანობა მაინც ვერ იქნება. ყველა გადანაკერში უამრავი საკერავი ნემსია ნაჩხვლეტი. რაც მეტი ტკივილითაა შექმნილი, იქიდან არომატი და გემო ველარ მოედინება. დამიჯერეთ, ეს ასეა და ფრთებს ნურავის დაამსხვრევინებთ, მიწაზე ნუ იხოხებთ.

მიდიოდა ქუჩაში მხრებში მოხრილი. ჯიბე სავსე ჰქონდა თანაბრად დაჭრილი ქაღალდის ფურცლებით, რომლებზეც მისი და მასავით უსამსახუროდ დარჩენილი პატარა მეგობრის მარიამის გვარი, სახელი და ტელეფონის ნომრები ეწერა, სადმე შესაბამის ადგილას დასატოვებლად, შესაძლებელი რომ ყოფილიყო სამსახურის შემთხვევაში მათთან დაკონტაქტება. თავის თავს კარგი მასწავლებელივით შთაგონებდა:

-მოკვდავი რომ ხარ, უნდა იცოდე შენი ნაბიჯი, რომ სხვისაში არ აგერიოს და სხვისი გზით არ აუყვე აღმართს, თორემ დაღმართი აღარ გექნება.

მამა გაახსენდა. ყოველთვის იცის ბრძნული გადაწყვეტილების მიღება და მთავარ შინაარსზე დაბრუნება დაწმენდილი გონებით.

იცოდა, როგორ არა, მანაც იცოდა, რომ ყველა მდინარეს თავისი სოფელი ან ქალაქი აქვს. სოფელს ან ქალაქს კი- ადამიანები ჰყავს და ყველანი განუყოფელნი არიან ცხოვრებასთან ათასნაირი შენარევებით. იღბალიც რომ სათავისო სარგებელს ითვლის და მხოლოდ თავის ქისას ჩაჰყურებს; ოკეანის ტემპერამენტიც კი რომ არ გეყოფა, თუ არა იღბალი და კიდევ ის, რომ მუშაობაზე უარესი რა უნდა იყოს, რაშიც ფულს გადაგიხდიან.

ყველა შეგონება ტვინში იწყებდა მოგზაურობას და ერთმანეთის გამომრიცხავ კადრებს აჩვენებდა.

აიღე შენი მძიმე ჩანთები და შემოიარე წვიმით პირსავსე ქუჩები, სოფლები, ქალაქები სამსახურის ძებნაში. იარე და იყვირე, რომ აღმოცენდე ხელახლა, ხნულში ჩაგდებული თესლივით, დედამიწიდან; ხელახლა დაანგრიო გამჭვირვალე კედელი შენსა და წინ აღმართულ რეალობას შორის, რომელსაც ჭინჭარივით მსუსხავი ბუსუსები აქვს.

მიდოდა და თან მიჰქონდა მარტოობა, ერთი დიდი ბარიერი მასა და დანარჩენებს შორის, რომელსაც ხშირად თვითონვე იწვევდა, რომ დაემალა თავისი უმწეობა.

მისი ცხოვრება არაფრით განსხვავდებოდა დანარჩენი ემიგრანტების ცხოვრებისგან, გვარსა და სახელში იყო მხოლოდ სხვაობა.

საქართველოში ულოცავენ ერთმანეთს ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის პროცესის წარმატებით დასრულებას. ნებართვის გარეშე მცხოვრებ ემიგრანტებს შიში დაეუფლათ. მანაც დაიწყო ფიქრი. მას ხომ სავიზო რეჟიმი დარღვეული ჰქონდა და ... ღმერთო, საკუთარ ქვეყანაში დაბრუნების შიშმა დათრგუნა. ეს ხომ ტრაგედიაა!..

მარიამზე ფიქრობდა. შეხვედრაზე არ უნდოდა დაგვიანებოდა.

იტალიაში ტერაქტებმა იმატა. შიში ისეთი სხარტი და ცივია, შემოსახლება იცის, თავისი საცეცებით აგიყოლიებს და მოსვენებას დაგაკარგინებს.

ქუჩებში, დაწესებულებებში ლამაზად გამოწყობილმა სანტა კლაუსებმა სიხალისე და საახალწლო განწყობა შემოიტანეს. მათ ყველა მხიარული ღიმილით ხვდებოდა. ბავშვების სუფთა სამყაროში სანტა კლაუსს ხომ განსაკუთრებული ადგილი უჭირავს და შესაბამისად, მათი გამოჩენა ბავშვების ყურის წამღებ ჟრიამულსა და ხალისიან შეძახილებს იწვევდა.

ადამიანი რა უნდა იყო ისეთი, რომ შეგეძლოს ყოველივე წმინდა, სპეტაკი, თვით ბავშვების შეუბღალავი ზღაპრული სამყაროც კი გამოიყენო ბოროტების ასამოქმედებლად.

რაი პირველზე საშინელი ინფორმაცია გავიდა. სანტა კლაუსებმა ხალხმრავალ ადგილას გახსნეს ცეცხლი და უამრავი ახალგაზრდა ჩახოცეს.

ბანკებში შეაღწიეს და...

ჩვენც დავრჩით მწარედ გაღიმებულები და იტალიელი ბავშვებიც? რა უნდა აუხსნა უკვე მათში გაჩენილ უნდობლობას?

ქალაქის ქუჩებში დაიწყო მოქალაქეთა საბუთების შემოწმება. ყველა ფეხის გადადგმაზე კარაბინიები იდგნენ. უსაბუთო ემიგრანტები შეშინდნენ. მიწიქვეშა გადასასვლელიდან ამოსული მისი მეგობარი, მარიამი გააჩერეს და საბუთები მოსთხოვეს. მარიამმა გაბედულად გაუწოდა პერმესო დისო გიორნო (იტალიაში ცხოვრების ნებართვა). ხელჩანთაც ჩამოართვეს.

ხელჩანთის შემოწმებისას შეამჩნიეს პატარა ოთკუთხედი ლამაზი კოლოფი. მარიამის მზერას არ გამოჰპარვია და გააცია.

- ოღონდ ეს არა ღმერთო. ოღონდაც არა... მათი ხელი არ უნდა შეეხოს ამ კოლოფს.

კარაბინიებს არ გამოჰპარვიათ მარიამის დაძაბული მზერა და სახის ფერის ცვლილება. წამის ფიქრმა ყველაფერი სხვაგვარად დახატა.

უფრო ახალგაზრდა კარაბინიემ ამოიღო კოლოფი და მარიამს ჰკითხა კოლოფში რა ინახებოდა.

- თქვენ ამას ვერ გაიგებთ.

პასუხმა დაძაბა ვითარება. მეორე კარაბინიემ გამოჰგლიჯა ხელიდან კოლოფი კოლეგას და გახსნას შეეცადა. მარიამი ხელებში ეცა და... მარიამს კარგი არაფერი ელოდა.

- არ გაქვთ უფლება, შეეხოთ იმას, რაც ჩემთვის სიწმინდეა.

კოლოფი უკვე თავახდილი ეჭირათ და გაკვირვებულები დაჰყურებდნენ, რას ნიშნავდა, ვერ მიმხვდარიყვნენ, რატომ უნდა ჰქონოდა, რამე კავშირებისთვის ხომ არ იყენებდა, პაროლივით და კიდევ რამდენ კითხვას დასვამდნენ, რომ მარიამს არ დაეღრიალა...

- საქართველოში დატოვებული შვილის თმის კულულია, არ შეეხოთ ...

კაცსაც შეუძლია ტირილი. ერთი მათგანი ტიროდა.

უფალო დაგვიფარე...

ჰო, უფალი ხომ მასთან იყო მუდამ. მისი ადგილი განსაკუთრებული იყო მის გულში. ადამი გაახსენდა. ევამდე ლოლიტა ჰყოლია ცოლად. თავნებობისთვის ღმერთის სასჯელს ვერ გადაურჩა წითელთმიანი ლოლიტა. ადამი მხოლოდ ლოლიტას ეთაყვანებოდა და ღმერთისთვის ადგილი აღარ ჰქონდა.

პირველ არს ღმერთი ჩვენში.

გაიზარდნენ. დიახ, აქ გაიზარდნენ ემიგრანტები კიდევ მეტად. აქ, თავიდან გააცნობიერეს ცხოვრება, რომელსაც სხვა ანფასი ქონდა და სხვა პროფილი. ასეთს არ იცნობდნენ. თავდაცვის იმუნიტეტი გაუძლიერდათ. სუნთქვა ღრმა გაუხდათ, როდესაც მიხვდნენ, აქ მარტონი იყვნენ და უნდა დაეძლიათ ყველა სირთულე.

ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ფსიქიკის აკლიმატიზაცია იყო. არც თუ ადვილი და უმტკივნეულო.

- პითაგორამ თქვა „სამყაროა რიცხვი.“ ასე ყოფილა, ეს რიცხვია, რომ ყველგან გვაფიქსირებს და ჩვენც მის აკინძვას ვცდილობთ. ესაა, რომ გარბის და მივდევთ, როგორც ქარწაღებულნი. ყოველივე რიცხვს უკავშირდება და, მაშასადამე, რიცხვი განაგებს კაცობრიობას.

სადაც კი შევიდა, ყველგან ყურადღებით უსმენდნენ და იტოვებდნენ საკონტაქტო ტელეფონის ნომრებს. იმედს იტოვებდა... იმ იმედს,

საგზლად რომ იყენებდა და ზედ დაჰკანკალებდა. არ აქვს უფლება, სამსახურის გარეშე იყოს. მის უკან მისი ოჯახია, რომელიც სამედიცინო დახმარებასავით საჭიროებს მის გვერდით დგომას.

რანი ვართ და რანი ვიყავით...

- შეეცადე და მიაღწევ. მიღწეულს კი სხვას ნუ მიაკარებ. ჩრდილები რომ არ დაემჩნეს და მზის სხივები არ აისხლიტოს. მთავარია, შენ იცოდე, რა და რატომ, ეს საკმარისია. შენთვის სხვა საზომი არაა.

სახლში მოსულმა დაიწყო საკუთარი ნივთების შეგროვება-დახარისხება. დაჰყურებდა და ცრემლი ერეოდა. თვითეული საჭირო ნივთი თუ სამოსი, შესისხლხორცებული იყო მასთან. რამდენჯერ ერთად აყრილან და გადაბარგებულან საიდან სად. ერთად დაწერილი ისტორიის სიმლაშე აერთიანებდათ. დედის ნაჩუქარი ბეჭედი აიღო და თითზე ისეთი სისწრაფით წამოიცვა, ეგაა და ხელიდან აცლიანო. იჯდა ოთახის შუაგულში და დამძიმებული დაჰყურებდა ირგვლივ მიმოფანტულ ნივთებს.

- ხვალ სად იქნება? როგორ? ვისთან? როგორ მიიღებენ? დაიღალა.

- დღევანდელობა ცალ-ცალი ფეხსაცმელივითაა. დათითოვებული ურთიერთობებით და დანაგვიანებული ცხოვრებით. რომელ შესახვევშიც არ უნდა შეხვიდე, რომელიმე გადაკვეთაზე ხვდები იმას, რისთვისაც თვალის გასწორება მოგიწევს და დაგაფიქრებს.

- ვიღაც ყოველთვის შემდეგია...

სათქმელს ყოველთვის ბოლოსთვის იტოვებდა. გაურბოდა წყენას. აქ საკუთარი თავის მსაჯულიც იყო და დამცველიც. საკუთარ თავს ლითონის საცერში ატარებდა და უწონიდა მადლს და სიკეთეს. ბევრჯერ უნანია და სულამდე სტკიებია, როცა ვერ შეძლო საკუთარ თავთან თავის მართლება.

- ჰო, ასეც ყოფილა.ზოგჯერ აკეთებ იმას, რაც შენში არაა, მაგრამ ხომ აკეთებ?!

- იმდენჯერ მოვკვდი, რამდენჯერაც სხვას ვატკინე; იმდენჯერ სხვა თვალით შევხედე ადამიანებს და ცხოვრებას. იყავით იქ, სადაც თქვენი ღირსებების შეფასება შეუძლიათ. ნუ მისცემთ უფლებას, რომ თქვენში არსებული მდინარე დააშრონ და შეძელით, რომ ერთის პოვნისას მეორე არ დაკარგოთ.

მერამდენედ ფიქრობდა ბავშვობაზე (ამ ბოლო დროს ხშირად). ხედავდა თავის თავს ცეცხლისფერ ვილვეტის კაბაში, კრემისფერ ფეხსაცმელში, ორი ამოყრა ზონარი რომ ჰქონდა, თავზე ბაბთა. როგორ დაეცა წყაროზე წყლის ასავსებად მისული, მინის ჭურჭლით, გაჭრილი ხელი როგორ დამალა კაბის ჯიბეში და დანაშაულის

გრძნობით როგორ გატრიალდა ცარიელი უკან, თავისიანებთან, წყლის გარეშე და ტირილიც ვერ გაბედა. ქვიან ორღობეს რა განცდებით მიუყვებოდა, დღესაც აქვს იმის შეგრძნება და ის ბავშვი ებრალება, უნდა მოეფეროს მის პატარა გულს, რომელიც დღესაც არსებობს მასში, ზუსტად ასეთი უსუსური.

- როდესაც ზნე კეთილი გაქვს, თამაში აღარ გჭირდება და შენი ბუნებრივი სახით ცხოვრობ.

- დღეს ვნახე ქუჩაში, სული როგორ მიათრევდა ჩონჩხზე გადაკიდებულ სხეულს და სისხლის ნაკვალევსაც ვეღარ ტოვებდა...ეს მე მტკივა და მეშინია...

- ვცდილობ, ვაჯობო დროს და განაჩენს.

ბევრი ფიქრი ისწავლა.

დღეს მაინც უხაროდა რაღაც. ეს ნიკოლოზის სკოლაში მიღება იყო. ნიკოლოზი და დედამისი ბარის ავტობუსში გაიცნო. სულ ახალი ჩამოსული იყო ნიკოლოზი ემიგრანტ დედასთან და სულ ერთად იქნებოდნენ ამიერიდან. დედაშვილის მადლი მოისხა ერთმა იტალიელების ოჯახმა და ნიკოლოზი დედას ჩამოუყვანეს. ელიმება, როდესაც ახსენდება ავტობუსიდან ჩამოსული ნიკოლოზი როგორ გამოიქცა მისკენ, გაშლილი ხელებით და ერთმანეთს დიდი ხნის მონატრებულებივით ჩაეხუტნენ. დღეს ნიკოლოზი იტალიურ სკოლაში მიიღეს და ესაა, რომ უხაროდა.

- ჩემი სული პალიმფსესტივითაა, რომ გგონია ძველი წაშლილია და ახალს წერ, გახედავ და ძველიც იკითხება და ახალიც. ვიცი რა შეგძნებაა, გავლისას რომ მზერა დაგრჩება და მის ასაკრეფად ვეღარ მიბრუნდები და გეტყვით კიდევ, ზედმეტი ინტერესი კლავს საინტერესოს.

წმინდა ნიკოლოზის საფლავზე დადებული მძივი დაშლოდა და მარცვლები ხელში ჰქონდა ჩაბღუჯული. თითოს გაჩუქება უნდოდა. წმინდა ნიკოლოზის მადლი გადავა ყველაზეო. ყველაფრიდან ყველფერს ეძებდა და თუნდაც არაფერი აღმოეჩინა, ძიების პროცესით სულდგმულობდა. ყველა დროის საზრდოდ გამოყენება ისწავლა. გულჩვილობის დათრგუნვა უნდოდა, რომელიც ასე უშლიდა ხელს აქ ცხოვრებაში. სიჩუმეში ცხოვრებას ნიჟარის საიდუმლო დაარქვა. ბედნიერებას ეძებდა და ეძახდა

- სადაა ის დრო, რომელსაც შენი ხელი ატყვია?!

ნაბიჯი სიმძიმიდან გადადგა და გზა დათმო...ადამიანი საიდანაც იწყება, ისევ იქ ბრუნდება და ისე მთავრდება...

დაელოდება ხვალინდელს...

ავთანდილ ბუთხაშვილი

იქ ვაჟას ნაკვალევია...

2017 წლის 31 მაისს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პავლე ზაზაძის სახელობის საკონფერენციო დარბაზში შედგა შეხვედრა **ავთანდილ ბუთხაშვილთან,** რომელიც მრავალი რეგალიის მფლობელია. ბატონი ავთანდილი არის მწერალი, პოეტი, რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტი სანკტ-პეტერბურგში, რუსეთისა და საქართველოს მწერალთა კავშირების წევრი, ქართული ენის სწავლების კოორდინატორი, დერჟავინის სახელობის რუსული ენისა და ხელოვნების აკადემიის ნამდვილი წევრი, სააქციო საზოგადოება „აისის“ გენერალური დირექტორი, მეწარმე, ქველმოქმედი, ტიხონოვის პრემიის ლაურეატი, დოსტოევსკის მედლის - სილამაზის, ჰუმანიზმის, სამართლიანობისათვის - კავალერი, „ქართული მწერლობის ამაგდარის“ წოდების მფლობელი, 12 კრებულის ავტორი ქართულ და რუსულ ენებზე, ავტორი მემუარული პროზის „არაგვის ხეობიდან ნევის მიდამოებამდე“.

ღონისძიებაზე უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა მერაბ ბერიძემ ავთანდილ ბუთხაშვილს უნივერსიტეტის საპატიო დიპლომი გადასცა“სამშობლოზე ზრუნვისა და ეროვნული მოღვაწეობისთვის“.

ჩვენ შევეცადეთ ბატონი ავთანდილის ცხოვრების და შემოქმედების გზა არაგვის ხეობიდან სანკტ-პეტერბურგამდე მკითხველამდე მოგვეტანა.

- ბატონო ავთანდილ, დაიბადეთ და გაიზარდეთ მთაში, ჩარგალთან ახლოს, სოფელ მიგრიაულთაში, სადაც გაატარეთ ბავშვობა მრავალშვილიან ოჯახში.... გვიამბეთ თქვენი ოჯახის შესახებ. როგორი ბავშვობა გქონდათ, სკოლის პერიოდი?

- პირველ რიგში უნდა გითხრათ, რომ მთაში გაზრდილი ბავშვები ბუნებას შეეზრდებიან ხოლმე, მისი შემადგენელი ნაწილი ხდებიან. მკაცრი კლიმატი, მშობლების დახმარება და ფიზიკური დატვირთვა აწრთობს და აჩვევს შრომისუნარიანობას. მრავალშვილიან ოჯახებში თუ იზრდებიან, უფროსი შვილები მშობლებს ეხმარებიან უმცროსების გაზრდაში და კოლექტიურობას, გუნდურ მუშაობას, ადამიანებთან ურთიერთობას სწავლობენ. მშობელს ბევრი საქმის გამო არა აქვს დრო და შესაძლებლობა განსაკუთრებული აღზრდა მისცეს ბავშვებს. ისინი მთაში იზრდებიან შრომაში, დამოუკიდებლად. მეც მიწევდა ფიზიკური შრომა. ამასთანავე, ძალიან რთული იყო ჩვენთან ზამთრის მკაცრი კლიმატი, დიდი თოვლი და ყინვა. მაგალითად, სკოლაში ფეხით დავდიოდი 4 კმ. ზამთარში, ხანდახან ორ მეტრიანი თოვლი მოდიოდა და შიგ მივძვრებოდი, რომ მიმეღწია სკოლამდე. ვაჟას სოფელშიც ვწავლობდი, ჩარგალში. ჩემს სოფელთან ახლოს იყო. იქ მეზობლებთან ვცხოვრობდით და შაბათ-კვირას მივდიოდით მშობლებთან. ზაფხულობით სამწყემსო, თიბვა, მკა, თოხნა, ყველაფერი, რაც სოფლის სამეურნეო საქმეს შეეხება, ყველაფერს ვაკეთებდით.

- თქვენ ბრძანეთ, რომ ვაჟას სახლის მახლობლად სკოლაში სწავლობდით. თქვენს შემოქმედებით ნიჭზე ალბათ გარკვეული ზეგავლენა მოახდინა ამან. ბევრი ლექსიც გაქვთ მიძღვნილი.

- ბუნების წიაღში გაზრდილ ადამიანებს ძალიან იტაცებდა პოეზია. ეს ბუნებრივია, რადგან ყველა კითხულობდა, სხვა გასართობი საშუალება არ იყო. წიგნებში ჩაგულისხმიერებულ ადამიანს თავისთავად გესისხლხორცება პოეზია და ჩაგძახის, რა შთაბეჭდილებებიც გიგროვდება, შენც უპასუხო ყველა გრძნობას. ვაჟას პოემები ზეპირად ვიცოდი. ბევრი ლექსი დამაწერინა მისი შემოქმედების სიყვარულმა.

- გავცდეთ მთას და გვითხარით, როგორი იყო გზა არაგვის ხეობიდან სანკტ-პეტერბურგამდე?

- ეს გზა სიძნელეებით სავსე იყო. სკოლის შემდეგ ვსწავლობდი თბილისის საავიაციო ტექნიკუმში. მაშინ არ იყო საკმარისი არც ტანსაცმელი, არც საკვები, რადგან ოჯახი მრავალშვილიანი იყო. დამთავრების შემდეგ კიდევ ორი წელი ვიმუშავე თბილისში, თელასის გარეგანათების ოსტატად. შემდეგ კი სამხედრო სავალდებულო სამსახურმა მომიწია ლენინგრადში. სამსახური სამსახურია. ისიც სიძნელეებით იყო სავსე, მანქანას ვმართავდი. ერთხელ მინუს 35 გრადუს ყინვაში ჩამიქრა მანქანა და „ბუქსირით“ წამიყვანეს ავტოფარეხში. ძრავი რომ აღარ მუშაობდა, კაბინაში ისე ციოდა, რომ ფეხებს ვერ ვგრძნობდი. ვიდრე მივედით, მომეყინა ფეხები. ისე რთულად ვიყავი, რომ არ გვეგონა, რომ კიდევ შევძლებდი ფეხზე გავლას. ორი თვე ვერ ვგრძნობდი ქვედა კიდურებს. ღმერთის წყალობით, ნელ-ნელა მკურნალობამ გამოიღო შედეგი და შევძელი გავლა. სანკტ-პეტერბურგი, როგორც მოგეხსენებათ, უდიდესი კულტურის ცენტრია და ჩვენი დიდი მოღვაწეები სწორედ იქ მიდიოდნენ განათლების მისაღებად, ბევრი თავადიც განისვენებს იქ. ჩვენი მხრიდან, ფშავიდან, ბევრს არ უსწავლია სანკტ-პეტერბურგში. სიმბოლურია, რომ ვაჟას ძმამ გიორგიმ სწორედ იქ დაამთავრა იურიდიული. ვაჟაც სწავლობდა, მაგრამ ოჯახმა ფინანსურად ვერ შეძლო, მას დაემთავრებინა და უკანვე დაბრუნდა, თუმცა ჩემთვის **იქ ვაჟას ნაკვალევია**. მე მან შემაყვარა სანკტ-პეტერბურგი.

- ყველაზე მეტად გული რაზე დაგწყდათ, რაც სამშობლოში დატოვეთ?

- ყველაფერზე დამწყდა გული. განსაკუთრებით იმაზე, რომ ჩემი მშობლიური ქვეყნის და მხარის იშვიათი სტუმარი ვიყავი, ვერ ვხედავდი ნათესაობას, მოვწყდი პოეზიას, რადგან ჩემი სამსახური სულ სხვა მიმართულების იყო. კარგა ხანი ოჯახიც ვერ შევქმენი „კეთილმოსურნეთა“ გამო.

- გვითხარით, როგორ შეძელით 55 წლის მანძლზე უცხოეთში ქართული საქმე გეკეთებინათ?

- ჩემი ოჯახის ტრადიციულობიდან გამომდინარეობს, რომ გინდ მოძმეს, გინდა უცხოს, უნდა დაეხმარო გაჭირვების დროს. მე გაჭირვებისას რუსები მეხმარებოდნენ. ამან დიდი ზეგავლენა იქონია ჩემზე. დამაფიქრა, რომ თუ უცხო ადამიანი შეიძლება იყოს კეთილი, შენც უნდა იყო.. ვინც სიკეთე გაგიკეთა, თუ ვერ გადაუხდი მას შესაბამისად, სხვას მაინც უნდა გაუკეთო სიკეთე, უნდა დაეხმარო, თუნდაც მინიმალურად. ეს გახდა ჩემი ცხოვრების კრედო. ჩემს კრებულსაც

ასე დავარქვი „ამ ქვეყნად მხოლოდ სიკეთე მწადდა“. ბევრ ახლად-ჩამოსულს დავეხმარე. ვასწავლიდი, როგორ მოწყობილიყვნენ უმაღ-ლეს სასწავლებლებში, სამუშაოზე... როცა უკვე დავამთავრე სასწავ-ლებელი და მუშაობაც დავიწყე, ფინანსურადაც ვეხმარებოდი. რო-გორც მე განვიცდიდი უცხოობას და შიმშილობასაც კი, არ მინდოდა ეს განეცადათ. ჩემთვის თითქმის აღარც კი ვარსებობდი, მხოლოდ სხვებზე მინდოდა მეზრუნა.

- როგორც საზოგადოებისთვის გახდა ცნობილი, თქვენ ბრძანდებით რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტი სანკტ-პეტერბურგში. 1966 წელს რუსთაველის 800 წლისთავის იუბილეზე, როცა რუსთაველის ქუჩა დაარსდა სანკტ-პეტერბურგში, მას შემდეგ დაისახეთ მიზნად, რომ რადაც არ უნდა დაგჯდომოდათ, რუსთაველი ძეგლს დადგამდით ამ ქუჩაზე, და აი, 50 წლის შემდეგ, 2016 წლის 14 დეკემბერს, ეს ოცნება რეალობად აქციეთ. როგორ მოხდა ეს ყოველივე, რა სირთულეებთან იყო დაკავშირებული, როგორ შეხვდა ადგილობრივი საზოგადოება და ამ ქალაქის ქართული ემიგრაცია?

- ძეგლის დადგმა კომუნისტების დროს წარმოუდგენელი იყო, არც მოგისმენდა არავინ, რომც დასაუბრებოდი. სახელმწიფო დონეზე წყდებოდა ეს საკითხი. როცა შეიცვალა სისტემა, ბევრი მცდელობა მქონდა წამომეწყო ეს საკითხი, მაგრამ არავინ ყურადღებას არ მაქცევდა, არც მთავრობა, არც დიასპორა... ორი წლის წინ, როცა ახლოვდებოდა რუსთაველის 850 წლის იუბილე და დამნიშნეს სანკტ-პეტერბურგის რუსთაველის საზოგადოების ხელმძღვანელად, აქტიუ-რად დავიწყე ამ საკითხზე მუშაობა. ვაწარმოებდი შეხვედრებს თითქმის წელიწადნახევარი მხოლოდ დოკუმენტაციის გაფორმებას მოვანდომე. გავიარე ყველა ინსტანცია, საპროექტო დაწესებულება და სხვა. ყველა ინსტანციდან ნებართვა ავიღე და დარჩა მხოლოდ გუბერნატორის ნებართვა და ხელმოწერა. ეს მოხერხდა 2016 წლის 15 ოქტომბერს. ამის შემდეგ კიდევ ბევრი სირთულე შემხვდა, რადგან ვისაც უნდა მიეღო მონაწილეობა ფინანსურად ამ საქმეში, ყველა დამემალა. ამის შემდეგ ჩემი ორგანიზაციისა და ოჯახის ძალებით მოვაგვარე ეს საკითხი, ცოტაოდენი შემოწირულობაც იყო. 14 დეკემ-ბერს გაიმართა ეს ღონისძიება. ძალიან ბევრი ადამიანი ესწრებოდა, ვინც კი მონაწილეობა მიიღო საბუთების დასტურში - გუბერნატორი, დიასპორის ხელმძღვანელი და სხვანი... ქართული ემიგრაცია ხომ თავისთავად. მათთვის ძალიან წმინდა ადგილია. ასევე, მრავალ ორ-

განიზაციაში სხვადასხვაგვარად აღინიშნა რუსთაველის 850 წლის იუ-ბილე, მაგ., ქალაქის ყველა ბიბლიოთეკაში, სამხედრო საოლქო სახლში, ფესტივალი რაიონის სკოლებს შორის... პეტერბურგის ერ-მიტაჟში, პრეზიდენტი გამოვიდა სიტყვით... ქართული ანსამბლი „დიდგორი“ ჩამოვიდა საქართველოდან და ერთ-ერთ საკონცერტო დარბაზში ქართული ცეკვის სხვადასხვა ანსამბლმა გამართა კონ-ცერტი. რუსულ სკოლებში გაიმართა ფესტივალი (იქ ქართული სკოლა აღარ არის, წინათ ორი ქართული სკოლა იყო). მოსწავლეები გამოდიოდნენ, კითხულობდნენ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტს რუსულად, კონკურსიც კი გაავაკეთეთ, ხატვაშიც მიიღეს მონაწილეობა, ილუს-ტრაციები შექმნეს, ასევე ინსცენირებაც გააკეთეს. პედაგოგებიც აქ-ტიურად ჩაერთვნენ. კალინინის რაიონში 175-ე სკოლას მიენიჭება რუსთაველის სახელი. საბუთები უკვე მომზადებული მაქვს, აქ პოლი-ტიკური ან რამე სხვა ფაქტორი გამორიცხულია, ამიტომ დადებით პასუხს ველოდებით. ასევე, მინდა ამ სკოლისა და რუსთაველის სახ-ელობის ახალციხის N1 საჯარო სკოლის მოსწავლეებისთვის გაცვ-ლითი პროგრამა გავაკეთო, ისინი აქ ჩამოვიყვანო და ეს ბავშვები კი - იქ წვიყვანო.

- შესანიშნავი იდეაა. ჩვენთან, მესხეთში, ტრადიციულად შემოდგო-მით თითქმის ყოველწლიურად ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ რუსთავსა და ვარძიაში აღინიშნება „შოთაობა“. თქვენ დააარსეთ „რუსთაველობა“ სანკტ-პეტერბურგში, რაც თავისთავად ერთ-ერთი დიდი დღესასწაული იქნება ემიგრანტი ქართველებისთვის რუსეთში. რას გვეტყვით ამის შესახებ?

- თუ საქართველოში ვიქნები, აუცილებლად დავესწრები და იქი-დანაც მოვიწვევ სტუმრებს. ნახონ, როგორ ტარდება აქ შოთაობა. მე სექტემბერში დავაარსე „რუსთაველობა“, მაგრამ ჩვენმა მთავრობამ სხვაგვარად გადაწყვიტა. მქონდა სექტემბერში დაგეგმილი, მაგრამ ახლა მაისის 19-ში ჩავატარებინე, რადგან სამინისტრომ გადაწყვიტა, რომ ყოველი წლის 15 მაისს ჩატარდეს რუსთაველობა.

- ჩვენი ჟურნალის ერთ-ერთმა რესპოდენტმა, თქვენივე თანაქა-ლაქელმა, შესანიშნავმა ქართველმა ლევან კევლიშვილმა ინტერვიუში ასე დაგახასიათათ: „უდიდესი სულის პატრონი, ქართული კაცობის ეტ-ალონი..“ სანკტ-პეტერბურგში მინიმუმ 40 ათასი ემიგრანტი ქართვ-ელის სამაგალითო, სათაყვანებელი და საამაყო ადამიანი ბრძანდებით.

- მაღალფარდოვანი სიტყვებითაა გამოხატული, მაგრამ როგორც დაინახა, ისე გამოხატა ბატონმა ლევანმა. ტრაბახი გამომივა, მაგრამ როგორც ვიქცევი, ისე ხედავენ ამას. ბევრს უთქვამს, რომ ეკლესიაში რომ მივდივათ, ერთ სანთელს თუ ჩემთვის ვანთებ, მეორეს - შენი ოჯახისთვისო. ეს ძალიან სასიამოვნოა ჩემთვის.

- თქვენ წერთ „კარგია, ქვეყნად ყველას უყვარდე,
თუნდაც ბოროტს და თუნდაც შურიანს,
ყველამ გაიგოს, ადრე თუ გვიან,
ჩემი სიკეთის მზეც დასტურია“.

გვირჩიეთ, როგორ ვაკეთოთ სიკეთე ისე, რომ დაგვიფასდეს ადამიანებისგან?

- ჩვენ უნდა ვაკეთოთ სიკეთე, თუნდ დაგვინახონ, თუნდ -არა. მადლობისთვის გაკეთებული სიკეთე მადლს კარგავსო, ნათქვამია. თუნდაც მადლობასაც ნუ გვეტყვიან. ნაპოლეონს აქვს ასეთი ნათქვამი - ყველაზე ცუდი თვისება ადამიანში არის უმადურობა, თუმცა ჩვენ ამას არ უნდა ვუყუროთ, ჩვენ ჩვენს სულიერ მოთხოვნილებად უნდა გვქონდეს სიკეთის კეთება.

- თქვენს ცხოვრებას ამშვენებს კიდევ ერთი უკეთილშობილესი საქმე, რასაც ქველმოქმედება ჰქვია. ქველმოქმედება რომ აკეთოს ადამიანმა, აუცილებელია უნდა იყოს მდიდარი? თქვენი საქველმოქმედო საქმიანობა როგორ განისაზღვრება.

- ძალიან ბევრი მიმართულება აქვს ჩემს ქველმოქმედებას. მაგალითად, ავადმყოფი რომ მომმართავს ან შევიტყობ, რომ არ აქვს თანხა სამკურნალოდ, მაქვს თუ არ მაქვს თანხა იმ დროს, შემიძლია წავიდე და ვისესხო და დავეხმარო. მერე მე მოვალეს დავუბრუნებ ვალს, მაგრამ სხვას დავეხმარები. აფხაზეთის ომის დროს მეც და საერთოდ, ჩვენმა დიასპორამ დიდი დახმარება გავუწიეთ იქ მყოფთ. ერთი თვითმფრინავი მედიკამენტები გადმოვაგზავნეთ აფხაზეთში.

- განათლების მიმართულება თუ დაგიფინანსებიათ?

- განათლების მიმართულებით უკვე ორი წელია ქართული ენის შემსწავლელი კურსების კოორდინატორი ვარ. იქ მოღვაწე პედაგოგებს ხელფასს მე ვუხდი.

- ამ მიმართულებით მინდა გკითხოთ, „სადაც ქართული სულიერი კერა არსებობს უცხოეთში, იქაა ჩვენი საქართველოო“ - ასე ამბობენ ემიგრანტები უცხოეთში. თქვენ ქართული სულიერი კერა შექმენით სანკტ-პეტერბურგში. ვგულისხმობთ ქართული ენის სწავლებას, რომლის კოორდინატორიც ბრძანდებით. გვესაუბრეთ, რამდენი წელია, ფუნქციონირებს და რამდენად არის დაინტერესება?

- ორი წელია ეს ცენტრი ფუნქციონირებს, ორი პედაგოგია დასაქმებული და ორი ჯგგუფია შექმნილი. კვირაში 2-ჯერ ტარდება გაკვეთილები. მოსწავლეები ძალიან მონდომებულები არიან. პედაგოგები, გარდა ენის გაკვეთილებისა, უმზადებენ „სლაიდ შოუს“ ქართული ტრადიციებისა და კულტურის შესახებ. ქართული ბუნებას და ფოლკლორს აცნობენ, რადგან ამ ყველაფრის გარეშე შეუძლებელია ენა შესწავლა და შეყვარება. სურვილი ბევრს აქვს, მაგრამ დროის უქონლობის გამო, ვერ ახერხებენ. არიან რუსები, უკრაინელები, ბელორუსები, შუა აზიდან... უმეტესობა ნახევრად ქართული ოჯახებიდან არიან. მშობლებს არ რჩებათ დრო, რომ შვილებს ასწავლონ ქართული. არიან, ასევე, ბიზნესმენები, ვისაც საქართველოსთან აქვთ კავშირი. მათ ურჩევნიათ თვითონვე იცოდნენ ქართული და აწარმოონ დოკუმენტაცია, ვიდრე თარჯიმანი დაიქირაონ.

- ბევრ ღირსეულ ადამიანს შეხვდებოდით თქვენი ცხოვრების გზაზე. რას გვეტყვით მეგობრობის შესახებ?

- მეგობრობა ძალიან ღრმა გაგებაა. მეგობარი უნდა იყოს ერთგული, დამხმარე, ხელისშემწყობი.. ასეთი მეგორბრები ბევრი მყავს სანკტ-პეტერბურგში, ქართველები, განსაკუთრებით. ამას ოჯახების ურთიერთობები განაპირობებს. მისვლა-მოსვლა, საკრებულოში შეხვედრები... რუსთაველის საზოგადოებაში ბევრი წევრია, ამათგან გამორჩეულია 18 წევრი, როგორც პრეზიდიუმი. მათთან განსაკუთრებული ურთიერთობა მაკავშირებს. მაგალითად, კულტურული ღონისძიებების დროს, იქნება ეს ოპერა თუ სხვა რამ, მათ ვყიდულობ ბილეთებს და ვცდილობ, ასე გამოვხატო ჩემი მათდამი თბილი დამოკიდებულება. ქართველებიდან ბევრი ექიმია ჩვენი საზოგადოების წევრი. ისინი ძეგლის დადგმაშიც დამეხმარნენ ფინანსურად. მინიმალურად, მაგრამ მაინც გვერდში დამიდგნენ. სხვა მილიონერებმა არ მიიღეს მონაწილეობა. მათ შესახებ ჩემს წიგნში დავწერე, ასევე, შეტანილი მაქვს მათი სურათები, რომ იცნობდეს საზოგადოება. ასევე დავწერე, რომ ქართველი უნდა იყო სისხლით და ხორცით ქართველი.

- თქვენ ხშირად ახსენეთ ქართული დიასპორა. თქვენ როგორი კავშირი გაქვთ დიასპორასთნ?

- მე ვარ დიასპორის წევრი. მას ბადრი კაკაბაძე ხელმძღვანელობს.

- შემოქმედი ადამიანის ცხოვრებაში განსაკუთრებულად ფასობს სიყვარული. ალბათ ბევრი ლექსი დაგაწერინათ ამ გრძნობამ. თქვენი დიდი სიყვარულია თქვენი მეუღლე, რომელიც 38 წელია თქვენს გვერ-დითაა და 2 ვაჟიც გაჩუქათ. გვიამბეთ თქვენი ოჯახის შესახებ.

- ჩემი მეუღლე ნათესავებმა გამაცნეს. მას იცნობდნენ ჩემი მშობლები და და-ძმები. ოჯახი შეგნებულად შეიქმნა. მრავალი ლექსი მაქვს მიძღვნილი შვილებისადმი და მეუღლისადმი. ოჯახი თუ არ გიყვარს, სხვას ვერ შეიყვარებ.

- თქვენ ბრძანდებით მრავალი პრემიის ლაურეატი, მათ შორის, ნ. ტიხონოვის პრემიის ლაურეატი, დოსტოიევსკის მედლის - სილამაზის, ჰუმანიზმის, სამართლიანობისათვის კავალერი, ქართული მწერლობის ამაგდარის წოდების მფლობელი. რთული იყო ეს გზა?

-ეს არ არის მაინცდამაინც განსაკუთრებული სახელმწიფო ჯილ-დო. ეს პრემიები წიგნის გამოშვებას, საქველმოქმედო საქმიანობას ეხება. ამის გამო დავჯილდოვდი.

- განა ეს ცოტაა? ძალიან თავმდაბალი ადამიანი ბრძანდებით

- უხერხულია ადამიანი თავის თავზე როცა საუბრობს.

- თქვენ ბრძანდებით მრავალი კრებულის ავტორი, ასევე პროზაული კრებულის „არაგვის ხეობიდან ნევის მიდამოებამდე“. ვახუშტი კო-ტეტიშვილმა ერთ-ერთმა პირველმა შეაფასა თქვენი შემოქმედებითი ნიჭი... „ნამდვილი, ჭეშმარიტი პოეტია მთელი თავისი არსებით, უაღ-რესად თვითმყოფი და ბუნებრივი, ამავე დროს, უაღრესად ორიგი-ნალური და არავის მსგავსი. მისი ლექსების წაკითხვისას მე გამაოცა ენის წიაღისეულმა სიმდიდრემ, იმ მადნეულს, რომელიც მის ქანებსა თუ შრეებს შუაა მოქცეული“. გვიამბეთ თქვენი შემოქმედების შესახებ. ამდენ საქმესთან ერთად, გრჩებათ ამისთვის დრო?

- რვა ქართული და ოთხი რუსული კრებულის ავტორი ვარ. მთარგმნელები სხვა მყავს. მე ქართულად ვწერ. საიუბილეო კრებუ-ლის პრეზენტაციას ვამზადებთ უახლოეს დროში თბილისში. 60 ახ-ალი ლექსი და დანარჩენი სხვა კრებულებიდანაა შესული.

- თქვენი აზრით, მაინც, რა არის მთავარი ადამიანის ცხოვრებაში?

- მთავარია იყო მიზანდასახული, მიზანმისწრაფებული და უნდა იყო უაღრესად კეთილი. ეს კანონზომიერებაა! თუ კეთილი არ იქნები, პოეზიისგან ძალიან შორს იქნები. სიკეთე ჩემი ცხოვრების კრედოა.

- არ შემიძლია არ გკითხოთ დღევანდელი ჩვენი უნივერსიტეტის ღონისძიების შესახებ, რომელიც თქვენ მოგეძღვნათ. თქვენ უნივერსიტეტის რექტორმა გადმოგცათ სიგელი ქართული საქმის უანგაროდ კეთებისთვის უცხოეთში. გვითხარით თქვენი შთაბეჭდილებები.

- დღევანდელი დღე საპატიო იყო ჩემთვის, რადგან ვოცნებობდი შეხვედრა მქონოდა მესხეთში - ან რუსთავში, ან ახალციხეში, რადგან ეს რუსთაველის მხარეა. რაღაცნაირად დაემთხვა ჩემი ოჯახის ახლობლებლის კავშირები თქვენი უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან. შთაბეჭდილება ენით გამოუხატავია. მსიამოვნებს მხოლოდ ის კი არა, რომ დამაფასეთ, არამედ მიხარია ის, რაც აქ ვიგრძენი - ქართულ გულს, ქართულ შეგნებას რაც აახლოებს რუსთაველთან, საქართველოს წარსულთან, აწმყოსთან და მომავალთან. ზოგადად, პოეზია, ლექსი ძნელად ესმით ადამიანებს. ხალხი სულ სხვა რამით არის დაინტერესებული. სკოლაშიც აღარ ასწავლიან შესაბამისად. დღეს თქვენთან შეხვედრისას და ასევე, თქვენი უნივერსიტეტის მუზეუმში ვიგრძენი ეს ყოველივე და შემექმნა იმედი, რომ რუსთაველი ახსოვთ და საქართველო ამით უნდა გადარჩეს.

- დღევანდელი შეხვედრის დამსწრე აუდიტორია საოცრად მოინუსხა თქვენი წაკითხული ლექსებით. ერთია, როცა წერ, მეორე კი, როგორ კითხულობ. ეს იშვიათი შემთხვევაა, ავტორი ასე შესანიშნავად და მხატვრულად კითხულობდეს საკუთარ ლექსებს.

გმადლობთ, რომ გაგვაცანით კიდევ უფრო სიღრმისეულად თქვენი შემოქმედება, თქვენი თავი და ქართული ემიგრაცია რუსეთში, სანკტ-პეტერბურგში.

- უღრმესი მადლობა თქვენ ამ შესანიშნავი დღისთვის.

ინტერვიუერი მაია ქუქჩიშვილი

დეივიდ ჰერბერტ ლორენსი

ღიმილი

გადაწყვიტა მთელი ღამე არ დაეძინა, ნიშნად თავის დასჯისა. დეპეშა ორიოდ სიტყვით იტყობინებოდა: „ოფელიას მდგომარეობა კრიტიკულია“. გრძნობდა, რომ ამგვარ ვითარებაში მატარებლის ვაგონში დაძინება ქარაფშუტობის ტოლფასი იქნებოდა. ასე რომ, იჯდა პირველი კლასის კუპეში და საფრანგეთის თავზე ღამეც ჩამოწვა.

რა თქმა უნდა, ოფელიას სასთუმალთან უნდა გაეთია, მაგრამ ოფელიას ეს არ სურდა, ამიტომაც იჯდა მატარებლში.

სულის სიღრმეში შავსა და მძიმე რაღაცას დაესადგურებინა, დარდითა და ნაღველით სავსე კიბოს რომ ჰგავდა და მის სასიცოცხლო ორგანოებს ემუქრებოდა. ცხოვრებას მუდამ სერიოზულად უყურებდა. ახლა სერიოზულობით ზედმეტადაც აღვსილიყო. ნამზეური, ლამაზი პირ-სახითა და ხშირი, მუქად შეჭმუხნული წარბებით ჯვარცმულ მაცხოვარს მიაგავდა.

მატარებლის ღამე ჯოჯოხეთად ექცა. რეალური არაფერი იყო: მის მოპირდაპირედ მჯდომი ორი ბებერი ინგლისელი ქალბატონი დიდი ხნის წინ მიიცვალნენ, ალბათ მასზე გაცილებით ადრეც, რადგან აშკარა ჩანდა, რომ თვითონ უკვე აღარ იყო ამქვეყნად.

საზღვრისპირა მთებს ნაცრისფერი განთიადი ნელა შემოეპარა და კაციც მათ უჩინარი თვალებით უმზერდა. მაგრამ გონებაში გაუთავებლად იმეორებდა:

„და როცა მქრქალად და სევდიანად ირიჟრაჟა,
და წამსვე შხაპუნა წვიმამაც ააგრილა,
მანაც დახუჭა მშვიდად თვალები,
მისთვის სხვანაირი დილა გათენდა“.

ბერივით უემოციო ნაწამებ სახეზე იმ სიძულვილის ნიშანწყალიც არ აჩნდა, რასაც ამ ყალბი პათოსის გამო განიცდიდა და გონებაში განსჯიდა კიდეც.

იტალიაში იყო. ქვეყნის ხედებს მატარებლის ფანჯრიდან ოდნავ ზიზღშეპარული გაჰყურებდა. ძლიერი გრძნობის განცდის ილაჯი

გასწყვეტოდა. ზეთისხილის ხეებისა და ზღვის დანახვა მაინცდამაინც არ ეჭაშნიკა. ყველაფერს რომანტიკული სიყალბის ბეჭედი აჩნდა.

ჯერ ისევ ბნელოდა, როცა „პურიტანელ დედათა“ სავანეს მიაღწია, სადაც ოფელიამ ნავსაყუდელი ჰპოვა. წინამძღვრის ოთახში წაიყვანეს სასახლეში. მონაზონი წამოდგა და თავი მდუმარედ დაუკრა, კაცს ქედმაღლურად უმზერდა. მერე ფრანგულად უთხრა:

„მიჭირს თქმა, ამ დილით გარდაიცვალა.

გახევებული იდგა. ბერივით ლამაზი, გამოკვეთილ ნაქვთებიანი სახით სიცარიელეს მიშტერებოდა.

მონასტრის წინამძღვარმა თეთრი, მშვენიერი ხელი მკლავზე წაჰკიდა და მისკენ დახრილი სახეში ჩააცქერდა.

„გამაგრდით“, რბილად თქვა ქალმა. „მხნეობას ნუ დაკარგავთ“.

კაცი უკან გადგა. მუდამ ეშინოდა, როცა ქალის სიახლოვეს გრძნობდა. ფარფარა ქვედატნით შემოსილი წინამძღვარი მეტად ქალური ჩანდა.

„შევეცდები!“ მიუგო ინგლისურად. „შეიძლება ვნახო?“

წინამძღვარმა ზარი დარეკა და ახალგაზრდა მონაზონი შემოვიდა. საკმაოდ ფერმკრთალი გახლდათ, თუმცა ბავშვივით სუფთა, გულუბრყვილო და მოუსვენარი თვალები ჰქონდა. უფროსმა მონაზონმა კაცის სახელი ჩაიბუტბუტა, ახალგაზრდა ქალმაც თავი მოკრძალებით ოდნავ დაუკრა. მაგრამ მეთიუმ ხელი ისე გაიშვირა, თითქოს მოთმინების ფიალა ავსებოდა. ახალგაზრდა მონაზონმა თეთრი ხელები გაშალა და მორცხვად კაცის ხელისგულში შეაცურა, უსიცოცხლო, მძინარე ბელურასავით და მელანქოლიის ჯოჯოხეთით გათანგულმა კაცმაც გაიფიქრა: „რა მშვენიერი ხელები აქვს!“

ლამაზ, მაგრამ ცივ დერეფანს გაუყვნენ და კარზე დააკაკუნეს. სულში ჩაგუბებული უძირო დარდის მიუხედავად, წინ ნაზად ფარფატა და გამალებით მიმავალი მონაზვნის ფართო ქვედატნის მიმართ მეთიუ გულგრილი მაინც არ დარჩა.

როცა ქორედიანი საუცხოო ოთახის კარი შეაღეს და კაცმა თეთრი საწოლის გარშემო მოციმციმე სანთლები იხილა, ძალიან შეშინდა. სანთლების გვერდით შავგვრემანი და უშნო პირ-სახის, თეთრ ლეჩაქიანი მონაზონი იჯდა. მათ დანახვაზე „კურთხევანიდან“ თავი აიღო. მერე წამოდგა. ენერგიული ქალი ჩანდა, თავი მოწიწებით დაუხარა და მეთიუს მისი მსუქანი შავი ხელები თვალში მოხვდა, მუქი ლურჯი აბრეშუმის შესამოსლის გულისპირთან რომ მიეტანა და შავ კრიალოსანს მარცვლიდა.

სამივე მონაზონი სასთუმალთან მდუმარედ იდგა, თუმცა შავი აბრეშუმის ფართო ქვედატანი მათ ქალურობას ვერ მალავდა. წინამძღვარი დაიხარა და მიცვალებულს სახიდან თეთრი ბატისტის სუდარა დიდი სიფაქიზით გადახადა.

ცოლის უსიცოცხლო, ლამაზი სახის ხილვისას მეთიუს წამსვე სულის სიღრმიდან სიცილის მსგავსი რამ აღმოხდა. კაცმა რაღაც წაიბუზღუნა და სახეზე უჩვეულო ღიმილი მოეფინა. მოლიცლიცე სანთლების შუქზე საშობაოდ მორთული ნაძვის ხესავით თბილად და სწრაფად რომ ციალებდნენ, ლეჩაქებით თავშებურული სამივე მონაზონი კაცს ღრმა თანაგრძნობით სავსე თვალებს ქვეშ-ქვეშად არ აშორებდა. მათი სახეები ერთმანეთისგან განსხვავებულ ემოციას სარკესავით ირეკლავდა. მოულოდნელად ექვსივე თვალი უცბად ოდნავი შიშით აღივსო. მერე შიში გაოცებამ და ინტერესმა შეცვალა და სამივეს მოკიაფე სანთლების ფონზე მამაკაცს უმწეოდ რომ მიშტერებოდნენ, უცნაური, უნებლიე ღიმილი გამოეხატათ. არცერთის ღიმილი ერთმანეთს არ ჰგავდა. ახალგაზრდა, ფერმკრთალ მონაზონს შეუმჩნეველ აღტაცებასთან შეზავებული ტკივილი აღბეჭდოდა, მაგრამ შავტუხა ლიგურიელ 1 ზედამხედველ დედას, უკვე ასაკოვანსა და წარბშეკრულ ქალს, მსუბუქი და ცინიკური, ურწმუნო ადამიანის საოცრად დახვეწილი, უკვე მივიწყებულ მხიარულებასთან შეზავებული ღიმილი მოადგა პირზე. ამგვარად მხოლოდ ეტრუსკები[2] იღიმოდნენ, ასე ნატიფად, ამოუცნობად, უშიშრად და ლაღად.

მეთიუსავით ფართო პირ-სახიანი წინამძღვარი მთელი ძალით ლამობდა ღიმილი არ შეემჩნია, მაგრამ კაცის სასაცილო, ღვარძლით მაღლა აწეული ნიკაპი თვალში ისე უშნოდ ეჩხირებოდა, რომ სიცილს ვეღარ იკავებდა და თავს უფრო და უფრო დაბლა ხრიდა.

ახალგაზრდა, ფერდაკარგულმა მონაზონმა სახეზე უცბად კაბის სახელო აიფარა, მთელი სხეული უთრთოდა. წინამძღვარმა გოგონას მხარზე ხელი მოხვია და იტალიელთათვის დამახასიათებელი ემოციურობით ჩასჩურჩულა: „საბრალო პატარა არსებავ! იტირე, საბრალო პატარა არსებავ!“ თუმცა ემოციასთან ერთად ისევ მოგუდული ხითხითი მოისმა.

შავგვრემანი მონაზონი კვლავ წინანდებურად მტკიცედ იდგა და შავ კრიალოსანს ჯიუტად მარცვლავდა, თუმცა უხმო სიცილი სახიდან მაინც არ წაშლოდა.

უეცრად მეთიუ საწოლისკენ შეტრიალდა. ცდილობდა გაერკვია ცოლი თუ უთვალთვალებდა. კაცს ქალის ეშინოდა.

იწვა ოფელია ლამაზი და გულისამაჩუყებელი, უსიცოცხლო, წაწვრილებული ცხვირი აბზეკოდა და ბავშვივით ჯიუტი სახე მის ხასიათს უკანასკნელადღა უსვამდა ხაზს.

მეთიუს ღიმილი გაუქრა და სამაგიეროდ სახეზე არაადამიანური ტანჯვა აღებეჭდა. არ ტიროდა, ისე, უაზროდ მიშტერებოდა. ახლა მისი გამომეტყველება უფრო ღრმად და მკაფიოდ ამბობდა: ვიცოდი, რომ ეს ტანჯვა მელოდა!

ქალი ძალიან ლამაზი, ძალიან ბავშვური, ძალიან ჭკვიანი, ძალიან ჯიუტი, ძალიან დაღლილი და მკვდარი იყო! კაცმა გაუსაძლისი სიცარიელე იგრძნო.

ათი წლის ცოლ-ქმარნი იყვნენ. რა თქმა უნდა, კაციც არ ყოფილა სულმთლად იდეალური, -არა, არა, სრულებითაც არა! მაგრამ ოფელიას ყოველთვის სურდა, რომ მხოლოდ თავისი გაეტანა, ქმარი უყვარდა, მაგრამ სიჯიუტემ თავისი ქნა და გაექცა, მობეზრდა, დაიქანცა, აგდებულად ეპყრობოდა ან უბრაზდებოდა, თორმეტჯერ მიატოვა და თორმეტჯერვე უკან დაბრუნდა.

შვილები არ გააჩნდათ და ბუნებით მგრძნობიარე კაცს ბავშვების გაჩენის სურვილი მუდამ ჰქონდა. უსაზღვროდ დამწუხრებული იდგა.

ახლა ქალი აღარასოდეს დაუბრუნდებოდა. ეს უკვე მეცამეტე შემთხვევა იყო და სამუდამოდაც მიატოვა.

მაგრამ წავიდა კი? მაშინაც, როცა ჩაფიქრებული იდგა, ზურგში ისევ უბიძგეს, რომ გაეღიმა. კაცი ოდნავ მოიკრუნჩხა და ბრაზისგან წარბები შეკრა. გაღიმება აღარ სურდა! ოთხკუთხა, გაპარსული ყბა ჩამოვარდნოდა, დიდი კბილები დაეკრიჭა და მუდამ გამომწვევ მკვდარ ქალს ისე დაჰყურებდა. „მაინც არ იშლი!“ - მისთვის დიკენსის გმირის სიტყვების თქმა სურდა.

იდეალური თვითონაც არასოდეს ყოფილა. ისევ ასეთად დარჩენა ერჩივნა და ჩვეული შეცდომებით არასრულფასოვნად აპირებდა კვლავ ცხოვრების გაგრძელებას.

მყისიერად კაცი მოლიცლიცე სანთლების უკან მიყუჩებულ სამივე მონაზონს მიუტრიალდა, ახლა უკვე გაურკვეველ მდგომარეობაში მყოფთ, თეთრი ლეჩაქებიდან დროდადრო ხან მას რომ შეჰყურებდნენ და ხანაც სიცარიელეს. კაცს თვალები უელვარებდა და კბილები დაეკრიჭა.

„Mea culpa! ეა ცულპა!“[3] დაიბღავლა მან.

„Macchè!“[4] წამოიძახა შეშფოთებულმა წინამძღვარმა და ხელები აქეთ-იქით გაიშვირა, მერე ისევ ერთად შეატყუპა და ბუდეში შეყუ-ჟული წყვილი ბარტყივით კაბის ვიწრო სახელოში შემალა.

მეთიუმ თავი სწრაფად ჩაქინდრა და გარშემო მიმოიხედა, გასაქცევად მოემზადა. ზურგით მდგარმა წინამძღვარმა „მამაო ჩვენო“ წყნარად წარმოთქვა და კრიალოსანი ჩამომარცვლა.

ფერმკრთალი ახალგაზრდა დედა კიდე უფრო მეტად უკან მიკუნჭულიყო. მაგრამ ზორბა, შავტუხა მონაზონს შავი თვალები სამარადჟამოდ მოცინარი ვარსკვლავებივით უციმციმებდა და კაცმა ზურგში, სადღაც ნეკნებს შუა, ისევ იგრძნო ღიმილის ბიძგი.

„მომისმინეთ!“ დამაჯერებლად მიმართა მან სამივე ქალს. „საშინლად დამწუხრებული ვარ. წასვლა მირჩევნია“.

ქალები მოულოდნელობისგან შეყოყმანდნენ. კაცი კარისკენ ძალიან სწრაფად გაეშურა.

მაგრამ წასვლისას, როცა ჩასხმული მონაზონის მარადიულად მოციმციმე შავ თვალებს შეხედა, ისევ გაეღიმა და თავისთვის, გულის სიღრმეში იმ ხორციანი ხელების ვნებიანად შეხება ინატრა, ქალს დედალ-მამალი ჩიტებივით ერთმანეთთან რომ შეეერთებინა.

მაგრამ ჩვეული შეცდომებით ცხოვრების გაგრძელების ჟინი მოსვენებას არ აძლევდა.

„mea culpa“! დაიღრიალა ისევ მეთიუმ და წამსვე ზურგშიც ის ნაცნობი ბიძგი იგრძნო, გაუთავებლად რომ უმეორებდა: გაიღიმე! ჩინებულ ოთახში მყოფმა სამმა ქალმა ერთმანეთს გადახედა და ხელები ერთდროულად ისე გაშალა, გეგონებოდათ ექვსივე ბელურა ბუდიდან ერთბაშად წამოფრინდა და ისევ უკან დაბრუნდაო.

„საბრალო არსება!“ თანაგრძნობით თქვა წინამძღვარმა.

„დიახ! დიახ! ნამდვილად შესაბრალისია“.გულისგამგმირავი მიამიტობით წამოიტირა „Giá~[5] თქვა მსუქანმა შავტუხა მონაზონმა.

წინამძღვარი საწოლთან ფრთხილად მივიდა და მიცვალებულის სახესთან დაიხარა.

„თითქოს რაღაცას მიხვდა, საბრალო არსება!“ ჩაიჩურჩულა მან. „თქვენ რას ფიქრობთ?“

ლეჩაქით შემოსილი სამივე თავი ერთდროულად დაიხარა. ოფელიას ტუჩის კუთხესთან შერჩენილი მკრთალი ირონიული ღიმილი აშკარად აჩნდა. გაოცებულნი დასცქეროდნენ.

„მან ის დაინახა“. წაიჩურჩულა ახალგაზრდა მონაზონმა.

წინამძღვარმა მომღიმარ სახეს ლამაზად ნაქარგი სუდარა დიდი მოწიწებით დააფარა. მერე სულის გასვლის კანონი თითქმის უხმოდ წაუკითხეს, კრიალოსნებიც ჩამარცვლეს.

შემდეგ უფროსმა მონაზონმა ორ მოკიაფე სანთელს წვერები გაუსწორა, დიდი კანდელის ფითილს თითები მტკიცედ, მაგრამ ფაქიზად მოუჭრა და ჩააქრო.

შავგვრემან, ენერგიულ მონაზონს ხელში ისევ თავისი მომცრო „კურთხევანი“ ეკავა და ისე იჯდა. დანარჩენნი კაბების შარიშურით კარისკენ გაემართნენ და არაჩვეულებრივ თეთრ დერეფანში გავიდ-ნენ. მდინარეში მოცურავე შავი გედებივით მუქი კაბებით შემოსილნი ნაზად, უხმაუროდ მილივლივებდნენ, მაგრამ უეცრად შეჩქვიფდნენ. დერეფნის ბოლოში სევდიან ლაბადაში გამოხვეული უბადრუკი ქვრივი მეთიუ შენიშნეს, წინ და უკან უაზროდ რომ დაყიალებდა. მონასტრის წინამძღვარი თითქოს ადგილიდან მოსწყდა, კაცისკენ ისეთი სისწრაფით გავრდა.

მეთიუმ ფართო კაბებში შემოსილი და ლეჩაქებით თავშებურული, მისკენ გაჩქარებით მიმავალი ქალები დაინახა, თითქოს ხელები აღარც გააჩნდათ, ისე შეემალათ კაბის სახელოებში.

ახალგაზრდა მონაზონი წინამძღვრის უკან შეყოვნდა.

„Pardon, ma Mère! “6 თქვა კაცმა ისე, თითქოს ერთმანეთს ქუჩაში შეხვდნენო. „აქ სადღაც ქუდი დამრჩა“...

სასოწარკვეთილმა კაცმა ხელი უიმედოდ გააქნია და მასზე მწუხარე და გაუცინარი ქვეყნად აღარავინ იყო.

ინგლისურიდან თარგმნა მაია ბოლაშვილმა

შენიშვნები:

1. ლიგურია-იტალიის ჩრდილო-დასავლეთით, ლიგურიის ზღვას-თან მდებრე რეგიონი;

2. ეტრუსკები-უძველესი იტალიალები. ეტრუია მდებარეობდა ცენტრალურ იტალიაში,მდინარე არნოსა და ტიბეის შორის. დაახ-ლოებით ახლანდელი ტოსკანისა და უმბრიის ნაწილი. ეტრუსკები გამოირჩეოდნენ საოცარი გარეგნული სილამაზით და ამავე დროს მამაცობითაც;

3.Mea culpa (იტალ.)- ჩემი ბრალია;

4.Macchè (იტალ.)-რა თქმა უნდა, არა;

5.Giá(იტალ.)-უკვე;

6.Pardon, ma Mère (ფრანგ.)-ბოდიშს გიხდით, დედაო;

მხატვარი ლელა ფერაძე

ვარდნარის ჩრდილში

ზღვის პირას მდებარე მშვენიერი კოტეჯის სარკმელს ჩია ტანის ახალგაზრდა კაცი მისჯდომოდა და გაზეთის წაკითხვას ამაოდ ცდილობდა. დაახლოებით დილის ცხრის ნახევარი იქნებოდა. გარეთ მზე საუცხოო ვარდებს თავს დასდგომოდა და ცეცხლივით აეელ-ვარებინა. ყმაწვილმა კაცმა ჯერ მაგიდას, შემდეგ საათს და ბოლოს საკუთარ ვერცხლის მოზრდილ მაჯის საათს დახედა. სახეზე ჯიუტი მოთმინება გამოეხატა. მერე წამოდგა და ოთახის კედელზე დაკიდულ ზეთის საღებავით შესრულებულ ნახატს „დატყვევებულ ხარირემს“ ყურადღებით მაგრამ ავი მზერით შეავლო თვალი. პიანინოს თავსახურის ახდა სცადა და დაკეტილი აღმოჩნდა. პატარა სარკეში საკუთარ სახეს მოჰკრა თვალი, წაბლისფერი ულვაში შეისწორა და თვალები ფხიზელი ინტერესით დაძაბა. უშნო არ ეთქმოდა. ულვაში გადაიგრიხა. მომცრო ტანის მიუხედავად ზედმიწევნით სხარტი და ენერგიული გარეგნობა ჰქონდა. საკუთარი ფიზიონომიით აღტაცე-ბული და თვითკმაყოფილი სარკეს მოსცილდა.

სხვებისაგან შეუმჩნევლად ბაღში გაიპარა. ახალთახალი, ელე-განტური ქურთუკი ტანზე მშვენივრად ადგა და მის თავდაჯერებულ ხასიათს უფრო ცხადად წარმოაჩენდა. გაზონის შორიახლოს მსხმოია-რე ვაშლის ხე შენიშნა. სხვა ხეხილისკენაც გაისეირნა. მოყავისფრო-მოწითალო ნაყოფით დახუნძლული ვაშლის ხე შეარჩია. ირგვლივ მიმოიხედა, ერთი ცალი მოწყვიტა და სახლისკენ ზურგშექცეულმა მადიანად ჩაკბიჩა. ხილი უჩვეულოდ ტკბილი აღმოჩნდა. სხვასაც მისწვდა. შემდეგ ისევ შემოტრიალდა და ბაღში გამომავალი საძი-ნებელი ოთახის ფანჯრები შეათვალიერა. ქალის ფიგურას მოჰკრა თვალი. მისი ცოლი იყო. ზღვას მიშტერებული კაცს ვერც კი ამჩნევდა.

მცირე ხანს უთვალთვალა. სასიამოვნო, საკმაოდ ფერმკრთალი, მაგრამ ჯანმრთელი გარეგნობის ქალი გახლდათ. ასაკით ქმარზე უფროსი ჩანდა და ნაღვლიანი სახე ჰქონდა. სქელი, ოქროსფერი თმის კულულები შუბლზე დაჰფენოდა. სადღაც შორეთში, ზღვისკენ იმზირებოდა. უყურადღებობამ კაცი გააღიზიანა, წითელი ვაშლები მოწყვიტა და სარკმელს ესროლა. ქალი შედგა, კაცს შმაგი ღიმილით შეხედა და ისევ ზღვისკენ გაიხედა. შემდეგ ფანჯარას ელვისებური სისწრაფით მოშორდა. კაცი შინ შევიდა და ცოლთან შესახვედრად გაემართა. მოხდენილი აღნაგობა ჰქონდა, რითაც ძალიან ამაყობდა და ტანთ თეთრი მარმაშის თხელი კაბა ემოსა.

„დიდი ხანია ვუცდი“, – თქვა კაცმა.

„მე თუ საუზმეს?“ – მსუბუქად ჰკითხა ცოლმა.

„ცხრაზე არ შევთანხმდით? მეგონა მგზავრობის მერე ძილს გამოაცხობდი.“

„რა, არ იცი, ხუთზე რომ მუდამ ფეხზე ვარ და ექვსის მერე საწოლში გაჩერება არ შემიძლია? ამისთანა დილას ლოგინში ნებივრობა თხრილში ჯდომის ტოლფასია“.

„ისევ თხრილი, არ მეგონა, აქაც თუ გაგახსენდებოდა.“

ქალი ოთახის დასათვალიერებლად შებრუნდა, მინის საფარქვეშ მოთავსებულ ჩუქურთმებს უმზერდა. კაცი ბუხრის წინ დაგებულ ფარდაგზე უხერხულად გაჯგიმულიყო და ცოლს უხალისო მოთმინებით უცქერდა. ქალმა მხრები აიჩეჩა.

„წამო“, თქვა მან და ქმარს ხელი მოჰკიდა.

„ბაღში ჩავიდეთ, ვიდრე მისის ქოუთსი საუზმეს მოგვიმზადებდეს.“

„მალე იქნება“, – თქვა კაცმა და ულვაში მოიწიწკნა.

ქალმა ყასიდად გაუღიმა, ქმარს ხელ-მკლავი გამოსდო და ბაღისკენ გასწიეს. კაცმა ჩიბუხს მოუკიდა.

მისის ქოუთსი ოთახში შევიდა. ტანმაღალი, მომხიბლავი, თუმცა უკვე ხანდაზმული ქალი სტუმრების უკეთ დასანახად ფანჯარაში გადაეყუდა. ბილიკზე მიმავალი ახალგაზრდა წყვილის დანახვაზე მომცრო ცისფერი თვალები გაუნათდა. ქმარს ცოლისთვის ხელი გაეყარა და მსუბუქი, თვითდაჯერებული ნაბიჯებით მიაბიჯებდა. მოხუცმა საკუთარ თავს ნაზი, იორკშაირული აქცენტით გაუბა საუბარი:

„სწორედაც რო შესაფერისები არიან. თავისზე დაბალს არც გაჰყვებოდა, თუმცა სხვაფრივ ქმარზე ყველაფრით მეტია.“ ოთახში შემოსულმა გოგონამ ლანგარი მაგიდაზე დადო და ბებიასკენ გაექანა.

„ის კაცი ვაშლებს ჭამდა, იცი, ბები,“ – თქვა მან.

„მართლა? მერედა რა მოხდა, ჭამოს თუკი სიამოვნებს, რატომაც არა.“ კართან მოახლოებული მოხდენილი მამაკაცი ჩაის ფინჯნების წკარუნს მოთმინებით ისმენდა და როგორც იქნა, სასაუზმოდაც დასხდნენ. დანაყრების შემდეგ ქმარი ერთ ხანს შეყოვნდა და თქვა:

„ბრიდლინგტონზე უკეთესი ადგილი თუ სადმე გეგულება?“

„არა.„ გაეპასუხა ცოლი. „ნამდვილად არა. გარდა ამისა, ისევ შინ ვარ. ეს ზღვისპირა ადგილი სრულებითაც არ მეუცხოება.“

„აქ რამდენი ხანი გაატარე?“

„ორი წელი“.

კაცი საჭმელს ფიქრებში წასული მიირთმევდა.

„სჯობდა უფრო სუფთა ადგილი მოგენახა“, – თქვა ბოლოს.

ქალი ერთ ხანს ჩუმად იჯდა, მერე კი თავაზიანად მოუსინჯა კბილი.

„რატომ?“ ჰკითხა მან. „გგონია საკმარისად ვერ ვისიამოვნე, თუ რა?“ ქმარს გულიანად გაეცინა და პურის ნაჭერს მურაბა სქლად გადაუსვა.

„ასე მგონია,“ – თქვა მან.

ქალმა კვლავ არაფერი შეიმჩნია.

„მაგრამ ფრენკ, ჩემზე სოფელში მაინც ნურაფერს იტყვი, კარგი?“ უნებლიედ წამოსცდა ქალს. „ნუ იტყვი, ვინა ვარ, ან თუ აქ ვცხოვრობდი, განსაკუთრებით კი არავისთან შეხვედრა არ მსურს და იცოდე, რომ თავს ისე ლაღად ვეღარ ვიგრძნობ, თუ ვინმემ მაინც მიცნო.“

„მაშ, რატომღა ჩამოხვედი?“

„რატომ? ვერ გაგიგია, რატომ?“

„ვერა. რატომ არ გინდა, რომ გიცნონ?“

„მხოლოდ ადგილის მონახულებას ვესწრაფოდი და არა ადამიანებისა.“

ქმარს მეტი აღარაფერი უთქვამს.

„ქალები“, თქვა ქალმა, „მამაკაცებისგან განვსხვავდებით. მე თვითონაც არ ვიცი, წამოსვლა რატომ მსურდა, მაგრამ მაინც გამოვემგზავრე.“

ცოლმა ქმარს კიდევ ერთი ფინჯანი ყავა გულთბილად შესთავაზა.

„მხოლოდ ერთ რამეს გთხოვ,“ შეწყვეტილი საუბარი გააგრძელა ქალმა, „სოფელში ჩემს შესახებ ნურავის მოუყვები“. აკანკალებულმა გაიცინა. „საკუთარი წარსულის ამხედრება არ მსურს“ და თითებით სუფრიდან ნამცეცები წამოკრიფა.

კაცი ყავის სმას მორჩა და ქალს შეხედა; ულვაში კვლავ მოქაჩა, ფინჯანი დადგა და უხალისოდ წარმოთქვა:

„დარწმუნებული ვარ, მდიდარი წარსულის პატრონი ბრძანდები.“

ქალმა ქვეშიდან დარცხვენილი თვალებით ამოიხედა, რითაც კაცს პატივმოყვარეობა დაუკმაყოფილა და ფრიად აამა.

„მჯერა,“ – მოალერსე ხმით უთხრა ცოლმა, – „ვინც არ უნდა აღმოვჩნდე, მაინც არ მიმატოვებ, ხომ მართალს ვამბობ?“

„აბა რა,“ სიცილით ანუგეშა ქმარმა. „გვერდიდან ვერასოდეს მოგიცილებ.“ კაცი ერთობ ნასიამოვნები ჩანდა.

ქალი ერთხანს მდუმარედ იჯდა. ცოტა ხნის შემდეგ თავი ასწია და თქვა:

„მისის ქოუთსი უნდა ვნახო და ბევრი რამ მოვაწესრიგო. ასე რომ, ჯობია ამ დილას მარტომ გაისეირნო. პირველზე კი ერთად ვისადილოთ.“

„მერედა ამას მთელი დილა რაში სჭირდება?“ – იკითხა კაცმა.

„ოჰ, როგორ არა. რამდენიმე წერილიც დასაწერი მაქვს და ქვედატანს ლაქები უნდა მოვაცილო. ათასი წვრილმანი საქმე მაქვს. ჯობია, მარტო გახვიდე.“

კაცი მიხვდა, რომ ქალს მისგან განმარტოება სურდა. როცა ცოლი კიბეს აუყვა, ცილინდრი დაიხურა და ბრაზმორეულმა ციცაბო კლდეებისკენ ზანტად გასწია.

ქალიც მალევე გამოვიდა. ვარდებით შემკული ქუდი ეხურა და თეთრ კაბაზე სირმებით გაწყობილი გრძელი შარფი მოეგდო. ნერვიული მოძრაობით ქოლგა გაშალა და სახე მის ფერადოვან ჩრდილში ნახევრად ჩამალა. ვიწრო, მებადურთა ხშირი სვლისგან ჩაზნექილ ფილაქანს მიუყვებოდა. ქოლგის წყალობით საკუთარ თავს უსაფრთხოდ, სხვათაგან უჩინრად გრძნობდა.

ეკლესიას ჩაუარა და ვიწრო ბილიკით გზისპირას აღმართულ მაღალ გალავანს მიადგა. მის ქვეშ ფრთხილად გაძვრა და ღია ჭიშკართან, რომელიც პირქუში კედლის ფონზე სინათლით გაჩახჩახებულ სურათს მიაგავდა, შორიახლოს შეჩერდა. იქ, ჭიშკრის მიღმა, მზით განათებულ, ზღვის მოლურჯო-მოთეთრო კენჭებით მოკირწყლულ ზღაპრულ ეზოში ჩრდილი ჩამო-წოლილიყო, ხოლო მწვანედ გაბიბინებულ გაზონში დაფნის ხეები ყვაოდა. ეზოში ფეხაკრეფით, ნერვიულად შეაბიჯა. ჩეროში წამომართულ სახლს ახედა. უფარდო ფანჯრები ჩაშავებული, უკაცრიელი ჩანდა, სამზარეულოს კარი ღიად დაეგდოთ.

თავდაპირველად ნაბიჯი გაუბედავად გადაადგა, შემდეგ კვლავ წინ წადგა და მალე ეზოს უკან მდებარე ბაღისკენ მგზნებარედ მიილტვოდა.

სახლის კუთხესთან მისულს ხეების ტკაცუნთან ერთად მძიმე ნაბიჯების ხმაც მოესმა და მებაღეც წინ აესვეტა. ხელში გადამწიფებული, მეწამული ხურტკმელით დახვავებული მოწნული სინი ეკავა. ქალს მძიმედ მიუახლოვდა.

„ბაღი დღეს არ მუშაობს“, – მშვიდად უთხრა ერთობ მომხიბლავ ქალს, რომელმაც დინჯად დაიხია უკან. მცირე ხანს გაოცებისგან გაყუჩდა, როგორ? ნუთუ ბაღი ყველასთვის ღიაა?

„როდის აღებთ ხოლმე?“ – სულმოუთქმელად, ეშმაკურად ჰკითხა.

„მოძღვრის ნება-სურვილით. პარასკევს და სამშაბათობით.“

ქალი გახევებული, აწითლებული იდგა. რა უცნაურია, ნუთუ მღვდელი ბაღის კარს საჯაროდ აღებინებს ხოლმე!

„ალბათ ყველა ეკლესიაშია“, პირმოთნედ თქვა ქალმა. მებაღის მოთაფვლას შეეცადა. „შინ არავინ არის, ხომ ასეა?

კაცი გაინძრა და ძირს მოზრდილი ხურტკმელი ჩამოუვარდა.

„მოძღვარი ახალ რეზიდენციაში ცხოვრობს“, თქვა მან. ორივე ჩუმად იდგა.

კაცს ქალის წასვლა არ სურდა. ბოლოს კაცს გამარჯვებული ღიმილით მიუბრუნდა.

„შეგიძლია ვარდებს შემახედო?“ – ალერსიანი, მშვენიერი სურვილით აღსავსე ხმით ჰკითხა ქალმა.

„არც არაფერი დაშავდება“, მიუგო კაცმა და გზა დაუთმო, „მხოლოდ დიდ ხანს ნუ დააყოვნებთ“.

ქალი წინ წავიდა. მებაღის არსებობა უმალვე მიავიწყდა, სახე დაძაბვოდა და ენერგიულად მიაბიჯებდა. გზადაგზა გარემოს ათვალიერებდა გაზონის მხარეს გამომავალი ყველა სარკმელი უფარდოდ დაეტოვებინათ და პირქუში ჩანდა. უკაცრიელ სახლს თოთქოს რაღაცისთვის იყენებდნენ, მაგრამ აშკარა იყო, შინ აღარავინ ცხოვრობდა. ქალს თავსდამდგარი ჩრდილი არ შორდებოდა. გაზონის გადაღმა ბაღისკენ გასწია, ალისფერი ხვიარის ფანჩატურში გაძვრა. ფერადოვანი ჭიშკრის მიღმა დილის ცვრით დანამული ზღვის ყურე გაწოლილიყო და შორეული შავი კლდის კონცხი წყლისა და ცის ლურჯ ლაჟვარდში ბუნდოვნად გამოშვერილიყო. ქალს სახე გაუნათდა, ერთდროულად ჭმუნვითა და სიხარულით აღევსო. ნაირ-ნაირ ყვავილთგროვაში მიდიოდა და ცვრიანი ბალახი ფეხქვეშ ეგებოდა და ქვემოთ, მოშორებით ტანმაღალ ხეებს მორაკრაკე ნაკადული დაეჩრდილა.

მზით განათებული ყვავილნარისკენ შებრუნდა. პატარა კუთხეში ურთხელის ხის ქვეშ დასაჯდომი რომ იყო, კარგად ახსოვდა. აქედან უკვე ტერასა იწყებოდა. უამრავი ყვავილი აქაც ხარობდა, შემდეგ კი ბაღის ორივე მიმართულებით თითო ბილიკი ჩადიოდა. ქალმა ქოლგა დაკეცა და ყვავილთა ზღვაში გზა გაიკვლია. ირგვლივ მხოლოდ ვარდის ბუჩქები, მისი უზარმაზარი ზვინები იდგა, სვეტებზეც ხვიარა ვარდი აცოცებულიყო და სხვა ბუჩქებსაც მოსდებოდა. მიწაზე აურაცხელი ნაირფერი ყვავილი ამოსულიყო. იქვე, თვალის გაწვდენაზე მოჩანდა ზღვა და მასში შეჭრილი კონცხიც.

თითქოს წარსულისკენ პირი იბრუნაო და დაბლა ბილიკზე მომაბეზრებლად ნელა, ზოზინით დაეშვა.

უცბად ხავერდივით გლუვ, რამდენიმე მეწამულ ვარდს შეეხო, ჩაფიქრებული ანგარიშმიუცემლად უსვამდა ხელს, აი ისე, დედა რომ თავის პირმშოს ეფერება ხოლმე. ოდნავ მოიხარა და დაყნოსა. მერე ისევ ხეტიალს მოჰყვა. ზოგჯერ სრულიად უფერულ, უსუნო ვარდთან ჩერდებოდა. დადგებოდა და ისე მიაშტერდებოდა, თითქოს პირველად იხილაო. ჩამოცვენილი, ვარდისფერი ფურცლების უზარმაზარი გროვის დანახვაზე უნაზესი სიახლოვის გრძნობა დაეუფლა. შემდეგ თეთრ ვარდს მიუახლოვდა, ყინულის მსგავსი მომწვანო შუაგული რომ ჰქონდა. ბილიკი ასე, ნელ-ნელა, თეთრად მოფარფატე პეპელასავით ჩაათავა და ვარდებით სავსე მომცრო ტერასაზე აღმოჩნდა. აქ, გაჩახჩახებულ მზისქვეშეთში, თითქოს მხიარულ ბრბოს მოეყარა თავი. ქალმა დაირცხვინა, რადგან ისინი ძალიან ბევრნი იყვნენ და გასაოცარი ნათელი ადგათ. საუბრობდნენ და იცინოდნენ კიდეც. თავი უცხოდ იგრძნო. გამხიარულდა, საკუთარ არსებას თავი დააააღწია. აღელვებისგან გაწითლდა. ჰაერში საუცხოო სურნელი ტრიალებდა. თეთრ ვარდებს შორის დასაჯდომი სწრაფად მონახა და ზედ დაეშვა. ალისფერი ქოლგა მუქ ლაქასავით მოჩანდა სითეთრის ფონზე. უძრავად იჯდა, თითქოს არსებობა შეეწყვიტა. იმ გაუშლელ კოკორს მიაგავდა, აყვავება რომ არასოდეს ეღირსა. თეთრი კაბის კალთაზე ბუზი დააფრინდა. ვარდს დააჯდაო, გაიფიქრა. საკუთარ თავს აღარ ეკუთვნოდა.

ქალი იტანჯებოდა. სწორედ ამ დროს ადამიანის ჩრდილი დალანდა. კაცს ფეხები ფლოსტებში წაეყო და უხმაუროდ მოდიოდა. ტილოს ლაბადა ეცვა. დილა იწურებოდა. დრო სადღაც გაპარულიყო. ქალს მხოლოდ დაკითხვისა ეშინოდა. კაცი წინ გამოეშურა. ქალი წამოდგა. მერე, კაცის ახლო დანახვაზე ძალა გამოეცალა და კვლავ სკამზე დაეშვა.

ახალგაზრდა, ოდნავ ჩასხმული კაცი გახლდათ. სამხედრო მოსამსახურის იერი ჰქონდა. საგულდაგულოდ დავარცხნილ შავ თმას ბზინვარება გაჰქონდა, ულვაშები ულაპლაპებდა. ქალმა ახედა. ტუჩები გაფითრებოდა და კაცს თვალებში უყურებდა. მას კი შავი თვალები გაეშტერებინა. ვერავის და ვერაფერს ხედავდა. არაამქვეყნიური მზერა ჩასდგომოდა და ქალისკენ მიემართებოდა. კაცი დაჟინებით მიაშტერდა. უსიცოცხლოდ მიესალმა და გვერდით მიუჩოჩდა. მერე ოდნავ გაიწია, ფეხები გადაანაცვლა და ჯარისკაცული ხმით, ჯენტლმენურად წარმოსთქვა: „ხომ არ შეგაწუხეთ?“

ქალი დამუნჯებული, უმწეოდ იჯდა. კაცი გაპინწკინებულ მუქ ტანსაცმელსა და ტილოს ლაბადაში გამონწყობილიყო. ქალს განძრევაც არ შეეძლო. ნეკზე მისთვის კარგად ნაცნობი ბეჭედი წამოეცვა. ქალს თავი სიზმარში ეგონა. მთლიანად სამყარო გადარეულიყო. სკამზე უსარგებლო ნივთივით იდო. ოდესღაც ვნებიანად მოალერსე ხელები კაცს ჯანსაღ მუხლებზე ჩამოედო და ქალი შიშმა აიტანა.

„შეიძლება მოვწიო?“ – იდუმალი ხმით ჰკითხა და ხელი ჯიბისკენ წაიღო.

გაპასუხების თავი არც ჰქონდა, თუმცა კი რა? პასუხი რად უნდოდა? კაცი თავისი არსებით ხომ სხვაგან იყო.

ქალს ინტერესის ჟინმა წამოუარა: „თუ მიცნო მაინც?“ „მიხვდა თუ მაინც, ვინ ვარ?“

ტანჯვისგან გაფითრებული იჯდა. ვერ შორდებოდა. სურდა ბოლომდე დატანჯულიყო.

„არც ერთი გრამი თამბაქო არ გამაჩნია,“ – ფიქრიანად თქვა კაცმა.

მთლიანად კაცთან იყო და სიტყვები ვერ გაიგო. ნეტა, იცნო თუ მართლა ყველაფერი ოდესღაც სამუდამოდ დამთავრდა? ყინულივით ცივი იჭვი გულს უკაწრავდა.

„მხოლოდ ჯონ კოტონს ვეწევი,“ – თქვა კაცმა, – „და ცოტა მეტი ეკონომიურობაც მმართებს, ძალიან ძვირია. იცით, ამნაირი კანონების გადამკიდე მთლად ხელგაშლილად ვეღარ ვცხოვრობ.“

„არა,“ თქვა ქალმა, და გული გაეყინა, სული გაუსასტიკდა.

კაცი შეირხა, თავი მსუბუქად დაუკრა, წამოდგა და სადღაც წავიდა. თვითონ ისევ გახევებული იჯდა. კაცის სხეულს ხედავდა, ერთ დროს გაგიჟებით რომ ელტვოდა. ოდესღაც ლამაზი თავის ფორმის, მოხდენილი აღნაგობის ჯარისკაცი გატეხილ, დაუძლურებულ მამრად ქცეულიყო. არა, ეს იმ კაცს სულ არაფრით ჰგავდა. ეს უბრალოდ რაღაც არსება იყო, რომელმაც ქალი გამოუცნობი შიშით აღავსო.

მოულოდნელად კაცი კვლავ გამოჩნდა, ცალი ხელი ქურთუკის ჯიბეში ჩაეყო.

„შეიძლება მოვწიო?“ – იკითხა მან. „ალბათ ზოგიერთ რამეს მერე უკეთესად დავინახავ.“ ისევ გვერდით მიუჯდა, ჩიბუხი გატენა. ქალი კაცის ლამაზ თითებს უმზერდა. ოდესღაც ამისთანა ჯანმრთელი ხელების უმნიშვნელი კანკალიც კი გააოცებდა. ახლა მათ აქეთ-იქით აცეცებდა და ჩიბუხიდან თამბაქო უცვიოდა.

„კანონიერი ბიზნესის პატრონი ვარ, რომელსაც ყოველთვის ვერ ვენდობი. პირად ადვოკატს ზუსტად, დეტალებში ვეუბნევი, რაც მსურს, მაგრამ შედეგს ვერასოდეს ვიღებ.“

ქალი გარინდებული იჯდა და კაცის საუბარს ისმენდა. თუმცა ის ხომ სულ სხვა იყო, ისევ ისეთივე ხელები ება, ერთ დროს რომ გაშმაგებით უკოცნიდა, შავი თვალებიც კვლავინდებურად უელავდა, რაც ქალს ოდესღაც გიჟმაჟი ვნებით აღავსებდა და მაინც, იმ ადამიანს არაფრით არ ჰგავდა. შიშისგან დამუნჯებული უძრავად იჯდა. კაცს თამბაქოთი სავსე ქისა ძირს დაუვარდა და მიწაზე ხელების ფათურს მოჰყვა. არა, მაინც ვერ ადგებოდა. უნდა დალოდებოდა, როდის იცნობდა. აბა, რანაირად წავიდოდა! — ცოტა ხნის შემდეგ კაცი წამოდგა.

„უნდა დაგტოვოთ“, თქვა მან. „აგერ, ბუც მოდის“. შემდეგ იდუმალი ხმით დაუმატა: „რა თქმა უნდა, ბუ ნამდვილი სახელი არ არის, ასე მე შევარქვი . წავალ და ვნახავ, მართლა მოდის თუ არა.“

ქალიც წამოდგა. მის წინაშე ახალგაზრდა, ვაჟკაცური აღნაგობის, სიმპათიური მთვარეული გაშტერებული იდგა. ქალი დაჟინებით უმზერდა და უმზერდა.

იქნებ მიცნოო, კვლავ ამის გაგებას ლამობდა. კაცის ხელახლა აღმოჩენა სურდა.

„ვერ მიცანით?“ – სულის სიღრმიდან ამოსული ხმით იკითხა ეულად მდგარმა ქალმა.

კაცმა დამცინავი სახით მოხედა. მამრს თვალები უცნაურად უელვარებდა, თუმცა კვლავ უაზროდ გაეშტერებინა. ქალმა მზერას ვეღარ გაუძლო. კაცი მისკენ მიიწევდა.

„რა თქმა უნდა, გიცანით,“ – მტკიცედ, დაჟინებით წარმოთქვა კაცმა და ქალის სახეს გიჟურად წაეტანა. ქალი შიშისაგან ილეოდა. ღონიერი მთვარეული სულ უფრო და უფრო უახლოვდებოდა.

აჩქარებული ნაბიჯებით მომავალი კაცი გამოჩნდა. „ამ დილას ბაღი დაკეტილია,“ თქვა მან.

შეშლილი შედგა და კაცს შეხედა. დარაჯი სკამთან მივიდა და თამბაქოს ქისა აიღო.

„აქ ნუ დატოვებთ, სერ,“ – თქვა მან და ტილოს ლაბადიან კაცს ქისა ხელში ჩაუდო.

„ქალბატონს სასაუზმოდ ვეპატიჟებოდი,“ – თავაზიანად მიუგო უკანასკნელმა.

„ჩემი ახალო მეგობარია.“

ქალი მიტრიალდა. მზით გაჩახჩახებულ ვარდნარში სწრაფი ნაბიჯით, ბრმასავით მიდიოდა. ბაღიდან გასულმა მუქ, ბნელ ფანჯრებიან სახლს ჩაუარა და ზღვის კენჭებით მოკირწყლული ეზოდან ქუჩაში

აღმოჩნდა. წინ შეუჩერებლად, გაურკვეველი მიმართულებით უსინათლოსავით მიიწევდა. შინ მისვლისთანავე ზემოთ ავიდა, ქუდი მოიხადა და საწოლზე ჩამოჯდა. თითქოს გულის სიღრმეში რაღაც ორად გაიფხრიწა, თითქოს რეალურად აღარც არსებობდა, ფიქრის ან განცდის ილაჯი აღარ ჰქონდა. ზღვიდან მონაბერი ქარი სუროს ფოთლებს აშრიალებდა და აქეთ-იქით აფარფატებდა. ჰაერში თვალისმომჭრელი სინათლით გაკაშკაშებული ზღვის მსგავსი იდუმალება ტრიალებდა. ქალი კვლავ გარინდებულიყო. სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდა. გრძნობდა, ავად იყო და დაფლეთილ მუცელში სისხლი თითქოს თავისით მიედინებოდა. გაყუჩებული, უძრავად იჯდა.

ცოტა ხნის შემდეგ დაბლიდან ქმრის მძიმე ნაბიჯების ხმა მოესმა და მისი სიარულის მანერა მთელი სიცხადით წარმოიდგინა. თვითონ არც განძრეულა. შემდეგ სევდისმომგვრელი ნაბიჯების ხმა ისევ შემოესმა, მერე ლაპარაკსაც მიაყურადა, ესმოდა, ვიღაცას როგორ ეპასუხებოდა, ლაზღანდარობდა და ფეხების მტკიცე ბრაგუნიც თანდათან უახლოვდებოდა.

საკუთარი გამჭრიახი გონებითა და ძლიერი აღნაგობით თვითკმაყოფილი ქმარი ოთახში უტიფრად შევიდა. ქალი იძულებული გახდა განძრეულიყო. კაცს უწინდელი გამბედაობა დაეკარგა.

„რა დაგემართა?“ – მოუთმენლობა შეპარული ხმით ჰკითხა ქმარმა.

„ცუდად ხომ არა ხარ?“

ეს ნამდვილი წამება იყო.

„ძალიან“, უპასუხა ქალმა.

„რა მოხდა?“ ჰკითხა კაცმა.

„არაფერი.“

ქმარმა რამდენიმე ნაბიჯი გადაადგა და ჯიუტად გაჩერდა. ფანჯარაში ყურება დაიწყო.

„ვინმეს ხომ არ გამოექეცი?“ – იკითხა მან.

„ვის?“ “აქ არავინ მიცნობს,“ – თქვა ქალმა.

კაცს ხელები დაეკრუნჩხა. ქალის სიცივემ და არაფრად ჩაგდებამ გააღიზიანა. შემდეგ მთელი ტანით ცოლისკენ შემობრუნდა და სწრაფად ჰკითხა:

„რაღაც გეწყინა, ხომ ასეა?“

„სრულებითაც არაფერი, ასე რატომ იფიქრე?“ – ინდიფერენტულად თქვა ქალმა. კაცი ჩალის ფასად ქცეულიყო, აღარაფრად თვლიდა, მხოლოდ აღიზიანებდა. კაცი გაცოფდა, სიბრაზისგან ყელის ძარღვები დაებერა.

„ასე მგონია," – თქვა მან. ცდილობდა გაბრაზება არ შეემჩნია, რადგან მიზეზი არ ჰქონდა. ქვემოთ ჩავიდა. ქალი კვლავ ლოგინს მიესვენა და გულში გრძნობის ნატამალი აღარ ჰქონდა. ქმარი ტანჯვად გადაქცეოდა და შეზიზღდა. დრო გავიდა. სადილისა და ბაღიდან მონაბერი ქმრის თამბაქოს სუნი შეიგრძნო. მაგრამ მაინც ვერ ინძრეოდა. ლოგინზე მკვდარივით იდო. ზარის წკარუნი მოესმა. ქმარი შინ ბრუნდებოდა. მერე ისევ კიბეზე ავიდა. ყოველ ნაბიჯზე ცოლს გული ელეოდა. კაცმა კარი გამოაღო.

„სადილი მზად არის," – თქვა მან.

ქმართან ყოფნას ვეღარ შეძლებდა. ფუჭად დაკარგული ცხოვრების უკან დაბრუნება აღარ სურდა. მტკიცედ წამოდგა და ქვემოთ ჩავიდა. ჭამისა და ლაპარაკის ილაჯი გასწყვეტოდა. მარტოსულივით იჯდა, შინაგანად დაგლეჯილი და სულგამქრალი. კაცი ცდილობდა არაფერი შეემჩნია. მაგრამ ბოლოს მრისხანებამ დაადუმა. ქალი ზემოთ რაც შეიძლება სწრაფად ავიდა და საძინებლის კარი მიკეტა. აუცილებლად უნდა განმარტოებულიყო. ქმარი ჩიბუხიანად კვლავ ბაღში ჩავიდა. ქმარს საკუთარ თავს ყოველთვის ამეტებდა, ამიტომაც იყო, რომ წლობით შენიღბულმა ბრაზმა კაცს სული და გული ბოღმით აღუვსო. თუმცა ამას ვერასოდეს აცნობიერებდა. ქალთან ყოველთვის მარცხდებოდა.

ცოლს ქმარი არასოდეს ჰყვარებია. არც აინტერესებდა. მუდამ ნებაზე ჰყავდა მიშვებული. კაცი საგონებელში ჩავარდა, ყოველივემ მწარედ დააფიქრა. მაღაროს ერთი რიგითი ელექტრიკოსი იყო, ცოლს თავი მასზე მაღლა ეჭირა. მუდამ მისი სიტყვა გადიოდა, ყოველთვის წინ უშვებდა და მაინც ერთად ცხოვრების მანძილზე ამგვარი დამცირება და შეურაცხყოფა კაცს სულსა და გულს უნადგურებდა. ქმართან ყოველთვის ზერელე ურთიერთობა ჰქონდა, არაფრად აგდებდა. ახლა კი წლების მანძილზე დაგროვილი ბრაზის ერთბაშად ამონთხევა სურდა.

მოტრიალდა და შინ შევიდა. ცოლმა უკვე მესამედ გაიგონა კიბეზე ასვლის ხმა. გული გაქვავებოდა. კაცმა სახელური დასწია და კარს მიაწვა, ჩარაზული აღმოჩნდა. უფრო ძლიერად გამოწია. ქალს გული მაინც ვერ მოულბა. „ჩაკეტილი გაქვს?" – ხმადაბლა ჰკითხა კაცმა, არ სურდა დიასახლისს გაეგო.

„ჰო, ერთ წუთს მოიცადე."

წამოდგა და საკეტი გადაატრიალა, შემტვრევისა შეეშინდა. კაცის სიძულვილი ახრჩობდა, მარტოდ დარჩენის ნებას რომ არ აძლევდა.

კაცი შევიდა, კბილებშუა ჩიბუხი გაეჩხირა და ქალი საწოლზე კვლაც წინანდელ პოზას დაუბრუნდა.

კაცმა კარი მიხურა და ზურგშექცევით დადგა.

„რა გჭირს?“ – მტკიცე ხმით ჰკითხა.

ქალს კაცის ატანა არ შეეძლო. სახეში შეხედვაც არ უნდოდა.

„არ შეგიძლია, მარტო დამტოვო?“ – უპასუხა და სახე მოარიდა.

ჯიქურ შეხედა, შეურაცხყოფისგან კანკალებდა. ერთ ხანს დაფიქრდა, აწონ-დაწონა.

„შენს თავს რაღაც ამბავია,“ – უთხრა გარკვევით.

„ჰო,“ მიუგო მან. „მაგრამ სულ ტყუილად მაწვალებ.“

„არ გაწვალებ. რა მოგივიდა?“

„რისთვის უნდა იცოდე?“ – სიძულვილით აღსავსე, სასოწარკვეთილი ხმით იკივლა ქალმა.

რაღაც გატკაცუნდა. დაიხარა და პირიდან გამოვარდნილი ჩიბუხი აიღო. შემდეგ ჩამოკბეჩილი მუნდშტუკის წვერს ენით შეეხო, პირიდან გამოიღო და ზედ დახედა. ჩიბუხი ჩააქრო და ლაბადიდან ფერფლი ჩამოიბერტყა. მერე თავი ასწია.

„უნდა ვიცოდე“, – თქვა მან. ფერდაკარგული სახე მოღრეცოდა. ერთმანეთის შეხედვა არ უნდოდათ. ქალმა იცოდა, რომ კაცს ახლა ცეცხლი ეკიდა, გული გამალებით უცემდა. ქმარი სძულდა, მაგრამ წინააღმდეგობის გაწევის უნარი აღარ გააჩნდა. უცბად თავი ასწია და კაცს მიუტრიალდა:

„გააქვს კი უფლება, რომ იცოდე?“ შეეკითხა.

კაცმა ახედა. სახე გაყინვოდა და თვალებში ტანჯვა ეხატა. ცოტა არ იყოს, ქალი შეცბა. თუმცა გული კვლავ გაქვავებოდა. არასოდეს ჰყვარებია. ახლაც არანაირი გრძნობა არ გააჩნდა.

მაგრამ მოულოდნელად თავი ისევ ჯიუტად ასწია, თითქოს გათავისუფლებას ლამობდა. რაღაც მტანჯველისგან თავის დახსნა სურდა. ის რაღაცა კაცი არ იყო მხოლოდ. სახელი ვერ მოეძებნა. საკუთარი თავისთვის თვითონვე მოეხვია და მისგან დაღწევა არცთუ იოლი აღმოჩნდა. ამ წუთს ყველაფერი შეზიზღებოდა და თავს დამარცხებულად მიიჩნევდა. კაცი კარს ზურგით აკვროდა. არაფრის დათმობას არ აპირებდა, ქალის განადგურება ბოლომდე სურდა.

ცოლმა ცივი, მტრული მზერა ესროლა. მაღაროს მუშას ხელები კარისკენ გაეწვდინა და ისე იდგა.

„აქ რომ ვცხოვრობდი, ხომ იცი?“ გულისშემძვრელი, უხეში ხმით დაიწყო ქალმა. ქმარმა ძალა მოიკრიბა, ცუდი ამბის მოსასმენად დაიძაბა და თავი დაუქნია.

„ჰოდა, ტორილ ჰოლში მის ბირჩს ვახლდი. ის და მღვდელი მეგობრობდნენ. არჩი ამ უკანასკნელის ვაჟი იყო“. მცირე ხნით შეყოვნდა. კაცს ვერ გაეგო, რა ხდებოდა. ცოლს მიშტერებოდა. თეთრებით შემოსილი ქალი ლოგინზე მოკუნტულიყო და კაბის არშიას ფრთხილად აწვალებდა. ხმა სიძულვილით აღვსებოდა.

„არჩი ოფიცერი იყო, საზღვაო უმცროს ლეიტენანტად მსახურობდა. პოლკოვნიკთან უსიამოვნების მერე არმიას თავი მიანება. ასე, რომ“- კაბის კალთას არშია შემოაგლიჯა. ქმარი უძრავად იდგა, ცოლის ყოველი მოძრაობა ჭკუიდან შლიდა —

„ჩემთვის გიჟდებოდა და მეც თავდავიწყებით მიყვარდა“.

„რა ხნის იყო?“ ჰკითხა ქმარმა.

„როდის?“ — „როცა პირველად შევხვდი თუ როცა დავშორდი?“

„როცა გაიცანი“.

„ოცდაექვსის, ახლა ასე ოცდათერთმეტის ან შეიძლება ცოტა მეტის, ოცდათორმეტისაც არის, რადგან მე ოცდაცხრის ვარ, ის კი ჩემზე სამი წლით უფროსია“.

ქალმა თავი ასწია და პირდაპირ კედელს შეხედა.

„მერე რა მოხდა?“ – ჰკითხა ქმარმა.

ძალა მოიკრიბა და გულცივად თქვა:

„ერთი წელი ვიყავით დანიშნულები. ჩვენს მეტმა არავინ იცოდა. თუმცა ეჭვობდნენ, მაგრამ მაინც არ გაგვიცხადებია. მერე ის წავიდა“.

„მარტო მიგაგდო?“ – უხეშად ჰკითხა ქმარმა, ცოლის გამწარება მთელი გულით სურდა. ქალი მრისხანებით აღივსო. შემდეგ „ჰო,“ თქვა მის გასაბრაზებლად. კაცმა ადგილი შეიცვალა და გაცეცხლებისგან „ფუუ-ო!“ წამოიძახა. სიჩუმე ჩამოვარდა.

„შემდეგ“, - შეწყვეტილი საუბარი განაგრძო ქალმა. მწველმა ტკივილმა ქმრის გამასხრების გუნებაზე დააყენა, „უცაბედად აფრიკაში საომრად წავიდა და თითქმის პირველივე დღეს მე და შენ ერთმანეთს შევხვდით. მის ბირჩმა შემატყობინა, რომ არჩიმ მზის დაკვრა მიიღო და ორი თვის შემდეგ დაიღუპა-“.

„ეს ყველაფერი ჩემამდე მოხდა?“ – ჰკითხა ქმარმა. შეკითხვა უპასუხოდ დარჩა. ორივე დუმდა. კაცი ვერ გარკვეულიყო. თვალები უშნოდ მოეწკურა.

„ასე რომ, ძველი სასიყვარულო ადგილების მოსანახულებლად ჩამობრძანებულხარ!“ – თქვა მან. „ამ დილით მარტო გასეირნებაც ამიტომ გინდოდა“.

კვლავ არაფერი უპასუხა. ქმარი ფანჯარას მიუახლოვდა. ხელები უკან დაილაგა, ცოლისგან ზურგშექცევით გაჩერდა. ქალი უცქერდა.

კაცის ხელები თითქოს კიდევ უფრო მსხვილი მოეჩვენა, თავი კი საცოდავად ჩაექინდრა.

უცბად მთელი ტანით შემოტრიალდა და საკუთარი სურვილის წინააღმდეგ ცოლს ჰკითხა:

„მასთან რამდენ ხანს დაეთრეოდი?“

„რას გულისხმობ?“ – ცივად ჰკითხა ქალმა.

„მაინტერესებს ერთად რამდენ ხანს დადიოდით?“

მაღლა აიხედა. კაცის სახეს თავი მოარიდა. პასუხის გაცემა არ სურდა. შემდეგ თქვა:

„ვერ გამიგია, სიარულში რას გულისხმობ. გაცნობის წუთიდან გულში ჩამივარდა. ეს მის ბირჩთან დარჩენიდან ორი თვის მერე მოხდა“.

„და გჯერა, რომ მასაც ასე უყვარდი?“ – დამცინავად ჰკითხა.

„დარწმუნებული ვარ“.

„აშ, რაღად მიგატოვა?“

ზიზღითა და ტანჯვით სავსე ხანგრძლივი დუმილი ჩამოწვა.

„ერთად რამდენ ხანს იყავით?“ – კვლავ ჰკითხა შიშნარევი, თუმცა მტკიცე ხმით.

„ირიბი შეკითხვებით გული ნუ გამიწყალე“, – უყვირა ქალმა, – „ერთმანეთისთვის ჭკუას ვკარგავდით. საყვარლები ვიყავით, დიახ, საყვარლები. სულაც არ მენაღვლება, რას იფიქრებ: რა შენი საქმეა. ის კაცი საყვარელი იყო ჩემი, ვიდრე გაგიცნობდი-“

„საყვარლები, - საყვარლები“, გამოაჯავრა მრისხანებისგან ფერდაკარგულმა კაცმა.

„ასე, რომ ჯარისკაცთან დროს ატარებდი, მერე კი, როცა მოგისროლა, ჩემზე გათხოვდი“.

ქალი სიმწრისგან თრთოდა. დიდხანს ხმას არც ერთი იღებდა.

„ნუთუ ვერ ხვდები, ნამდვილი ღორივით რომ მოიქეცი?“ – კვლავ დაუნდობლად ჰკითხა.

„რა შენი საქმეა, რას ვხვდები?“ – უხეშად დაუკივლა ქალმა.

კაცი მოიკუნტა, გაფითრებული იდგა. დამბლადაცემულებივით დიდხანს იყვნენ გარინდული. კაცი დაპატარავებულიყო.

„ქორწინებამდე ჩემთვის ამის თქმა არასოდეს გიფიქრია“, – მწარე ირონიით თქვა ქმარმა ბოლოს.

„არასოდეს გიკითხავს“, – მიუგო ქალმა.

„ასეთ რამეს ვერასოდეს ვიფიქრებდი“.

„თურმე უნდა გეფიქრა“.

კაცი გაოგნებული, უაზრო სახით იყურებოდა, თავში უამრავი ფიქრი უტრიალებდა. ვეებერთელა ტკივილისგან გული ლამის გაგლეჯოდა. მოულოდნელად ქალმა საუბარი წამოიწყო:

„და ის დღეს ვნახე“, „არ მომკვდარა, ჭკუიდან შეიშალა“.

ქმარს თავზარი დაეცა. ცოლს შეხედა.

„გაგიჟდა!“ – უსიცოცხლოდ ამოილუღლუღა.

„მთვარეულია“, თქვა ქალმა და იგრძნო, რომ ამ სიტყვის თქმა ძალიან გაუჭირდა. სიჩუმე ქმარმა დაარღვია.

„გიცნო?“ – დაბალი ხმით ჰკითხა.

„ვერა“, მიუგო ქალმა.

კაცი იდგა და ცოლს უმზერდა. საბოლოოდ მიხვდა, რომ მათ შორის უზარმაზარი ბზარი გაჩენილიყო. ქალი კვლავ ლოგინზე მოკუნტულიყო. კაცს მიკარება არ შეეძლო. იძულებით ვერც ერთი ვერაფერს გახდებოდა. ყველაფერი თავისით უნდა გარკვეულიყო. გაოგნებისგან ხმა ვერ ამოელოთ. უსიცოცხლოდ გახევებულიყვნენ და ერთმანეთი აღარ სძულდათ. ცოტა ხნის შემდეგ კაცმა ქალი დატოვა და სადღაც წავიდა.

ინგლისურიდან თარგმნა მაია ბოლაშვილმა

ანეტე ლორი

შვეიცარიელი მწერალი. დაიბადა 1968 წ. ბერნის ობერლანდში (შვეიცარია).

რამდენიმე წლის მანძილზე ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ლათინურ ამერიკაში.

ანეტე ლორი ორი რომანისა და მრავალი მოთხრობის და რადიოსცენარის ავტორია. დაჯილდოებულია რამდენიმე ლიტერატურული პრემიით.

ანეტე ლორი შვეიცარიის მწერალთა გაერთიანებისა (AdS) შვეიცარიელ ავტორთა ჯგუფ Index-ის წევრია.

ამჟამად ცხოვრობს და მოღვაწეობს ციურიხში.

ფრენისგან სუნთქვაშეკრული

(ნაწყვეტები რომანიდან)

ოთხშაბათის ფოტო სარამ დილაუთენია ქუჩაში გადაიღო. ლამპიონის შუქი განთიადის ბინდბუნდს კვეთდა და ფაფუკ ფიფქებს ირეკლავდა. იმ წამსვე გადაღების მომენტშივე იცოდა სარამ, რომ ეს ფოტო იმედს გაუცრუებდა. თოვლი დღეებს შორის. სათაური იქვე ჩაინიშნა.

ოთხშაბათი

სარა საწოლზე იჯდა და ოთახის ერთადერთ ფანჯარას აჰყურებდა, სინათლის ვიწრო ზოლს ლამის ზედ ჭერიდან რომ იწყებოდა. ფანჯარას გისოსი ეკრა. ლითონის ცხაურს იქით ადამიანები მიმოდიოდნენ, აქედან მხოლოდ ფეხები, მკლავები და ხელები უჩანდათ. მათ სახეებს სარა ვერ ხედავდა. გრძელი პალტოები ეცვათ, მუხლებს უფარავდათ. ეს არ იყო წელიწადის პირველი დრო, რომელსაც სარა ასე ფანჯრიდან მზერით აცილებდა. როცა ნიკოსთან ერთად ამ ოთახში შემოსახლდა, გისოსს მიღმა გამვლელების შიშველ ფეხებს და გარშემო აფრიალებულ ჭრელაჭრულა ქსოვილებს უყურებდა, მსუბუქად მოძრავსა და ნაზად მოშრიალეს. მერე ტანსაცმელი თანდათანობით დამძიმდა და ნაბიჯებიც უფრო მყარი და დინჯი გახდა.

მხოლოდ მუქი ჩრდილებიღა თუ გასხლტებოდა დროდადრო ფანჯარასთან.

სარამ სიგარეტს მოუკიდა, კვამლი ღრმად ჩაისუნთქა, ჩაიგუბა და სუნთქვა შეიკრა: ათი წამი გავიდა ოცი, ნახევარი წუთი. ელოდა, ვიდრე ჰაერის ნაკადი ფილტვებს თავისთავად არ ამოსკდა. უცნაური, ფშუტუნისმაგვარი ხმა იყო. თავბრუსხვევა იგრძნო. ნიკო დაიჭირეს. მისი დაპატიმრების ამბავი სარამ მარიას ძმისგან შეიტყო. შუადღე ახალი გადასული იყო, რომ გამოეცხადა ლურჯ კომბინიზონში გამოწყობილი და კართან აიტუზა. შავად უბზინავდა თმა. სარას თვალი გაუშტერდა, სათვალის შუშებზე შერჩენილ ფრჩხილისოდენა ცხიმიან ლაქებზე მიეყინა მზერა. მეტს ვეღარაფერს ხედავდა. ჭერზე ზუზუნი გაუდიოდა ნეონის მილს. რაღაცნაირი, ჩუმი ზუზუნი იყო, ყურში უსიამოვნოდ რომ უგუგუნებდა.

გაუბედავად იდგა მარიას ძმა. ყოყმანობდა და დროდადრო ფეხს ინაცვლებდა. ცხადად ჩანდა, რომ სიტუაცია დიდად არ სიამოვნებდა. „უნდა წავიდე“, თქვა ბოლოს, „ჩვენთან გადმოდი, თუ რამე დაგჭირდება, ან მე ვიქნები ან ელენა, ხომ იცი, თითქმის სულ სახლში ვართ“. მერე სათვალე მოიხსნა და შუშების წმენდას შეუდგა. გულმოდგინედ უსვამდა დაჭმუჭნულ ცხვირსახოცს, ვიდრე სარკესავით არ გააპრიალა. გეგონებოდათ, სწორედ ამ წამს ელოდაო საგანგებოდ და აქამდე ვერაფრით გაებედა, სინამდვილისთვის თვალი თამამად გაესწორებინა.

...დილა იყო, ის და ნიკო რომ შეკამათდნენ. მიზეზი აქედან წასვლა იყო, რასაც ნიკო უკვე, ვინ მოთვლის, მერამდენედ, სამომავლოდ სდებდა. ჯერ იყო და ნოემბერში აპირებდნენ, მერე ნოემბერი დეკემბერმა შეცვალა, დეკემბერს იანვარი მოჰყვა, იმ დილას ნიკომ გაზაფხული ახსენა, ესეც არ იკმარა და შემოდგომაზეც კი ჩამოუგდო სიტყვა: თქვა, სექტემბერი იდეალურია, შორეულ სამხრეთში ამ დროს ზაფხული იწყება და ჩვენც პირდაპირ გამოვტოვებთო ზამთარს. „ჰო, მაგრამ თუ უფრო ადრე მოგვიწევს აქედან წასვლა?“ შეეპასუხა სარა, „როგორ მოვიქცეთ, თუ აქ ყოფნის ვადა მანამდე ამოგვეწურება? შენ რა, არალეგალურად ხომ არ აპირებ ქვეყანაში დარჩენას?“

ნიკო შეეცადა, როგორმე დაემშვიდებინა სარა, თუმცა, არაფერი გამოუვიდა, ვერც არგუმენტებმა უშველა და ვერც იმის მტკიცებამ, საზღვარზე გადასვლისას ისედაც აღარავის დააინტერესებსო შენი ვიზა.

„ჰო, რა თქმა უნდა, შენ ხომ ყოველთვის ყველაფერი ყველაზე უკეთ იცი.“ აბუზღუნდა სარა. „ყველაფერი ხომ ყოველთვის ისე უნდა გაკეთდეს, როგორც შენ მიგაჩნია სწორად.“

ერთ სიტყვას მეორე მოაყოლა, ხმასაც უმატა, ტონიც გაუმძაფრდა. აღარც ახსოვს, მერე სამზარეულოს კარი როგორ გაიჯახუნა, ჭუჭყიანი ტანსაცმელი ჩანთაში ჩაყარა და სამრეცხაოსკენ მიმავალ გზას აჩქარებით გაუყვა. ფერადი სარეცხი მანქანაში შეყარა. ჭრელა-ჭრელა ქსოვილები დატრიალდა და ერთმანეთში აირია. თითქოს ათასფერი ძაფი აქაფებულიყო ერთად. რომელიღაც ელვა-შესაკრავი ყოველ დატრიალებაზე კარს ეხლებოდა და უსიამოდ წკარუნებდა. უგულისყუროდ ფურცლავდა სარა გაზეთს. ერთგან წერდნენ, რამდენიმე მიგრანტი სიცივეს როგორ შეეწირა. მეორეგან იმას განიხილავდნენ, შემდგომი მსხვერპლის თავიდან ასაცილებლად რა ღონისძიებების გატარება შეიძლებოდა. რომელიღაც გვერდზე პირველი ფერადკანიანი ბურგომისტრის ფოტო განეთავსებინათ, ერთი გვერდი მთლიანად რეკლამას დასთმობოდა.

შინდაბრუნებულ სარას ნიკო აღარ დაუხვდა. რა ტყუილად ეიმედებოდა, კაცი დამელოდება და პატიებასაც მთხოვსო. აშკარა იყო, ნიკოს მისი წასვლისთანავე მიეტოვებინა აქაურობა. მეტროს სადგურისკენ მიმავალმა კაცმა უთუოდ ჩაუარა სამრეცხაო სალონს და, ვინ იცის, იქნებ სარასაც მოჰკრა თვალი, იქვე, სკამზე რომ ჩამომჯდარიყო და ფანჯრისკენ ზურგი მიექცია.

...აგვისტო მთავრდებოდა, როცა ნიუ-იორკში ჩამოაღწიეს სარამ და ნიკომ, როგორც იქნა. ჯერ ისევ მანქანაში ათევდნენ ღამეს. მიეჩვივნენ ასე ცხოვრებას და აღარც აწუხებდათ რაიმეს შეცვლის აუცილებლობა. დროდადრო პირად ნივთებს თუ მიიტანდნენ ხოლმე მარიასთან, ეგ იყო და ეგ. მაშინ არც ფიქრობდნენ ნიუ-იორკში დიდხანს დარჩენას. გადაწყვეტილება მოგვიანებით მიიღეს. ერთის მხრივ, აქ მუშაობა შეიძლებოდა (ნიკოს ნახატები კარგად იყიდებოდა, ვიდრე აცივდებოდა, შეიძლება ითქვას, რომ - ძალიან კარგადაც.) მეორეს მხრივ, ამ ქალაქში ისე მოეწონათ, მალევე სხვაგან გადანაცვლების სურვილი არც გასჩენიათ. ზაფხული იწურებოდა. გრძელი დღეები იდგა. ცხელოდა. მხურვალე ბუღი დღის განმავლობაში შენობებს შორის გროვდებოდა და ჰაერი ალმოდებულივით ვარვარებდა. დღეები ისე გადიოდა, სიოც კი არ იძროდა, ჰაერში სიგრილის ოდნავი ნატამალიც არ იგრძნობოდა. მხოლოდ საღამოს პირს, როცა უსაშველოდ გაწელილი ჩრდილები ზედ ერთხმოდა და დაუზოგავად

მიერეკებოდა ქალაქიდან დღის ცეცხლივით მწველ მხურვალებას, ყოფა შედარებით გასაძლისი ხდებოდა. ოდნავი შვება იგრძნობოდა.

საათობით დასეირნობდნენ სარა და ნიკო ქუჩებში, ათვალიერებდნენ ცადატყორცნილ შენობებს, კისერმოღრეცილი იყურებოდნენ მაღლა, სადამდეც თვალი სწვდებოდათ. ცდილობდნენ, რაღაცას მაინც მოსჭიდებოდნენ მზერით, სადმე ყვავილების ქოთანი ან ფერადი საღებავების კვალი მაინც აღმოეჩინათ. ამაოდ. გლუვი, ერთგვაროვანი ფასადები ცივად ისხლეტდა მზერას და უკან აბრუნებდა, ქუჩებზე, მანქანებზე, ავტობუსებზე, ტაქსებზე, ადამიანებზე. ირგვლივ უამრავი ხალხი ირეოდა. სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე უთვალავი ადამიანი. მათ გარშემო ენების ნამდვილი მორევი ტრიალებდა. სიცილი, ყვირილი და გინება ისმოდა. ამას საამშენებლო მანქანების რახრახი და კაკუნი, სირენების წივილიც ემატებოდა და მთავარი ტონი, რომელიც ბოლომდე არასოდეს ცხრებოდა და რომელიც ისევე აწვა თავზე ქალაქს, როგორც ათასობით მილიონი ნათურის ანარეკლთა ზღვა. ნისლი, გამონაბოლქვი, ათასგვარი შუქი, ხმა და სუნი ფენებად დასწოლოდა ერთმანეთს და ქალაქს ზემოდან თაღებად დასდგომოდა.

აქ არასოდეს წყდება ხმაური და ნამდვილადაც არასოდეს ბნელდება – მიაწერა სარამ საფოსტო ბარათებს, რომლებიც სახლში გააგზავნა, მეგობრებს გაუგზავნა, დედებს და მამას. გამუდმებით ხმაურობს რაღაც, გამუდმებით ანთია სინათლე სადღაც.

სულ რაღაც ორი კვირა და ამ ქალაქმა ბოლომდე შეისრუტა სარა და ნიკო. ორივე საკუთარი სხეულის ნაწილად აქცია, ორი ახალი პატარა ბორბალი, რომლებიც უკვე მთლიანად მისი მექანიზმის მიხედვით ბრუნავდა.

გერმანულიდან თარგმნა მზია გალდავაძემ

ბარბარა შიბლი

შვეიცარიელი მწერალი. დაიბადა 1975 წ. ბადენ-არგაუში (შვეიცარია). სწავლობდა გერმანისტიკას, ლიტერატურათმცოდნეობასა და პუბლიცისტიკას.

ამჟამად ცხოვრობს ციურიხში. ასწავლის გერმანულ ენასა და ლიტერატურას ბადენის გიმნაზიაში.

ბარბარა შიბლის ნაწარმოებები 2003 წლიდან იბეჭდება სხვადასხვა ლიტერატურულ ჟურნალსა და კრებულში. დაჯილდოებულია არაერთი ლიტერატურული პრემიით და სტიპენდიით.

„ხავსურა“ (2017) ბარბარა შიბლის სადებიუტო რომანია.

ხავსურა

(ნაწყვეტი რომანიდან)

ახალი თანამშრომელი მბრუნავ სკამზე ზის და გაუთავებლად ტრიალებს. ეს გოგონა ტურბინას მაგონებს. სხვა ბევრი არაფერი ხდება. ინტერნეტში ვიქექები. საძიებელში საკუთარ გვარ-სახელს ვწერ და შედეგს ველოდები. ჰერიზაუს მოცურავეთა კლუბის წევრი ვყოფილვარ, ნოვოსიბირსკში დისკოთეკაზე მიცეკვია, ვილაცას ვუნახივარ ბარში, სადაც არასოდეს ვყოფილვარ, რომელიღაც ვიდეოკლიპში ექვსი წლის გოგონა მორბის და თვალებში მაგებებს თავის გაცრეცილ და ავადმყოფურად ფერგამკრთალ სახეს.

მე და ეს ახალი ხავსურების გამო ვართ აქ. ჩვენი ჯგუფის სხვა წევრები ხავსს, გვიმრას, წყალმცენარეებს და სოკოებს, ყველანაირ კრიპტოგამას აკვირდებიან ფარულად მექორწინე მცენარეებს. კარლ ფონ ლინემ მცენარეთა მისეულ სისტემაში ისინი ასე მონათლა. ის, რასაც ჩვენ ამ ინსტიტუტში ვაკეთებთ, უფრო მეტად ჩანს კონსპირაციული, ვიდრე სინამდვილეშია.

მიკროსკოპს ჩავშტერებივარ, მივარღვევ უშინაარსოდ გაწელილ დილას, ერთ ჩვეულებრივს იმ დილათაგან, როცა აღწერილობის

პროცესი მიდის და თან ადგილიდან არ იძვრის. ჩვენ თავს არ ვიზოგავთ, შეუპოვრად მივიწევთ წინ, თუმცა, ამ ყველაფრისგან საბოლოოდ რასაც ვიღებთ, წამიერად თვალთახედვიდან გვეკარგება.

სამართებლით ვსერავ კლადონიის ერთ-ერთ ტოტს. მიკროსკოპის სასაგნე მინაზე ვათავსებ და გამოსახულებას თანდათანობით ვადიდებ. უეცრად ყველაფერი ზრდას იწყებს, იკვირტება, ყლორტებს ისხამს, მიკროსკოპში მომწყვდეული თითოეული ტოტი ხედ იქცევა, ტყესავით იბარდება. იმავდროულად კი სულ უფრო მივიწროვდება მზერა. ერთმანეთში ირევა წერტილები, ხაზები, ქსელები, ფიქციური მოძრაობები. ორივე თვალით უნდა დააკვირდე, წამით არ უნდა მოხუჭო ერთიც. თანაც ისე უნდა უყურებდე პრეპარატს, თითქოს შორეულ ხედებზე ასვენებდე მზერას, თითქოს თვალის ყოველი კუნთი სრულიად მოედუნებინოს ნანახით ტკბობას. ასე სწავლობ, როგორ უნდა მოახერხო და ყურადღების მიღმა დატოვო უამრავი მფრინავი ლაქა, უთვალავი უწესრიგო, შავი ძაფი, თვალის ოდნავი გატოკებისთანავე რომ უთავბოლოდ აცეკვდებიან და წამში ერთიანად გიფარავენ მხედველობის ველს, არად ჩააგდო მათი თვალისმომჭრელი ციმციმი, თავიდან რომ ნერვებს მიშლიდა. ეს ჩრდილოვანი ანარეკლებია თვალშიდა სითხეში, რომელიც ერთბაშად ისხლეტს მიკროსკოპის მბურღავ შუქს და უკანვე ანარცხებს ბადურის კედლებს. ამ დროს გგონია, შეუცნობელი ბუნების რაღაც ნაწილს ვაკვირდებიო, თუმცა ის შენი ნაწილია თავად.

გასული შაბათ-კვირიდან მოყოლებული, გამოფენის შემდგომ, ძალიან მიჭირს სამუშაოზე კონცენტრირება. მბრუნავ კარში გავდივარ და ინსტიტუტის შენობას ვტოვებ. სიგარეტს ვუკიდებ და ღრმად ვისუნთქავ. ქუჩის მეორე მხარეს გადავდივარ. იქ ტელეფონავტომატია, ამ მომაკვდავი, გადაშენების პირას მყოფი სახეობის ერთ-ერთი ბოლო ეგზემპლარი. ყურმილს ნადები გასჩენია, სქლად ადევს მტვერი.

ნაშუადღევს დენტალ-ჰიგიენისტთან მიღებაზე ვეწერები. ოღონდაც რამეზე გადავერთო, სულერთია, რაზე. დედაჩემი ჯიუტად მიმეორებს ხოლმე: „კბილებს უნდა მიხედო, თორემ ერთ მშვენიერ დღეს ნამდვილ ქაოსს აღმოაჩენ საკუთარ პირის ღრუში, ჩემს დღეში ჩავარდებიო.“ არა, არ მინდა არავითარი ქაოსი პირში, ტრაგედიაზე ხომ საერთოდ არც მსურს ფიქრი. წინათ ბებია ეკლესიაში მიდიოდა ხოლმე, სანთელს უნთებდა წმინდა აპოლონიას და ევედრებოდა. შესთხოვდა, იქნებ როგორმე მომაშოროო ეს ბოროტი ჭია. მავნე ჭიას კი წასვლა არ უნდოდა, ემუდარებოდა, ნუ გამაგდებთ, ცოტახნით

შეგეკედლებით, ბოლოს და ბოლოს მეც ხომ მაქვს რაღაცის უფ-ლებაო. არა, აქამდე არ მინდა მივიყვანო საქმე. კბილებზე ნამდვილად უნდა იზრუნოს კაცმა, ისინი ხომ ჩვენი იდენტობის ყველაზე საიმედო მტკიცებულებას წარმოადგენს. მისი დადგენა ხომ სწორედ კბილების მეშვეობით ხდება შესაძლებელი.

დენტალ-ჰიგიენისტს თეთრი ხალათი აცვია. ქალი კვლავ მიმეო-რებს კითხვას, მედიკამენტებს ხომ არ იღებთ ან რაიმეზე ალერგია ხომ არ გაქვთო. პირის გამიღეთო, მთხოვს. დაახლოებით ექვსი თვის წინ ვიყავი კლინიკაში ბოლოს. ერთი მკვდარი ფესვი აღმომიჩინეს მაშინ. კრიოზონდით გამისინჯეს ნერვი. არავითარი რეაქცია.

ჩლადონია სტყგია-ს სახეობის ხავსურას ქვედა ნაწილები უკვდება და ულპება, კენწეროები კი ეტოტება და ზრდას განაგრძობს მაინც. ბუჩქოვანი ხავსურა მუდმივი თვითგანახლების პროცესშია. ჩემი კბილის ფესვს კი სიცოცხლე აღარ უწერია, მოკვდა ერთხელ და სამუდამოდ.

დენტალ-ჰიგიენისტი ამჯერად კბილების თვალშისაცემად შეცვ-ლილ ფერზე ამახვილებს ყურადღებას და მეკითხება, რამდენს ვეწევი. მერე ლოყის შიდა კედელზე ნაჭდევს ამჩნევს: „იკბინეთ? ძილში ცუდ სიზმრებს ხედავთ?“

პაციენტის დოსიეში დაწვრილებით იწერება, რა გამოვლინდა პირის ღრუში, რომელ ქცევას რა კვალი დაუტოვებია, რა ჩაბუდებუ-ლა მოლიარებში, რა სახის ნალექი დასდებია ენას. რენტგენის პანო-რამული სურათი მთელ ყბას აშუქებს და ამჟამინდელ საერთო მდგო-მარეობას აფიქსირებს. შეუმჩნეველი არაფერი რჩება. არსად არა-ფერი წასულა. ყველაფერი შეზრდია ადგილს. დენტალ-ჰიგიენისტი ყბაზე ხელს მავლებს და თავს ჯერ ერთ მხარეს მიტრიალებს, მერე - მეორე მხარეს. ლაპარაკობს მეზიალურსა და დისტალურზე, მიუხე-დავად იმისა, რომ ის ერთადერთია ამ ოთახში, ვისაც ამ ტერმინების რაიმე ესმის.

მთელი ამ ხნის განმავლობაში შიში მიწვავს კეფას, ვაითუ, რაიმე აღმოაჩინოს ქალმა, რაც ჩემში ზის და რის შესახებაც თავად არ ვუწყი. ბოლოს რჩევას მაძლევს, მარიგებს, როგორ უნდა მოვიხმარო სწორად კბილის ძაფი. მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითის ზედა სახსარზე იხვევს ძაფის ერთ ბოლოს, მეორეს - მარცხენა ხელის იმავე თითზე და როცა გასანთლული ძაფი თითებს შორის დაიჭიმება და ოდნავ დაიზუზუნებს, წამით თოკზე მოსიარულე აკრობატის სახი-ფათო ნომერს ემსგავსება სურათი. თოკქვეშ საშიშროება იგრძნობა, კბილთაშორისი სივრციდან მომავალი, დასამარცხებელი საფრთხე.

ექიმი გაფრთხილებას განაგრძობს, თუ ამ დავალებას არ შევასრულებ, მხოლოდ საკუთარ თავს ვავნებ და ექვსი თვის შემდეგ სავალდებულო შემოწმებაზე მოსულს უცილობლად მელის უსიამოვნო სიურპრიზი.

ვინც ექვს თვეში ერთხელ მაინც არ მივა ბოლო დროს უკონ-ტროლოდ მომრავლებულ და სოკოებივით მოდებულ დენტალ-ჰიგიენის კლინიკებიდან ერთ-ერთს, დაღუპვისთვისაა განწირული. დენტალ-ჰიგიენა ცეზურაა. მას შემდეგ არაფერია ისე, როგორც მანამდე. მოავლებ ენას კბილებს და სრულიად უცხოდ მოგეჩვენება ისინი. ისეთი სლიპინაა, გგონია, საკუთარ თავზე გისხლტება ფეხი.

კლინიკიდან ისევ ინსტიტუტში ვბრუნდები. ფეხს ვყოფ ჩემს ეულად მიტოვებულ სანდლებში. დილით ისინიც სხვებთან ერთად აწყვია აქ, ვიდრე ყოველი წყვილი რიგრიგობით არ მიებარება საკუ-თარ პატრონს. ღიანაცრისფერი ლინოლეუმის იატაკზე შეხებისას თითქმის შეუმჩნევლად ჭრაჭუნებენ ლანჩები. სანდლებით გაქცევა მაინც ძნელად წარმოსადგენია, მიჭირს.

მინდა თავი შევიქციო როგორმე და ისევ ინტერნეტში ვიქექები. სულ თავში მოქცეული მონაცემები, რომელთაც საძიებელი ანნა ბაზელგიას სახელთან აკავშირებს, სამეცნიერო ჟურნალებში გამო-ქვეყნებული სტატიებია, რომლებიც ხავსურების კვლევას, ლიქენო-ლოგიას ეხება. ახლა სურათების საძიებელზე გადავდივარ. ჩემს ფო-ტოებს შორის ლეტას სურათებიც გარეულა. მხოლოდ გენები არა, ალ-გორითმებიც გვაკავშირებს ერთმანეთთან. ამას ვერც ის გარემოება შეცვლის, რომ ერთ ან ორ წელიწადში უკვე მზად იქნება სახეთა გამოცნობის პროგრამა, ჯერ ის მხოლოდ დამუშავების საწყის ეტაპზეა.

ჩვენთან მასაც არაფერი გამოუვა. ვერაფრით შეძლებს ჩვენს ერთმანეთისგან გარჩევას: ჩვენ ხომ ერთკვერცხუჯრედოვანნი ვართ.

გერმანულიდან თარგმნა მზია გალდავაძემ

მარიამ ჯვარიძე

ᲯᲐᲕᲐᲮᲔᲗᲘ ᲩᲔᲛᲘ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲡᲐᲮᲚᲘᲐ

ჯავახეთში წასვლა დიდი ხანი მინდოდა, რაც სახელმწიფო პროექტები გამოცხადდა – „ასწავე საქართველოსთვის“ და „ქართული, როგორც მეორე ენა“, შემდეგში „მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამა“. 2016 წელს გავხდი მონაწილე ამ უკანასკნელი პროექტისა. პროექტი ითვალისწინებს არაქართული სკოლის მასწავლებლების პროფესიული განვითრების ხელშეწყობას. მასწავლებლები თავიანთ სკოლაშივე გადიან ქართული ენის კურსს სურვილისამებრ, რაც მათ ეხმარება კარიერულ წინსვლაში, სქემით გათვალისწინებული აქტივობების შესრულებაში და, რა თქმა უნდა, ინტეგრაციაში. უმნიშვნელოვანესია ადგილობრივი ქართულის მასწავლებლების გადამზადება, მათი შემდგომი საქმიანობისათვის. პროექტის ფარგლებში ჩემმა კოლეგებმაც (ადგილობრივმა მასწავლებლებმა) წარმატებით გაიარეს ქართული ენის კურსი.

2016 წლის თებერვალში პირველად მოვხვდი ჯავახეთში, უკვე სამსახურში მიმავალი. მანამდე იყო სამეცნიერო ექსპედიცია ჯავახეთის სოფლებში, რომელიც ასპინძის რაიონით შემოიფარგლებოდა მხოლოდ. ვიცოდი, სად მივდიოდი, თუმცა არ მენახა. მიუხედავად ამისა არ ვღელავდი, პირიქით, აღფრთოვანებას ვერ ვმალავდი, მომხიბლა ნანახმა: ჯავახეთის მტკვრის ხეობამ, რომელიც წელიწადის ნებიმერ დროს საოცრად ლამაზია, გზად თამარ მეფის ხიდმა მდინარე

ფარავანზე და ბოლოს აბულმა. მგზავრობა დასრულდა აბულის სამხრეთ ფერდობზე პატრა სოფელ უჯმანაში, რომელიც ზღვის დონიდან 2000 მეტრზეა, ბაზილიკური ეკლესიით. ერთ სტილში აშენებული სახლები ცოტა პირქუშად გამოიყურებოდნენ, მაგრამ მკაცრ ზამთართან ჰარმონიაში იყვნენ. გარემო ალპურია, მხოლოდ ქარსაცავი ხელოვნური ტყის ზოლია ირგვლივ. სოფელში ცხოვრობენ 1833 წელს ჩმოსახლებული კათოლიკე სომხები.

თავიდან საკონტაქტო სომხურიც კი არ ვიცოდი, თუმცა ადგილობრივებთან ინტეგრაცია ადვილად გამომივიდა. დამხვდნენ საოცრად თბილი და მოტივირებული მოსწავლეები, რომლებიც ელოდნენ ქართველ ქართულის მასწავლებელს. მე პირველი მისული მასწავლებელი არ ვიყავი. ასევე დამხვდა კეთილგანწყობილი კოლექტივი და საოცრად თბილი მასპინძელი ოჯახი.

ეს იყო ახალი, განხვავებული და ძალიან საინტერესო ეტაპი ჩემს ცხოვრებაში. მანამდე ვმუშობდი ქართულ სკოლაში, ვასწავლიდი ქართულ ენასა და ლიტერატურას. რა დიდი ბედნიერებაა ფილოლოგისთვის საყვარელი საგნის სწავლება, ამაზე აღარ დავწერ. ახლა უნდა მესწავლებინა ქართული ენა ეროვნებით სომეხი ბავშვებისათვის, რომლებიც მისვლისთანავე დამიმეგობრდნენ და სამუშაოდ არაჩვეულებრივი გარემო შეიქმნა. რა თქმა უნდა, იყო სირთულეებიც.

პროფესიული თვალსაზრისით აღმოვჩნდი ახალი რეალობის წინაშე. ენის სწავლებისას გასათვალისწინებელია ბევრი ნიუანსი, დაწყებული ფონეტიკით, დამთვრებული სინტაქსით, რასაც თავი გავართვი. ამაში დამეხმარა აკადემიური ცოდნა და პროექტის ფარგლებში გავლილი ტრენინგები.

არაფორმარლურ განათლებას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩემს პრაქტიკაში. ძალიან ეფექტურია ლაშქრობები. ჩემს მოსწავლეებთან ერთად დავგეგმე და ვნახეთ მეზობელ სოფელ ჯიგრაშენში (ყაურმა/ტონთიო) ძეგლი, რომელზეც ძველი ქართული წარწერები და ბარელიეფებია, ასევე თმარის ხუთ ნალიანი ხიდი, რომელსაც დღემდე იყენებს მოსახლეობა.

21-ე საუკუნეში აქტუალურია ასევე ინტერნეტ სივრცე განათლებისთვის. სოციალური ქსელების გამოყენება, სწავლა სწავლებისათვის თანამედროვე უნარების განვითარება ამის გარეშე წარმოუდგენელია. ამასთან ცოდნის გადაცემის და დისკუსიის საშუალებას იძლევა. ინტერნეტ სივრცის დადებით მხარედ სწავლებისას შეიძლება ჩაითვალოს ისიც, რომ მოზარდებს მეტი სითამამე აქვთ, აზრს

გამოხატავაენ და უფრო გახსნილები არიან. რაც შემდეგ გადმოაქვთ რეალურ გარემოში.

ჩემმა მოსწავლეებმა წაიკითხეს დათო ტურაშვილის „ჯინსების თაობა“ და გიორგი კეკელიძის „გურული დღიურები“. ისინი დაინ-ტერესებული არიან ქართული ლიტერატურით, სურთ მეტი იცოდნენ ქართველი მწერლების, პოეტების შესახებ.

ჯავახეთი უკვე ჩემი მეორე სახლია. ვფიქრობ, იქ ვარ, სადაც უნდა ვიყო. ვაკეთებ ჩემს საყვარელი საქმეს.

სარჩევი

მერაბ ბერიძე
განახლებული „არავი“ *3*

ინტერვიუ
კობა იაკობ-აბა არაბული
მთაზე მზრუნველი კაცის ფიქრები *5*

პროზა
ჯუმა ჯ'უმითელი
მოგზაურობა გაუცხოებულ მიწაზე *55*

პროზა
ზურაბ თორია
ყვავილებით ვინ ხვდება ემიგრანტებს? *59*

პოეზია
გიორგი ნატროშვილი *75*

პოეზია
მარინა თექთუმანიძე *79*

საახალწლო მოქმედი
ბეჟან დათუნიშვილი *90*

ესე
რუსუდან ბერიძე
უილიამ საროიანი *92*

ემიგრანტული პროზა
ეკა ოთარაშვილი
ნაბიჯი სიმძიმიდან *104*

ინტერვიუ
ავთანდილ ბუთხაშვილი
იქ ვაჟას ნაკვალევია... *110*

თარგმანი
დეივიდ ჰერბერტ ლორენსი
ღიმილი *119*
ვარდნარის ჩრდილში *126*

თარგმანი
ანეტე ლორი
ფრენისგან სუნთქვაშეკრული *140*

თარგმანი
ბარბარა შიბლი
ხავსურა *144*

ჯავახეთი
მარიამ ჯვარიძე
ჯავახეთი ჩემი მეორე სახლია *148*

ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. №106,
ტელ.: 0(365)22-19-90, 595-94-02-26, 591-41-12-88
ელ. ფოსტა: jurnaliaravi@gmail.com